

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

მანანა თავდგირიძე

## მხატვრული აზროვნების განვითარება XX საუკუნის I ნახევრის აჭარაში

(სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი გალეაზ ჩოხარაძე**

ბათუმი  
2013

## სარჩევი

შესავალი .....	3
<b>თავი I. მხატვრული სიტყვის აღორძინება აჭარაში XIX საუკუნის ბოლოს</b>	
და XX საუკუნის დასაწყისში .....	6
<b>თავი II. მწერალთა გაერთიანებები XX საუკუნის I ნახევრის აჭარაში.....</b>	12
§ 1. მწერალთა გაერთიანებები 20-იან და 30-იან წლებში.....	12
§ 2. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა აჭარის განყოფილება.....	19
§ 3. საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის განყოფილება.....	37
<b>თავი III. XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმის სალიტერატურო პრესა .....</b>	48
<b>თავი IV. ეპოქის იდეოლოგიური სტრუქტურა და რეგიონული მწერლობის</b>	
<b>თავისებურებები.....</b>	65
§ 1. პირველი ლიტერატურული თაობა აჭარაში და მწერლობის ბოლშევი-	
ზაციის ზოგიერთი პრინციპი.....	65
§ 2. ახალი ადამიანი სოციალიზმის ეპოქაში და მხატვრული ლიტერატურის	
ფუნქცია.....	69
§ 3. სოციალისტური შრომის აპოლოგია.....	76
§ 4. ახალი კერპები და ახალი თარიღები.....	82
§ 5. რეგიონის ცხოვრების სურათები.....	86
§ 6. რელიგია და ლიტერატურა.....	104
<b>თავი V. პატრიოტული მოტივი .....</b>	112
§ 1. პატრიოტიზმი და და ბოლშევიზმი .....	112
§ 2. ომის თემა და იდეოლოგიური მწერლობის ზოგიერთი თავისებურება....	127
§ 3. ბათუმში მოღვაწე პოეტები სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში	
და ტაო-კლარჯეთის სავანეთა ბედისწერა.....	133
<b>თავი VI სატრანსლიტრირებული ლიტერატურა .....</b>	141
დასკვნები.....	151
<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	165

## შესავალი

აჭარაში ქართული კაზმულსიტყვაობის აღორძინება და, შემდგომ ეტაპზე, საკმაოდ სწრაფი ტემპით განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მიუხედავად იმ მძიმე ვითარებისა, რომელიც ქვეყანაში პარტიულ-იდეოლოგიური დიქტატის დამყარებას მოჰყვა შედეგად, რეგიონის მწერლობა თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც ჩვენი ლიტერატურის ისტორიის „უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეპოქის ძირითადი ნიშანი სოციალისტური რეალიზმის და პროლეტარული კულტურის ძალადობრივი დამკვიდრების პროცესი იყო, რომელიც წინააღმდეგობათა მძიმე, ხშირად მეტისმეტად ტრაგიკულ ჯაჭვს ქმნიდა. ეს წინააღმდეგობა უკიდურესად გამწვავდა 30-იან წლებში. 1932 წლის 23 აპრილს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „სალიტერატურო - სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ სპეციალური დადგენილება მიიღო, რომელიც გარდამტებ მიჯნად იქცა მეოცე საუკუნის ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ამ დროიდან მოყოლებული, დიდი ხნის განმავლობაში ქვეყნად დამკვიდრებულმა იდეოლოგიურმა დიქტატურამ რკინის არტახებით შებოჭა შემოქმედებითი აზროვნების თავისუფლება და უდიდესი ვნება მოუტანა სულიერი კულტურის განვითარებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის მწერლობა, ომისშემდგომი წლების ლიტერატურული გარემო და სხვა.

XX საუკუნის პირველი ნახევრის აჭარაში მოდვაწე მწერლების შემოქმედება ერთი ბუნებრივი, მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია საზოგადოებრივი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და იგი, ერთი მხრივ, რეგიონის ისტორიის სპეციფიკურობიდან, მეორე მხრივ, საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის თავისებურებებიდან გამომდინარე, ერთობ საინტერესო პრობლემატიკითა და მიზანდასახულობით ხასიათდება, რაც, შესაბამისად, აქტუალობას მატებს დასმულ პრობლემას. XX საუკუნის დასაწყისის და შემდგომი წლების, ისევე როგორც საზოგადოებრივი საბჭოთა პერიოდის მხატვრული ლიტერატურის, სალიტერატურო კრიტიკის, პუბლიცისტიკის და ა.შ. ობიექტური შესწავლა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეაქიმის გამო, შეუძლებელი იყო. მხოლოდ საბჭოთა კავშირის

დემონტაჟის შემდეგ გახდა შესაძლებელი ობიექტური კვლევა და გამოქვეყნდა კიდევ არაერთი საინტერესო ნაშრომი. კერძოდ, ი. ბიბილეიშვილის “სული უკვდავი”, წიგნი I (2003 წ.), წიგნი II (2005 წ.), რ. კვერცხჩილაძის “საბუთები დაღადებენ” (2007წ.), მ. ჩოხარაძის “ლიტერატურული წერილები (1997წ.) და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისის მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიის თუ მისი რომელიმე ნაწილის (ჩვენს შემთხვევაში - აჭარაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების) კვლევა უკვე გულისხმობს მნიშვნელოვან სიახლეებს ისეთ დარგებში, როგორიცაა: ლიტერატურის ისტორია, სალიტერატურო კრიტიკის ისტორია, პუბლიცისტიკის ისტორია და ა.შ.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ შემდეგი: როცა XX საუკუნის დასაწყისს, მეტადრე საბჭოთა ეპოქის ხელოვნებას ვეხებით, როცა ვსაუბრობთ სოციალისტური რეალიზმის მწერლებზე, როცა ვმსჯელობთ იდეოლოგიით სავსე საპროპაგანდო ლიტერატურაზე, სოციალისტური ცხოვრების წესის, ბელადების და ა. შ. სახოტბო თხზულებებზე, სრულადაც არ ვისახავთ მიზნად ვინმეს დაკნინებას. ჩვენი პოზიციის წარმოსახენად ამ შემთხვევაში ყველაზე მოხერხებულად მიგვაჩნია აკაკი ბაქრაძის იმ სიტყვების მოხმობა, “მწერლობის მოთვინიერებას” რომ წაუმდგვარა: “როცა “მწერლობის მოთვინიერებას” ვწერდი, – აღნიშნავს კრიტიკოსი, – მიზნად არ მქონია ვინმეს საყვედური-დამუნათება. არ მქონია იმიტომ, რომ არ ვიცი, თავად როგორ მოვიქცეოდი, იმათ მდგომარეობაში რომ ჩავვარდნილიყავი. წინასწარ არავინ უწყის, ვინ რას ჩაიდენს, როცა ყურში ნემსს გაუყრიან, როცა ფეხებით თავდაყირა დაკიდებენ, როცა რკინის კეტებით ძვლებს დაუმტვრევენ და კიდევ ვინ იცის, რა წამებას მიაყენებენ. თუ ყველაფერი ეს გადაგიტანია და არ გატეხილხარ, მაშინ გაქვს უფლება, შეხედო სხვას საყვედურიანი და მპატიებელი თვალებით. მაგრამ როცა არაფერი გემუქრება და თბილ ლოგინში არხეინად ნებივრობ, მაშინ იოლია სხვათა განკითხვა და პატიოსნების თამაში. მე უბრალოდ მინდოდა, საბუთების მოშველიებით დროის სურათი დამეხატა და ამ დროში განწირული ადამიანი (განსაკუთრებით მწერალი)” (ბაქრაძე 1990:2).

რასაკვირველია, ჩვენ ესოდენ მასშტაბური მიზანი არ დაგვისახავს და არც შესაბამის ამბიციას გამოვხატავთ. მხოლოდ იმას ვცდილობთ, ჩვენი დამოკიდებულება წარმოვაჩინოთ ნაშრომში განხილული ლიტერატურული პროდუქციის და ავტორების მიმართ.

მოცემულ თემაზე შეხებისას უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ამ თაობამ, მიუხედავად კომპრომისებისა, იდეოლოგიური წნებისა და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხვანი პრობლემისა, მნიშვნელოვანი ამაგი დასდო აჭარაში ქართული მხატვრული აზროვნების ჯერ აღორძინებას, შემდეგ განვითარებას. ბედის ირონიით, ჯერ ოსმალობაგამოვლილ და მერე რუსეთის იმპერიის კლანჭებში მოქცეულ ამ უძველეს ქართულ მხარეში ქართული მწერლობისკენ მობრუნება სწორედ საბჭოთა ეპოქაში, კომუნისტური იდეოლოგიით, ყალბი ლირებულებებით გაჯერებულ, თავისუფლებაშეზღუდულ ეპოქაში მოუხდა. შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თავისუფალი შემოქმედებითი ატმოსფეროს პირობებში, მაგრამ ეს უნაყოფო მსჯელობა იქნება. XX საუკუნის I ნახევრის აჭარაში სალიტერატურო ცხოვრება წარსულის ფაქტია და იგი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც იყო – თავისი ნაკლითა თუ, რაც მთავარია, ლირსებითაც, რომელიც, მიუხედავად ეპოქის ხასიათისა, იმუამინდელი მხატვრული ლიტერატურის არაერთ ნიმუშს ახასიათებს.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი ექვსი თავისა და დასკვნებისაგან, რასაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. მონოგრაფიაში ფართოდაა ასახული ქართული ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი - XX საუკუნის პირველი ნახევარი, კერძოდ, აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედება, ლიტერატურის განვითარების პროცესი, ის პრობლემები და წინააღმდეგობები, რაც დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის. გამოყენებულია ბევრი ახალი მასალა. შედეგების გამოყენება შესაძლებელია ქართული ლიტერატურის ისტორიის სწავლებისა და კვლევის დროს.

**თავი I. მხატვრული სიტყვის აღორძინება აჭარაში XIX  
საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში**

აჭარაში მწიგნობრობა განვითარებული რომ უნდა ყოფილიყო, ამის დასტურად გბელ აბუსერისძის მოღვაწეობის ხსენებაც საკმარისია. ნიშანდობლივია, რომ ეს რეგიონი უშუალოდ ესაზღვრებოდა ათორმეტ საგანეთა მხარეს და არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ კლარჯელი ბერების მოღვაწეობის სხივი აჭარასაც მოსწვდებოდა. თუმცა ჟამთა სიავის გამო XVI საუკუნიდან მოყოლებული ქართული კულტურის აღმავლობა დროებით შეწყდა. გასაგებია, რომ მშვიდი ლიტერატურული ცხოვრებისათვის არავის ეცალა, მაგრამ შემოქმედებითი ენერგია ზეპირსიტყვიერებაში გამოვლინდა და უაღრესად საინტერესო ნიმუშები მე-19 საუკუნის ბოლოსაც კი იყო შემონახული. მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძეს მახინჯაურელ უსეინ-ბეგ ბეჟან-ოდლისაგან ჩაუწერია “ძველი ქართული სახალხო ლექსი” თამარ მეფის შესახებ:

“ათასი კაბა ყმა მყვანდა  
ყველანი ოქროს ღილითა,  
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,  
ვასომდი ბროლის ჭიქითა,  
ვინც რომ შემება – შევები,  
ალალითა და ჯიქითა,  
აწი თქეენ იცით, მეფენო,  
ვინც დარჩით ამას იქითა” (ჭიჭინაძე 1913:32).

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ნელა, ძნელად, მაგრამ მაინც მომზადდა საფუძველი ლიტერატურული საქმიანობისათვის. რეგიონის მთავარი ქალაქი ბათუმი თანდათან ჩამოყალიბდა სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. ნიშანდობლივია, რომ აქ წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არაერთი ქართველი მამულიშვილი – ქართული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი დავით კლდიაშვილი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი და სხვანი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მემედ აბაშიძე. იგი უფრო პოლიტიკური მოღვაწე იყო – აჭარაში ეროვნული მოძრაობის მოთავე. შესაბამისად, მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი და მრავალფეროვანია, თუმცა,

მან კაზმულსიტეგაობაშიც დატოვა კვალი. იგი ავტორია არაერთი მხატვრული თარგმანისა (ნამიკ ქემალის პიესები: ”სამშობლო”, ”ზევალი ჩიჯუკი”, ”გულნიჲალი”, სეფვეთ ნეპიზის პიესა ”არც შეკითხვა და არც განმარტება”, ჯელილ მემედ ყული ზადეს პიესა ”მიცვალებულნი”, გუზიდე სამრის მოთხოვბა ”მუნევერი”, აბდულაჲ ზუდის მოთხოვბა ”დაი”, ომარ ხაიამის რუბიები და სხვა.) მკითხველი იცნობს მის თრიგინალურ მოთხოვბასაც (”სულა მაღლაძე”), კრიტიკულ ნაშრომებსა და ლექსესაც, რომლის ფრაგმენტია მხოლოდ შემონახული:

”მზე გადიხარა! ბათუმის ცაზე  
ვარსკვლავებმა თავის ქება იწყებ ციმციმით,  
როს კვლავ იხარა  
— ვერ შევედრებითო, -

ვარსკვლავები ჩაქრნენ სირცხვილით” (შარაძე 1995:55).

თავად მემედ აბაშიძე 1935 წელს მწერალთა კავშირის ანკეტაში კითხვაზე “რა ლიტერატურული ნაწარმოები გაქვთ და სადაა დაბეჭდილი”, - ასე პასუხობდა:

“სამშობლო” – სილისტრია” – “მოამბეში” 1904 წელს; “არც შეკითხვა და არც განმარტება” – გაზეთ სახალხო ფურცლის დამატებაში; “გულნებალი” – გაზეთ “საქართველოს” დამატებაში, მხოლოდ ერთი მოქმედებაა დაბეჭდილი; “მუნევერი” და “მიცვალებულნი” – სახელგამის მიერ გამოიცა; “საბრალო ბავშვი” – სახელგამს ჯერ არ გამოუცია; “ანზორი” – თურქულზე გადმოთარგმნილი – არც ესაა დაბეჭდილი; “ფარვანები” – თურქულიდან ქართულზე, არაა დაბეჭდილი; საკუთარი ჩემი სატირა “სულა მაღლაძე” – “ბათომის გაზეთშია” დაბეჭდილი. ეხლა ვთარგმნი ომარ ხაიამს” (შარაძე 2002:6).

როგორც ვხედავთ, აქ ნახსენებია “ბათომის გაზეთიც”. ეს იყო პირველი და კარგა ხნის განმავლობაში ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთი ბათუმში, რომელიც 1911-1914 წლებში გამოდიოდა. XX საუკუნის დასაწყისში აქ ლიტერატურული პრესა ვერ იარსებებდა და ვერც “ბათომის გაზეთი” შეავსებდა ამ ხარვეზს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მის ფურცლებზე იბეჭდებოდა მცირე მოცულობის ფელებონები თუ ლექსები, ძირითადად ადგილობრივი ავტორებისა. ცხადია, ეს ნაბეჭდი პროდუქცია, უმუტეს შემთხვევაში, რაიმე ღირებულებას არ წარმოადგენდა და ვერც ლიტერატურულ ამინდს ქმნიდა, მაგრამ არსებულ გაკუმს ერთგვარად მაინც ავსებდა.

ნიშანდობლივია, რომ 1917 წელს გამართულ ქართველ ხელოვან მწერალთა პირველ ყრილობაზე სამუსლიმანო საქართველოდან მიწვეული იყვნენ მემედ აბაშიძე და ჰაიდარ აბაშიძე (ჩოხარაძე 1997:73).

მხატვრულ ლიტერატურას გარკვეულ ადგილს უთმობდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო”, - სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო. ეს გაზეთი 1919-21 წლებში გამოდიოდა (პირველი ნომერი 1919 წლის 11 იანვარს გამოვიდა), სულ დაიბეჭდა ხუთასი ნომერი. მას გამოსცემდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. თავდაპირველად გაზეთს ჰასან თაქსინ ხიმშიაშვილი რედაქტორობდა, შემდეგ, 1919 წლიდანვე – მემედ აბაშიძე. აღსანიშნავია, რომ გაზეთი თავის პროფილს განსაზღვრავდა, როგორც „საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო“ გაზეთისას, თუმცა ლიტერატურას მცირე ადგილი ეთმობოდა და იგი ძირითადად პოეზიით, შიგადაშიგ კი ლიტერატურასთან დაკავშირებული სტატიებით იყო წარმოდგენილი.

ადგილობრივ ავტორთაგან „სამუსლიმანო საქართველო“ ბეჭდავდა ხასან თხილაიშვილის, მემედ ადა ჭყონიას ლექსებს, რომლებიც მართალია მაღალი მხატვრული დირექტულებით არ გამოირჩევა, მაგრამ დრმა პატრიოტიზმითა და გულწრფელობით ნამდვილად იქცევს ყურადღებას.

ხასან თხილაიშვილის „მესხეთს“ პოლიტიკურ მოვლენათა ცხელ კვალზე დაწერილი ლექსია. იგი წარსულსაც ეხება და თანამედროვეობასაც:

“ისტორიულად ნაქებო  
მესხეთო, ტურფა მხარეო,  
შოთა რუსთველის სამშობლო  
გამოიღვიძე მალეო,  
შოთას სიტყვები ახლაც ჰქუს;  
მესხეთო გაიხარეო.  
სიმართლის მზემა ანათოს,  
მოჰვინოს ჩვენი მხარეო,  
თამარ მეფისა ნაშენი  
ციხე აქ ბლომად დგანაო  
ის მოწმობს ჩვენსა წარსულსა,  
დედამ რომ გვითხრა ნანაო” (თხილაიშვილი 1920:№375).

- წერს პოეტი (ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ მას სახალხო მთქმელს ვუწოდებთ) და იქვე ეხმიანება იმ უკუღმართ რეალობას, რომლის გამოსასწორებლადაც იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი (რომლის აქტიური წევრი თავად იყო):

“ხელს გვიწვდის დედასამშობლო,

- ჩემი სულიკო ნენაო,

მოდი და გულში ჩამეგარ,

არ შეგეყაროს სნებაო,

ყორნებს კი ლახვრად ესობათ,

დედის ეს ტკბილი სიტყვები,

და ყოველ დონეს ხმარობენ,

შევიქნეთ კვალად მონები,

დაძრწიან ყოველ სოფელში

უფიცნი, მოქრთამულები,

მტრებს გვერდით ამოდგომიან,

ჩაუჯიბავენ ფულები,

ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს

განადგურებას ლამობენ

მტერები ფერხულს უვლიან,

ჩვენი წვალობით ხარობენ” (თხილაიშვილი 1920:N<sup>o</sup>375).

ამავე სულისკვეთებისაა მემედ ადა ჭყონიას “სალამი საქართველოს”. ავტორი მიუთითებს, რომ ეს ლექსი დაწერილია მოკავშირეთა მიერ საქართველოს ცნობის გამო:

“საქართველო, სალამს გიძლვნი,

არ ვართ გამონაკლისი,

მტრები შემოგვესია,

უანგარიშო ათასი...

მშვენიერი დღე დაგვიდგა,

გადვიხადეთ პარაკლისი,

მადლობა დმერთს – მოვესწარით,

გავხდით ბედნიერ დღის ღირსი,

დღეგანდელ დღეს მოგილოცავთ,

გასძელით ათი ათასი” (ჭყონია 1920:N<sup>o</sup>293).

მემედ აღა ჭყონიაც ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის მონაწილე იყო და სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელ კომიტეტთან ერთად ებრძოდა ყველას, ვინც ცდილობდა აჭარის მოწყვეტას დედასამშობლოსგან. მის ლექსში ”სამშობლოს სიყვარული” იგრძნობა რ. ერისთავის ”სამშობლო ხევსურისას” მოტივები და გამოხატულია უსაზღვრო ერთგულება მამულისადმი:

”სამშობლო მიწის ნამცეცი  
ყოველ სხვა ქვაზე ძვირია  
მას მკერდით დავეფარები,  
თუნდ ვიქნე განაგმირია.  
მისთვის ვშობლივარ, გავზრდილვარ,  
სიცოცხლე მისთვის მჭირია,  
მისთვის ლხინად მიჩანს ყოველი  
ტანჯვა და გასაჭირია.”

ლიტერატურის შესახებ დაბეჭდილი პუბლიკაციების პათოსიც პატრიოტულია. მაგალითად, ნოე ჩხიკვაძის პოეზიის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი შენიშნავს, რომ ”მისი ოცნება”, მისი ნატგრა იყო მონობისგან დახსნა მშობელი ხალხისა, თავისუფლება ტყვე სამშობლოსი... ნოე ჩხიკვაძე ამ ხალხის სიმდერა იყო! კერძოდ, ცხოვრება მან გაატარა ტანჯვა-ვაებაში, უკიდურეს ხელმოკლეობაში! მის ლექსში სტრიქონები ცეცხლის ენით ლაპარაკობენ... ერს მოუხმობს ბრძოლისკენ და ჰდადადებს:

“თავისუფლების არწივნო,  
ლომგულნო მშობელ ერისა,  
აღსდექით მტერზე, მასმინეთ  
ხმა თქვენი აბჯართ ქდერისა...” (ჩხიკვაძე 1920:Nº372).

მაგრამ ძირითადი ამგვარ სტატიებშიც სამუსლიმანო საქართველოს ბედისწერა იყო. მაგალითად, მოვიხმობთ ჯემალ ქიქავას პუბლიკაციას ”ძმის გულითადი მადლობა”, ეხება რა ქეთო ნაკაშიძის ლექსს, იგი წერს:

“ჩვენი გაზეთის მესამე ნომერში დაბეჭდილია ლექსი ქეთო ნაკაშიძისა, რა ძლიერი გრძნობა, რა მშობლიური სულისკვეთებაა ამ ლექსში ჩაქსოვილი, რომლიდანაც გადმოჰქუს ნაკადი სიხარულისა, აღფრთოვანება ღვიძლი დისა, რაც გამოწვეულია გზადაბნეული ძმების მიერ თავის მშობლიური კერის გამოძებნით, ამ კერაში თავის მოყრით და ეს დროებით გზადაბნეული ძმა, როცა კითხულობს ამ სტრიქონებს, გრძნობს და იგონებს ნაცნობს, მშობლიურს, რაც

დროებით დაუიწყებია და რასაც აგონებს მას ეს მშვენიერი ლექსი. დაე იმ სტრიქონებმა, როგორც მოწყალების დის მზრუნველი ხელი ავსებს სიხარულით და მადლობით დაჭრილს გულს, ისე აღავსოს სიხარულითა და აღფრთოვანებით გზადაბნეული მმების სული და გული და გაჟყვენ ეს მმები ამ საერთო გზას, რომელზეც მოუწოდებს მათი პოეტი და” (ქიქავა 1920:№5).

მართალია, იმ პერიოდის ბათუმში, როდესაც ვთქვით, ლიტერატურული ცხოვრება არ დუღდა, მაგრამ შიგადაშიგ გარკვეული ლონისძიებები მაინც იმართებოდა. “სამუსლიმანო საქართველოს 1920 წლის 9 ივნისის (№378) ნომერი იუწყებოდა სალიტერატურო დღის შესახებ, რომელიც ბათუმის ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს გაუმართავთ “რკინის თეატრის” შენობაში. წერილის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ამ ლონისძიებას და საქებარ სიტყვებს არ იშურებს ორგანიზატორების მიმართ:

“თქვენ და თქვენმა მოსწავლეებმა 13 ივნისს ბათუმის ქართველი საზოგადოების დამწუხებულ გულს დროებით მაინც ჩამოაშორეთ მწარე სევდის ბანგი... შვების ქრუანტელი მოგვიარეთ, სიხარულის ცრემლები გვაფრქვევინეთ...

სად იყო ამ დროს ის, ვინც ქართული გიმნაზიის ხსენებაზე ხელს ასავსავებს... ვინც ჩვენი გიმნაზია უბინაო დასტოვა... გადაკრავდა თუ არა მის სახეზე სირცხვილის სიწითლე...”

როგორც ვხედავთ, დედასამშობლოსთან დაბრუნებულ სამხრეთ საქართველოში შემოქმედებითი ცხოვრება თანდათან ცოცხლდებოდა. თუმცა, 1921 წლიდან ეს რეგიონი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა და ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზაც ამ ახალ რეალობას დაექვემდებარა.

## თავი II. მწერალთა გაერთიანებები XX საუკუნის I ნახევრის აჭარაში

### § 1. მწერალთა გაერთიანებები 20-იან და 30-იან წლებში

დღემდე მიღებული თვალსაზრისით მწერალთა პირველი გაერთიანება აჭარაში 1927 წლის 7 აგვისტოს შეიქმნა და ეს იყო აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც იმავე წლის 20 სექტემბრიდან სახელდებულ იქნა, როგორც საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება. კერძოდ, იმავინდელი სამთავრობო გაზეთი „ფუხარა“ 1927 წელს იუწყებოდა:

„კვირას, 7 აგვისტოს, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა აჭარისტანის პროლეტარულ მწერალთა პირველი საორგანიზაციო კრება.

აჭარისტანში პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ მოხსენება გააკეთა ამ. მახარაძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა პროლეტარულ მწერლობის მოკლე წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, შეეხო მისი განვითარების და გზის საკითხებს საქართველოში.

მომხსენებელმა აღნიშნა აჭარისტანში მყოფ პროლეტარულ მწერალთა შეკავშირების და მუშაობის მასებში გადატანის საჭიროება.

მოხსენების ირგვლივ გამართულ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: ამ. ამ. თ. სიხარულიძემ, ბონდო კეშელავამ, მიშელ ასტრალმა, ევ. ჯიჯეიშვილმა და სხვ.

კრებამ ერთხმად საჭიროდ სცნო პროლეტარულ მწერლობის შეკავშირება და აირჩია ხელმძღვანელი ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამ. ამ. თ. სიხარულიძე, მახარაძე, ევ. ჯიჯეიშვილი, ჯემალ ნოღაიდელი და დ. ბერუჩაშვილი.

კანდიდატებათ: ამ. ამ. შ. ასტრალი და ლეჟავა (ქალი).

ახლადარჩეულ ბიუროს დაევალა მომავალი სამუშაო გეგმის გამომუშავება და აჭარისტანში მყოფ პროლეტარულ მწერლობის აღრიცხვაზე აყვანა“ („ფუხარა“ 1927 №179).

ეს ნამდვილად იყო პროლეტარულ მწერალთა პირველი ორგანიზაციული გაერთიანება აჭარაში: ამ პერიოდისათვის საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ

ითმენდა მწერალთა სხვა, ასე თუ ისე დამოუკიდებელი ჯგუფების არსებობას, მაგრამ იმედოვნებდა, რომ პროლეტარული მწერლობა, პარტიის მხარდაჭერით, იქცეოდა წარმართველ ძალად ლიტერატურულ ფრონტზე და შეძლებდა იდეოლოგიური დიქტატურის დამყარებას მწერლობაში. შესაბამისად, ერთი მხრივ, ცდილობდა მაქსიმალურად გაეძლიერებინა ცენტრალური ორგანიზაცია, მეორე მხრივ, ქმნიდა რეგიონულ გაერთიანებებს: დაახლოებით ამავე პერიოდში დაარსდა პროლეტარული ასოციაციის ადგილობრივი განყოფილებები სხვადასხვა ქალაქში.

ამდენად, მწერალთა პროლეტარული გაერთიანების შექმნა ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილი იყო და არა ლიტერატურული პროცესების ბუნებრივი განვითარების შედეგი.

ნიშანდობლივია, რომ ხშირად შემდგომი პერიოდის მკვლევრები მწერალთა პროლეტ. გაერთიანების შექმნის ფაქტს ახასიათებენ არა როგორც პროლეტარულ მწერალთა პირველ ორგანიზაციულ გაერთიანებას, არამედ საზოგადოდ, მწერალთა პირველ ორგანიზაციულ გაერთიანებას აჭარაში. აქ მხოლოდ ორიოდე ფრაგმენტს დავიმოწმებთ: შ. ქურიძე განიხილავს რა ზემოხსენებულ კრებას, აღნიშნავს: „...ასე ჩაეყარა საფუძველი მწერალთა პირველ ორგანიზაციას ბათუმში – საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილებას” (ქურიძე 1970:10).

ი. ბიბილეიშვილის სიტყვით კი: „აჭარაში მოღვაწე მწერალთა პირველი ორგანიზაციული გაერთიანება მოხდა 1927 წლის 7 აგვისტოს...” (ბიბილეიშვილი 2003:17).

სინამდვილეში, მწერალთა პროფესიული გაერთიანების ისტორია აჭარაში უფრო ადრე დაიწყო. კერძოდ, როგორც ადგილობრივი გაზეთი „უწყებები” ამცნობდა მკითხველს, „1921 წლის 29 აპრილს მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით ბათუმში შედგა იქ მყოფ ქართველ მწერალთა და მგოსანთა კრება, რომელმაც დაადგინა: 1) დაარსდეს ქართველ მწერალთა სექცია, რომელიც იმუშავებს რევკომის სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებული ხელოვნების განყოფილების მზრუნველობის ქვეშ; 2) დაევალოს ბათომში მყოფ ყველა მწერალს, განურჩევლად მიმართულებისა, ჩაეწერონ სექციაში; 3) 7 მაისისთვის გამოიცეს ქართული პოეზიის გაზეთი, ამისთვის შედგეს სარედაქციო კოლეგია: სანდრო ჩახიკაშვილი, სიმონ წეველი (გაჩეჩილაძე) და ს. ქართლელიმერელი (სენო წერეთელი); 4. პერიოდულად გამოიცეს სალიტერატურო-

სამეცნიერო ჟურნალი; 5. გაიმართოს ლექციები, სადამოები; 6. გამოიცეს იაფფასიანი ბროშურები” (კვერცხებილაძე 1983:379).

აშკარაა, რომ მწერალთა სექცია ჩაფიქრებული იყო როგორც 1917 წელს შექმნილი „ქართველ მწერალთა კავშირის” (1920 წლიდან „საქართველოს მწერალთა კავშირის”) ბათუმის ორგანიზაცია. სხვას უველავერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ 1917 წელს მწერალთა I კრილობაზე დადგინდა, რომ 7 მაისი პოეზიის დღედ გამოეცხადებინათ. ამ თვალსაზრისით ლოგიკური იყო მწერალთა კრების თავმჯდომარედ მემედ აბაშიძის არჩევაც. ზემოხსენებულ ყრილობაზე მიწვეულ მწერალთა სიაში, რომელიც 1917 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო ფურცელში”, მემედ აბაშიძეც იყო.

ცხადია, რომ ახლადდაარსებულმა სექციამ გარკვეული საქმიანობა იმთავითვე დაიწყო. ამას ისიც მოწმობს, რომ 1921 წელს მართლაც გამოიცა გაზეთი „პოეზიის დღე”. ასეთივე გაზეთი გამოიცა 1922 წლის 7 მაისსაც.

თუმცა, როგორც ჩანს, სექციის სრულფასოვან მოქმედებას თან სდევდა დაბრკოლებებიც. ამას მოწმობს ისევ გაზეთ „უწყებების” ცნობა, რომლის თანახმადაც, გაერთიანების ფორმირება ამავე წლის ნოემბერშიც არაა დამთავრებული. კერძოდ, 1921 წლის 23 ნოემბერის 199-ე ნომერში აღნიშნულია:

„ამ კავშირის დაარსება ბათუმში მეტად დაგვიანდა, მაგრამ როგორც ნათქვამია, უმჯობესია გვიან, ვიდრე არასდროს.

მეორე დღეა ბათუმში მყოფმა ქართველმა მწერლებმა და ლიტერატორებმა თავის კავშირი ორგანიზაციულ ფაქტოურად არსებულად გამოაცხადეს და გამგეობაც აირჩიეს. როგორც ცენტრში, ისე აქაც მწერალთა და ლიტერატორთა კავშირი გარდა ზოგად ლიტერატურულ კულტურულ მუშაობისა, მიზნად ისახავს სამუსლიმანო საქართველოს შესწავლას და გამოკვლევას, წიგნებისა და უურნალების გამოცემას.

კავშირი ჯერ-ჯერობით ნორჩი და უსახსროა, გამგეობას ჯერხნობით არავითარი ნივთიერი ფონდი არ აქვს თავის განკარგულებაში” (სამხრეთელი 1921:№199).

„მეორე დღე” ნიშნავს 1921 წლის 22 ნოემბერს. ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად მწერლებს საქველმოქმედო სადამოს მოწყობა განუზრახავთ. „უწყებების” 202-ე ნომერში ამ საკითხს ეხება ვინმე „ბათომელის” წერილი:

„ხვალ ყოფილ საკრებულო დარბაზში იმართება ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა კავშირის საღამო.

ამ საღამოს მიზანია ბათომის ქართველ მწერალთა კავშირს ნივთიერად ხელი გაუხსნას და მუშაობის საშვალება მისცეს.

სამწერლო და ლიტერატურული დარგის მუშაკი ერის პოტენციალ ავლადიდების გამომხატველნი არიან, მწერლობა – ლიტერატურა ყველა ხალხის გონიერი და სულიერი ძალა.

სამწერლო და სალიტერატურო შემოქმედებით იცნობენ ერს და საკუთარ შემოქმედების მიხედვით აკუთვნებენ მას შესაფერ ალაგს მსოფლიო კულტურის ოჯახში.

მწერლობა განსაკუთრებულ პატივს და სათუთად მოპყრობას მოითხოვს.

სამწერლო ასპარეზზე გამოსულთათვის ერი უნდა ჰქმნიდეს შესაფერ უზრუნველყოფილ პირობებს და მათ მუშაობას ხელს უწყობდეს.

...ქართული მწერლობა და ლიტერატურა ყოველთვის მწარე ბედის ანაბარათ იყო მინებებული. თვით ბუმბერაზნი მწერალნი და ლიტერატორნი ჩვენი ქვეყნისა აბსოლუტურ სიღატაკეს განიცდიდნენ.

ქართველი მწერალი თუ ლიტერატორი ლუკმა პურის ძებნის გზაზე რა გინდ ნიჭიერიც არ უნდა ყოფილიყო იგი თავის მოწოდებას ვერ ემსახურებოდა და შეუმჩნევდად ჰქონდა.

... ლუკმისათვის რამდენ მწერალს და ლიტერატორს დაუტოვებია თავისი პირდაპირი გზა და გადავარდნილა ცხოვრების მეშჩანურ უფსკრულში. მაგრამ რა საჭიროა მოთხოვობა იმისი, რაც ყველამ ზედ მიწევნით იცის...

ამ უამად ქართველ მწერალნი და ლიტერატორნი ამ ახირებულ ყოფასთან საბრძოლველად და ქვეყნის წინაშე თავის წმინდა მოვალეობის შესასრულებლად შეერთებული გამოდიან საკუთარ კავშირში, საერთო ძალით ებრძვიან ცხოვრების სიდუხჭირეს და გაერთიანებულად მუშაობენ სამწერლო ასპარეზზე.

ასეთი შეკავშირება ცენტრის მერე მოხდა ბათუმშიც.

ეს კავშირი, როგორც ნორჩი და ნივთიერად ცარიელი ხელით ჰქმართავს თავის საღამოს და მის შემოსავალით ჰყიქრობს სამუშაოდ ხელის მომართვას” (ბათომელი 1921:Nº202).

აჭარის მწერალთა გაერთიანების საქმიანობის შესახებ ცნობები მწირია. ფაქტია, რომ მემედ აბაშიძე ვერ შეძლებდა მის ხელმძღვანელობას: იგი როგორც

ბოლშევიკებისთვის იდეოლოგიურად მიუღებელი, ამავე წლის 6 დეკემბერს დააპატიმრეს, ჯერ ბათუმიდან გაასახლეს და თბილისში ცხოვრების უფლება მისცეს. შემდეგ, იგი რამდენიმე წლის განმავლობაში, სხვადასხვა სახის სასჯელს იხდიდა (კვერცხჩილაძე 2007:260).

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ეს ორგანიზაცია უქმად არ ყოფილა. „პოეზიის დღის” გამოცემა უკვე გახსენეთ. გარდა ამისა, რამდენიმე ურნალი თუ გაზეთი გამოსცეს მწერალთა ცალკეულმა ჯგუფებმაც: ურნალი „კანდელი” (1922 წ.), გაზეთი „ასპიროზი” (1923 წ.), გაზეთი „მწვერვალი” (1923 წ.), „აჭარისტანი” (1926 წ.) და სხვა. ძნელი სათქმელია, რა კავშირი ჰქონდათ ამ გამოცემებს მწერალთა სექციასთან, მაგრამ ფაქტია, რომ ბათუმში სალიტერატურო პრესა, ასე თუ ისე, არსებობდა. ამასთან, როგორც ვთქვით, სექცია შეიქმნა „რევულტის სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებული ხელოვნების განყოფილების მზრუნველობის ქვეშ”. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მასთან პროლეტმწერლებიც თანამშრომლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, წერილში „საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის 10 წ. თავი” პ. ობოლი აღნიშნავდა: „აჭარისტანში ჯერ კიდევ 1921 წელს არსებობდა მწერალთა საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ როგორც პროლეტარული მწერლები, ისე სხვადასხვა მიმართულებათა მიმდევრები. 1924 წლიდან ბათომში ჩამოყალიბდა საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროლეტარული ახალგაზრდობა” (ობოლი 1931:N<sup>o</sup>136).

1921 წელს ბათუმში შექმნილი მწერალთა გაერთიანება საქართველოს მწერალთა კავშირის ნაწილი რომ იყო, ამას ისიც ცხადყოფს, რომ მას „ახალი მწერლობის კავშირიც” დაუპირისპირდა. ტიციან ტაბიძემ გაზეთ „ბახტრიონში”, 1922 წელს, ვარამ გაგელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი „ხელოვნების მთავარი შტაბი”, რომელშიც იგი აღშფოთებას გამოთქვამდა ბათუმსა და ქუთაისში „ცალკე მწერალთა კავშირების” დაარსების გამო. მისი აზრით, ამგვარი ქმედებები მწერალთა დაქსაქსვას უწყობდა ხელს: „ამ დროს იწყება დეკადანსი მწერალთა კავშირის. ...კონსტიტუციით ვერ მოხდა მისი ლეგალიზაცია, რადგან კავშირები ამ კონსტიტუციით წარმოებით სისტემაზე არის აგებული, ამან უფლებრივად ბევრი ზიანი მიაყენა მწერალთა კავშირს, მაგრამ ამას კიდევ იმოდენა უბედურება არ ექნებოდა, რომ თვითონ კავშირი არ დაქსაქსულიყო. პირვანდელ მწერალთა კავშირის მაგიერ, რომელსაც ყველა

ენტუზიაზმით ეკიდებოდა, დღეს მწერალთა კავშირი დაარსდა „აჭარისტანში”. (ამას თავის დროზე განიხილავს ისტორია) მწერალთა კავშირი დაარსდა ქუთაისში, რომელსაც აქვს თავისი გამოცემები და სრულიად ანგარიშს არ უწევს ტფილის, თვითონ ტფილისში კავშირი ორად გაიყო და თუ საერთო მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, პირიქით, აქ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებმა ისეთი ანტაგონიზმი დაბადეს, რომ ლამის არის მწერლობა შეაძლონ ყველას.”

საქმე ისაა, რომ საქართველოს მწერალთა III კონფერენციაზე, რომელიც 1921 წლის 9-12 ოქტომბერს გაიმართა, საქართველოს მწერალთა კავშირი ორად გაიხლია: იმის გამო, რომ კავშირის პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი (“ცისფერყანწელები” და სხვანი) ახალ გამგეობაში ვერ მოხვდა, მწერალთა ნაწილი გავიდა კავშირიდან და დაარსა „ახალი მწერლობის კავშირი”. როგორც ვხედავთ, ეს წინააღმდეგობა, გარკვეული თვალსაზრისით, ბათუმელ მწერლებსაც შეეხო. ამ შემთხვევაში კი ჩვენთვის არსებითი ისაა, რომ ტიციან ტაბიძე 1922 წელს აღიარებს მწერალთა ორგანიზაციის არსებობას აჭარაში.

აჭარაში მწერალთა კავშირის დაარსების თარიღის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მწერალ პ. ობოლის წერილი “საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის 10 წ. თავი”, სადაც აჭარაში მწერალთა გაერთიანების ისტორიის განსხვავებულ ისტორიის განსხვავებულ ვერსიას აცნობს მკითხველს:

“აჭარისტანში ჯერ კიდევ 1921 წელს არსებობდა მწერალთა საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ როგორც პროლეტარული მწერლები, ისე სხვა და სხვა მიმართულებათა მიმდევრები” (ობოლი 1931:Nº136).

რაც შეეხება ამ დროისათვის მოღვაწე მწერლებს, პერიოდული პრესის გარდა, მათ შესახებ ინფორმაციას ვღებულობთ იმ ლიტერატურული ჟურნალებითაც, რომელთა გამოცემა პირველივე წომრის დაბეჭდვის შემდეგ შეწყდა. კერძოდ, ჟურნალ „პონტოსში“ იბეჭდება აკაკი გორგილაძის, დათა თაქთაქიძის, ლელიან ანელის, ვანიონ დარასელის და სხვათა თხზულებები.

გარდა ამისა, როდესაც იმართებოდა თბილისში სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობები, რა თქმა უნდა, დელეგატის მანდატით იწვევდნენ აჭარაში მოღვაწე მწერლებსაც. მკვლევარ რ. კვერენჩხილაძეს ახალი მწერლობის კავშირის 1921-23 წლების წევრთა მონაცემების საფუძველზე სიაში შეუავს გრიგოლ ცეცხლაძე. ამავე ავტორს მემედ აბაშიძესთან ერთად ვხვდებით

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობის (1926წ.) დელეგატთა შორის საქართველოს მწერალთა კავშირის (ძველი) სიით (კვერენჩხილაძე 2008:361).

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილების წევრთა სია, რომლის მიხედვითაც დგინდება 10-20-30-იან წლებში ბათუმში მოღვაწე მწერალთა სამწერლო საქმიანობის სტაჟი და პარტიული მიმართულება. უპარტიო თაღუმაძე ბარნაბა შემოქმედებით პროცესში 1918 წლიდან გამოჩენილა, შავიშვილი – 1920 წლიდან და ა. შ.

ამდენად, 20-იან წლებში, პროლეტარული მწერლობის აჭარის განყოფილების ჩამოყალიბებამდე, მწერალთა მყარი გაერთიანება არ ჩანს. მათ საქმიანობა უწევთ რევგომის ზედამხედველობის ქვეშ, თუმცა ბათუმში მოღვაწე ზოგიერთი მწერალი ამა თუ იმ ლიტერატურული გაერთიანების წევრია და მისი სახელით საქართველოს მწერალთა ყრილობებსაც ესწრება.

1927 წლის 7 აგვისტოს, როგორც ვთქვით, შეიქმნა აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (იმავე წლის 20 სექტემბრიდან – საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება), რომლის თავმჯდომარედაც თომა სიხარულიძე აირჩიეს. ამ პერიოდში მწერალთა სექციის არსებობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ფაქტია, რომ, „რევგომის სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებული ხელოვნების განყოფილების მზრუნველობის ქვეშ” მოქმედი ორგანიზაცია თუ ჯერ კიდევ არსებობს, მნიშვნელოვანი აქტიურობით არ გამოირჩევა.

1932 წლის 23 აპრილის ცნობილმა საკავშირო დადგენილებამ „სალიტერატურო-სამსატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ”, მიუდებლად მიიჩნია ხელოვანთა ცალკეული დაჯგუფებების არსებობა. ამ დადგენილების საფუძველზე მოედ საბჭოთა კავშირში გაუქმდა ცალკეული სამწერლო ორგანიზაციები. ამავე წლის 27 ივნისს გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა და შეიქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი”. ბუნებრივია, პროცესი რეგიონებშიც გაგრძელდა. ამავე წლის 6 ოქტომბერს, აჭარის მწერალთა პირველ საგანგებო ყრილობაზე დაარსდა საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით დუმბაძე, მოადგილედ – ნესტორ მალაზონია, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად – პარმენ ლორია.

ამით დასრულდა მწერალთა დამოუკიდებელ გაერთიანებათა ისტორია ბათუმშიც და მთელ საქართველოშიც, ჩაქრა თავისუფლების ის მცირედი ნაპერწკალიც, ამგვარ გაერთიანებებში რომ ბუზტავდა. მწერლობა, ორგანიზაციული თვალსაზრისით, საგსებით და სრულად იქცა ბოლშევიკური ქვეყნის იდეოლოგიურ დანამატად და მსახურად.

## § 2. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა აჭარის გაყოფილება

პროლეტარულ მწერალთა აჭარის განყოფილება ოფიციალურად დაფუძნდა 1927 წლის 7 აგვისტოს. გაერთიანებას ამავე წლის 20 სექტემბრიდან ეწოდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება. თავმჯდომარედ აირჩიეს თომა სიხარულიძე, ბიუროს წევრებად დაასახელეს: მახარაძე (სახელი არ არის მითითებული), ევ. ჯიჯეიშვილი, ჯ. ნოღაიძელი, დ. ბერუხაშვილი, ხოლო კანდიდატებად შ. ასტრალი და თ. ლექავა.

ვიდრე ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას მისი დაარსების თარიღის შესახებ. პარმენ ობოლის, იგივე პარმენ ლორიას წერილში („საქართველოს მწერალთა ასოციაციის 10 წ. თავი“) ნათქვამია, რომ „1924 წლიდან ბათომში ჩამოყალიბდა საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროლეტარული ახალგაზრდობა“ (ობოლი 1931:N136).

პროლეტარულ მწერალთა აჭარის განყოფილების დაარსების თარიღად ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში 1927 წელია მითითებული, მაგრამ აქ განსხვავებულია თვე და რიცხვი. კერძოდ, 1928 წლის ოქმებს შორის ჩაკრულია საქართველოს პროლეტმწერლობის აჭარისტანის განყოფილების განვლილი მუშაობის ამსახველი მოკლე მოხსენება, რომელსაც არც ხელისმომწერი ჰყავს და არც შედგენის თარიღი აწერია. ოქმი იუწყება:

”1927-წელს 17 ივნისს ქ. ბათომში ჩამოყალიბდა საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილება. აჭარისტანის კომკავშირის პარტიის საოლქო კომეტეტის და საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ცენტრალურ

გამგეობის ხელმძღვანელობით პირველ ხანებში ამ ორგანიზაციაში ერთიანდებოდა მხოლოდ 4-5-ამხანაგი. შემდეგ წლებში თანდათან იზრდებოდა ეს ორგანიზაცია” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №62).

ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში მითითებულ თარიღზე წითელი ფანქრით ხაზია გადასმული. საეჭვო ჩანს აქ დასახელებული რაოდენობა ორგანიზაციაში გაერთიანებული „ამხანაგებისა“: ხუთი წევრი მარტო ხელმძღვანელ ბიუროში ირიცხებოდა, რასაც ემატებოდა 2 კანიდადატი ბიუროს წევრობისა.

ასე იყო თუ ისე, აჭარის პროლეტარი მწერლები ორგანიზაციულად გაერთიანდნენ. მმართველო ორგანოებიც აირჩიეს და მუშაობის საქმაოდ მასშტაბური გეგმებიც დასახეს. თუმცა ამ გეგმათა შესრულების ნიათი და პოტენციალი არ გააჩნდათ (ქურიძე 1970:12) და ამიტომ ბიური არაერთხელ გადახალისდა – ჯერ 1927 წლის ნოემბერში, მერე 1928 წლის აპრილში, ამავე წლის აგვისტოში და ა. შ.

ვიდრე ასოციაციის შემადგენლობის, საორგანიზაციო და სხვა საკითხების შესახებ გავაგრძელებდეთ საუბარს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას პროლეტმწერალთა მიზნებისა და ამოცანების შესახებ. თუნდაც იმისათვის, რომ ხშირად ამ მიზნების შეუსაბამობა მათ შესაძლებლობებთან ხდებოდა საფუძველი წინააღმდეგობებისა და ზოგჯერ წმენდისა.

ასოციაციის ძირითადი მიზანი, ცხადია, იყო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური ხაზის გატარება მწერლობაში. შემოქმედის ფუნქცია პროპაგანდის ფარგლებში თავსდებოდა და ეს პროპაგანდაც ნიჭიერად როდი გამოსდიოდათ. მიუხედავად ამისა, ასოციაცია ცდილობდა აქტიურად ეცხოვრა: მართავდა მეცადინეობებს – განათლების დონის ამაღლებისათვის, ლიტერატურულ საღამოებსა და გასამართლებებს – „პროლეტარული გემოვნების“ ჩამოყალიბებისათვის, აღმზრდელობით შეკრებებს და გამოსვლებს ფაბრიკა-ქარხებში მწერლებისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ბოლშევიკური სულისკვეთების გადვივებისათვის და ა. შ. ამ საქმიანობის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილების სამუშაო გეგმა, რომელიც ახლადჩამოყალიბებული ორგანიზაციის საქმიანობას ასახავს:

„1/ - მორიგი მეცადინეობა კვირაში ერთხელ.

2/ - ლიტერატურაში მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ ყოველ-გვარი ხომების მიღება.

3/ - გამორკვევა ქალაქის და მაზრების ბიბლიოთეკისა და სამკითხველოთა.

4/ - შესწავლა მკითხველებისა.

5/ - წარმოებებში, მუშათა უბნებში, სკოლებში ლიტ-წრების მოწყობა და მასზე ხელმძღვანელობა.

6/ - უფასო ლიტ-საღამოების და გასამართლებების გამართვა როგორც მუშათა უბნებში ისე ქალაქში.

7/ - პროლეტ. ლიტერატურების გამომცემლობის მოწესრიგება.

8/ - უფასო დისპუტების და ლექციების მოწყობა პროლეტლიტერატურის, კინოს, თეატრის, თანამედროვე ოჯახების და სხვების შესახებ.

9/ - კომკავშირელ მწერალთა წრეზე ხელმძღვანელობა და აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება.

10/ - კომკავშირელ მწერალთა გამოკვების მოგვარება.

11/ - კავშირის დაჭერა პროფ-საბჭოს კულტ-განყოფილებასთან და მთავლიტთან ჩვენი წარმომადგენლების მიმაგრებით” (ფონდის P – 928, ანაწერი, 1, საქმე 1, ოქმი №72).

ეს დოკუმენტიც ნათელყოფს ასოციაციის იდეოლოგიურ და საპროპაგანდო ფუნქციას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობას ხშირად უხდებოდა წევრთა პროლეტარული სიფხიზლის შემოწმებაც და შეფასებაც. ე. წ. წმენდასა და დისციპლინარულ საკითხებთან დაკავშირებული მითითებანი ზოგჯერ კურიოზებამდეც მიღიოდა. საილუსტარაციოდ მოვიყვანთ გრიგოლ შავიშვილის შემთხვევას, რომლის საქმე გამოიძია სპეციალურად ამ მიზნით შექმნილმა კომისიამ ნესტორ მალაზონიას, ვლადიმერ გორგაძის, ირაკლი ფერაძის და ლადო შარაშიძის შემადგენლობით. მეტად მკაცრი იყო შალვა ართილაყვას გამოსვლა 1929 წლის 29 იანვრის სხდომაზე:

„ასოციაციის წევრმა გრ. შავიშვილმა ჩაიდინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა: 1) გამოსცა ასოციაციის საერთო სურათი, 2) მიითვისა ასოციაციის ბიუროს უფლებები, 3) წარსულში იგი დატუსაღებული იყო, როგორც

ფულის გამფლანგველი, 4) მოათავსა ასოციაციის საერთო სურათში არა პროლეტარულ მწერალთა ალ. მგელაძის და გრ. გრიგორიანის პორტრეტები, 5) იჩენდა ხანდახან ყოყოჩობას რაიც მტკიცდებოდა იმით, რომ გამოცემულ სურათში წარწერით “აჭარისტანის პროლეტარულ მწერალები” – თავისი თავი შეუძინავს; ყველა ამის გამო გრ. შავიშვილი გამორიცხულ უნდა იქნეს ასოციაციიდან როგორც უდირსი წევრი” (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1 ოქმი №1(12):57).

კომისიამ ბოლოს მაინც ლმობიერება გამოიჩინა, საყვედური და გაფრთხილება აკმარა:

„კომისია გრ. შავიშვილისადმი წაყენებულ ზოგ ბრალდებას დამტკიცებულად ცნობს. აღნიშნავს აგრეთვე რომ შავიშვილის მუშაობაში ზოგჯერ ყოყოჩობასაც პქონდა ადგილი, მაგრამ იდებს რა მხედველობაში, რომ გრ. შავიშვილი იყო ასოციაციის ერთ აქტიური წევრთაგანი, უცხადებს სასტიკ საყვედურს და აძლევს უკანასკნელ გაფრთხილებას” (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1 ოქმი №1(12):57).

დანაშაულად მიიჩნეოდა მეცადინეობათა გაცდენაც სადაც მწერლები კომუნიზმის მშენებლობისათვის აუცილებელ ცოდნას და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ წრთობას დებულობდნენ, თუმცა ყოველთვის როდი ეკიდებოდნენ გულისყურით ამ საქმიანობას. შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელობაც სიმკაცრეს იჩენდა:

„ის ამხანაგები, რომლებიც, არ ივლიან სისტემატიურად ჩვენს მეცადინეობაზე, მიეცეს პირველი და უკანასკნელი გაფრთხილება, რის განმეორების შემდეგ გარიცხულ იქნას ასოციაციიდან” (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №14). – ნათქვამია 1928 წლის 4 ნოემბრის სხდომის დადგენილებაში. შალვა ართილაყვას ჯერ კიდევ ამ სხდომაზე მოუთხოვია გრ. შავიშვილის დასჯა.

„რადგან გრ. შავიშვილმა დასტოვა ჩვენი კრება თავმჯდომარის დაუკითხავად, გავიდა გარეთ და ნარდის თამაში დაიწყო, ამისათვის გამოეცხადოს საყვედური და მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება” (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №14).

კომისიამ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და გრ. შავიშვილს გულგრილი მუშაობისათვის უკანასხნელი გაფრთხილება მისცა. ამავე წლის 14 ნოემბერს იგი საერთოდ გარიცხეს ასოციაციიდან, მაგრამ რამდენიმე თვეში აღადგინეს, თუმცა,

როგორც ზემოთმოყვანილი (1929 წლის 29 იანვრის) დადგენილებიდან ჩანს, ხელმძღვანელობის მოწონება მაინც ვერ დაუმსახურებია.

რეალურად პროლეტმწერლობის აჭარის ორგანიზაცია ცდილობდა თბილისის „დედაორგანიზაციას“ მიჰყოლოდა კვალში და მისი მოქმედების კალკირებას ახდენდა საქმიანობაშიც და დასჯა-წმენდის ორგანიზებაშიც. მართალია, თბილისელ პროლეტმწერალთა არც გაქანება პქონდათ ბათუმში, არც ენერგია და არც თავხედობა, მაგრამ მასებთან მუშაობის აწ უკვე დახვეწილ-დამუშავებულ მეორებს და წმენდა-ფილტრაციის ხერხებს აქაც აქტიურად იყენებდნენ.

„პირველ ხანებში განყოფილების მუშაობა მოისუსტებდა, რაშიდაც მთავარ როლს თამაშობდა სახსრების უქონლობა და ამას გარდა ორგანიზაციის წევრთა სიჭრელე. არ იყო შიგ ნამდვილი დახვეწილი პროლეტარული მწერლები მაგრამ ეს ნაკლი მალე გამოსწორდა. როგორც თბილისში ისე აქაც ჩატარდა სპეციალურად პროლეტ. მწერლების წმენდა და ამის შემდეგ განყოფილება განთავისუფლდა ნაწილობრივ ზედმეტ ბალოტისგან რომელიც თავის დაღს ასვამდა განყოფილების მუშაობას“ (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1:111) – აღნიშნულია ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთ დოკუმენტში.

მივუბრუნდეთ საორგანიზაციო საკითხებს: ბიუროს არჩევიდან რამდენიმე თვის შემდეგ ასოციაცია ბიუროს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. იმის გამო, რომ კავშირის პირველი ხელმძღვანელი ორგანოს წევრებიდან ბათუმში მხოლოდ ორი მწერალი იმყოფებოდა, 28 ნოემბერს გამართულმა 25-კაციანმა კრებამ ახალი შემადგენლობა განიხილა. ძველი წევრებიდან ბიუროს შემადგენლობაში დარჩა ო. სიხარულიძე და ვ. მახარაძე, ხოლო კანდიდატად დასახელებული თ. ლეშავა უკვე სრულუფლებიან წევრად ითვლება.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილებაში განხორციელებულ ცვლილებებზე გაზეთი “ფუხარა” წერს:

- „გინაიდან ძველ ბიუროს შემადგენლობიდან ბათომში მხოლოდ ორი კაცი დარჩა (დანარჩენი ბათომიდან წავიდენ), კრებამ საჭიროდ სცნო ბიუროს გადარჩევა.

ახალ ბიუროში კრებამ აირჩია: ამხ. ამხ. თ. სიხარულიძე, ს. კარსანიძე, გ. გორგაძე, ვ. მახარაძე, გ. ნუცუბუძე, თ. ლექავა, იმედაშვილი; კანდიდატებათ: ჯ. ნოღაიძელი, ოდიშელი პ., გრ. რამიშვილი.

ასოციაციის თავმჯდომარეთ კრებამ აირჩია ამხ. თ. სიხარულიძე, მდივნად ამხ. ვ. მახარაძე” (ლამპარი 1927:297).

ბიურომ თავის მხრივ, საჭიროდ სცნო პრეზიდიუმის გამოყოფა, რომლის შემადგენლობაშიც თავმჯდომარისა და მდივნის გარდა, წევრის სტატუსით გ. ნუცუბიძე შევიდა.

გადარჩევის მიზეზზე განსხვავებული შეხედულება აქვს კრიტიკოს შოთა ქურიძეს. იგი მიიჩნევს, რომ ბიურომ სათანადოდ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და მისი შეცვლის საკითხიც ამიტომ დადგა დღის წესრიგში:

“ახლადშექმნილი მწერალთა ორგანიზაციის წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები იდგა. მათი განხორციელებისთვის ბრძოლას სათავეში უნდა ჩასდგომოდა ხელმძღვანელი ბიურო და ფართო ორგანიზატორული მუშაობა გაეჩადებინა. სამწუხაროდ, ბიუროს დაკისრებული მოვალეობა პირნათლად ვერ შეუსრულებია და მისი არჩევიდან ოთხი თვის შემდეგ პროლეტარულ მწერალთა და აქტივის საერთო კრებამ, რომელსაც უკვე ოცდახუთი კაცი ესწრებოდა, იგი არსებითად გადაახალისა, ამასთან საჭიროდ სცნო შეექმნა ხელმძღვანელი ბიუროს პრეზიდიუმი” (ქურიძე 1970: 12).

ადსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მკვლევარი ბიუროს პირველი გადარჩევის გაზე “ფუხარასეულ” გერსიას ხელმძღვანელი ორგანოს მეორედ შეცვლის მიზეზად ასახელებს:

“ახალმა ბიურომ მნიშვნელოვნად გააძლიერა მუშაობა, ხშირად აწყობდა ლექცია-საუბრებს, ხელნაწერ თხზულებათა კითხვა-განხილვას, რომელთა მიზანი იყო მწერალთა და ლიტერატურული აქტივის იდეურ-პოლიტიკური, განსაკუთრებით კი საერთო განათლებისა და პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლება. ამის მიუხედავად, 1928 წლის 28 აპრილს ეს ბიუროც გადაახალისეს, რადგან მისი ზოგიერთი წევრი აღარ იმყოფებოდა ბათუმში” (ქურიძე 1970: 12).

საკუთრივ აჭარის მწერალთა კავშირში მოვლენები სხვაგვარი თანმიმდევრობით განვითარდა. 1928 წლის 26 თებერვალს მოწვეულ კრებაზე

მიმდინარე საკითხების განხილვისას მწერლებმა კრიტიკულად შეაფასეს ბიუროს მუშაობა და რეკომენდაციებიც წარმოადგინეს:

“ამხ. შალვა ართილაყვას, პ. ობოლის პ. ოდიშელის იასონ ნუცუბიძის და სხვების განცხადება იმის, რომ ასოციაციის ბიურო და სარედაქციო კოლეგია ვერ ეწევიან ისეთ მუშაობას, როგორიც საჭიროა. რისთვისაც საჭიროა ბიუროს გამოცოცხლება, ხშირად სხდომების მოწვევა, მასიური მუშაობის მეტი გადრმავება, ასოციაციაში აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება და სხვა მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც მიუთითებენ მოკამათე ამხანაგები” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №3:3).

კრებამ საპასუხოდ დაადგინა: “ვინაიდან ბიუროს გამოაკლდა წევრები, რის გამოც მოისუსტებს მუშაობა ბიუროში, კრება ერთხმად ადგენს რათა კომკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით მომავალ კვირას, 4 მარტს მოხდეს საზოგადო კრება, სადაც გადახალისებული იქნეს ბიურო და სარედაქციო კოლეგია” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №3:3).

28 აპრილის სხდომის ოქმის საუბარის თემა ბიუროს მუშაობაა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით. შესაბამისად, ახალი ბიუროს არჩევნებიც შედგა და მის შემადგენლობაში შემდეგი მწერლები შევიდნენ: დ. დუმბაძე ვ. მახარაძე, ს. კარსანიძე ნ. ქუთათელაძე პ. ოდიშელი. კანდიდატებად წარმოდგენილი იყვნენ: შ. ართილაყვა, გრ. შავიშვილი და თ. ლეჯავა. ცვლილებები ბიუროს არჩევნებით არ დასრულებულა. როგორც ხდებოდა ხოლმე, ასოციაციის წმენდა ჩაატარეს კომკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

„გაწმენდილ იქნას ასოციაცია გარეშე ელემენტებისაგან და მოხდეს ასოციაციის წევრთა გარეშე ამხანაგების აღრიცხვა, რომლებიც ესწრებიან ჩვენს მეცადინეობას სისტემატიურად” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №3:5).

როგორც ასოციაციის კრებათა ოქმებიდან ჩანს, ხშირად იცვლებოდა ბიუროს შემადგენლობა. ცხადია, ზემდგომი ორგანოებისათვის მიუღებელი იყო მისი მუშაობა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხი. ბიუროს გადარჩევის ნამდვილ მიზეზს ხან ასახელებდნენ, ხან – არა, ხან კიდევ ამ საკითხზე საუბარს გვერდს უვლიდნენ საერთოდ. საილუსტრაციოდ გაზეთ “ფუხარაში” (1928 წლის №214)

დაბეჭდილი ინფორმაცია მოგვიავს: „მოსმენილ იქნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ადგ. განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის ანგარიშები.

ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და აირჩია ახალი ბიურო”.

ჩნდება კითხვა - დამაკმაყოფილებლად თუ მუშაობდნენ, მაშინ რატომ აირჩიეს ახალი ბიურო? როგორც ჩანს, დადებითი შეფასება პირობითი იყო და მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მის შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანეს. ამას ასოციაციის წევრთა წმენდაც ემატება და რამდენიმეწლიანი ცვლილებების შემდეგ კავშირში ძველი შემადგენლობიდან რამდენიმე მწერალიდა რჩება.

მორიგი წმენდა 1928 წლის 27 აგვისტოთი თარიღდება. ერთიანი გადაწყვეტილებით ბიუროს წევრებად: დავით დუმბაძე, სერგო კარსანაძე, შალვა ართილაყვა, გრიგოლ შავიშვილი და პარმენ ოდიშელი სახელდებიან. საქართველოს მწერალთა კავშირში მიმდინარე წმენდის პარალელურად ანალოგიური პროცესის დაწყება იგეგმება ბათუმში. კრებაზე სიტყვით ამის აუცილებლობის შესახებ შავიშვილი საუბრობს და თანამოაზრებიც მზადყოფნას გამოთქვამენ მის განსახორციელებლად (ფონდის P – 928, ანაწერი 1, ოქმი №2(9): 8). ამისათვის ბიურო კომისიას ქმნის, რომელიც 1928 წლის 1 ოქტომბერს იკრიბება. ასოციაციის მეცადინეობაში ჩაბმული ამხანაგების სიაში არიან: დ. დუმბაძე, შ. ართილაყვა, ვ. მახარაძე, პ. ოდიშელი, გრ. შავიშვილი, ს. კარსანიძე, თ. ლევავა, ქ. ნოღაიდელი, ბ. თავდუმაძე, გრ. გორგაძე და პ. ლორია. მათგან გაფრთხილება ვ. მახარაძეს გამოუცხადეს მხოლოდ. გამწმენდმა კომისიამ ხაზი გაუსვა მის ინტიგანულ გამოსვლებს და გაფრთხილება მისცა, რათა მომავალში მსგავსი საქციელისგან თავი შეეკავებინა.

ამავე კომისიამ ასოციაციის წევრობის კანდიდატების ანკეტები განიხილა და გადაწყვიტა მათ დასამტკიცებლად შუამდგომლობა გაუწიოს ცენტრალურ გამგეობაში. ასე, რომ სამწერლობო ასპარზეზე გამოსასვლელად ემზადებიან შემდეგი ავტორები: ი. ფერაძე, გრ. შარაძე, ლ. შარაშიძე, მ. მანიძე, ი. ნუცუბიძე, ნ. იმედაშვილი, ს. ბეგიაშვილი, ნ. ქუთათელაძე, თ. ჩახვაძე, ვ. გიორგაძე, ირ. ლაზური, გრ. თოდუა, მ. შენგელია და ვ. დობორჯგინიძე” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1 ოქმი №1:12). მათგან კომისიის იმედებს მხოლოდ რამდენიმე ამართლებს. ამავე

ფონდში დაცულ ჩანაწერებში ნაწილი ფიქსირდება, ნაწილი – არა. განსხვავებაა შესაბამისად ასოციაციის წევრთა რაოდენობაშიც.

საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციის აჭარისტანის განყოფილების წევრთა 1930 წლის 9 აპრილის საერთო კრებაზე შალვა ართილაყვა აჯამებს რამდენიმე წლიანი მუშაობის შედეგებს და აცხადებს:

“ჩემი მოხსენება ეხება ჩვენი მუშაობის პერიოდს - 1928 წლის დეკემბრიდან დღემდე. ბიუროში შედიოდა 5 წევრი. ორგანიზაციაში ითვლებოდა 11 დამტკიცებული წევრი, რომელთაგან აქ დარჩა 6 კაცი (ერთი გაირიცხა და სხვები წავიდნენ სხვა ქალაქებში), 10 წევრი ჯერ დაუმტკიცებულია, რომელთა ანკეტები გადაგზნილია ტფილისში დასამტკიცებლათ, 8 წევრი ახალია; ამგვარათ ორგანიზაციაში დღეს მუშაობს 24 კაცი. ამათგან 14 კომკავშირელია, 2 პ. წევრი, დანარჩენი უპარტიო. აღნიშნული რიცხვიდან 5 აჭარელია, 3 ქალი” (ფონდის P - 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №35).

ამავე ფონდში ინახება “საქ პროლეტ მწ. ასოციაციის აჭარისტანის განყოფილების წევრთა სია”, რომელშიც მოცემულია ცენტრალური გამგეობიდან დამტკიცებული და დაუმტკიცებული მწერლების სახლ-გვარები. უცნობია, თუ ვინ და როდის შეადგინა სია. სავარაუდოდ, ეს ნუსხა 1931 წლამდე უნდა იყოს შედგენილი, რადგანაც მის შემდეგ წარმოდგენილი კრებათა ოქმები 1928-29 წლებით თარიღდება. ამავე პერიოდს მიმოიხილავს ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ნესტორ მალაზონია, რომელიც აღრიცხავს წევრებისა და კანდიდატების მონაცემებს და რაც მთავარია, ფონდის P - 928 ანაწერი 1928-1930 წლებით თარიღდება (ფონდის P - 928, ანაწერი 1, საქმე 1:64).

პირველი დოკუმენტის მიხედვით, პროლეტმწერლები რამდენიმე კატეგორიად დაიყო. ცენტრალური გამგეობიდან დამტკიცებული არიან: სერგო კარსანიძე, შალვა ართილაყვა, პარმენ ოდიშელი, ვასილ მახარაძე, ნოღაიდელი, ბარნაბა თავდუმაძე, თამარ ლექავა, ლუბა ჟვანია, პარმენ ობოლი და ზია ქემხაძე. სამწუხაროდ, ბოლო ავტორის ვინაობის ამოკითხვა არ ხერხდება, ხოლო შავიშვილი გრიგოლის სახელსა და გვარზე ხაზია გადასმული და კითხვითი ნიშანი აქვს დასმული. ამ საკითხს ცოტა მოგვიანებით დაგუბრუნდებით და საუბარს გავნაგრძობთ ცენტრალური გამგეობის მიერ დაუმტკიცებული ავტორებით. ესენი გახლავთ: ლადო შარაშიძე, გრიშა

შარაშიძე, კომანდო დობორჯგინიძე, ნესტორ იმედაშვილი, იაგორ ჯიბუტი, ირაკლი ფერაძე, ნესტორ მანიძე, დავით დუმბაძე, ნიკო ქუთათელაძე, ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი, იასონ ნუცუბიძე, შალვა კობახიძე, მიშა შენგელია, ალექსანდრე ქინქლაძე, ხასან კომახიძე, სიმონ ჯორბენაძე, გრიშა ჩხობაძე, ხასან გოგიტიძე, თამარ სირბილაძე, ანგელინა ჭეიშვილი და პავლე მამალაძე.

ცალკე არიან დასახელებული ის მწერლები, რომელთაც ანკეტა აქვთ შევსებული: სიმონ საღარეიშვილი, შანიძე შალვა, ბარნაბა თადუმაძე, პარმენ ლორია, შალვა ართილაყვა, ნესტორ იმედაშვილი, აკაკი შენგელია, კოტე დოხნიძე, კალენიკე რუსიძე, შოთა როყვა, ასლან დადიანი, კარლო გოგიბერიძე და თენგიზ ბრევაძე.

ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივნის ყურადღების მიღმა არ რჩებიან ის ამხანაგებიც, რომლებიც კრებებს დროგამოშვებით ესწრებიან. კერძოდ, ჩახვაძე თეოფანე, გრიგორიანი გრიგოლი, გრემი ზექერია, ქადაგიძე ალექსანდრე და სიმონ საღარიშვილი ხვდებიან ამ ნიშნით შექმნილ სიაში.

დასახელებული ავტორებიდან ნესტორ მალაზონიას მიერ წარმოდგენილ სიაში არ გვხდება სერგო კარსანიძე, ლუბა უგანია, პარმენ ობოლი, ნიკო ქუთათელაძე, დავით დუმბაძე, ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი, იასონ ნუცუბიძე, შალვა კობახიძე, თეოფანე ჩახვაძე, გრიგოლ გრიგორიანი, სიმონ საღარიშვილი, შალვა შანიძე, აკაკი შენგელია, შოთა როყვა, თენგიზ ბრეგაძე, კალენიკე რუსიძე და კოტე დოხნაძე. ხოლო სიის ამავე ვარიანტისაგან განსხვავებული წევრები შეუვანილი არიან 23 კაციან ნუსხაშიც. ესენი გახდავთ: გრიგოლ გორგაძე, ალი ქათამაძე, ილია ჯიბუტი და ივანე ასკურავა.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ორგანიზაციის 1928-1930 წლების საქმიანობას ასახავს, რომელიც აჭარისტანის კომკავშირელ მწერალთა წრის წევრების სიით სრულდება. ნუსხა 18 ადამიანს აერთიანებს. მათ შორის პირველადაა ნახსენები ქავსერ თხილაიშვილი, ვერულიძე რიზა, მიშა გეგელაშვილი, მიშა სარჯველაძე, აკაკი მანჯაგიძე, მიშა მეფარიშვილი და ძიმისტარიშვილი (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1).

ასოციაციის ხელმძღვანელებს პროლეტარული ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად ორგანიზაციის წევრთა განათლების დაბალი დონე მიაჩნდათ, რომლის სრულყოფის გზად რომ სპეციალური მეცადინეობები იყო მიჩნეული, უკვე ვთქვით. ისიც ვახსენეთ, რომ მწერლები დიდი ენთუზიაზმით როდი ეკიდებოდნენ ამ საქმეს. ამიტომაც ჩიოდა დ. დუმბაძე: „ჩვენს ასოციაციის უმეტეს წევრს აქვს მომზადების დაბალი დონე, რის გამოც არ შეუძლია ჩვენმა წევრებმა შექმნას რაიმე ლირსეული ნაწარმოებნი, ამისათვის საჭიროა დაუღალავი მეცადინეობა. მხოლოდ ჩვენი ამხანაგები ამ მეცადინეობას გულგრილად ხვდებიან“ (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №14:111).

ამ გულგრილობას დამსჯელი დონისძიებები მოჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ პროლეტმწერლობას ლირსება მაინც არ ემატებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი საზოგადოების ნაწილი პრობლემის არსეს ასოციაციის ხელმძღვანელობის მოუქნელ მუშაობაში ხედავდა. დ. ვოლსკი მაგალითად შენიშნავდა: საჭიროა “ახალგაზრდობა იწვრთნებოდეს, სწავლობდეს დღევანდელ ნიჭიერ მწერლებს, კლასიკოსებს, წერის ტეხნიკას. საჭიროა კოლექტიური სწავლა, ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სისუსტით უნდა აიხსნას ახალგაზრდების ასეთი ჩამორჩენილობა, დაბეჭდილი ლექსებიდან გამოსჭვივის ჩვენი მწერლების პოლიტიკური მოუმზადებლობა, ლექსები ტექნიკურადაც სუსტია და აკლია იდეოლოგიური სიმახვილე. უამათოდ კი მხატვრული ნაწარმოები არ ვარგა” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №35).

პროლეტარული მწერლობის დონის ამაღლებას ასოციაცია ლიტერატურული პროდუქციის განხილვის გზითაც ცდილობდა. სპეციალურად ამ მიზნით ორგანიზებულ შეკრებებზე განჩხრეკდნენ ამა თუ იმ ნაწარმოებს, აფასებდნენ ერთი მხრივ, მხატვრულ ლირებულებას და ამ კუთხით, უმეტეს შემთხვევაში, საეჭვო იყო თვით მსჯავრის დამდებთა კომპეტენცია, ხოლო მეორე მხრივ, განსაკუთრებული გულმოდგინებით, იდეურ გამართულობას; ავტორს აძლევდნენ რჩევებს და რეკომენდაციებს ნაწარმოების დასახვეწად, არც თუ იშვიათად, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ და მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ დაბეჭდვას თუ სცენაზე დადგმას.

ამგვარ შეკრებათა ხასიათის თუ კომპეტენტურობის წარმოსაჩენად ორიოდე მაგალითის მოტანაც საკმარისია: 1927 წლის 25 დეკემბრის შეკრებაზე განუხილავთ შიუკაშვილის პიესა „ამერიკელი ძირი გასაბჭოება“ და კრიტიკის ქარცხცხლში გაუტარებიათ.

„კრებამ ერთხმად აღიარა, რომ შიუკაშვილის პიესა „ამერიკელი ძირი გასაბჭოება“ არ არის ის კომედია, რომელიც მისაღებია ჩვენთვის. ჩვენი ცხოვრების ზოგი უკულმართი მოვლენა, რომლებიც უთუოდ გამონაკლისს შეადგენს, ავტორს გაუზრდია, გაუბერავს და ჩვენი თანამედროვეობის ტიპიურ მოვლენებათ მიუღია. ავტორის მიდგომა საკითხებისადმი უთუოდ ანტისაბჭოთა ყაიდისაა. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ ასეთი მიუდებელი, უვარგისი, არამხატვრული პიესა შეიპარა ჩვენი თეატრის რეპერტუარში“ (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1).

1928 წელს ერთ-ერთ კრებაზე (თვე და რიცხვი უცნობია) ასოციაციამ გრიგოლ შავიშვილის „შალვა და ლენა“ განიხილა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების უარყოფითი მხარეები დადებითს სჭარბობდა, ის მაინც მოიწონეს. შ. ართილაყვას შეფასებით, „მოთხოვთ სიუჟეტი მისაღებია. აგრეთვე, მხატვრული ღირებულების მხრითაც ითქმება შემდეგი: ეს პროზა პირველ ნახევარში მხატვრული ღირებულების მხრითაც ცოტას მოისუსტებდა, მაგრამ პროზის მეორე ნახევარში ისე ძლიერია როგორც აზრთა გაშლით, ისე მხატვრულადაც, რომ უკვე ფარავს იმ ნაკლს რომელიც ზემოთ აღნიშნულია. დასასრულს აღნიშნავს, რომ მოთხოვთა მისაღებია ცოტა შესწორებით“ (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1).

6. მანიძე მწერალს თემის დამუშავების ხარისხს უწუნებს: „ავტორს მასალები ბევრი აქვს, ვინაიდან ის ეხება მრავალ ომებს და აჯანყებას ამიტომ საჭიროა მოთხოვთის უფრო გაშლა და გაშალაშინება... თემა არ არის დამუშავებული სავსებით და ვერ გვაძლევს ნათელ სურათს (სახეს) იმ ეპოქის, რომელსაც აგვისახავს ის“ (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1).

პ. ოდიშელისათვის ნათელი სურათი მაშინ იქნება ასახული, თუკი ავტორი მასში ცვლილებებს შეიტანს: “ნაწარმოებს თუ გააშალაშინებს და ცოტას დაამუშავებს, მისაღებია და ნათელ სურათსაც იძლევა ეპოქისო”. 6.

ქუთათელაძისათვის „შალვა და ლენა” მხატვრულად მოისუსტებს, “ავტორი ბევრს ლაპარაკობს კერძო საკითხებზე, როგორიცაა ლენას და შალვას სიყვარული და ეს არ არის მისაღებიო”. ა. ართილაყვამ რა თქმა უნდა მიიღო ასოციაციის რჩევები და პირობა დადო, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №6).

1929 წლის 24 თებერვლის აჭარისტანის განყოფლების საერთო კრების განსახილველ საკითხთა შორის პირველი ადგილი უჭირავს პ. ობოლის პროზაული ნაწარმოების “შრომის გმირების” გარჩევას. მასში “ასახულია ჰავებების (უნდა იყოს აწვებების) მშენებლობა და მასთან დაკავშირებით ინჟინერ ოლოშნიკოვის და მისი ამხანაგების დაღუპვა გვირაბში ჩაშების დროს... „დაახასიათენ პროზა კარგ და სანიმუშო ნაწარმოებად, როგორც იდეოლოგიურათ, ისე ტეხნიკურად. დამუშავების მხრივ აქა-იქ არის წერილმანი გრამატიკული შეცდომები, რომლის გამოსწორება აუცილებელია.” (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №20:15).

1929 წლის 19 მაისს მწერლებმა პ. ობოლის რომანი “ახალი ცხოვრების გზით” განიხილეს. შეფასებისას კვლავ მეორეხარისხოვანია მისი მხატვრული ლირებულება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს საკითხი საერთოდ არ არის განსჯის საგანი. კრების ოქმის ჩანაწერში ვკითხულობთ:

“კამათში მონაწილეობა მიიღეს: ოდიშელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგიერთი ნაწილის გამოკლებით რომანი მისაღებია. ი. ჯიბუტი ამბობს, რომ რომანში წამოყენებული საკითხი თჯახის მოსპობის შესახებ უნდა შევცვალოთ ახალი თჯახის შექმნის იდეით. რაც შეეხება სქესობრივს საკითხს, მოუგვარებელი აქვს ავტორს, რადგან ჩვენ არ გვწამს ისეთი ქალები, რომლებიც თავის სურვილის მიხედვით მოქმედებენ და თჯახის საკითხს გვერდს უვლიან (ფონდი P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №25:18).

მწერალთა რიგების გაზრდისა და იდეური განმტკიცების ერთობ კურიოზული საკავშირო დონისძება იყო მუშების ჩართვა ლიტერატურულ პროცესში. ამ დონისძებას იმთავითვე დაუჭირა მხარი პროლეტარულმა მწერლობამ. 1928 წლის 18 ოქტომბერს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს წერილი მუშათა გაწვევის მოწოდებით, ხოლო კრიტიკოსი ვალერიან ლუარსამიძე წერდა: „პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და

რიგების გამუშურება ჩვენი გენერალური ლოზუნგია, დამკვრელ მუშათა ბირთვის ზრდა – ამოცანთა ამოცანაა. ამ მიზნითაა წამოწყებული დამკვრელი მუშების გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში“.

ხსენებულ მოვლენას აკაკი ბაქარაძე შემდეგნაირად აფასებს:

„მწერალთა რიგებში მუშების გამრავლებით უნდა მოეკლათ ნამდვილი მწერლობა. ნათლად არის გამოხატული მრწამსი. მწერლობა არ არის ნიჭიერება. არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. სიტყვაპაზმულ მწერლობას ენიჭებოდა სკპა აგიტაციების ფუნქცია“ (ბაქრაძე 1990:43).

გასაკვირი არაა, რომ მუშათა გაწვევის პროცესი პროლეტარული მწერლობის აჭარის ორგანიზაციასაც შეეხო. თბილისში შექმნილი ცენტრალური შტაბის (ბენიტო ბუაჩიძე, სიმონ წვერავა, ცეკასა და პროფკავშირების წარმომადგენლები) ძალაუფლება აჭარის ორგანიზაციაზეც ვრცელდებოდა. ამიტომ, აქაც ინტენისიურად დაიწყეს მუშაობა მწერლობის გამუშურებისათვის. მშრომელთა მასებთან დასახლოებლად და მათ პროლეტმწერლობაში გასაწევრიანებლად ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში მწერალთა ბრიგადები იგზავნებოდა, იქმნებოდა ლიტერატურული წრეები, ტარდებოდა ლიტერატურული ღონისძიებები და იმართებოდა მეცადინეობები: რკინიგზის კლუბი, მუშათა ახალი კლუბი, საპნის ქარხანაში, მკერავთა ფაბრიკაში, მაუდის ქარხანაში, ახალ აბრეშუმის ქარხანაში, დეპოში, მუშფაკში, სანაპირო მტვირთავთა არტელში, ბათუმის ნავთობ გადამამუშავებელ ქარხანაში, წყლოსნების კლუბში და სხვ.

შესაბამისად, გასაკვირი აღარაა, რომ პარმენ ლორია წერილში „საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის 10 წლისთავი“ თავის მოწონებას ცდილობს: „ამჟამად აჭარისტანის განყოფილება აერთიანებს 24 წევრს, უმეტესობა მათგან პროლეტარული ელემენტებია, ნაწილობრივ დაზგის მუშები. ამჟამად, პროლეტარულ მწერალთა მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია წარმოებაში. ორგანიზაციის თითოეული წევრი მიმაგრებულია ამა თუ იმ საწარმოზე და ჩაბმულია კულტმუშაობაში“ (ობოლი 1931:N<sup>o</sup>136).

როგორც ვთქვით, მუშათა გაწვევა საკავშირო ღონისძიება იყო და პროცესიც დაახლოებით ერთგვაროვნად მიმდინარეობდა: ტარდებოდა ლიტერატურული

სადამოები, პირდაპირ ქარხნებსა და ფაბრიკებში ყალიბდებოდა წრეები, რომელთაც ასოციაციის აქტიური წევრები ხელმძღვანელობდნენ. ყველა წრეს თავისი სახელწოდება ჰქონდა და მასში მუშები იყვნენ გაერთიანებული. თავდაპირველად ორიენტაციას იღებდნენ ძველ, გამოცდილ მშრომელებზე, მაგრამ რაკიდა მათგან მწერლები ვერ შექმნეს, ახალგაზრდებს მიაპყრეს იმედის თვალი. თუმცა მწერლობისა არც იმათ გაეგებოდათ რა და, ბუნებრივია, ვერც შექმნეს რამე ღირებული.

მუშებზე მიმაგრებული ბრიგადების შვიდი პუნქტისგან შემდგარი სამუშაო განრიგი, ნათლად წარმოაჩენს ამ საქმიანობის სტრუქტურასა და ხასიათს:

- “1 – წარმოების გაცნობა და მუშებთან დაახლოვება.
- 2 - ლიტერატურული წრეების ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა.
- 3 – მუშა-მრეწველების გამომედავნება და მოზიდვა.
- 4 – მუშათა ყოფა ცხოვრების შესწავლა და მხატვრულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბება.
- 5 – მოწყობა წარმოებებში, ლიტერატურულ გასამართლებების, თათბირების გარჩევა მხატვრულ ნაწარმოებების, კედლის გაზეთებთან კავშირის დაჭერა და სხვა.
- 6 – დახმარება ლიტერატურულ სადამოებისა და დისპუტების მოწყობაში.
- 7 – დახმარება და სხვა და სხვა პოლიტიკურ კომპანიების ჩატარებაში სხ” (ფონდის P - 928 ,ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №68).

აჭარაში წარმოებული მუშაობა ცენტრისათვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. ამიტომაც, 1930 წლის დეკემბერში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აჭარის განყოფილებას ოფიციალური წერილით მიმართავს და მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდებს:

“საქარ. პრ. მწერ. ასოციაცია წინადადებას გაძლევს, მიიღოთ ენერგიული ზომები რათა ასოციაციის რიგებში ჩაბმული იქნან დამკვრელი მუშები. ამ გაწვევას პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასოციაციის შემადგენლობის გამუშურებისათვის.

აუცილებელია აგრეთვე შეუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას. სისტემატიურად უნდა მოგვაწოდოთ ცნობები მუშაობის მსვლელობის შესახებ” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1 ოქმი №166).

წერილის მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (1931 წ. 25 აპრილი) აჭარის მწერალთა კავშირის წევრები დანანებით აცხადებენ, რომ ამ დროის განმავლობაში “წარმოებებში მუშებთან დაახლოებიდან შევძლით მხოლოდ 3 ამხანაგის გაწვევა პროლეტმწერლობაში. მომავლისთვის საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირების დაჭერა კედლის გაზეთებსა და წარმოებებთან” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №14).

ბიუროს წარმოებებში მიმაგრებული ამხანაგების მუშაობის უკეთ წარსამართავად აჭარის მწერალთა კავშირს დაევალა გეგმისა და კალენდარული ცხრილის შედგენა. ამ კრების ჩატარებიდან 15 დღის შემდეგ კავშირის წევრები კიდევ უფრო კრიტიკულ შეფასებას აძლევენ მუშების მწერალთა კავშირში გაწვევის კამპანიას და მიაჩნიათ, რომ “ასოციაცია ჯერ კიდევ არ შესდგომია სერიოზულად დამკავრელთა გაწვევას მწერლობაში” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე ოქმი №1:15), ამდენად, კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება ის, რომ “განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აჭარელი ახალგაზრდობის და წარმოებებიდან მუშების შემოყვანას პროლეტ მწერლობაში” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1).

მუშათა გაწვევა რომ ლიტერატურის განვითარებას ვერაფერში წაადგებოდა, ეს ალბათ ამ საქმის ინიციატორებისთვისაც იქნებოდა ცნობილი, მაგრამ დონისძიების მიზანი უფრო პროლეტარული კულტურის პროპაგანდა იყო, რომლის მიღწევას კი განსაკუთრებული ნიჭი და ლიტერატურული გემოვნება არ სჭირდებოდა. მწერლობაში აჭარიდან გაწვეული მუშა-მწერლები (პავლე რობაქიძე, ხასან გოგიტიძე, კოტე ლოხნაძე, კალენიკე რუსაძე, დავით ბაჯელიძე, სიმონ საღარეიშილი, დათიკო თავართქილაძე, ლეიილა რამიშილი, ზაქარია პაპუკაშვილი...) ერთხანს კი ცოდვილობდნენ რაღაცას, მაგრამ ბოლოს მაინც უსახელოდ ჩამოშორდნენ მუზათა საბრძანებელს და არც ვინმე დაინტერესებულა მათი პროლეტარული შემოქმედებით.

საინტერესო და გარკვეული თვალსაზრისით, გაუგებარიც, რომ პროლეტარული ასოციაციის აჭარის ორგანიზაციის საქმიანობას აბრკოლებდა უსახსრობა. ბოლშევკები თავიანთ იდეოლოგიურ მსახურებს და პროპაგანდისტებს არც თუ იშვიათად ანებივრებდნენ ხოლმე და ამ ფონზე გასაკვირიცაა ქრონიკული უსახსრობა და ბეჭდური ორგანოს უქონლობა. ამის ერთი-ერთი მიზეზი ალბათ ისიცა, რომ ასოციაციის წევრთა მწერლური შესაძლებლობები უმეტეს

შემთხვევაში მეტად მდარე იყო. მათი შემოქმედება, საპროპაგანდო—პროლეტარულ გემოვნებასაც ვერ აკმაყოფილებდა. ალბათ, ამაზე თუ მიანიშნებდნენ თბილისიდან ზემდგომი „ამხანაგები“, როცა ფულადი დახმარების თხოვნას საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომის (1928 წლის 13 თებერვალი) ასეთი დადგენილებით პასუხობდნენ:

“ვინაიდან ასოციაციას ამ უამად არა აქვს არავითარი საშუალება ამიტომ ბათომის განყოფილებას ეთქვას უარი ფინანსურ დახმარებაზე. ეცნობოს ამხანაგებს, რომ პირველ ხანებში საკმარისია გაზ. ”ფუხარას“ ლიტ-ფურცელის სისტემატიური გამოშვება” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე №1:55).

1930 წლის 9 აპრილს ჩატარებული საერთო კრების ჩანაწერით ირკვევა, რომ განყოფილებას არათუ ფინანსურად უჭირს, საკუთარი ბინაც კი არ გააჩნია. “იმართებოდა ლიტ. საღამოები და ლიტ გასამართლებები მუშათა უბნებში და ხდებოდა არა სისტემატიურათ მეცადინეობა საერთო ლიტ კრებებზე (სისტემატიურად კრებებს ხელს უშლიდა უბინაობა)” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1 ოქმი №35).

შევნიშნავთ, რომ მწერალთა კავშირის ფინანსური მდგომარეობა არც 1932 წლის აპრილის ცნობილი დადგენილების და მწერალთა გაერთიანებების რეორგანიზაციის შემდეგ გაუმჯობესებულა მაინცადამაინც. მიუხედავად არაერთი დადგენილებისა, პრობლემა ერთხანს კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. მალე მწერლები უბინაოდ დარჩნენ. ამიტომაც იყო, რომ პარმენ ლორია 1933 წლის 14 აგვისტოს ლავრენტი ბერიას სახელზე წერილს წერს, რომელშიც აღწერილია აჭარის მწერალთა კავშირის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

“აჭარისტანის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდა აჭარისტანის მწერალთა კავშირის პირველ ყრილობას, რომელიც საქართველოს საბჭოთა მწერლებთან ერთად ჩატარდა გასულ წელს აჭარაში. ადგილობრივმა ამხანაგებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ყრილობის ჩატარებაში, ბევრი სიტყვა თქვეს და შეპირებები, მაგრამ ამით დამთავრდა ყველაფერი.

ამის შემდეგ ერთი წელი სრულდება... მაგრამ ერთი კაპეიკი არ ეძლევა არც ხელფასისა და არც სხვა საჭიროებისათვის. თვითონ კავშირი მოთავსებულია მიგდებულ ადგილას, ერთ-ერთ ბნელ ოთახში. პასუხისმგებელი ამხანაგები

განათლების დარგიდან, საქალაქო კომიტეტიდან და სხვა ორგანიზაციებიდან ერთხელაც არ კითხულობენ, ერთხელაც არ მოდიან ამ ორგანიზაციაში, რა ხდება, რა მუშაობა მიმდინარეობს არავის აინტერესებს, ოღონდ მათ ნუ შეაწუხებენ...

მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ აქედან გამომდინარე, გააკეთოთ საზრიანი დასკვნა, შეამოწმოთ ჩემს მიერ მოტანილი მაგალითები და თქვენი ავტორიტეტული სიტყვა თქვით ან სრულიად გაუშვათ ასეთი ორგანიზაცია აჭარისტანში ანდა მას მიეცეს საშუალება იარსებოს არა სამარცხევინოდ, არამედ სახელიანად და კარგად” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2).

გარკვეული დროის განმავლობაში ბიუჯეტი ვერ მტკიცდება, უსახსროდ დარჩენილი კავშირი სათანადოდ ვერ ახერხებს მუშაობას, რის გამოც მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები მოუგვარებელი რჩება (ფონდის P - 928 ანაწერი 1, საქმე 2). მის დასახმარებლად გადაწყვეტილებას ს. პ. პ. ცეკა 2 ოქტომბერს დებულობს. სწორედ, მის განსახორციელებლად მწერლები 1934 წლის 8 ოქტომბერის სხდომაზე ადგენენ:

“მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები სათანადო ორგანოების წინაშე საკითხის დასმით იმ ფინანსური ვალდებულებების გასანადებლად, რომელიც ს. პ. ცეკა 2 ოქტომბერის 2 ოქტომბრის დადგენილების თანახმად უნდა მიცემოდა ორგანიზაციას” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №17).

მართლაც, ხელმძღვანელი ორგანოების წყალობით, 1935 წლის 11 ივნისიდან აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის ბალანსზე ირიცხება პ. მელიქიშილიქ ქუჩაზე მდებარე ბინა, რომელიც დღემდე მის კუთვნილებას წარმოადგენს. ამ დღეს შეკრებილ მწერლებს სასიამოვნო ინფორმაცია პარმენ ლორიამ გააცნო (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2 ოქმი №17).

ამ დროიდან ორგანიზაცია მეტ-ნაკლებად ახერხებს ეპონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას, არსებული მონაცემების მიხედვით, ეპონომიკური პრობლემები აქტუალობას კარგავს.

### §. 3 საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის გაყოფილება

საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის განყოფილება, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა 1932 წლის 23 აპრილის საკავშირო დადგენილების საფუძველზე, აჭარის მწერალთა საგანგებო ყრილობის (1932 წ. 6 ოქტომბერი) გადაწყვეტილებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა კვლავაც პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ყოფილი წევრებით იყო წარმოდგენილი (თავმჯდომარე დავით დუმბაძე, მოადგილე – ნესტორ მალაზონია, პ/მდივანი – პარმენ ლორია), შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციულ ცვლილებას დიტერატურის განვითარებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდებია. „არაპროლეტარი“ მწერალი მაშინდელ აჭარაში თითებზე ჩამოითვლებოდა. ამიტომ, ახალი ორგანიზაცია ძირითადად ისევ ძველი შემადგენლობით შეივსო. აქ შეიძლება მცირე სტატისტიკაც მოვიშველიოთ: საგანგებო ყრილობაში შემდეგი ადგილობრივი მწერალები მონაწილეობდნენ: ნ. მალაზონია, პ. ლორია, გრ. გორგაძე, პ. რურუა, გრ. გრიგორია, ი. ჯიბუტი, აკ. მანჯავიძე, ბრ. ბარაბაძე, ს. ჯორბენაძე, ხუციშვილი, ნ. კანდელაკი, ჯ. ნოდაიდელი, ხ. ნაკაიძე და გ. შვანგირაძე.

პროლეტმწერლობის საქმიანობით უკმაყოფილო იყო პარტიაც, მთავრობაც და კრიტიკაც. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ რეორგანიზაცია მიიჩნეოდა განახლებისა და განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად. ყოველ შემთხვევაში, მაგალითად პ. ურაშვილი, ზემოხსენებული დადგენილების შუქზე შემდეგნაირად აფასებს ასოციაციის მუშაობას:

ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობით და პოლიტიკურ შეცდომათა სიმრავლით სინის გ. ურურაშვილი ზემოთადნიშნული პრობლემების არსებობას და გამოსავალს 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების მიღებაში ხედავს. კრიტიკოსი მიმოხილავს იმ დროისათვის არსებულ მდგომარეობას და ასკვნის:

“ასოციაციის განყოფილების მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და მის საქმიანობაში ადგილი ქონდა მთელ რიგ შემაფერხებელ დეფექტებს: საქ. პროლეტარულ მწერლობამ ვერ შეძლო საჭირო იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა განეხორციელებია აჭარისტანის განყოფილებაზე და დახმარებოდა მასში გაერთიანებულ კადრების იდეურ შემოქმედებათა ზრდას. ამავე

დროს აჭარისტანის განყოფილების მუშაობაში ადგილი ქონდა იმ ორგანიზაციურ, პოლიტიკურ და უხეშ შეცდომათა და დამახინჯებათა გამოხატულებას, რომლებითაც ხასიათდებოდა უკანასკნელ წლებში პროლეტ მწერლობის ასოციაციების მუშაობა, როგორც საქართველოში აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

ხსენებულ დამახინჯებათ განმეორებამ და სუსტმა ორგანიზაციურმა ხელმძღვანელობამ გამოიწვია ის გარემოება, რომ აჭარისტანში მწერალთა ორგანიზაციამ ვერ გაშალა მუშაობა სათანადო სიღრმით და მოცულობით როგორც შემოქმედებით, ისე თეორიულსა და ორგანიზაციულ დარგში.

ამით აიხსნება უდიდესი ჩამორჩენილობა, რომლითაც ხასიათდება აჭარისტანის მწერალთა მუშაობა აქ გაშლილ სოციალისტურ მშენებლობის ტემპებთან შედარებით” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე №2:15).

ცეკას დადგენილების აჭარაში რეალიზების მიზნით შეიქმნა შვიდკაციანი კომისია (ბიურო), რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: გრ. სულუხია (თავმჯდომარე), ნ. მალაზონია (მოადგილე), პ. ლორია (მდივანი), შ. შუბლაძე, გრ. გიორგაძე, დ. დუმბაძე და ს. ნაკაიძე. ბიურომ მოამზადა პირობები საგანგებო ყრილობის მოსაწვევად და წარმოადგინა ახალ გაერთიანებაში მისაღები 23 კაცის სია. ესენი გახლდათ: ვლადიმერ თორია, ნესტორ მალაზონია, სერგო ყუფარაძე, მუხამედ მეგრელიძე, ლუბა ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ნასყიდაშვილი, პარმენ ლორია, გიგო ბასილაშვილი, ლავრენტი ძიმისტარიშვილი, შალვა ციბაძე, გრიგოლ გრიგორიანი, გიორგი შვანგირაძე, შალვა შუბლაძე, კარლო არჯევანიძე, ერმილე შარაშიძე, პარმენ რურუა, გრიგოლ შარაძე, იაშა ჯიბუტი, ივანე ასკურავა, გრიგორ გორგაძე, დათიკო დუმბაძე, ჯემალ ნოღაიდელი და შალვა იოსელიანი (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2).

ნებართვის მისაღებად ეს სია გაეგზავნა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმს.

კავშირში მისაღებ მწერალთა ნუსხა წინამორბედი სიისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აქ ბევრი ახალი სახეა. ამას კრიტიკოსი შ. ქურიძე შემდეგნაირად ხსნიდა:

“მომდევნო ისტორიულ პერიოდში – 1928-1934 წლების მანძილზე აჭარის მწერალთა შემადგენლობამ ღრმა ცვლილება განიცადა და საფუძვლიანად გადახალისდა – მწერალთა პირველი თაობის დიდი უმრავლესობა ჩამოშორდა ლიტერატურას – ისინი ვეღარ აკმაყოფილებდნენ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

...საგულისხმოა, რომ პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის წარმომადგენელთა “განთესვას” ლიტერატურიდან რაიმე თვალსაჩინო გავლენა არ მოუხდებია მწერალთა ორგანიზაციის რაოდენობრივ შემადგენლობაზე” (ქურიძე 1970:15).

საგანგებო ყრილობას თბილისიდან მწერლების 15-წევრიან დელეგაციასთან ერთად მასწავლებლები, მოსწავლეები, დაწესებულებების თანამშრომლები, დამკკრელი მუშები, კომკავშირის აქტივი, პარტიისა და პროფკავშირის წარმომდაგენლები ესწრებოდნენ. უშუალოდ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირიდან წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი წევრები: ს. ეული, ბ. ულენტი, ბ. ჯავახიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ფ. ნაროუშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ტ. ტაბიძე, ნ. მიწოშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ჩხილავაძე, ფარნიევი, მაშაშვილი და ლ. ქიაჩელი. ხოლო მასპინძელ განყოფილებას შემდეგი მწერლები წარმოადგენდნენ: მალაზონია, ლორია, გორგაძე, რურუა, გრიგორია, ჯიბუტი, მანჯავიძე, ბარაბაძე, ს. ჯორბენაძე, ხუციშვილი, კანდელაკი, ჯემალ ნოღაიდელი, ხუსეინ ნაკაიძე და შვანგირაძე. ყრილობის გახსნის პატივი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს მუსტაფა ჩახვაძეს ერგო. საპატიო პრეზიდიუმის წევრებად სტალინი, კალინინი, მოლოტოვი, დ. მახარაძე, ლ. ბერია, მ. ლორთქიფანიძე, გოროშილოვი და გეურქოვი აირჩიეს.

სანდრო ეულმა 23 აპრილის დადგენილებასა და საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შედეგებზე ისაუბრა, ხოლო ჯიბუტი აჭარაში ორგანიზაციის მუშაობის სუსტ მხარეებზე გაამახვილა ყურადღება და ახლადჩამოყალიბებულ საბჭოთა მწერლების კავშირს მოთხოვნა წაუყენა მუშაობის გარდაქმნისა და ახალი კადრების წამოყენების შესახებ. იგი წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორების ოპტიმალურ გამოსავლად მიიჩნევს ზემოთაღნიშნულ დადგენილებას. ყურადღებას აქცევს ასევე ქართველი კლასიკოსი მწერლების

დაუსაბუთებელ, უარყოფით შეფასებებს და ცდილობს მათ რეაბილიტაციას. უერადღების ცენტრში ხვდება ასევე თანამედროვე მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომლის შემოქმედება საბჭოთა რეალობისათვის მიუღებელია. პროზაიკოსს ამჯერად დანაშაულად უთვლიან “დამპატიუეს” დაწერას და მის გამოსწორებას მოითხოვენ. მწერალიც თავის გადასარჩენად მზადაა დადოს პირობა და „გამოსწორდეს“.

ყრილობა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის აჭარისტანის განყოფილების ბიუროს ირჩევს დ. დუმბაძის, ა. ნაკაიძის, ნ. მალაზონიას, გ. გორგაძის და პ. ლორიას შემადგენლობით, ხოლო კანდიდატებად: გ. გრიგორიანსა და შ. შუბლაძეს ასახელებენ. ასევე იქმნება სარევიზიო კომისიაც, რომლის წევრებად გვევლინებიან: ლ (ლაშა) ჯიბუტი, პ. რურუა და ჯორბენაძე.

რაც შეეხება ყრილობის რეზოლუციას, იგი ამ ეპოქისათვის ტიპური დოკუმენტია. მასში “ლენინური ნაციონალური პოლიტიკაცაა” ნახსენები კლასობრივი მტრების გააფთრებული „წინააღმდეგობებიც“, „პოლიტიკური შეცდომებიც“, „სოციალისტური მშენებლობის ტემპებიც“, მუშათა კლასის მსოფლმხედველობაც და სხვ. ცხადია, აქვეა მითითებები მუშა-ახალგაზრდობისა და კოლმეურნეების წრიდან კადრების დაწინაურების, თეორიული დონისა და მხატვრული ოსტატობის ამაღლების შესახებ.

საინტერესოა, რომ 1932 წლის 7 დეკემბრის კრების ოქმის ჩანაწერის მიხედვით, საქართველოს საბჭოთა მწერლობის აჭარისტანის განყოფილებაში გასაწევრიანებლად მზაობა 26 მწერალმა გამოხატა და მათგან დადებითი პასუხი მხოლოდ 21 კანდიდატმა მიიღო. მწერალთა შეფასების ახალი კრიტერიუმისათვის შეუსაბამო აღმოჩნდენ ვლადმიერ თოდრია, ვლადიმერ ნასყიდაშვილი, შალვა იოსელიანი, გიგო ბასილაშვილი, არჯავენიძე (სახელი უცნობია).

საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის განყოფილების საორგანიზაციო საქმიანობა იმუამინდებლი წესის და რიგის ფარგლებს არ სცილდებოდა. განყოფილება პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად განსაზღვრავდა აქტუალურ თემებს და ავალებდა მწერლებს ამ თემებზე მუშაობას, ზრუნავდა გამომცემლობის საკითხებზე, ცდილობდა მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ძირითადი ფუნქცია მაინც წევრთა იდეურ-პოლიტიკური სიმტკიცის

უზრუნველყოფა იყო. ამ საქმიანობის ზოგადი სურათის წარმოსაჩენად აქ ორიოდე მაგალითის მოყვანით დაგემაყოფილდებით.

განყოფილების გამგეობამ არაერთხელ დაგმო ა. შერვაშიძის, როგორც გამოუსწორებელი კომბინატორის და სპეციალიანტის საქმიანობა, ერთხანს აჭარაში მუშაობაც აუკრძალა და რეპერტუარიდან მოხსნა მისი პიესა „ბახტრიონი“. თუმცა მოგვიანებით, 1945 წლის 30 მაისის გამგეობის სხდომაზე მაინც მიიღეს კავშირის წევრად” (ფონდის p – 228, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №201).

კავშირში მიიღეს აგრეთვე შალვა შუბლაძე და კაპიტონ რუსიძე, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის მიმართ სერიოზული შენიშვნები ჰქონდათ. გამგეობის აზრით, მას აკლდა თავდაჭერილობა, კოლეგიალობა, თავმდაბლობა და თავაზიანობა. ამიტომ, მიღებით კი მიიღეს, მაგრამ ურჩიეს, თავი დაუნებებინა ყოყოჩობისა და ამპარტავნობისთვის (ფონდის p – 228, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №190).

არსებული წინააღმდეგობა დიდად ვერ აღღვევდა აჭარის მწერალთა იდილიას. ცხადია, აქ „იდილია“ პირობითი ტერმინია. ცხარე იდელოგიური ბრძოლები აჭარაშიც იგრძნობოდა, მაგრამ ბათუმში ის არ იყო თბილისის დარი გაქანებისა. აქ ლიტერატურულ მიმდინარეობებს შორის იდეოლოგიური და ესთეტიკური წინააღმდეგობების გამოძახილიდა აღწევდა. 30-იანი წლების რეპრესიების მასშტაბიც ნაკლები იყო, მაგრამ ეს ყველაფერი უპირველესად ორგანიზაციის სისუსტით იყო გამოწვეული, თორემ “კომუნიზმის მშენებლებს” შემართება არ აკლდათ.

1937 წლის რეპრესიები ბათუმსაც შეეხო. თბილისის კვალდაკვალ, აქაც იმართებოდა კრებები, სადაც გამოჰქონდათ მრისხანე რეზოლუციები. მაგალითად, ბათუმში 1937 წლის 1 აპრილს გამართულ კრებას მწერლები საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ცენტრალური გამგეობიდანაც ესწრებოდნენ. მოხსენება პოეტმა ვასო გორგაძემ გააკვთა. ამ უკანასკნელმა საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროდ სცნო ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, შეკრებილთ გააცნო “კონტრეგოლუციურ ტროცკისტთა და მემარჯვენე გარეწართა ძირისგამომთხრელი მუშაობა”. მიწოდებული ინფორმაცია ყველასათვის გასაგები აღმოჩნა, კითხვები მხოლოდ

გრიგორიანს გაუჩნდა, რომლის გამოსვლაც კონტრევოლუციურ ქმედებად ჩათვალეს, მისი საქციელი დ. დუმბაძემ მკაცრად გააკრიტიკა და შეკრებილო განუმარტა:

“გრიგორიანის ლაყბობა ბოსიაკობისა და ბოგების შესახებ არის ცილისწამება დიდ რუსის ხალხზე, იმ ხალხზე, რომელმაც მსოფლიოს მისცა გენიოსი ლენინი, მსოფლიო კულტურის მწვერვალი ლენინიზმი – კაცობრიობის ჩირალდანი, მსოფლიოს მშრომელთა უმძლავრესი იარაღი გამარჯვებისათვის” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2).

უნდა ადინიშნოს, რომ ამ პერიოდის სხდომებზე ნაკლებად ეხებიან ადგილობრივი ორგანიზაციის წევრებს, უფრო მთელ ქაყანაში მიმდინარე მოვლენებზე მსჯელობენ, მიჰყვებიან ხოლმე გაზეთ „კომუნისტის“ მოწინავეთა მასალებს და მრისხანედ გმობენ „ტროცკისტებს“ თუ კონტრრევოლუციონერებს. ისიც ცხადია, რომ 30-იანი წლების რეპრესიები უსისხლოდ ვერც აჭარაში ჩაივლიდა. პირველი მსხვერპლი როგორც ჩანს, ახალგაზრდა და იმედისმომცემი პოეტი ლაშა ტბაურია (ლავრენტი ძიმისტარიშვილი).

მოგვიანებით ლაშა ტბაური კრიტიკამ შეაფასა, როგორც ახალი თაობის იმედისმომცემი შემოქმედი. კერძოდ, შ. ქურიძე წერდა: “განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ ამ პერიოდში აჭარის ლიტერატურას შეემატა სამი ნიჭიერი პოეტი: მ. ვარშანიძე, შ. იოსელიანი და ლ. ძიმისტარაშვილი (ტბაური), რომელთა ბედი შემდგომ სხვადასხვანაირად წარიმართა: თუ ერთი დღესაც ნაყოფიერად მუშაობს, მეორე დიდ სამამულო ომში დაიღუპა, მესამე კი – 1937 წელს” (ქურიძე 1970:20).

ლაშა ტბაური 1935 წლის 14 ოქტომბერს გარიცხეს სამწერლობო ორგანიზაციიდან. ამ სხდომაზე სხვა საკითხი არც განუხილავთ და გადაწყვეტილებაც ერთხმად მიიღეს. რევაზ კვერენჩილაძის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ახალგაზრდა პოეტის წინაღმდეგ მიმართული კამპანია 1934 წელს დაიწყო. მისი მოღალატეობივი ქმედებები დაუკავშირეს 1932-34 წლებში ბათუმელი მოსწავლეების საქართველოს ისტორიის და ქართული პოეზიის შემსწავლელთა წრეს, რომელიც დიმიტრი ძიმისტარიშვილს,

შოთა გოგუასა და პავლე მორჩილაძეს აერთიანებდა. წრემ 2-3 თვე იარსება მხოლოდ, თუმცა ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აჭარის პოლიტსამმართველოს ანტისაბჭოთა ქმედებებში შემჩნეული მოხწავლეები დაეპატიმრებინა.

ლავრენტი ძიმისტარიშვილი ამ წრის წევრი არ ყოფილა, მაგრამ მისი და სხვა ახალგაზრდების პატრიოტული განწყობა გახდა მიზეზი მათი ამ წრესთან დაკავშირებისა. ისინი 1935 წელს დააპატიმრეს. ლაშა ტბაური გადასახლებაში დაიღუპა.

1937 წელს რეპრესიებს შეეწირა მემედ აბაშიძე. იგი 1937 წლის 12 ივლისს დააპატიმრეს. საბრალდებო დასკვნაში ეწერა: 1934 წლის სააჯანყებო კრინიკის „ნაციონალური პარტიის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ერმილეს მე ლადიძემ გადაიბირა და ხელმძღვანელ კომიტეტში შეიყვანა... სულ მალე, 1937 წლის 17 სექტემბერს მემედ აბაშიძეს სიკვდილი მიუსაჯეს (კვერენჩილაძე 2007:260).

რაც შეეხება საკუთრივ სალიტერატურო პროცესს, უნდა ითქვას, რომ მწერლობა ერთიანად გადაერთო რა საპროპაგანდო საქმიანობაზე, თავისუფალი შემოქმედების ადგილი ნაკლებად დარჩა. სოციალისტური საზოგადოების ურთიერთობის წესი და რიგი, კომუნიზმის მშენებლობის გზები და მეთოდები, შესაბამის ტერმინოლოგიასთან ერთად, მწერლობაშიც დამკვიდრდა. ამიერიდან მწერლები იღებდნენ ვალდებულებებს, ასრულებდნენ გეგმებს, ან მისი შეუსრულებლობისათვის კრიტიკის ქარცეცხლში ეხვეოდნენ, იწვევდნენ ერთმანეთს სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოძღვრავდნენ ჩამორჩენილებს და ა. შ. აკაკი ბაქრაძის სამართლიანი შენიშვნით, ამ პირობებში მწერლობა გაიგივებულია აგურის დამზადების ერთიან პროცესთან, მწერლობა მიჩნეულია მეხამლედ, რასაც შეუკვეთავ, იმას დაგიმზადებს (ბაქრაძე 1990:44). ეს საყოველთაო პროცესი იყო, დამახასიათებელი მთლი საბჭოთა მწერლობისათვის და ბუნებრივია, მისი ნაწილის – აჭარის მწერალთა ორგანიზაციისათვისაც. აქაც იღებდნენ მწერლები ვალდებულებებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს მწერალთა კრებების ოქმებიდან.

1933 წელი: “ამხან. ძიმისტარიშვილი. ვდებულობ ვალდებულებას დავწერო ერთი მოთხოვობა სკოლის ცხოვრებიდან, სანავთო და კომუნალურ ტექნიკუმში ჩამოვაყალიბო ლიტერატურული წრე და ვუხელმძღვანელო.

ამხ. დოხნაძე. ჩამოვაყალიბო ლიტერატურული წრე ქალაქის საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა შორის და ვუხელმძღვანელო, ასეთივე წრე ჩამოვაყალიბო პირველ საბჭოთა მამულში, დავწერ ერთ პიესას ციტრუსის შესახებ.

ამხ. ე. შარაშიძე. ვდებულებ ვალდებულებას დავწერო ერთი პიესა აჭარისტანის ცხოვრებიდან 1905 წლის ისტორიულ მასალებზე.

ამხ. მალაზონია. ვდებულობ ვალდებულებას დავწერო პოემა აჭარისტანის ცხოვრებიდან. ვიწვევ ამხ. ლ. შარაშიძეს...

ამხ. შარაშიძე. ვდებულობ ვალდებულებას დავწერო მოთხოვობა აჭარისტანის ცხოვრებიდან.

ამხ. შენგელია. დავწერავ მოთხოვობას აწესის მშენებლობიდან” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, ოქმი №33).

“აჭარისტანის ბავშვთა ცხოვრებიდან ჯერ არაფერი დაწერილა და ეს გარემოება გვავალებს ჩვენ დავრაზმოთ ყურადღება აქეთკენ. ჩვენ გვაქვს ყოველგვარი შესაძლებლობა შევქმნათ აჭარისტანის ბავშვებისათვის შესაფერისი ლიტერატურა. აქ მოიძებნებიან ძალებიც, რომლებსაც შესწევთ ძალა იმუშაონ საბავშვო ლიტერატურაზე” (ფონდის P – 928. ანაწერი 1, ოქმი №32).

1937 წელი: “დაევალოს ამხანაგებს იმუშაონ არჩევნებისადმი მიძღვნილი თემებზე და გამოაქვეყნონ გაზ. “საბჭ. აჭარაში” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №15).

1938 წელი: “სიტყვებით გამოვიდნენ: მალაზონია, რურუა, იოსელიანი, ვარშანიძე. გამოსული ამხანაგები კისრულობენ აქტიურ მონაწილეობის მიღებას არჩევნებისათვის სამზადისში.

6. მალაზონიამ იკისრა დაწეროს ლექსი არჩევნებისადმი მოთხოვნილი. აიყვანოს დებულების შემსწავლელი წრე, გამოვიდეს საარჩევნო კრებული ლექსებით.

შ. იოსელიანი ვალდებულებას ღებულობს დაწეროს დექსი არჩევნებისადმი მიძღვნილი. მოაწყოს არჩევნებისადმი მიძღვნილი რადიო გადაცემა, გამოვიდეს ლექსებით საარჩევნო მოსამზადებელ კრებებზე.

პ. რურუა, მ. ვარშანიძე, კისრულობენ არჩევნებისადმი მოძღვნილ ლექსების დაწერას.

პ. ლორია კისრულობს მხატვრულ წერილების დაწერას არჩევნებისადმი მიძღვნილს, ლექსებითა და სიტყვებით გამოსვლას საარჩევნო მოსამზადებელ კრებებზე.

დაადგინეს: გამოსულ ამხანაგების მიერ ნაკისრი ვალდებულებები შეგანილ იქნეს ოქმში და დაევალოს თვითეულ მათგანს მისი შესრულება საარჩევნო მხარესთან დაკავშირებით გამოცემულ იქნეს ლიტერატურული გვერდი გაზეთ „საბჭოთა აჭარასთან“ (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №5/21).

1949 წელი: “ამხ. ლორია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 29 მარტს სრულდება ამხ. ლ. პ. ბერიას დაბადებიდან 50 წელი. ქართველი ხალხი სიყვარულითა და აღფრთოვანებით აღნიშნავს თავისი საყვარელი შვილის – დიდი სტალინის სახელოვანი მოწაფის ამ საიუბილეო თარიღს. ჩვენ - აჭარში მომუშავე მწერლებმაც უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა. შევქმნათ ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებები.

1950 წელი: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავთან დაკავშირებით 25 თებერვლისათვის გამოშვებულ იქნას ლიტერატურული აღმანახი, რისთვისაც აქედანვე მიეცეს დაკვეთა ამხანაგებს იმუშაონ შერჩეულ თემებზე და დასრულებული ნაწარმოებები წარმოადგინონ არა უგვიანეს ა/წ. 31 დეკემბრისა.

დაევალოს ამხანაგებს დაწერონ მხატვრული ნარკვევები, ლექსები, ხოველები და გადასცენ რედაქციებს დასაბეჭდად” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №20) და ა. შ.

დასასრულ, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საჭირბოროტო თემას: პოსტრევოლუციურ პერიოდში კომუნისტური პარტია ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო „სოციალისტური მშენებლობის“ პროცესში. ამით იგი ერთი მხრივ, ბოლშევიკური მსოფლმხედველობისა და სულისკვეთების

დანერგვას ცდილობდა, მეორე მხრივ, თურქეთის სოციალური თუ პოლიტიკური გავლენის აღმოფხვრას. ამ უკანსაკნელ მისწრაფებაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ბოლშევიკური პოლიტიკა გარკვეული თვალსაზრისით აჭარის მოსახლეობის საერთო ქართული საზოგადოებისგან გამოყოფასაც გულისხმობდა. ამის ერთ-ერთი საფუძველი იყო აჭარელის, როგორც ერთნიკური ერთეულის ცალკე აღიარება. 1939 წლამდე გაიცემოდა პასპორტი, რომელშიც ეროვნებათა გრაფაში ცალკე იყო გამოყოფილი „აჭარელი“. ეს ტენდენცია, ბუნებრივია, ასახულია სხვა ოფიციალურ დოკუმენტებშიც და მათ შორის მწერალთა კავშირის ოქმებშიც.

კავშირის საარქივო დოკუმენტებში დაცულია პროლეტმწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილების წევრებისა და კანდიდატების სია, რომელშიც გამიჯნულია ქართველი და „აჭარელი“ ეროვნების მწერლები. კერძოდ, პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან: შალვა ართილავა, ზაქარია გრემი, ნესტორ იმედაშვილი, პარმენ ლორია (პ. ობოლი), თამარა ლეჟავა, ვასილ მახარაძე, ნესტორ მანიძე, პერმენ ოდიშელი, ირაკლი ფერაძე, გია ქემხაძე, ლადო შარაშიძე, გრიგოლ შარაშიძე, სიმონ ჯორბენაძე, ილია ჯიბუტი, ბარნაბა თადუმაძე, ივანე ასკურავა და პავლე მამალაძე. ეროვნებით აჭარელს მოიხსენიებენ: ხასან გოგიტიძეს, ჯემალ ნოდაიდელს, ალი ქათამაძესა და ხევსეთ თხილაიშვილს (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, №65).

საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ნესტორ მალაზონია აჭაროლქომის კულტკრატიკანყოფილების განყოფილების გამგის სახელზე მომზადებული მოხსენებაში აღნიშნავს:

„1927 წლიდან აჭარისტანში დაარსებულია საქ. პროლეტ. მწრალთა ასოციაციის განყოფილება, რომელსაც ყავს ბიურო და აწარმოებს მუშაობას.

განყოფილება აერთიანებს 23 წევრს /მათში 4 აჭარელია/“ (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1, №64). უნდა აღინიშნოს, რომ ამავე 30-იან წლებში (პასპორტი საბჭოთა კავშირში 1932 წლიდან შემოიღეს) ოფიციალური აღრიცხვა აჭარის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილებისა არ ყოფილა ერთგვაროვანი. ვის „აჭარელი“ ეწერა, ვის „ქართველი მუსლიმანი“, ვის კიდევ „ქართველი“. ეს მავნე პრაქტიკა მერე

და მერე გამოსწორდა, თუმცა აჭარლების ცალკე ეროვნებად მოხსენიების ინერცია საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა რუსეთში უკანასკნელ ხანებამდე არ მოშლილა.

### თავი III. XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმის სალიტერატურო პრესა

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბათუმს განსაკუთრებით რთულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. გასაკვირი არაა, რომ არსებული რეჟიმის პირობებში მხატვრული ლიტერატურა ბუნებრივი გზით ვეღარ ვითარდებოდა და საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავისუფალ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს არსებობა გაუქირდებოდა.

20-იანი წლების ბათუმი სალიტერატურო გამოცემებით დარიბია. სახელისუფლო პრესაში უპირატესად იძებდება იდეოლოგიური, საპროპაგანდო სასიათის მხატვრული პროდუქცია. 1921 წლის 19 მარტიდან გამოდიოდა გაზეთი „უწყებები”, 1922 წლის 1 ივნისიდან მას ეწოდა „პროლეტარული ბრძოლა, 1923 წლის 18 მარტიდან 1924 წლის 18 მარტამდე ეს გაზეთი გამოდიოდა „ბრძოლის” სახელწოდებით, ამის შემდეგ, 1929 წლის 17 მარტამდე – „ფუხარას” სახელით. შემდეგ დაერქვა „საბჭოთა აჭარისტანი”, 1936 წელს კი (6 თებერვალი, №30) – „საბჭოთა აჭარა”. სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რიცხვი კი მცირეა, ტირაჟი შეზღუდული, ზოგიერთი მათგანის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა და დროთა განმავლობაში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. იდეოლოგიური და საბჭოთა ცენზურისაგან დაკავშირებული პრობლემების გარდა, შ. ქურიძე მიუთითებს სხვა მიზეზების შესახებ, რის გამოც უჭირდა მაშინ სალიტერატურო პრესას არსებობა. კერძოდ, კრიტიკოსი წერს:

- „ბათუმში არ იყო სახელმწიფო გამოცემლობა, არ გამოდიოდა არც ერთი ლიტერატურული ჟურნალი ან გაზეთი. მართალია, დროდადრო მწერალთა ესა და თუ ის ჯგუფი უშვებდა ლიტერატურულ ჟურნალებს, მაგრამ კადრებისა და ლიტერატურული პროდუქციის სიმცირის გამო ისინი ერთი-ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ არსებობას წევეტდნენ” (ქურიძე 1970:5).

XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმში გამოიცემოდა:

1. „პოეზიის დღე“. 1921 წლის 29 აპრილს გამართულმა მწერალთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, ქართული პოეზიის დღისადმი მიძღვნილი გაზეთისა და სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალის გამოცემისა. სარედაქციო კოლეგიაში გაერთიანდნენ: სანდრო ჩაჩიკაშვილი, სიმონ წეველი (გაჩერილაძე). 7 მაისს მკითხველმა აჭარის სახალხო განათლების ხელოვნების განყოფილების მიერ გამოცემული ოთხგვერდიანი გაზეთი „პოეზიის დღე“ მიიღო (ჟურნალი აღარ

გამოსულა), რომლის ბათუმში გამოცემა მნიშვნელოვანი ფაქტია: როგორც ცნობილია, ქართველ მწერალთა II ყრილობაზე, 1920 წლის 4 აპრილს დაწესდა პოეზიის დღე – 7 მაისი. ამ დღის აღსანიშნავად გამოიცა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“. (ჩოხარაძე 1997:51) ასეთი გაზეთი თბილისში წელიწადში ერთხელ, 7 მაისს, მწერალთა კავშირის სახელით რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიცემოდა. პოეზიის დღე ბათუმშიც აღინიშნებოდა და გაზეთიც იბეჭდებოდა. პირველი ნომერი, როგორც ვთქვით, 1921 წელს გამოიცა, მეორე - 1922 წლის 7 მაისს, მესამე – 1923 წელს. სამივე ნომერი დაკარგულია, ერთ-ერთი ნომრის შესახებ გარკვეული ინფორმაცია არსებობს, კერძოდ, გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება:

„რედაქციამ მიიღო ქ. ბათუმში გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე“. გაზეთში მონაწილეობენ: ბარნოვი ვასილი, ტაბიძე გალაკტიონი, კასრაძე დ., გაფრინდაშვილი ვალერიან, ქუჩიშვილი გ., ვარდოშვილი ხარიტონ, ნადირაძე კ., ყიფიანი ი., კაპანელი კ., ცვარნამი დ., და სხვა. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე ტრაგიულად გარდაცვლილი ახალგაზრდა პოეტის კიკნა-ფშაველას დაუბეჭდავი ლექსი.“

2. „კანდელი“. ცნობილია, რომ 1922 წელს ბათუმში გამოვიდა სალიტერატურო ჟურნალი „კანდელი“. გაზეთი „პროლეტარული ბრძოლა“ 1922 წელს 469-ე ნომერში აქვეყნებს ინფორმაციას მწერალთა ყოველთვიური ჟურნალის გამოსვლის შესახებ:

„კვირას, 11 ივნისს ბათუმში გამოვა ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი „კანდელი“ პირველი ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია გალ. ტაბიძის, ს. აბაშელის, ობოლი მუშის და ალ. ბლოკის სურათები. ჟურნალში მონაწილეობენ (რიგზე) გ. ტაბიძე, ს. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, შ. ჯანბერიძე, ობოლი მუშა, აბრამი, დარიალი, თ. სიხარულიძე და დ. კასრაძე. ჟურნალი სუფთად არის გამოცემული და შეიცავს 32 გვერდს“ („პროლეტარული ბრძოლა“ 1922:№469).

„კანდელის“ არსებობის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით რ. კვერენჩილაძის წიგნში „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1982“ (კვერენჩილაძე 1983:379) და დ. ბაქრაძის ცნობარში „ქართული პერიოდიკა 1800-1945“, „ბიბლიოგრაფიაში“ (ბაქრაძე 1946:70) სხვა ინფორმაცია ჟურნალის შესახებ ვერ მოვიპოვეთ. დასახელებული ავტორებისგან გამომდინარე შეიძლება

უურნალის ლიტერატურული პოზიციისა და მიმართულების შესახებ მხოლოდ გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

3. „ასპიროზი“. 1923 წელს გამოვიდა ყოველკვირკვეული სალიტერატურო, სამეცნიერო და საინფორმაციო გაზეთი „ასპიროზი“. თებერვლიდან ივლისამდე 5 ნომერი დაიბეჭდა. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთი, 3 მარტის მესამე ნომერი იყო დაცული. „ასპიროზი“ ძირითადად გ. ლეონიძის, ი. ხონელის, პ. კაპანელის, ჭანტურიას და სხვათა ლექსები და წერილები იბეჭდებოდა. რედაქცია ინტერნაციონალისტის ქუჩაზე, №23-ში მდებარეობდა.

„ასპიროზის“ მესამე ნომერში წარმოდგენილი ავტორებიდან ბათუმში მოღვაწეობდნენ გრ. ნუცებიძე და ნ. ზომლეთელი. მეთაური წერილი „მეცნიერება და პოეზია“ ეკუთვნის პ. პ. -ს (კონსტანტინე კაპანელს? მ. თ). გრ. ნუცებიძის სტატია „ყანწელები ძიების გზაზე“, ნ. ზომლეთელის „გურიას“, გ. ლეონიძის „სტეფანე მალარმე“ და ლექსი „აზნაურ ასულს“. დარიალის ფსევდონიმით იბეჭდება ოქტავ მირბოს თარგმანი „განათლებული ველურები“, ხოლო მარუთა შუამდინარელის ფსევდონიმით იოსებ გრიშაშვილის ლექსი - „მერის წერილი“.

აპოლიტიკური უურნალის ძირითად თემატიკას განსაზღვრავს იმ დროისათვის არსებული ლიტერატურული პროცესები. პ. პ. წმინდა ხასიათის პოეზიას განიხილავს და მეცნიერებასთან მიმართებაში წარმოადგენს. მისთვის მიუღებელია კვლევაზე დაყრდნობილი ლექსი. მართალია, ეს უკანასკნელი მეცნიერების წიაღში წარმოიშობა, მაგრამ მისგან რადიკალურად განსხვავდება. ავტორი ცდილობს, თავი დააღწიოს გონსა და ინტელექტს და გრძნობების სამყაროში დასახლდეს.

„პოეზია ელვიური გამოკრთომაა სულის დელვის, დინამიური ამოძახილია მსოფლიო რიგმის: პოეზია იდეების ფერხულია გრძნობის სასახლეში; პოეზია ტანჯული სულის სხივოსანი აკვამლებაა – სევდის სიმფონია ტანჯვის სამრეკლოში

პოეზია სიღრმის ხილვაა და განცდა მარადობის“ (პ. პ. 1923:1).

ამ განცდათა ერთგვარი გაგრძელებაა გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსები. პოეტების მუზის საგანი სოციალისტური სამყაროს აღმშენებელობა და საბჭოთა „მამები“ კი არა, არამედ მშობლიური გურია, ქალის სილამაზე და ა. შ.

4. „ისპირი”. 1924 წელს, ბათუმში გამოიცა ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „ისპირი”. რედაქცია მოთავსებული იყო ინტერნაციონალის (ახლანდელ მემედ აბაშიძის) ქუჩაზე, №2-ში, ალექსანდრე ესაკიას კუთვნილ ბინაში. ჟურნალის რედაქტორი გახლდათ პოეტი და დრამატურგი ვიქტორ გაბესკირია.

სარედაქციო წერილში ჩამოყალიბებულია ჟურნალის კრედო, მიზნები და ამოცანები. ნიშანდობლივია, რომ ავტორები ცდილობენ, შეძლებისდაგვარად გვერდი აუარონ ეპოქის იდეოლოგიურ მოთხოვნებს და “ისპირს” მიზნად დაუსახონ არა გაბატონებული პოლიტიკური ძალისა და იდეალების, არამედ ზოგადად ქართული სიტყვის სამსახური. წერილში გვითხულობთ: „ჟურნალისათვის დაგროვილი მასალები მრავალფეროვანია, მრავალგვარი სახეები და იდეოლოგია, ბევრი შეიძლება სრულიად მოკლებული „თანამედროვეობის ესთეტიურ გაგებას”, მაგრამ ვამბობთ: ყოველი ხატი მშობლიურ ხელოვნების ტაძრიდან ჩვენთვის ძვირფასია. აქედან მოდის ქართული კულტურის რესტავრაცია.

ვფიქრობთ: ქართული ლიტერატურის იდეოლოგნი ინსტიკტიურად მაინც მივლენ იმ დასკვნამდე, რასაც მოჰყვება პარტიზანულ ომის საბოლოო ლიკვიდაცია.

როგორც აქ დაგროვილი მასალებიდან ჩანს, ჩვენ სრულიად შორს ვსდგევართ მწერალთა დიფერენციისაგან, გვიყვარს ქართული კულტურის მთლიანი სახე. არსებულ ლიტერატურული შკოლების გარეშე დგომაც გვაშორებს განსაკუთრებულ პრინციპებსაც და ამ რიგად გვრჩება მხოლოდ სიყვარული ქართული ხელოვნებისადმი” (ქურიძე 1970:4).

„ისპირი” მცირე ფორმატის, ორმოცდარვაგვერდიანი ჟურნალია საქმაოდ საინტერესო აგტორებითა და ლიტერატურული პროდუქციით. კერძოდ, აქ დაბეჭდილია სარედაქციო წერილი „მეთაური”, კუშა ღოდობერიძის „ულიანოვ”, იოსებ გრიშაშვილის „პაუზა”, სტეფან გეორგეს ლექსის „ლიტანიას” კონსტანტინე გამსახურდიასეული თარგმანი, კოტე მაყაშვილის „ახალგაზრდა ქალს”, დუტუ მეგრელის „შენ გიყვარს დედა...” მიშელ გალორის „ლოცვა სონეგმი”, გრიგოლ გრიგორიანცის „წარსულიდან”, ვიქტორ გაბესკირიას „ხატიჯა”, ლეო ქიაჩელის „ლანდები”, დია ჩიანელის „ბათომის ქრონიკა”, შალვა დადიანის „სასახლე”, გრიგოლ ნუცუბიძის „ყმაწვილი წითელ მანტიაში”, შალვა გომართელის „ჩვენი თეატრი” ემილ ვალდის „ქართული თეატრი აჭარაში”,

“ბიბლიოგრაფია და ქრონიკა”. მიმოიხილავს და აფასებს ოა სამწერლო ასპარეზზე ამ დროისათვის არსებულ მდგომარეობას, „ისპირი” ცდილობს, გაემიჯნოს მხატვრული ლიტერატურის საბჭოთა იდეოლოგიის საქრდენ ძალად ქცევის პროცესს, წინააღმდეგია ეროვნული მწერლობის სოციალისტურით ჩანაცვლებისა.

„ისპირს” ადანაშაულებდნენ ანტისაბჭოთა მსოფლმხედველობის გამო. ანტისაბჭოთა მსოფლმხედველობად კი კრიტიკა იმას მიიჩნევდა, რომ უურნალის გამომცემლებისათვის მთავარი და ღირებული იყო ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული მწერლობის ერთიანობა და არა მისი დაყოფა კლასობრივი, პოლიტიკური თუ ესთეტიკური ნიშნით. გამომცემლები არც იმას უარყოფდნენ, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული მასალები არ პასუხობდა საბჭოთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნორმებს. საბჭოთა ცენზურას, ცხადია, არ გამოეპარებოდა იმ დროისათვის საკმაოდ თამამი პოზიცია. ამას ისიც დაემატა, რომ პირველ ნომერში ადგილობრივ მწერალთა თხზულებები თითქმის არ გამოჩენილა. სწორედ, ზემოხსენებულ პრობლემათა შეფასებას ცდილობს შ. ქურიძე ნაშრომში „მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში”: “ისპირი” გულწრფელად ეძებდა ბლოკს პროლეტარულ მწერლობასთან, ცდილობდა ერთიანი ფრონტის შექმნას ქართული კულტურის „საერთო” ინტერესებისათვის. მაგრამ ბლოკი პროლეტმწერლობასთან და „ლიტერატურული შკოლების კარეშე დგომა”, განსაკუთრებული პრინციპებისგან დაშორება, ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო და „ისპირმა” დაბადებისთავე შეწყვიტა არსებობა, მით უმეტეს, რომ იგი არ იდგა მკვიდრ ადგილობრივ ნიადაგზე და ძირითადად თბილისელ მწერალთა ლიტერატურული პროდუქციით სარგებლობდა” (ქურიძე 1970:7).

რა თქმა უნდა, ადგილობრივ მწერლებთან თანამშრომლობის მოთხოვნა სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საბჭოთა ცენზურა უურნალს არ აპატიებდა სოციალისტური პრინციპებიდან გვერდზე გადგომას, უურნალ „კავკასიონის” წინაშე ქედის მოხრას, „აკადემიური ასოციაციის” და საერთოდ, იმ დროისათვის არსებული ყველა ლიტერატურული სკოლის აღიარებას.

უურნალი „ისპირი” „იყო, თუ შეიძლება ითქვას „აკადემიური ასოციაციის” უურნალ „კავკასიონის” ერთგვარი დამატება. გარდა იმისა, რომ მისი ავტორების უმრავლესობა (ი. გრიშაშვილი, პ. გამსახურდია, პ. მაყაშვილი, ლ. ქიანელი, შ.

დადიანი და სხვ.) „აკადემიურ ასოციაციას” ეპუთვნოდა, „ისპირის” რედაქცია ქება-დიდებას ასხამდა „კავკასიონს” და იგი მიაჩნდა იმ კიბის მარმარილოს საფეხურად, რომელსაც ქართული მწერლობა უნდა აეყვანა „ზევით, უმტვერო თოვლით შემოსილ კავკასიონზე”. რედაქცია გულწრფელად ამტკიცებდა, თითქოს ქართულ მწერლობას იმხანად ისე არაფერი ესაჭიროებოდა, როგორც სიმშვიდე: “არა ბრძოლა, არამედ ნათესაობა და მირონი” (მეთაური 1924:6).

„ისპირის” პირველი და ერთადერთი ნომერი ოთხი განყოფილებისაგან შედგება, ესენია: პოეზია, პროზა, თეატრი და ბიბლიოგრაფია. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული პროდუქციის თემატიკაც და განწყობაც ცხადყოფს “ისპირის” ანტიპროლეტარულ პათოსს. აქ დაბეჭდილი ლექსებისა თუ პროზაული თხზულებების თემატიკა ძირითადად, რელიგიურ-პატრიოტულია ან სატრუქიალო. განწყობა – პესიმისტურ-დეკადენტური. აღსანიშნავია, რომ არც თუ იშვიათად თვალსაჩინოა მინიშნება 20-იანი წლების საქართველოს სატკივარზე. ალბათ, ამიტომ თუ შეარჩია გამსახურდიამ სათარგმნებლად სტეფან გეორგეს “ლიტანია”:

„დიდია წუხილი  
სულისა ჩემისა.  
მოვდივარ უფალო  
ისევ შენს საყდარში  
მოგვხედე უფალო  
გვისენი, გვისენი  
მოგვმადლე უფალო  
კურთხევა შენი” (გეორგე 1924:11).

ხოლო კოტე მაყაშვილის “ახალგაზრდა ქალს” პირდაპირ ეხმიანება აკაკი წერეთლის ცნობილ ლექსს “აღმართ-აღმართ”. აქაც ღიად იკითხება სამშობლო-სატრუქოს აკაკისეული ალეგორია და ”მტერს მონებებული” ქვეყნის სატკივარი:

„შესდეგ! ფრთხილადა! მინდა ვიყვირო,  
მინდა გეკვეთო შენს მტერს მქუხარედ  
და შენ კი... შენა... მწარედ გიტირო!  
დაიღუპები ჩემს თვალის წინა...  
ისევ სჯობს, ტურფავ, მე გავიწირო!  
გულს მოუნახო საფლავში ბინა...  
ჩემის სიკვდილ ით შენ... შენ გიტირო”

(მაყაშვილი 1924:13).

სატრფიალო მოტივი ყოველთვის როდი უკავშირდება სამშობლოს თემას, თუმცა თვალსაჩინოა სევდა და ნაღველი, მელანქოლია და სასოწარკვეთა, დამე და მარტოობა, ლოცვა და ოცნება:

„მე მიყვარს ლოცვით ათრთოლება შენი სახელის,  
მაცხოვრის ხატთან სამდურავი ისევ ჩემს თავზე.  
მაწვალებს დამით ცრუ ლანდების გამოძახილი...  
ცრემლი შენზე – მე თვალებში ვერ მოვათავსე.

დავდივარ მარტო ყრუ თთახში გიჟი და მთვრალი...  
ნესტიან სანთლებს ხატების წინ ისევ ავანთებ;  
სულიდან: სევდა ფირუზებად ჩუმად დავთვალე...  
და ფიქრი შენზე ნისლიანი დამეს გავანდე” (გალორი 1924:8).

მიშელ გალორეს ლექსში “ლოცვა სონეტში” მელანქოლია უკიდურესობამდე მიდის, დეკადენტური განწყობა თვითმკვლელობის სურვილში მჟღავნდება:

„ცეცხლიან თვალებს მწუხარებით შენზე ეთია,  
იყო: სიფიტრე ცივ ბაგეზე, დამით, დუმილში...  
დღეს: ძველი ხსოვნა, თვითმკვლელობა: წამით;  
თუ ვიშვი” (გალორი 1924:8).

იოსებ გრიშაშვილის ლექსი თითქოს უფრო ლაღია, თუმცა მოჭარბებული ტკივილი აქაც საგრძნობია:

„ქუჩა მოელის მთვარეს ნახევარს,  
სულის სარდაფში არ დადის ქარი,  
მე დავეჩვიე ლექსის დახევას  
ვინგრევი ციხე ნაქალაქარი.

დამწიფდა წიგნი, სიტყვა ქართული  
ვედარ ავასხი, ვერ ავამძივე” (გრიშაშვილი 1924:10).

“ვინგრევი ციხე ნაქალაქარი” ეპოქის სულისკვეთებით ნაკარნახევი მხატვრული სახეა უთუოდ, მითუმეტეს, რომ სიკვდილის თემა არც გრიშაშვილის “ისპირში” დაბეჭდილი ლექსისთვისაა უცხო:

“მეუბნებიან: ასჯერ, ათასჯერ,  
სურვილოთ ვეღარ გაიღიმებო!  
კაპასი კბილით ძარღვი გადასჭერ,

რომ სიცოცხლეში კიდევ იმეურ.

გზა სიკვდილისკენ არ შემოკლდება,

მწამს საყვედური ცოცხლების მიმართ" (გრიშაშვილი 924:10).

„ისპირის“ პოეზიას თემატურად რამდენადმე ეხმიანება გრიგოლ გრიგორიანცის „წარსულიდან“. მართალია, ლექსი მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ იგი სააღდგომო მიძღვნაა ქართველი მეგობრებისადმი. ამასთან საყურადღებოა ლექსში წმინდა ნინოს ხსენება:

„დიდ, მთაწმინდის მკერდზედა  
სჩანან ძველნი წმინდანნი!

ვაზის ჯვარით მკერდზედა,  
ნინო და სხვა დედანნი.

ისმის ტკბილი გალობა

მკრთალი ზეცაც ბანს აძლევს...

ერის მიმართ მადლობას

მზის სხივებით თავს დაჰუენს“ (გრიგორიანცი 1924:17).

„ისპირის“ ეროვნულ-პატრიოტულ განწყობას ნაკლებად ეხმიანება და თითქოს განცალკევებით დგას ვიქტორ გაბესკირიას „ხატიჯე“. „ერზრუმელი ხანუმის“ – ხატიჯეს სახით აღმოსავლური მოტივი იჩენს თავს, თუმცა ბათუმის ლიტერატურულ ჟურნალში ჩადრის ხსენება მაინც ნიშანდობლივია.

„ან უბედობას საით მივყევარო?

არაფერს ამბობს ეს ცივი ჩადრი

და უღმერთოა ეს შავი კალთა!

სახეს დაფარავს ფოთლები ჭადრის –

გადმოტანილი მეჩეთის კართან“ (გაბესკირია 1924:18).

საერთო განწყობით პოეზიის ანალოგიურია „ისპირის“ პროზაც. ამის ნათელი მაგალითია ლეო ქიაჩელის „ლანდები“. აქ ჯერ კიდევ იგრძნობა კვალი ექსპრესიონიზმისა, რომელიც დამახასიათებელი იყო მწერლის ადრეული შემოქმედებისათვის. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ წითელი ფერის ეკლებზე მინიშნებით თხზულების პათოსი აშკარად სცილდება სატრფიალო თემატიკას: წინა დამის ნამთვრალევი, უჭვებთან და სიყვარულთან მებრძოლი მამაკაცი აფასებს განვლილ გზას და ცდილობს, ნაცნობ დემონებს არ გაექცეს.

მოსვენებას არ აძლევს ფიქრი იმისა, რომ კუთვნილ ყურძენს ვიღაც სხვა წურავს, მას წილად მხოლოდ ჭაჭალა რჩება და სატრფოს მკლავებზე წითელი ფერის ეკლები ხარობს: “ვხედავ მკლავებს, რომლებზედაც დარგულა ეკლები წითელის ფერისა... ვხედავ... ვხედავ შენს შიშველ ტანს, ვნების მდინარეთა დარებით, რომელშიაც დასცურავენ ჩემი გიურ მოგონებები ლასი სახიანები მთვრალები და სენიანები! ვხედავ შენს მუცელს ნე...რი გოლგოთის მთითა, რომელზეც ამართულია ჩემი სულის სამი ჯვარცმა: ერთი მე ვარ, მეორე წარსული ჩემი, რომელიც ვიყავი მე და მესამე – მომავალი ჩემი, რომელიც ვიქნები მე!..” (ქიაჩელი 1924:21).

შალვა დადიანის “სასახლესა” და გრიგოლ ნუცუბიძის თხზულებაში “ყმაწვილი წითელ მანგიაში” ალეგორიების მიღმა შეიძლება დანახვა ერთი მხრივ, ეპოქის ხასიათისა, ხოლო მეორე მხრივ, მწერლის პოზიციისა. გრ. ნუცუბიძის ნაწარმოებში (რომელიც ნაწყვეტია რომანისა „მწვანე სხივი“) აღწერილია მწვანე სხივის სასწაულის მომლოდინე ზღვისაქეთელები. იშვიათად, მაგრამ მაინც ზღვასაქეთით მზე, როცა კმაყოფილი ეშვება ზღვასიქითში, გამოთხოვებისას სასწაულმოქმედ მწვანე სხივს ისვრის. მისი გაელვებისას თუკი ვინმე მოასწრებს რაიმეს ნატვრას, აუცილებლად აუსრულდება. მზემ გაიღო მოწყალება და მწვანე სხივით გამოესალმა ზღვისაქეთელებს. ზღვისპირა ქალაქში დასახლებულ უცხოს სჯეროდა, რომ მზემ მისი სურვილი სივრცის იქით წაიღო. ეს ის უცხოა, რომლისთვისაც ამაოების საზრუნავი არ არსებობს და მისი გონება ქვეყნის საფიქრალს დასტრიალებს თავს. იგი წითელი სამეფოს დამყარების დროს დასახლდა ქალაქში და ქალაქელებისათვის ბოლომდე უცხობად რჩება. ერთხელ გახდნენ მისი აღელვების მოწმენი, როდესაც მგოსანმა დაიძახა: „დროშები ჩქარა!“ უცხომ ვედარ მოითმინა და პოეტს გადაეხვია. რომანის ამ მონაკვეთიდან არ ჩანს თუ როგორ წარიმართება თავისუფლების მოყვარული უცხოს ცხოვრება, მაგრამ მწვანე სხივის სასწაულმოქმედ ძალას თუ გავითვალისწინებოთ, მას ნატვრა აუსრულდება და შეძლებს ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას.

თანამედროვე მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო იქნება დია ჩიანელის “ბათომის ქრონიკა”. ავტორი იუმორით ხატავს პატარა ზღვისპირა ქალაქის ცხოვრების სურათებს: ზღვის ნაპირას სამხრეთული მზით გამობარ შეუვარებულ ქალ-ვაჟს, დიდი გემის შემოსვლას ნავსდგურში, თუნუქის ქილაგამობმული ძაღლით გამხიარულებულ ბაზრის მოვაჭრებს, ნურის ტბის პირას გაშენებულ

ბალს. თუმცა სარკაზმიც საგრძნობია: ორმა ქურდმა ამერიკის კონსულს თრი დოლარი მოპარა, რამაც შავ ბირჟაზე დოლარის კურსი დასცა, სამაგიეროდ მალე ჩერნოვეცის კურსი ამაღლდა, რადგან ინგლისმა საბჭოთა კავშირი სცნო, თუმცა თაგვებთან და ბალლინჯოებთან ბრძოლა ამას არ შეუწელებია...

ცალკე უნდა აღინიშნოს კუშა ღოღობერიძის „ულიანოვი“. ჟურნალმა თითქოს ხარკი მოიხადა ლენინის გარდაცვალების გამო. ავტორი ლენინს გენიოსს უწოდებს, მაგრამ აღიარებს მსოფლმხედველობრივ განსხვავებას:

„ლენინი ჩემი სულიერი ქურუმი არ არის და მისი ფეტიშის კმევა ჩემს სულიერ ხავერდს ვერ გამოსახავს, მაგრამ მისი სიკვდილი ჩემში ტრაგიულ სულიერ გაზმორებას იწვევს.

მთელი სიმძაფრით განვიცდი მწარე ირონიას ადამიანის ბედისას.

სამარეს და წყვდიადს მიეფარა სიცოცხლე იმ ადამიანის, რომელიც მსოფლიოს პროტესტანტთა ფლანგში იყო, ერთადერთი უბადლო და შეუდარებელი” (ღოღობერიძე 1924:5).

კუშა ღოღობერიძე ხაზს უსვამს „მსოფლიო რევოლუციის დარაჯის“ ცხოვრებისა და მოდგაწეობის გავლენას კაცობრიობის ბედზე, ერთგვარად განიცდის კიდევ მის გარდაცვალებას, მაგრამ ტრაგედიად არ აღიქვამს. საბჭოთა მშრომელების მამას და ბელადს ავტორი სულიერ ქურუმად არ აღიარებს, უცნაურ ადამიანს უწოდებს და თუ მისმა გარდაცვალებამ მსოფლიო აატორებანა, ესეც საუკუნის ხასიათმა განაპირობა.

„მოსისხლე მტერნიც მისი სიკვდილის მეორე დღეს იტყვიან გულწრფელად: სამარემ შთანთქა სიცოცხლე იმ ადამიანის, რომლის გენიალოგია კაპიტალურისტურ მსოფლიოს აწვალებდა...

მოგონება ამ „უცნაური“ ადამიანის – მითოლოგია ლენინის.

ესეც უნდა ითქვას: მსოფლიოს არ ახსოვს ეგზომ ატორტმანება ერთი ადამიანის დაკარგვით...

ეს იმიტომ, რომ სხვა გვარია მეოცე საუკუნე...“ (ღოღობერიძე 1924:6).

თეატრის განყოფილება შალვა გომართელის წერილს „ჩვენს თეატრს“ გვთავაზობს. აშკარაა, რომ ავტორი მხარს უჭერს პროლეტარულ თეატრს:

„ხელოვნება იმისი იყო და იქნება ყოველთვის ვის ხელშიდაც ხელისუფლებაა.

ქვეყნის მმართველ-პატრონი არის პროლეტარიატი, რომელიც ხელოვნების სფეროში სრულიად დამოუკიდებელი გამოდის.

„ჩვენ გვწყორია ახალი ხელოვნება”, „ახალი თეატრი”, აღნიშნავს ავტორი, თუმცა ამ ახლის შემოქმედნი, მისი აზრით ვერც ფუტურუსტები იქნებიან, ვერც ექსპრესიონისტები და ვერც კოტე მარჯანიშვილი.

შალვა გომართელი ცდილობს, პატივი მიაგოს ძველი თაობის ხელოვანებს, თუმცა უარს აცხადებს კოტე მარჯანიშვილთან და სხვა თანამოაზრებთან თანამშრომლობაზე. მისთვის მისადებია არა იდეოლოგიისაგან თავისუფალი ხელოვანი, „არამედ „პროლეტარული თეატრის კოტე მარჯანიშვილი” (გომართელი 1924:36).

მისივე შეფასებით, უწმიდესი სკოლა – თეატრი – მუშათა კლასს უნდა ემსახურებოდეს და არა გოლოვინის პროსექტზე მოხეტიალებს. წინა პლანზე სწევს სოციალურ დრამას და აღიარებს, რომ საჭიროა „ქართული თეატრი ახალი ცეცხლის არტახებში” (გომართელი 1924:34).

რაც შეეხება ემილ ვალდის სტატიას, კრიტიკოსი აჭარისგანის თეატრს და გასულ თეატრალურ სეზონს ახასიათებს. ავტორს ქალბატონი მსახიობების დაბალი პროფესიონალიზმი, ურეულისოროდ დარჩენილი დასი, შაბლონური რეპერტუარი და წყალში გადაყრილი მუშათა ფულის ბედი აღელვებს. იგი იმედს იტოვებს, რომ მომავალი წელი აჭარისგანის თეატრისათვის ნაყოფიერი იქნება, დასი მაყურებლის იმედებს გაამართლებს და ძალაში შევა ლოზუნგი: „დაუახლოვეთ თეატრი მასას” (გომართელი 1924:39).

ჟურნალ „ისპირის” ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში განხილულია იმდროინდელი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები. წარმოდგენილია ჟურნალ „ლეილას” მესამე ნომერი, რომლის შეფასებისას დადებითთან ერთად უარყოფით მხარეებზეც არის გამახვილებული ყურადღება. სტატიის ავტორის აზრით, აღსანიშნავია ჟურნალის უპრინციპობა, მას არა აქვს მთლიანი სახე, რასაც ბევრ შემთხვევაში შეუძლია არასასურველი დისონანსების შეტანა...

ამგვარი დამოკიდებულებების საფუძველი შ. ქურიძის აზრით ის უნდა იყოს, რომ „ჟურნალ „ისპირის” „სიმპათია” „აკადემიურ ასოციაციას” და ჟურნალ „კავკასიონს” ეკუთვნოდა. თუმცა არა მთლიანად. „ისპირი” ეძებდა კავშირს ახალ ლიტერატურასთანაც. იგი თავს ესხმოდა „ცისფერყანწელებს” და მათ ჟურნალ „პირამიდებს”, ბრალს სდებდა უპრინციპობაში ჟურნალ „ლეილას” (ქურიძე 1970:7).

„ისპირის” უყურადღებოდ არ რჩება იმ დროისათვის გამოქვეყნებული სხვა ავტორების ლიტერატურული ნაწარმოებები. მურად ფადავა „შორი ნათელის”

ავტორ სოლომონ თავაძეს უტყუარი ტალანტის პოეტად აფასებს. რევოლუციონერ პოეტს გრიგოლ ცეცხლაძეს ურჩევს: „კარგი იქნებოდა აქ არ იყვეს ის ლექსები, რომელიც ძველია როგორც თემით ისევე ტეხნიკით, როდესაც წიგნის ბოლოში მოთავსებულ ლექსებს კითხულობ, „ოდელია დელია”-ს მდერის გუნებაზე შეიქმნები” (“ისპირი” 1924:45).

ზ. გუბაძე “პირამიდებსა და ცისფერყანწელებს ძრახავს: “ვერ ნახავ „ცისფერ ყანწელთა” ვერც ერთ ლექსს, სადაც „პირამიდები” და „პროფილი” არ იყვეს ნახმარი, თუმცა ეს სრულიად არ არის მიზეზი სახელწოდების უვარგისობისა, არამედ ამ თემის სიბერისა და სირცხვილის, რის შედეგაც იმ „პოეტებზედაც”, რომლებიც ამ ჟურნალში თანამშრომლობენ შესაფერი წარმოდგენა გებადება... მხოლოდ მიხ. ბოჭორიშვილის გამოკლებით, რომელზედაც შეიძლება ითქვას „საიდან სადაო” (“ისპირი” 1924:45).

მთლიანობაში, “ისპირი” იმ დროისათვის საკმაოდ საინტერესო და პროგრესული ჟურნალი აღმოჩნდა. სწორედ, ამ მიზეზით ბოლშევიკური იდეოლოგიის ჩარჩოებიდან გამოსულ ჟურნალს პერსპექტივა ვერ ექნებოდა და აკი, ამიტომაც შეწყვიტა არსებობა პირველი ნომრის შემდეგ.

5. „პონტოსი”. ბათომის ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი 1925 წელს ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალს „პონტოსი” აარსებს. 24-გვერდიან გამოცემას სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს, რომლის რედაქციაც შაუმიანის, ახლანდელი დიმიტრი თავდადებული ქუჩაზე, №15-ში მდებარეობდა. გამომცემელი გახდდათ იმ დროისათვის ცნობილი მწერალი ხასან კომახიძე.

მცირე ფორმატის ჟურნალი ძირითადად პოეზიას ეთმობა. კერძოდ, აქ გამოქვეყნებულია: ლელიან ანელის „ფანტაზია”, „რევოლუციისაკენ!” „ლაბირინთში”; აკაკი გორგილაძის: „გაწყდა სიმები”, „საღამო”, „მირაჟები”; ვანიონ დარასელის „ცისფერი წიგნით”, „სურათები სულიდან”, „დამე”; დათა თაქთაქიძის „ცისფერი შადრევანი”, „სულის დამიდან” და თარგმანი – კაზიმირ ტეტმაიერის - „ის”, ხასან კომახიძის „წითელი მგზავრი”, „გვაქვს იმედი”, შოთა დუდუხავას „როდის გიხილავ!?” და ვარლამ გალდავას კრიტიკული წერილი „აზრის მთლიანობის საკითხი და სისტემა ჩვენს პოეზიაში”.

რევოლუციას და წითელ ხელისუფლებას ძირითადად ხასან კომახიძე უმდერის. ახალგაზრდა პოეტები კი სევდას, წუხილსა და მარტოობას დაუთორგუნავს. ცდილობენ, გაექცენ სინამდვილეს და თავი შეაფარონ არარეალურ სამყაროს, ისე როგორც მოდერნისტებს ჩვევიათ. ჭლექი, სიგიჟა,

მარტოსულობა, უიმედობა, მელანქოლია, თვითმკვლელობა, სიკვდილი, შავი-ქალის მყურდო ლანდები, ემაფოტად აღმართული ცისფერი შადრევანი და უიმედობა ისადგურებს ყველგან. „პოტოსის” მოდერნისტულ გავლენაზე კრიტიკოსი შ. ქურიძეც მიუთითებს:

- „პროლეტარული მწერლობა ისე ვერ განვითარდებოდა, ისე ვერ დაიპყრობდა მბრძანებელ მწვერვალებს ლიტერატურაში, თუკი ვერ მოიგერიებდა ანტირეალისტურ და დეკადენტურ ლიტერატურულ დაჯგუფებათა შემოტევას, თუ ვერ დაძლევდა მათ გააფთრებულ წინააღმდეგობას...

აჭარაში მხედვები ანტირეალისტურ-დეკადენტური დაჯგუფებანი არ ყოფილა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „პონტოსის” ჯგუფს) და პროლეტარული მწერლობის შექმნა-დამკვიდრების პროცესიც რამდენადმე თავისებურად წარიმართა” (ქურიძე 1970:5).

6. „აჭარისტანი”. ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის სახე უნდა ჰქონოდა „აჭარისტანი”, რომელიც 1926 წელს გრიგოლ ნუცუბიძის რედაქტორობით გამოვიდა, თუმცა მხოლოდ სამი ნომრის გამოცემა მოხერხდა. პირველი ნომერი დაკარგულია, მეორე ნომერი ლენინის გარდაცვალების ორი წლისთავს მიეძღვნა. ლიტერატურულ გამოცემასთან თანამშრომლობდნენ: ვ. გაბეკირია, გრ. შავიშვილი, ს. წეველი და სხვ.

„აჭარისტანი” გამოქვეყნებულია: 6. ზომლეთველის „ქალი... ქარი...” პ. გ. - ს „საბჭოთა სინამდვილე” და „ჯაყოს ხიზნები”, გრ. გორგაძის - „ცოტა რამ აჭარისტანის ხალხურ შემოქმედებაზე”, ჯემალ ნოლაიდელის - „ჭოროხი”, საზოგადეობისთვის უცნობი ავტორებისთვისაა განკუთვნილი განყოფილება „ახალი ძალების გამოფენა”. აქ წარმოდგენილია იაკ. ბალახაშვილის „შიო არაგვისპირელის ხსოვნას”, ზია ქემხაძის „ძვირფას დას”, „გენას”, „სოფელი დამით” ვ. ტაბაჩელი-მახარაძის „აჭარისტანი” და დ. ჭანჭათველის „სოუქ - სუ!”. ცალკეა გამოყოფილი იუმორისტული განყოფილება. ეს გვერდი ეთმობა მუშკორელი თაგვის ლექსს „მუშკორის წევრის სიმღერა” და პ. ობოლის „მუშკორთა კრება”, ხოლო ახალი ლიტერატურის განყოფილებაში განხილულია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სამხატვრო ჟურნალი „მერცხალი” და ჭოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება.

„პონტოსისაგან” განსხვავებით, „აჭარისტანში” გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციის სამიზნე რევოლუცია და რევოლუციის მონაპოვარია. უკვე ჩადრმოხდილი ქალიც იბრძვის ბედნიერებისათვის და

ცდილობს, საზოგადოებაში მამაკაცის გვერდით დირსეული ადგილი დაიკავოს და საერთოდ, უურნალის მიზანია, აჭარისტანის მცხოვრებთ ფართოდ გაუხსნას ლიტერატურული ასპარეზი. ამ მისწრაფებას ნათელყოფს ქვემოთ მოყვანილი განცხადება:

- „აჭარისტანი, ისე, ოოგორც საქართველოს ყოველი კუთხე, მდიდარია შემოქმედებითი ძალებით, თუ აქამდე ქართულ ლიტერატურაში აჭარელი მწერალი არ ჩანს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აჭარისტანი ყველასაგან მივიწყებული კუთხე იყო. ყველაზე ნაკლებად აჭარისტანის მცხოვრებთათვის ლიტერატურის ასპარეზი იყო გახსნილი...

შეიძლება ბევრი ამ განყოფილებაში („ახალი ძალების გამოფენა“) მოთავსებულთაგან – უნიჭო და უშედეგო დარჩეს, მაგრამ რედაქციას სჯერა, რომ აჭარისტანში ბევრი ხალასი ნიჭი აღმოჩნდება, რომ ჩვენი უურნალი ბევრს გაუკაფავს ლიტერატურული კარიერის ძნელ დასაწყისს. ხოლო აჭარისტანში რომ ბლომად არიან პოეტური ნიჭით დაჯილდოებულნი, ამას მოწმობს მდიდარი სახალხო პოეზია“ (ქურიძე 1970:9).

**სხვა გამოცემები:** 1927 წელს შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება, თუმცა პერიოდული სალიტერატურო ორგანოს გამოცემის პრობლემა არც ამის შემდეგ მოგვარებულა. კავშირის კრებამ დავალა ბიუროს სპეციალური ლიტერატურული ფურცლის გამოშვება გაზეთ „ფუხარას“ დამატების სახით. (№272, 1927 წელი, გაზ. „ფუხარა“), თუმცადა ვერც ამ დავალების შესრულება ხერხდებოდა. პრობლემასთან დაკავშირებით მრავლადაა კრიტიკული შეფასებები საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ოქმება და მიმოწერაში. შ. ართილაყვა განყოფილების ერთ-ერთ კრებაზე აღნიშნავდა:

„გამოცემას ხელს უშლიდა ის, რომ ამხანაგებმა მასალა (საკმაო) ვერ მოგვაწოდეს სადღეისო საკითხებზე, ზოგიც დიდია და უხერხულია პერიოდულ გამაცემაში მოთავსება: გარდა ამისა, არ იყო კონტაქტები რედაქციასთან, ის არ უწევდა ანგარიშს ჩვენს ორგანიზაციას, რაშიც ჩვენც მიგვიძლვის ბრალი“ (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 1:7).

მიუხედავად ამისა, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილების შექმნის დღიდან მწერლები აქტიურად ცდილობდნენ პერიოდული სალიტერატურო ორგანოს გამოცემის საკითხის მოგვარებას. ფინანსურს პრობლემას ლიტერატურული პროდუქციის ნაკლებობა ამბაფრებდა.

პროლეტარული ლიტერატურის განვითარება პარტიისა და მთავრობის მოთხოვნა იყო. ხელისუფლებას პროლეტერლობის სახით აქტიური პროპაგანდისტი სჭირდებოდა. ამგვარ პირობებში, 1928 წელს გრ. შავიშვილისა და პ. ოდიშელის რედაქციით გამოიცა პროლეტარული მწერლების ნაწარმოებთა კრებულად წოდებული ჟურნალი “სიტყვა ტრიბუნიდან”. მისამართად მითითებულია ბათომი, აჭარისტანის სახ. შინა ვაჭ-მრეწვ. პოლიგრაფიული განყ. მთავლიტი №695.

ჟურნალი სამი განყოფილებისაგან შედგება. ესენია: პროზა, პოეზია და კრიტიკა. სარედაქციო კოლეგიის შეფასებით, აქ გამოქვეყნებულია პროლეტარულ მწერალთა როგორც ადრე დაბეჭდილი, ისე დაუბეჭდავი მასალები.

პოეზიის მიმართულებით თავმოყრილია პ. ოდიშელის (პ. ლორიას), 6. მანიძის (6. მალაზონია), გრ. შავიშვილის, თ. ლეჯავას, ჯ. ნოდაიდელის, ხ. კომახიძის, შ. ართილაყვას, გ. გრიგორიანის, გრ. შარაშიძის, ზ. ქემხაძის, თ. ჩახვაძის, ს. ჯორბენაძის, ლ. შარაშიძის, ი. ნუცუბიძის, ბ. თადუმაძის, კ. დობორჯგინიძისა და მ. შენგელაიას ლექსები.

პროზა აერთიანებს დ. ჭანჭათელის, გრ. შავიშვილის, ბ. თადუმაძის, ვ. მახარაძის, თ. ჩახვაძის, გ. გრიგორიანის. ალ. მგელაძისა და ო. ობოლის მოთხოვნებსა და ნოველებს.

რაც შეეხება კრიტიკის განყოფილებას, ნ. ქუთათელაძის, ვ. მახარაძისა და ირ. ფერაძის კრიტიკულ წერილებში მიმოხილულია პროლეტარული მწერლობის განვითარების სპეციფიკა, ახალი ლიტერატურის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები და ზოგადად, აჭარაში იმ დროისათვის არსებული მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ კრებულში გამოქვეყნებული მასალის მხატვრული ლირებულება თავიდანვე იწვევდა ეჭვს და ბუნებრივი ჩანს გამომცემელთა სიფრთხილეც. კერძოდ, “სიტყვა ტრიბუნიდან”-ის წინათქმაში აღნიშნულია:

“მოცემული სახე პროლეტარულ მწერლობისა, ზრდისა და მუშაობის პროცესშია. ამიტომ მკითხველის კრიტიკული თვალი უნდა ღებულობდეს. (მით უმეტეს აჭარისტანის სინამდვილეში) ამ კრებულში მოცემულ ნაწარმოებთ, როგორც ჯერ კიდევ მაღალი პრეტენზიებით მოშორებულ თეზისს. პროლეტარული მწერლობის შემოქმედება მკითხველთა ბაზარზე გამოდის ისე, რომ მას სჭირდება ნაჯახის და წალდის დახმარებით აგება და გათლა. მათი დამუშავება მაღალი იარაღებით მოხდება იმ ნაკლების გამომჟღავნებით,

რომელიც თავის სინდისზე უნდა იკისროს მიუდგომელმა კრიტიკამ” (“სიტყვა ტრიბუნიდან” 1928:3).

ცხადია, ნაჯახითა და წალდით გასათლელი ლიტერატურა ვერც მკითხველს მიიზიდავდა და ვერც ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დაკისრებულ ფუნქციას შეასრულებდა. აქტიურობა, უდიდესი მხარდაჭერის პირობებშიც კი, ყოველთვის როდია სასურველი შედეგის მომცემი: პროლეტმწერლობამ ამ გამოცემით აჩვენა თავისი სახე, რომელიც სახარბიელო როდი იყო.

პროლეტარული მწერლობის ლიტერატურულ გამოცემათა ნუსხას მიეკუთვნება ჟურნალი “სტალინური თაობა”. იგი 1938 წელს ბათუმში დაიბეჭდა და კომკავშირის ოცი წლისთავს მიეძღვნა. ესეც აჭარის ადგილმრეწვესახელმის სტამბა-ლითოგრაფიაში გამოიცა დ. დუმბაძის პასუხისმგებელი რედაქტორობითა და ნ. ებრალიძის ტექნიკური რედაქტორობით.

“ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ თანაშემწეს, შესანიშნავი საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს - სახელოვან კომკავშირს 20 წლისთავზე უძღვნიან ამ კრებულს” – ჟურნალის წინათქმის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს ლიტერატურული გამოცემის მიზანი და დანიშნულება – აღმატებულად უნდა წარმოჩნდეს საბჭოთა კავშირის მიღწევები და წარმატებები. ამ მიზანს დაბეჭდილი პროდუქციის სათაურებიც ცხადყოფს: ნ მალაზონიას ლექსები - “სიმღერა სტალინზე”, “საზღვარზე”, “ლაშქრული”, გრ. ცეცხლაძის - “კომკავშირული სიმღერა”, ორდენოსანი”, “წითელარმიელური”, შ. იოსელიანის - “სიმღერა ვოროშოლოვზე”, “ახალგაზრდული”, “გათენებისას სუბტოპიკებში” მამუდ (მამია) ვარშანიძის - “ახალგაზრდას ვაჟაცობა შვენის”, გაზაფხული”, კაპიტონ რუსიძის - ”დედა-სამშობლოვ!”, “კომკავშირული”, “საბჭოთა მფრინავი”, გ. სალუქვაძის - “გაზაფულის დილა” და პ. ლორიას მოთხოვნა “შეხვედრა”... ეს ყველაფერი წარმოდგენას იძლევა ჩვენებური პროლეტარული ლიტერატურის მიზანდასახულობასა და ზოგად სახეზე.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, XX საუკუნის პირველი ნახევრის წლების სალიტერატურო პრესა ბათუმში საკმაოდ შეზღუდულია. ვერც ერთი ჯგუფი (მათ შორის ვერც პროლეტარული მწერლობის აქტივისტები) ვერ ახერხებს შექმნას მუდმივმოქმედი სალიტერატურო ორგანო, რომელიც შეძლებს სტაბილურად ემსახუროს მხატვრულ სიტყვას. ლიტერატურის განვითარებას მაშინ ბევრი რამ უშლიდა ხელს. ზემოთხსენებულმა არასტაბილურმა

გამოცემებმა, მართალია, შეძლეს არაერთი საინტერესო თხზულების გამოტანა სამზეოზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საბჭოთა ქვეყანაში სიტყვაპაზმულ მწერლობას თავისუფალი განვითარება არ ეწერა. ამიტომ, არაა გასაკვირი, ამ გამოცემების შეზღუდული თვალსაწიერი.

## თავი IV ეპოქის იდეოლოგიური სტრუქტურა და რეგიონული მწერლობის თავისებურებები

### §1. პირველი ლიტერატურული თაობა აჭარაში და მწერლობის ბოლშევიზაციის ზოგიერთი პრინციპი

აჭარაში არსებული სპეციფიკური ვითარების შესახებ არაერთხელ მივუთითეთ: დედასამშობლოსთან მრავალსაუკუნოვანი განშორების შემდეგ მთელ რეგიონს მიეცა შესაძლებლობა ზიარებოდა ქართულ კულტურას, ხელახლა გამხდარიყო მისი ნაწილი და მონაწილეობა მიეღო მის განვითარებაში. XX საუკუნეშიდა გამოჩნდნენ პირველი თაობის მწერლები, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ უნდა ედვაწათ აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის. არსებითად, ეს პროცესი მწიფდებოდა XIX საუკუნის უკანსაკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამდენად, 20-იანი წლებისათვის ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, ადგილობრივი ძალები ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში, მაგრამ მიზანი ამისა იყო არა მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ზრუნვა, არამედ კომუნისტური იდეოლოგიის მსახურთა აღზრდა: აღიარებული ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიულმა ნომენკლატურამ მალევე იზრუნა იმაზე, რომ ქვეყნის იდეოლოგიის როლი მწერლებს აეღოთ საკუთარ თავზე. პრესა იდეოლოგიას ავრცელებდა, ახალ მითს კი, ბოლშევიკების დაკვეთით, სწორედ, მწერლები ქმნიდნენ. ახალი რელიგიის აპოლოგეტის როლი მწერლობამ ისე მოირგო, რომ შემდეგ კარგა ხანი დასჭირდა მისგან გასათავისუფლებლად.

მწერალთა ორგანიზაცია ბათუმში სწორედ ამ დიქტატურის ქვეშ ყალიბდებოდა და შესაბამისად, ახალ მითს კი, ბოლშევიკების დაკვეთით, სწორედ, მწერლები ქმნიდნენ. ახალი რელიგიის აპოლოგეტის როლი მწერლობამ ისე არიორგო, რომ შემდეგ კარგა ხანი დასჭირდა მისგან გასათავისუფლებლად.

ევლაზე არსებითი ფაქტორი ალბათ მაინც ქართული ლიტერატურული ტრადიცია იყო, რომელსაც პროლეტარული კულტურის უკიდურესი რადიკალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული აგრესიულობით ებრძოდა პროლეტმწერლობა. მიუხედავად მრავალხნოვანი და მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობებისა, ნებსით თუ უნებლიერ, სწორედ ეს ფაქტორი იყო ევლაზე არსებითი მწერლობის ახალი თაობის ფორმირების საქმეში.

ზემოხსენებულის საწინააღმდეგო, მაგრამ ძალით და გავლენით არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პროლეტარული ლიტერატურის ტენდენციები, რომლებიც იმხდად, ხელისუფლების ხელშეწყობით, საყოველთაოდ მკვიდრდებოდა. ახლადფეხადგმულ რეგიონულ მწერლობას ფორმირება უდიდესი იდეოლოგიური წესის ქვეშ უხდებოდა. ახალბედა მწერლის ცნობიერება საბჭოური ე. წ. ლიტერატურული მანქანის ზეწოლით ყალიბდებოდა და მწერალიც თავიდანვე იზრდებოდა სისტემის მსახურად. ამდენად, ამ ეპოქის მწერალთა შემოქმედებაში იდეოლოგიის მოჭარბებული დოზა კი არ არის გასაკვირი, არამედ, უფრო ის, რომ მწერალი ახერხებდა კიდევ ჩარჩოს გარღვევას და წრფელი გულისნადების გამოხატვას ლიად, ფარულად თუ მინიშნებით.

ამ ყველაფერთან ერთად, უნდა აღინიშნოს რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობაც. ერთი მხრივ, მტკიცე რწმენა ისლამისა, რაც XX საუკუნის ჭოროხის აუზის ქართველთა მსოფლმხედველობას სავსებით განსაზღვრავდა, მეორე მხრივ, ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია და კულტურა, რომელიც განათლების პროცესის გარდაუვალი ნაწილი იყო თვით ათეისტურ საქართველოშიც კი და ამასთან ერთად, მებრძოლი ათეიზმი, რომელიც სოციალისტური ცხოვრების წესის და “ახალი ადამიანის” დამკვიდრების აუცილებელი პირობა იყო, - მეტად რთულ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებს ქმნიდა ქართველი მწერლების ცნობიერებაში. მართალია მათი შემოქმედებაში გამოვლენისათვის აუცილებელი თავისუფალი ლიტერატურული სივრცე არ არსებობდა – სოციალისტური რეალიზმი სტანდარტულ ჩარჩოში აქცევდა ხოლმე ყველაფერს – მაგრამ ამ წინააღმდეგობის კვალი მაინც იჩენდა ხოლმე აქა-იქ თავს ლიტერატურაში.

როცა ვმსჯელობო ჯერ პროლეტარული ლიტერატურის, მერე სოციალისტური რეალიზმის კლასობრივ, პარტიულ, იდეოლოგიურ კრიტერიუმებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მხატვრული ნაწარმოებების საფუძველში იდებოდა სოცრეალიზმის კონიუნქტურული ვერსიები, რაც განაპირობებდა ნაწარმოებში წარმოჩენილ კონფლიქტს: პერსონაჟების, სოციოლოგიური სქემების სისტემას. მწერლები დაემსგავსნენ სწრაფი რეაგირების შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც უმოკლეს დროში ეხმაურებოდნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებებს კოლექტივიზაციის თუ ინდუსტრიალიზაციის, ახალი ადამიანის აღზრდის თუ

პროლეტარული კულტურის, კლასობრივი ბრძოლის გამლიერების თუ ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ასე, რომ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების საგანი იყო არა ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და დიალექტიკური წინააღმდეგობებით, არამედ იდეოლოგიური კანონის ყოფა. სოციალისტური რეალიზმი, რომელიც დაამტკიცეს ხელოვნების არა მხოლოდ ძირითად, არამედ ერთადერთ ტიპად, არსებითად წარმოადგენს რეალიზმის გაუკულმართებულ ფორმას, მის პროფანაციას.

კომუნისტურმა პარტიამ ლიტერატურას ერთბაშად რამდენიმე ამოცანა დაუსახა. ამ ამოცანების ფარგლებში მოქმედი საბჭოური ლიტერატურის თემატური რკალიც. ამათგან უმთავრესი იყო სოციალისტური ცხოვრების წესის იდეალიზაცია, ცხოვრების ძველ წესთან შედარებით მისი განსუზღვრელი უპირატესობის პროპაგანდა.

გარდა ამისა, ლიტერატურას უნდა ებრძოლა საზოგადოების ათეისტური სულისკვეთებით გამსჭვალვისათვის. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში არ ნიშნავდა მაინცადამაინც და მხოლოდ ისლამის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს სისტემა უპირისპირდებოდა ყველა რელიგიას ნებისმიერი ხერხით.

სხენებული ამოცანების შესაბამისად, თემატური რკალის შემადგენელი ნაწილი იყო მწერლობის ბრძოლა “ახალი ადამიანის” აღზრდისათვის და სხვადასხვა დარგის მშრომელთა სახეების ასახვა, ახალგაზრდობა და კომკავშირი, შრომა და აღმშენებლობა, კოლმეურნეობა და ქარხანა, რევოლუციამდელი ტრადიციები და საბჭოთა ხალხების ურთიერთობა.

“მისი პოეზიის თემაა სოციალისტური სამშობლო, ხალხთა დიდი ბეჭადები, ლენინი და სტალინი, ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ლენინურ-სტალინური კავშირი, საკოლმეურნეო ცხოვრების აღმავლობა, სოციალისტური შრომის გმირები. ერთი სიტყვით, მის შემოქმდებას, როგორც ყველა საბჭოთა პოეტის შემოქმდებას ასაზრდოებს და შუქს ჰყენს კომუნისტური საზოგადოების დიადი მშენებლობის აღმავლობა,” – წერდა ერთი პოეტის შესახებ მაშინდელი კრიტიკა. იმდენად ერთფეროვანი იყო იმუამინდელი იდეოლოგიური მწერლობის თემატური რკალი, რომ ეს სიტყვები მთელი ეპოქის დასახასიათებლად გამოდგება.

ამ საკითხების მხატვრული ასახვის მიზნით კრიტიკა მოუწოდებდა მწერლებს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდათ ხალხის მასებთან, მშომელთა

სხვადასხვა წრესთან და უენასთან, იქმნებოდა აგიტბრიგადები, იგზავნებოდა სოფლად თუ ქალაქად, პლანტაციებში თუ ქარხნებში. ზოგადად სურათის წარმოსაჩენად მოვიყვან რამდენიმე საარქივო დოკუმენტს, რომელთაც თანამედროვე მკითხველისათვის, შესაძლოა, კომიკური იერიც კი დაჰკრავდეს, მაგრამ იმხნად ეს ყველაფერი მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან ლიტერატურულ საქმიანობად ითვლებოდა.

მწერალთა კავშირის 1931 წლის 14 თებერვლის სხდომის ოქმის მიხედვით, მწერლებს განუზრახავთ, მონაწილეობა მიედოთ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში და დაუდგენიათ კიდეც სოფლად პროლეტმწერალთა ბრიგადის გაგზავნა.

“გამოიყოს ბრიგადა ამხ. პ. ობოლისა და დობორჯგინიძის შემადგენლობით, რომლებიც აგიტბრიგადასთან ერთად გაემგზავროს რაიონებში შემდეგი მუშაობის ჩასატარებლად: თათბირები გლეხებში საგაზაფხულო თესვაზე, კედლის გაზეთების გამოშვება, აგიტპიესების გაშვება და სხვა” (ფონდის p – 928, ანაწერი, საქმე 1, ოქმი №12).

მწერლების შემდეგი შეკრება, 4 აპრილის სხდომა, საგაზაფხულო თესვის კომპანიის შედეგების განხილვას დაეთმო. პ. ობოლი საზოგადოების წინაშე ანგარიშით წარსდგა, სადაც ვკითხულობთ: “ჩვენმა ორგანიზაციამ ამ კომპანიის ჩატარებაში მიიღო შემდეგი მონაწილეობა. დაწერილ იქნა სამი პიესა სპეციალურად ამ კომპანიისათვის, რომელიც დაიდგა აჭარის სოფლებში 16 ადგილას, გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი 5 ნომერი. წაკითხულ იქნა ლექსები სოფლებში, ჩატარებულ იქნა საუბრები გლეხებში და გაშუქებულ იქნა სოფლების ყოფა ცხოვრება გაზეთში” (ფონდის p – 928. ანაწერი, საქმე 1, ოქმი №12).

ეს ყველაფერი ერთჯერადი აქტი არ იყო. მაგალითად 1934 წლის 18 თებერვალს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების სხდომაზე პარმენ ლორიამ გააკეთა მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომსახურების შესახებ. მასვე დაევალა “შეადგინოს აგიტპროპაგანდა გასული წლების მსგავსად, მოამზადოს სათანადოდ და საგაზაფხულო კამპანიის დაწყებისთანავე გაემგზავროს ხულოსა და ქედის რაიონებში. ბრიგადას გაყვეს ამხ. ლორიასთან ერთად ამხ. დობორჯგინიძე” (ფონდის p – 928. ანაწერი, საქმე 1, ოქმი №35).

ამგვარი დეტალების ანალიზი ერთგვაროვანი სურათების მრავალგზის გამეორება იქნება მხოლოდ და მეტი არაფერი. ფაქტია, რომ აჭარაში შექმნილი იდეოლოგიური ლიტერატურული პროდუქციაც სწორედ, ზემოხსენებულ ტენდენციას გამოხატავდა და მათში განუწყვეტლივ მეორდებოდა პარტიული დირექტივებისაგან გამომდინარე კლიშეები და სტანდარტები. ეპოქის ლიტერატურული სურათის წარმოჩენის მცდელობისას ხსენებულ თემებს და თხზულებებს გვერდს ვერ ავუკლით, თუმცა, მათი გამოწვლილვით ანალიზი უნაყოფო შრომა იქნება მხოლოდ. ამიტომ, მოკლედ შევეხებით ამ ტენდენციის გამომხატველ ცალკეულ ნაწარმოებებს, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგიერთი მათგანი საბჭოთა კრიტიკის მიერ მოწონებული იყო და იდეოლოგიური სტანდარტების თანახმად საკმაოდ მაღალმხატვრულ ნაწარმოებად ითვლებოდა.

## § 2. ახალი ადამიანი სოციალიზმის ეპოქაში და მხატვრული ლიტერატურის ფუნქცია

რევოლუციის შემდგომ მთელი რუსეთის იმპერიაში და მათ შორის საქართველოში (გასაბჭოების შემდეგ) საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ახალი ადამიანის აღზრდა. სქემა, ერთი შეხედვით, მარტივი იყო: რევოლუცია ნიშნავდა რადიკალურ და გლობალურ ცვლილებებს არა მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ უპირველესად, ადამიანის ცნობიერებაში. ნებისმიერი ადამიანი უნდა “გადაწყობილიყო” ახალ ცნობიერებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა.

მაინც ვინ არის ახალი ადამიანი?

უპირველესად ალბათ ის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმს აღიარებს და მისი მიმდევარია. ეს მთავარი პრინციპია. დანარჩენი, როგორც იტყვიან, დეტალებია, თუმცა ეს ”დეტალები” არანაკლებ მნიშვნელოვანია.

1948 წლის 14 ნოემბრის გაზეთი ”საბჭოთა აჭარა” განმარტავდა: ”ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანი სრულიად ახალი ადამიანია. იგი არის ცხოვრების მშენებელი, აქტიური და მტკიცე, ნებისყოფით ადსავსე,

კაცობრიობის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი. საბჭოთა ახალგაზრდას ახასიათებს ყველა ის საუკეთესო თვისება, რომლებიც ჩვენი დროის ადამიანებში მზრუნველი ხელით აიღზარდა და განავითარა ბოლშევიკების სახელოვანმა პარტიამ".

ტერმინი "ახალი ადამიანი" აქტუალური ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გახდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მისადმი წაყენებული მოთხოვნილებებიცა და დაკისრებული ვალდებულებებიც. ერთი შეხედვით ახალი ადამიანი უფრო და უფრო ჰუმანური, კაცომოებარე და პროგრესულად მოაზროვნე ხდებოდა, მაგრამ რეალურად უცვლელი რჩებოდა კომუნისტური აღზრდის კრიტერიუმებით განსაზღვრული "ნამდვილი ადამიანის" სახე.

ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრება, ახალი, ხშირად უჩვეულო იდეალების და მისწრაფებების მასობრივად ჩანერგვა ადამიანის სულსა და გონიერებაში იოლი არ იყო. ამ პროცესში ჩაერთო მძლავრი იდეოლოგიური მანქანის ყველა მექანიზმი. მათ შორის იყო მწერლობა, რომელსაც განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა: კონკრეტული მხატვრული სახეების დახატვით უნდა წარმოეჩინა მისაბამი მაგალითები ახალი ადამიანისა, ანუ ის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე ქარხანაში დაზგასთან თუ სოფლად – ველ-მინდვრებში მუშაობის დროს, რა უნდა მიაჩნდეს დირებულად და რა უნდა უარყოს, ვინ უნდა უყვარდეს და ვინ – სძულდეს და ა.შ.

აკაკი ბაქრაძე "მწერლობის მოთვინიერებაში" საგანგებოდ ჩერდება "ახალი ადამიანის" პროპაგანდის საბჭოურ ლიტერატურულ პრინციპებზე. უფრო ზუსტად, იმ უკიდურესობებზე, რის დამკვიდრებასაც ცდილობდა პროლეტარული ლიტერატურა. კრიტიკოსი მოიხმობს სათანადო ლიტერატურულ ნიმუშებს და შემდეგ დასკვნებს გვთავაზობს:

1. კომუნისტური "ახალი ადამიანი" კოლექტივის მოჯამაგირეა. ამ კოლექტივის სასარგებლოდ იგი დაუფიქრებლად მზად უნდა იყოს მკვლელობისთვისაც და მძარცველობისთვისაც, დაკარგული უნდა ჰქონდეს სინდისის ქენჯნის უნარიც.
2. იგი უნდა იყოს ნებაყოფლობითი მილიციონერი, ნებაყოფლობითი KGB – ისტი და თავად უნდა აპატიმრებდეს თავისი ოჯახის წევრებს.
3. კომუნისტურმა ახალმა ადამიანმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოავლინოს მოყვასის სიყვარული, ეს სისუსტე, უნიათობა და უხერხემლობა. ერთადერთი, რაც მას უნდა უყვარდეს, ეს პროლეტარიატია.

4. კომუნისტურ ”ახალ ადამიანს” არც თავისი დვიძლი ერი უყვარდეს, მისთვის სულერთია, ვინ იქნება ეროვნებით და ა.შ. (ბაქრაძე 1990:158).

მართალია, ასეთ უკიდურესობამდე რეგიონული ლიტერატურა იშვიათად მიღიოდა, მაგრამ ”სამაგალითო” ახალი ადამიანები – მშრომელები და მშვიდობისათვის მებრძოლები, საბჭოთა მამაკაცები, ქალები და ბავშვები, წითელარმიელები და კომკავშირელები... ბეჯითად აღწერა.

პროპაგანდისტული ლიტერატურის მიხედვით, საბჭოთა ადამიანისათვის დიდი პატივია რევოლუციური წარსული. პოეტის მოვალეობა კი ასეთი პიროვნებების განდიდებაა. მხატვრულ ოსტატობას ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი როლი ეკისრება.

”საიქიოს ბოროტება გაამგზავრა სწორედ ბევრი.

შიშისაგან ადარ იყვნენ, შეუცვალა ყველას ფერი

პრისტავი და დამქაშები მიიმალნენ ყველა ერთად

არ იცოდნენ თუ რა ექნათ, არსაიდან იყო შველა.

შიშის მეტი შიშისაგან აუტეხა ყველას ბელა” (კომახიძე 1928:31).

- წერდა, მაგალითად ერთი პოეტი ძველი რევოლუციონერის, მემედ გოგიბერიძის შესახებ.

სამაგიეროდ, ამ ბრძოლამ ის შედეგი გამოიდო, რომ პროლეტარიატის ზეობის ხანა დადგა და პოეტიც ვალდებულია აღწეროს მოზეიმე პროლეტარიატი:

”ვართ მოზეიმე რაყიფები

ელვის,

ანთების

და მოთაყვანე პლებები

რკინის შანთების

გვიტაცებს ჟღერა

ვით სიმღერა

ზუჩის და ფარის

და გვიტკბობს სმენას

ვით სიმების ქვითინი თარის” (ოდიშელი 1928:6).

ლიტერატურა დაბეჯითებით ხატავდა სურათებს, რომ ახალმა ცხოვრებამ რადიკალურად შეცვალა ქალის ცხოვრების წესიც. უკან დარჩა ბებავი ყოფა. საბჭოთა ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია, აქტიურადაა ჩართული

საზოგადოებრივ საქმიანობასა და სოციალისტურ შეჯიბრში. წარმატებული კოლმეურნეა და ყველასათვის მისაბაძი სტახანოველი. მისი ბედნიერების საზომიც, რა თქმა უნდა საბჭოურია:

”ციტრუსების ნარგავებს თავს ვევლები ალერსით,

სტახანოველს გიცნობენ ჩაის პლანტაციები.

გულში ღვარად მოგარდნილს ვეღარ ვფარავ სიხარულს,

გუშინდელი ფუხარა კოხტა ოდას იშენებ,

წითელ სამშობლოსათვის ნერგავ ბავშვში სიყვარულს,

ბედნიერი დიმილი მზიურ სახეს გიმშვენებს” (აფხაზავა 1941:№5:46).

ქალის ცხოვრება და საზრუნავი საოჯახო საქმეებით აღარ შემოიფარგლება. ბრძოლისა და შრომის ხაზზე მამაკაცთან ერთად დგას: ყანაში თუ ბაღჩაში, ქარხანაში თუ ფაბრიკაში, სამამულო ომსა თუ მშენებლობაზე:

“ჩემი ფანჯრიდან მოსჩანს

მზით გარუჯული ქალი:

დაჲკა, ბეტონი მოჭრა,

სწრაფად მოსტაცა ყალიბს

და მიაწოდა ოსტაცს

ერთად ორ-ორი ცალი.

ვუცქერ, ვუცქერ და ვატყობ –

ვერ დაჯაბნიდა მტერი...

იქ სნაიპერი იყო,

აქ კი – ბეტონის მჭრელი” (მალაზონია 1949:№12:8).

უფროსებს ბავშვებიც უნდა ამოუდგნენ მხარში. ახალი ადამიანის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა სწორედ მომავალი თაობის აღზრდაა, მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებაც. ამიტომ, მხატვრული ლიტერატურაც დაუდალავად ხატავს სურათებს, როგორ ებმებიან ბავშვები კოლექტიური შრომის ფერხულში, რა პასუხისმგებლობით ეკიდებიან კოლექტივის საკუთრებას. ასე, მაგალითად, როცა საუკეთესო მეჩაიე ფერიდე ავად გახდა, იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო კი არ წუხდა, არამედ იმის გამო, რომ შრომის გმირობაზე მეოცნებეს საყვარელი საქმიანობის, ძვირფასი ჩაის ბუჩქების მიტოვება მოუხდა. მაგრამ მას ამ გასაჭირში შვილი, პატარა ნარგული ამოუდგა მხარში:

”მაგრამ დედიკოს ნაკვეთი

ხომ შერცხვა, ხომ ჩამორჩება?

არა! დედას არ შეარცხვენს,

დედა არ დაიჩაგრება.

დედის მაგიერ ნარგული

ჩაის ბუჩქებში ჩადგება” (გაბესკირია 1949:N<sup>o</sup>6).

მხატვრული ლიტერატურის ფუნქცია იყო, დაეხატა პარტიის და კომპავშირის განსაკუთრებული როლი, განედიდებინა ისინი და დაემკვიდრებინა საზოგადოებაში აზრი, რომ მათთვის დაუძლეველი წინააღმდეგობა არ არსებობს:

“ჩვენ დაბრკოლებებს არ შევუშინდებით,

არ ვიცით რაა ბრძოლაში დაღლა,

ვერ გვაკრთობს სუსხი, თქეში, ბინდები, -

ვფრინავთ ყველაზე სწრაფად და მაღლა!

სტალინური მზე გვათბობს, გვაკაუბს,

მან შეგვასწავლა შრომა, ბრძოლა და

ლენინურ მოდგმას მამაც ქალ-ვაჟებს

მუხლი, კუნთები დაგვიფოლადდა” (რუსიძე 1938:N<sup>o</sup>249).

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ პროფესიის წინა პლანზე წამოწვევა, ამ დარგში მოღვაწე ადამიანების საქმიანობის მნიშვნელობის განმარტება. შესაბამისად, იქმნებოდა ნაწარმოებები აგიტატორებსა თუ წითელარმიელებზე, ჩაის მკრეფავებსა თუ მშენებლებზე. მაგალითად, ერთი პოეტი ხაზს უსვამს აგიტატორის საქმიანობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც თავდაუზოგავად იღწვის მშრომელთა “პარტიული თვითშეგნების ამაღლებისა” და “შრომისუნარიანობის გაზრდისათვის”. დღევანდელი მკითხველისათვის ამას კომიკურობის ელფერი კი დაკრავს, მაგრამ წარმოდგენილი სურათის მიხედვით მშრომელები მოუთმენლად მოელიან აგიტატორს და სულგანაბული უსმენენ მას:

“გელიო, სადა ხართ, მოგვნატრებია

შენი ღიმილი და საუბრები.

თვალებით გზები გავაჩირაღდნეთ,

ერთი სურვილი გვქონდა ნამდვილი.

... გვწყურია შენი სიტყვა მართალი,

პირზე რიურაჟთა ეშხის მომგვრელი,  
რა კარგი იყო შენი ნათქვამი  
აგიტატორო ისევ მოგელით” (ვარშანიძე 1950:46).

ან კიდევ:

”კაცის უფლების სიღრმე განმარტა,  
ჩვენი ცხოვრების მიზანი სწორი, -  
და ამომრჩევლებს ზამთრის ბუხართან  
ესაუბრება აგიტატორი” (ხალვაში 1950:№53).

აგიტატორის ქება არც ერთადერთია და არც შემთხვევითი. საბჭოთა  
მწერლის თვალს ყურადღების გარეშე პრაქტიკულად არცერთი პროფესიის  
ადამიანი არ რჩებოდა:

“უნდა საჩქაროდ წავიდოთ  
ბურდი, ზონარი, ფალია,  
რომ ავაფეთქოთ ლადუმი,  
შევაზანზაროთ მთანია” (კეშელავა:1980:116).

- ეს ლექსი ბარიტის მემადაროელს ეძღვნება. მემადაროელს, რომელიც ბარიტის  
მადნის აღმოჩენამ იმდენად გაახარა, სახლში ვედარ გაჩერდა და “თვალებში  
მზეამოსული” გაიქცა დდესასწაულად ქცეულ საქმიანობაში მონაწილეობის  
მისაღებად.

”გამხურებელი  
ანთებს ფრქვევანას,  
ჩნდება ხანდარი ჩაუქრობელი;  
ქარიშხალდება  
ცეცხლის მაგია  
შრომის პანგებათ გადაქცეული.  
საორთქლე ქვაბში ორთქლი  
მხედრდება,  
ორთქლი პაექრობს  
ცეცხლთან ბრძოლაში, -  
და იგიც ასე  
ჰქუებს და ვარვარებს,  
ვით ოქტომბრის მთა  
სრბოლაში...“ (შარაშიძე 1930:№223).

ეს ლექსი კი გამხურებლის საპატივცემულოდ არის დაწერილი. როგორც ვხედავთ, შემოქმედის ”მახვილ თვალს” ყურადღების გარეშე კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ჩაბმული არცერთი ადამიანი არ რჩებოდა და ბარემ წითელარმიელებიც ვახსენოთ აქვე, რომელიც, როგორც წესი, ”იბრძოლებს, სანამ არ წაიქცევა”. ამ თემასთან ერთად ბუნებრივად ჩნდება საბჭოთა ლიტერატურაში იმპერიალისტების და სოციალისტური სისტემის სხვა დაუძინებელი მტრების სახეც, ”ბებერ ევროპის დამპალი მოდგმა” და ”სისხლიანი ბურჟუაზია”.

”და მხეცივით გვიღრენს იგი,  
უნდა საზღვრის გადმოქველვა,  
მაგრამ აკრთობს ჩვენი ხმალის  
და ვარსკვლავის ჩვენის ელვა.

თუ გაბედა მუხანათმა  
და შეეხო ის ჩვენს მიწას –  
ნახავს წითელარმიელი  
დიდ სამშობლოს როგორ იცავს” (ცეცხლაძე 1938:14).

წითელარმიელების ცხოვრებას ასახავს პარმენ ლორიას მოთხოვნა ”შეხვედრა”, რომელშიც მესაზღვრეთა თავდადებაა ნაამბობი. საბჭოთა კავშირთურქეთის საზღვრის საკმაოდ დიდი მონაკვეთი სწორედ, აჭარაზე გადიოდა და ეს თემა მწერლობის ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა.

მენშევიკების პერიოდში, მაშინ, როცა საქართველოში გარკვეული ხნით გერმანელებმაც შემოადწიეს, ბოლშევიკების ბრალდებით დააკავეს პავლე სოფომ სცადა ქმრის დახსნა. ”უფროსებს” შორის აღმოჩნდა გიორგი კობრაძე, მეზობელი აზნაურიშვილი, რომელიც სოფოს დედის ძუძუთი იყო გაზრდილი. ქალი მუხლებში ჩაუვარდა და დახმარება სთხოვა, კობრაძემ კი აგდებით მოუსმინა და ბოლოს საკუთარი ხელით დაუხვრიტა ქმარი.

გამოხდა ხანი. სოფომ შვილი გაზარდა, დათიკო, რომელიც სასაზღვრო ჯარის ოფიცერი გახდა. ომიანობის დროს საზღვრის დამრღვევებს რომ დააკავებენ, ერთ-ერთი სწორედ გიორგი კობრაძე აღმოჩნდება.

”თქვენს განაჩენს საბჭოთა ხალხი და სასამართლო გამოიტანს” – ასე მიმართავს დათიკო საზღვრის დამრღვევებს, მათ შორის მამის მკვლელს (ლორია 1943:24). ეს მოთხოვნა, ცხადია, თავსდება იდეოლოგიურ ჩარჩოში:

მტერი ბოროტია, აზნაურია, საბჭოთა ადამიანები კი კეთილსინდისიერი მუშაკები და სამართლიანები არიან. შესაბამისად, დათიკო თავად კი არ იძიებს შურს, საბჭოთა მართლმსაჯულებას მიანდობს მამის მკვლელის ბედს.

კრიტიკა ხშირად მიუთითებდა, რომ საბჭოთა მწერალს შემოქმედებითი თვალსაზრისით იდეალურ ვითარებაში უხდებოდა ყოფნა. მას არც თემები ჰქონდა საძიებელი და იდეურ გამართულობაზეც არ უწევდა დიდი ჭაპან-წყვეტა. ლიტერატურულ თუ პროლეტარულ პრესაში ხშირად წააწყდებოდით მაშინ, მაგალითად ასეთ “მარგალიტებს”:

“აჭარისტანის დღევანდელი სინამდვილე, მისი სოფლის მოსახლეობის ზნებეულებათა სპეციფიურობა და ამ ზნებეულებათა გარდატეხის ხანაში ყოფნა – ერთ მხრივ, აჭარისტანის გადასვლა ინდუსტრიალიზაციის რელსებზე – მეორე მხრივ – მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის მრავალ მასალას იძლევა, იძლევა ნედლეულის უამრავ მარაგს, რომელიც აჭარის ახალგაზრდა მწერლობამ ფაბრიკატებად უნდა გარდაქმნას” (ფერადე 1928:90).

სინამდვილეში, ლიტერატურულ მასალაზე თვალის გადავლებაც ცხადყოფს, რომ მწერალი მხოლოდ იარაღია სახელმწიფოს ხელში. იგი მხოლოდ იდეოლოგიური შეკვეთის შემსრულებელია, ზოგი ნიჭიერად, ზოგი უნიჭოდ, ხოლო შემოქმედებით თავისუფლებაზე, ასეთ პირობებში ლაპარაკიც ზედმეტია.

### §3. სოციალისტური შრომის აპოლოგია

ტერმინი “სოციალისტური შრომაც” ეპოქის პირშოა. პროპაგანდისტული სტანდარტის მიხედვით, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მშრომელთათვის ახალი, საამური ხანა დაიწყო. მონური შრომა გათავისუფლდა ბორკილებისგან. თუკი მანამდე ლუკმა-პურს ტანჯვით მოიპოვებდნენ, ახლა უკვე დაზგასთან თუ ჩარხთან მუშაობა ბედნიერების საფუძველია. “სოციალისტური სამშობლოსთვის შრომა სიხარულის უშრეტი წყაროა”, - აი ამ პროპაგანდის და შესაბამისი ლიტერატურული პროდუქციის კონცეპტუალური აზრი.

“შენი დღე თვალწარმტაცია,

ვაშა, ვინ აგამზიანა,

შრომა გმირობად აქცია,  
მშრომელი – ადამიანად!” (რუსიძე 1938:21).

- წერდა პოეტი და გასაკვირი არაა, რომ ახალი ადამიანის აღზრდის თუ სოციალისტური ცხოვრების წესის პროპაგანდის გზაზე საბჭოთა ლიტერატურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორედ “სოციალისტური აღმშენებლობის პროცესად წოდებული ვითარების წარმოჩენას. ისიც ნათელია, რომ ამგვარი მწერლობის ერთ-ერთი თანმდევი ხაზი იყო ძველისა და ახლის დაპირისპირება:

“რა არის დღეს და რა იყო წინათ  
ეს ყვავილის და ნარინჯის ველი!  
დიდება იმას, ჩემო ქვეყანავ,  
ვინც გაგინათა წყვდიადი ბნელი!” (რუსუა 1940:№4.48).

ბუნებრივია ისიც, რომ შემოქმედი ადიდებს იმ ბნელი წყვდიადის განმანათლებლებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც შრომის გმირის დიდებამდე მიაღწიეს. დეტალიზაციისგან ამჯერადაც შევიკავებთ თავს, მხოლოდ ზოგიერთი ნაწარმოების სათაურს დავასახელებთ სურათის ნათელსაყოფად: “ჩაის მკრეფავ სტანციელ ქალს”, “მუშებს”, “რკინის არია”, “ჰიმნი პროლეტარებს”, “ვერ აღვმართეთ დროშა”, “ზეიმი დროშებით”, “სოფელს”, “თესავენ ყანას”, “თუმც ჩაესვენა”, “პოდა იცოდე”, “შრომის შვილს”, ”ჩვენი სიმღერა”, “შრომის ნადიმზე”, “მსოფლიო ნადური”, “ჰიონერის წერილი”, “ჩვენი სოფელი”. მწერლები ცდილობენ, დაარწმუნონ მკითხველი, რომ შრომა უძლეველი ძალაა, რომლის მეშვეობითაც დედამიწაზე ყველა უკეთურება წარმავალია. მას შეუძლია ერთპიროვნულად დაამარცხოს გაჭირვება, დუხშირი ცხოვრება, სიღატაკე და ნათელი მომავლის საფუძველთა საფუძველი გახდეს. მუშას არა აქვს დაღონების, უიმედობისა და სიცოცხლზე ხელის აღების უფლება. მწერალი კი შრომის მეხოტებელ იქცა და განსაკუთრებით დაფასდა ე. წ. ინდუსტრიალური ლირიკის პრიმიტიული სტრიქონები:

“მსურს თავისუფალ ნათელ შრომას  
შევუთხა ჰიმნი.  
დიდება გუთანს, თოხს და ნამგალს  
ტრაქტორს და წერაქვს,  
დიდება შრომას, რომ მიწის გულს,  
აპობს და დარავს...” (რუსუა 1954:85).

ერთობ პოპულარული იყო კონკრეტული მასშტაბური (უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად უაღრესად დირებული და მნიშვნელოვანი) პროექტებისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებები. მაგალითად, უამრავი ლიტერატურული პროდუქცია მიეძღვნა აჭარისწყლის პიდროელექტროსადგურის (აჭჭესის) მშენებლობას, რამაც შესაძლებელი გახადა, რიგით მშრომელთა საცხოვრებლებშიც შეეღწია ელექტროენერგიას:

“და საზეიმოდ მოწყობილი აჭარისტანი,  
აჭჭესის სადგურს, როგორც ყვავილს მკერდზე დაიბნევს,  
ელექტრო ჩქერით მავთულებიც იქნება მთვრალი  
და ეს ჩქერები ქოხმახებსაც ყველგან დაირბენს” (შავიშვილი 1928:19).

არანაკლებ პოპულარული იყო კოლხეთის დაბლობზე ჭაობის დაშრობის, დასავლეთ საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენების და სხვა თემები. პარმენ ლორია ასე ეხმიანება “სოციალისტური შრომის” პროცესს რომანში “ჩაი”:

“გვიმრის მეტი არაფერი მოდიოდა, ბაბა, ამ თოხაურზე! – უთხრა ერთმა გურულმა გლეხმა ფერიდეს სოფელში ყოფნისას. – კინადამ შევიშალე, დაბარვა რომ დაგვაწყებინეს. გადაირია ხალხი-მეთქი! ერთ ხანს სოია გვათესვინეს, მერე თუთუნი გვაკრეფინეს, ახლა მასხრად გვიგდებენ და რადაც უსარგებლო ნერგს გვარგევინებენ-მეთქი. ახლა თავის თავს დასცინოდა მოხუცი მაშინდელი შიშისთვის. საგვიმრე შემოსავლის წყაროდ იქცა. ხუმრობაა, წლიურად ჰქექტარმა ასეთმა მწირმა მიწამ სამი-ოთხი ათასი მანეთი შემოიტანოს! აქ მარტო ჩაი ხომ არაა. მას უცხო ხეები შემოჰყვა. ეს ციტრუსებიო, ეს ევკალიპტიო, ბამბუკი, ათასნაირი უცხო ხე და სწორედ ბაღს დაემსგავსა ეს სოფელი!” (ლორია 1948:247).

ბუნებრივია, შრომისა და მშრომელთა სადიდებელ ლიტერატურულ პროდუქციაში უმთავრესი ადგილი ეკავა ერთი მხრივ, მუშას და ქარხანას, მეორე მხრივ – კოლმეურნეს და სოფელს:

“ვაგებო ქარხნებს უამრავს,  
ცეცხლი დვივის რკინაში,  
ვდგავართ ახლა პირისპირ,  
მშენებლობის წინაშე!...

სხვა საქმისთვის მშრომელებს

დღეს ჩვენ ადარ გვცალია!  
შრომა ახდენს სასწაულს,  
ნება მაგისტრალია...

წესი უნდა აეგოს  
რაც ფუჭი და აუგია, -  
ნაშთი ბნელი წარსულის,  
ცეცხლსაც გადაბუგია.

ძველი მამა-პაპური  
არ გვიგვარგა კავები!  
უნდა ტრაქტორს, მანქანას  
მოვუმარჯვოთ მკლავები” (რურუა 1954:108).

- წერდა პოეტი, მაგრამ მწერლის ფუნქცია განუზომლად უფრო დიდი იყო. მას არა მხოლოდ იდეოლოგიურად მისაღები კუთხით უნდა აღეწერა რეალობა, არამედ მოქმედების ფორმა და წესიც დაეწესებინა. ვთქვათ, აემულებინა გლეხი დათანხმებულიყო კერძო მესაკუთრეობის უარყოფაზე, მიჯნების მოშლასა და კოლექტივში გაერთიანებაზე, მაგალითად ასე:

“ვანგრევთ ზღუდეებს საკუთრებისას,  
ადარ გვსურს მიჯნა ძმათა გამყოფი!  
ტრაქტორმა უნდა დაგვიხნას მიწა,  
რომ ყანამ მოგვცეს უხვი ნაყოფი.

კერძო ცხოვრებამ ჩვენ სათითაოდ  
ყველა მოგდალა და მოგვინელა;  
უკვე შევიგნეთ ერთობის ძალა  
და კოლექტივში შევდივართ ყველა.

ვისაც გსურთ ქვეყნად დათრგუნოთ ძველი  
წესწყობილება და პპოვოთ შველა,  
კოლექტივისკენ, კოლექტივისკენ,  
კოლექტივებში შეერთდით ყველა!” (რურუა 1954:102).

პარმენ ლორიას მოთხოვბაში “ჩემი პირველი თანამდებობა” აღწერილია აჭარის ერთ-ერთი სოფლის ყოველდღიური ცხოვრება, მიღწევები, წარმატებები, მიზნები. “ახალი საბჭოთა ადამიანის” ასლან იგივე არჩილ თიბაძის კარიერის დასაწყისი და ა.შ. მშობლიურ სოფელში დასასვენებლად ჩასული ფიქრობს, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე მოახმაროს სამშობლოს, თუმცა ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა იმუშაოს უმაღლესი განათლების მქონემ კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ფიქრობს, ქვეყნისათვის უფრო მეტის გაკეთება შეუძლია და გაცილებით დიდ, საპასუხისმგებლო სამსახურში წარმოუდგენია თავი. თუმცადა ერთობლივი ძალისხმევით ოჯახის წევრები და თანასოფლელები ახერხებენ მის დარწმუნებას.

არჩილი მიდის იმ მოსაზრებამდე, რომ სოფლის წინამდიდობისა და მართვისათვის საჭიროა არა მხოლოდ გამოცდილი, გამრჯე და მშრომელი, არამედ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი. სურს, არ შემცირდეს კოლმეურნეობის წარმატების რეკორდული მაჩვენებლები, ამისათვის კი „სასწაულების ეპოქას“ შესაბამისი კადრი ესაჭიროება.

„ექვსი ტონა ანუ ექვსი ათასი კილოგრამი, არა, ეს როგორ შეიძლება. ათი წლის წინ პექტარის სარეკორდო მოსავალი ორი-სამი ტონა იყო, ახალი კი თორმეტზე ასულა. ეს ხომ სასწაულის მსგავსია, აფასებს შრომის გმირობის მაძიებელი დის, ნინეზას მიღწევებს არჩილი და უკვირს, როგორ ახერხებს სრულიად ახალგაზრდა ქალი მოსავლის ერთი ოთხად გაზრდას, მაგრამ მაღლევ რწმუნდება, რომ წარმატების საწინდარი კოლექტივია. რამდენიმეწლიანი ისტორია აქვს არჩილის მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას, სადაც ამ მოკლე დროში „იმდენი ქონება დაგროვდა, რომ კერძო შემოსავლის გარეშეც ყველას ყოფნის, უფრო მეტიც, ავტორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას უპირისპირებს კოლექტივის მიღწევებს და ნათელია, თუ რას ანიჭებს უპირატესობას:

„ჩვენი წინაპრები საუკუნეები ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ, შრომობდნენ, სისხლსა და ოფლს დვრიდნენ და მაინც მშივრები უსახლკარონი და შიშველ-ტიტველნი იყვნენ, მეც კი ვშრომობდი ორმოცი წელი მანამდე, მაგრამ... ამ თექვსმეტ წელიწადში კი... - აჯამებს მიღწევებს რეჯებ თიბაძე, მას ვერ წარმოედგინა კოლექტივისგან გვერდზე დგომა და ბრძოლა კერძო საკუთრებისთვის. პირიქით, ამ უკანასკნელისგან თავის დაღწევა ითვლება წარმატების გარანტიად. „არავინ

დაიჯერებს, რომ თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის წინ ამ ადგილას სახურავ აგლეჯილი ფაცხა იდგა, ხოლო ამ მოშენებული ეზოს ნაცვლად - წითელი თიხა გვიმრითა და ეკალ-ბარდით დაფარული, ამ ოჯახის კულტურული პატრონის ნაცვლად-უკულტურო, კერპი და გონებადაჩლუნგებული გლეხი რეჯებ თიბაძე ცხოვრობდა, რომელიც ყოველი ახალი წამოწყების წინააღმდეგი იყო, მამაპაპური ზნე-ჩვეულებებითა და მათებრ მონური მუშაობით ფიქრობდა კერძო საკუთრების გაზრდას, თიხა მიწის ბარვითა და სიმინდის თესვით აპირებდა ოჯახის რჩენას და გამოკვებას ასე განსჯის არჩილი და მწერლის მიზანიც ნათელია - დაარწმუნოს მკითხველი, რომ კოლექტივიზაცია განვითარების ერთადერთი სწორი გზაა.

სოციალისტური სულისკვეთების მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვი განუზომელია. მათი დეტალური ანალიზი არაფრის მომცემია და თუ ჩვენ, მართალია, ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც კცდილობთ ძირითად თემებსა თუ ტენდენციებზე მინიშნებას, მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ, ასეთი ლიტერატურული მასკულატურა განსაზღვრავდა ეპოქის ლიტერატურულ სახეს და იწერებოდა უამრავი ლექსი, რომლებშიც ხოტბას ასხამდნენ პრიორიტეტად აღიარებულ დარგებს, ჩაის, სიმინდს, სილოსს, მეჩაიერებს, მებრეშუმეებს, მეციტრუსეებს, მენახშირეებს და ა.შ. ამ ლიტერატურის დასახელებაც კი საკმარისია ზოგადი სურათის წარმოსადგენად: „სიმდერა ჩაის მკრეფავებზე“, „ბრიგადირი“, „დამე პლანტაციაში“, „ბარიტის მემაღაროე“, „პატარა მენახშირეს“, „გამხურებელი“, „აგიტატორი“, „აჭარელ მეციტრუსეებს“, „ჩაი“, „მშენებელი“, „ბალადა შოფერზე“, „აჭარელი კოლმეურნის სიმდერა“, „დურგალი“, „ყანაში“ და ა. შ.

შრომის და მშრომელის ქებაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ ამ ლექსებს თუ პოემებს, მოთხოვნებსა თუ რომანებს სული აკლდა, ჭეშმარიტი შემოქმედის პატიოსნება და გულწრფელობა...

#### 4. ახალი კერპები და ახალი თარიღები

აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ შენიშნავს, რომ „შემოქმედებითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს - პირველი, მწერალს (საერთოდ ხელოვანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და მეორე - ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოქმედებით თავისუფლებასაც“ (ბაქრაძე 1990: 32).

ამ დებულების საიდუსტრაციოდ აკაკი ბაქრაძეს მოჰყავს ნიმუშები ბელადებისადმი მიძღვნილი მხატვრული შემოქმედებიდან. „იწერებოდა უანგარიშო და ულევი ლექსი, მოთხოვობა, პიესა, რომანი. მწერალთა პლენუმებსა და ყრილობებზე იყითხებოდა საგანგებო მოხსენებებიც - „ამხანაგ სტალინის სახე საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში“, - წერს იგი.

ბელადების სახოტბო პოეზია აჭარაში მოღვაწე მწერლების შემოქმედების ერთი უხვი ნაკადიც რომაა, გასაკვირი არ უნდა იყოს. ამ ლიტერატურას მხატვრული დირებულება არ გააჩნია, მაგრამ იმდენად მრავალრიცხოვანი და დამახასიათებელია, იმდენად არსებითი ნაწილია იმჟამინდელი მწერლობისა, მათი თუნდაც სქემატური წარმოჩენის გარეშე ეპოქის სურათის წარმოდგენა ძნელია.

მწერლების ნაწილსათვის პოლიტიკური დავალების შესრულება საპატიო მისიად ითვლებოდა, ნაწილისათვის – არა. ეს უკანასკნელი ბელადებს თავის გადასარჩენად უმდევოდნენ, მაგრამ გამოცდა ჩაბარებულად როდი ეთვლებოდათ, მთავარი იყო გაღებული ხარკი ზემდგომ ორგანოებში მოწონებოდათ. მოვალეობის მოხდის მიზნით დაწერილი მხატვრული ნაწარმოები არა ლიტერატურული, არამედ პოლიტიკური კრიტიკის ქარცეცხლში გატარდებოდა და ავტორი სათანადოდაც დაისჯებოდა.

მაქსიმ გორკიმ 1934 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას თითქოს დაგმო დიდი თუ მცირე ბელადების განდიდების ტენდენცია. განაცხადა, რომ „ბელადობა – ეს არის მეშჩანობის ინდივიდუალისტური მისწრაფება მთელი თავით მაღლა დადგეს თავის ამხანაგთან შედარებით, რასაც ადვილად ახერხებენ მექანიკური გაქნილობის, ცარიელი თავის და ცარიელი გულის არსებობის პერიოდში“ (გორკი 1934:N<sup>o</sup>194).

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საბჭოთა სახოტბო პოეზიის განვითარებისათვის. ბელადების განდიდება ჩვეულ რიტში გრძელდებოდა.

1938 წელს გაზეთი “საბჭოთა აჭარა” იუწყებოდა: ”წულუკიძე, შაუმიანი, ჯაფარიძე და ბეგრი სხვა რევოლუციონერი-მუშები, გლეხები, ინტელიგენტები აღზრდილნი არიან დიდი სტალინის მიერ. მათი სახეები დიდი ხანია ელიან მხატვრულ სიტყვის ოსტატებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია ამ თემატიკის დამუშავება. მაგრამ ეს თემატიკა იმდენად ვრცელი და მდიდარია, იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ტრიბუნიდან არ მოვუწოდოთ მთელი საბჭოთა კავშირის მხატვრული სიტყვის ოსტატებს მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ მუშაობაში. აქ ადგილი და თემები ყველასათვის საკმარისია” (“საბჭოთა აჭარა” 1938:№7).

გასაკვირი არაა, რომ სახოტბო პოეზიის ცენტრალური ფიგურა სტალინია. სტალინიადა მაშინ ყოვლისწამლეკავი იყო. პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის განდიდებაში, ეძებდნენ ორიგინალურ მხატვრულ სახეებს და ადამიანურ თუ ზებუნებრივ თვისებებს, რომლებიც ახალი ეპოქის კერპისთვის უნდა მიეწერათ:

”შენ ხომ კრემლიდან განთიადი ხარ,  
გაზაფხული ხარ, სიამის წყარო,  
ყველა მშრომელის გულში ჩადიხარ,  
რომ სიხარული ჩანჩქერად ღვარო.  
შენით წკრიალებს მწყემსის კარავშიც  
რუსთველის ლექსის ელვარე ბწკარი.  
მიწაც არ ბრუნავს დღეს შენს გარეშე  
და არც იალბუზს ეხება ქარი” (უურული 1946:№86).

- წერდა ერთი პოეტი. სტალინის, ახალი სამყაროს შემქმნელის გახსენებაზეც კი ჰაერში მფრინავი ლომგულდება, უდაბნოში ქარის თარეში წყდება და მწვანე ხეივნები იქმნება. მისი ჩიბუხიც კი ძვირფასია არა მხოლოდ საბჭოთა მოქალაქისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. სადღაც ჯუნგლებში მყოფ ინდოელისათვის მხსნელი, სიმართლის ბაირახტარი სტალინია და რა გასაკვირია, თუ აკვნიდან ჩვილიც მის სურათს შეჰსარის:

“ღიმილით გიცნობს ფუნთუშა ბავშვიც  
აკვნიდან ახლად ამოყვანილი,

უმზერს სურათს და, დედის კალთაში

ტქბილად ტიტინებს: “ძია სტალინი!” (ურული 1946:№250).

აღსანიშნავია, რომ ბათუმში მოდგაწე მწერალთაგან ნესტორ მანიძის, იმავე ნესტორ მალაზონიას, ვარლამ ურულისა და ვ. გორგაძის სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები შევიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის “ზარია ვოსტოკას” მიერ ქართულ და რუსულ ენებზე 1937 წელს გამოცემულ კრებულში: “ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე”.

გასაკვირი არაა, რომ სტალინთან ერთად, არა ასე მასშტაბურად, მაგრამ მაინც, განადიდებდნენ სხვა პოლიტიკურ ფიგურებს, საკავშირო ოუ ადგილობრივი მნიშვნელობის ბელადებს - ბერიას, ორჯონიკიძეს, ვოროშოლოვს და სხვებს. აქ ნიმუშად მრავალთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

“კავკასიონის მტერს გაშმაგებულს  
ვინც სასიკვდილოდ მოსტეხა მხარი  
ვინც გვასახელა თავის მარჯვენით  
და გახდა ჩვენი ხმალი და ფარი.

ვინც დაიფარა განსაცდელისგან  
ჩვენი ოჯახი და ჩვენი კერა,  
იმას ეკუთვნის ჩემი გულისთქმა,  
ჩემი ლექსი და ჩემი სიმღერა.

ის რჩეულია, ჩვენ იმას ვირჩევთ  
დღეგრძელი იყოს ის ჩვენი გმირი  
დღეგრძელი იყოს ჩვენი ბერია  
შეუდრეკელი და პირდაპირი” (რუსა 1946:№28).

პოეტებს არც პროზაიკოსები ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, კაპიტონ რუსიძის მოთხოვნის „გულნაზის” კონცეპტუალური აზრი ისაა, რომ გულნაზის, სოციალისტური შრომის გმირის წარმატების საწინდარი საბჭოთა წყობასთან ერთად დიდი სტალინია. მისი გენიის წყალობით გახდა აჭარელი ქალი სანიმუშო მშრომელი. ოქროს ვარსკვლავის მიღების შემდეგ, სწორედ მას უხდის მადლობას: “სურათიდან მამობრივი ღიმილით გადმოჰყურებდა უსაყვარლესი ადამიანი. გულნაზმა რამდენიმე წამს თვალი ვერ მოშორა მას. მერე, თითქოს ახალი ძალ-ღონე შეემატა და გონება გაეხსნაო, ბელადის სურათს მან ხელები

მიუშვირა და თრთოლვით წარმოთქმა აფართქალებულ გულიდან ამოტანილი სამი სიტყვა:

– მადლობა მშობლიურ სტალინს!

დარბაზში მეტის ძალით იგრიალა ტაშმა.”

პროპაგანდისტული სტრატეგია მაინცადამაინც მახვილგონივრულად როდია შერჩეული, მაგრამ მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული და ამგვარი ნაწარმოებებიც სავსებით მისაღები იყო საბჭოური კრიტიკისთვის.

გარდა ბელადებისა, ხოტბის ობიექტი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი მოვლენა ან ფაქტი, რომელიც საბჭოთა სისტემას შეესაბამებოდა. აქ უპირველესად უნდა დავასახელოთ საზეიმო თარიღები, რომლებიც ახალ ეპოქას ახლებური პქონდა, ძველი, მითუმეტეს რელიგიური დღესასწაულებისაგან სრულიად განსხვავებული: ენერგეტიკის დღე თუ რკინიგზელის დღე, პირველი მაისი თუ შვიდი ნოემბერი. პოეტებიც განადიდებდნენ საზეიმო თარიღებს:

“დღეს ოქტომბერი მობრძანდება

დროშაგაშლილი,

ზემს იხდიან ბედნიერი მოქალაქენი.

ხარობს და ლადობს

საბჭოეთის დიდი კავშირი,

ყველგან ლხინია და ხალისის

ზღვა და ჩანჩქერი” (მალაზონია 1953:36).

ან კიდევ:

“ხმა იმედისა მისგან გაისმის

და ცადატყორცნილ კრემლიდან მოდის

კაცობრიობის დიდი მაისი” (უურული 949:N:86).

თარიღების გარდა, განდიდების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო კონსტიტუცია თუ არჩევნები, ხუთწლედი თუ გეგმების გადაჭარბებით შესრულება. ამ შემთხვევაშიც ერთი მაგალითის მოყვანას დავჯერდებით:

“ახლა, როცა მეორე ხუთწლედი გვაქვს სახეში, -

როგორც პირველს, იმასაც ხორცს შეასხამს პარტია.

მტერი თვითონ ებმება მის დაგებულ მახეში,

ახლა, როცა მეორე ხუთწლედი გვაქვს სახეში.

დამკვრელობა იზრდება აღტაცებულ მასებში,

მშენებლობა ეპოქის სულის ანდამატია!

ახლა როცა მეორე ხუთწლედი გვაქვს სახეში, -

როგორც პირველს, იმასაც გამოსჭედავს პარტია!“ (რურუა 1945:115).

ამ და სხვა ამგვარი სტრიქონების მხატვრული ღირებულების შესახებ რა მოგახსენოთ, მაგრამ საპროპაგანდო ფუნქციას, ეტყობა, კარგად ასრულდებდა. მარტივად და გასაგებად ცდილობდა მასების დარწმუნებას, რომ ხუთწლედები დაგეგმვის გენიალური მიზნებაა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია ყველაზე სამართლიანია, რომ ჩვენში ჩატარებული არჩევნები ყველაზე დემოკრატიულია, რომ საბჭოთა ბელადები ყველაზე დიდი ადამიანები არიან კაცობრიობის ისტორიაში...

## §5 რეგიონის ცხოვრების სურათები

განხილული საკითხების გარდა ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში რეგიონულმა მწერლობამ ასახა არაერთი თემა, რომელთაგან ზოგი წმინდა იდეოლოგიური შინაარსისა, ზოგი – დიახაც, საჭირბოროტო, იმსანად ერთობ აქტუალური იყო და მიუხედავად პროპაგანდის გარიანი დოზებისა – რეგიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე.

ავილოთ თუნდაც ქალის მდგომარეობა ზოგადად და ჩადრთან დამოკიდებულების საკითხი.

ჩადრის თემა დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში ჩანს ანაქრონიზმად, თორემ მაშინ ეს საკითხი მეტად პრინციპული იყო და მწერლებიც - ზოგი პარტიის მითითების გამო, ზოგიც გულწრფელად – ჩაება ქალის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს თემა რამდენიმე ასპექტით წარმოჩნდა კაზმულსიტყვაობაში. ერთი მათგანია ქალის უუფლებობა, მისი დისკრიმინაცია. ერთი მხრივ, რელიგიური პრინციპებისგან, მეორე მხრივ, დრომოჭმული ტრადიციებისგან გამომდინარე. პარმენ ლორია რომანში “ჩაი” ასე აღწერს ქალის მდგომარეობას:

”აჭარელ ქალს ცამეტი წელი რომ შეუსრულდებოდა, ჩადრს დაახურავდნენ, ფერჩეს ჩამოაფარებდნენ. ეკრძალებოდა იმ დღიდან მამაკაცებისთვის სახის ჩვენება.

ნორჩს გაათხოვდებდნენ, ცამეტი-თოთხმეტი წლისას, ხშირად  
ნაკლებისას...

ღარიბს გაჲყვებოდა – სიღარიბეც ტანჯავდა სხვა გაჭირვებასთან ერთად.  
შეძლებულის ხელში – დაპკარგავდა თუ არა მოწონებას ქმრის თვალში,  
მეორე რიგში უნდა გადამდგარიყო, ქმარს მეორე ახალგაზრდა ცოლი  
მოჰყავდა.

და თითქოს ეგუებოდნენ ამ ცხოვრებას, ეგუებოდნენ, ასე ეგონათ, ასე  
ფიქრობდნენ ზოგიერთები.

ასეთია ქალის ხვედრიო, ქადაგებდნენ ხოჯები. ქალი მონაა, მონად უნდა  
დარჩეს, ქმაყოფილი უნდა დარჩეს, ქმაყოფილი უნდა იყოს ქალი იმით, რაც  
ბედმა არგუნაო.

შეიძლება ზოგიერთი ქმარიც ფიქრობდა, რომ მისი პირველი მეუღლე  
ქმაყოფილი იყო, როცა თვითონ მეორე ცოლთან ნებივრობდა.

წესი იყო; მდიდარს შეეძლო ორი-სამი ცოლი მოეყვანა.

უშვილო ქალის ქმარიც სარგებლობდა მეორე ცოლის მოყვანის  
უფლებით.

ქალიშვილი არ ითვლებოდა შვილად და აქაც მეორე ცოლი შეიძლებოდა  
გამოჩენილიყო. ზოგჯერ პირველ ცოლს უნდა გამოერჩია თავისი ქმრისთვის  
საცოლე” (ლორია 1948:337).

როგორც ვხედავთ, ამ ფრაგმენტში მრავალცოლიანობის პრობლემაც  
იჩენს თავს. იგივე საკითხი უფრო ფართოდ აქვს წარმოჩენილი პარმენ  
ლორიას რომანში “დელი მურადი” (“განთიადი ხევში”). ამ თხზულების  
პერსონაჟ იუსუფ ადას სამი ცოლი ჰყავს და ეს ამბავი ჩვეულებრივ  
მოვლენად მიაჩნია. ეგ კი არა, უკვირს კიდეც, ქალებისთვის რატომაა  
მიუღებელი ეს ამბავი: “...მოაგონდა პირველი ცოლის ცრემლები. მუხლებზე  
ეხვეოდა, ეხვეწებოდა, მომკალი ჯერ, დამასაფლავე და მერე მოიყვანე მეორე  
ცოლიო. ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მისი ქმარი მეორე ცოლთან  
ინებივრებდა იმ დროს, როცა პირველი ცოლი იმავ სახლში იქნებოდა.

- სულელებია ქალები, - დიმილმა გაუკო ბაგე ადას, - რა ატირებდა, რად  
იკლავდა თავს? სულერთია, ქალი ყველა ქალია, ერთნაირია და ერთი ჯიშის,  
მრავალი ცოლი კი ხალისია და სიხარული. ცხოვრებას არ მოგაწყენს. ახალი  
სურნელება შემოდის სახლში ახალი ცოლის შემოსვლით. თითქოს  
ცხოვრებას თავიდან იწყებ...” (ლორია 1939:122).

ამგვარი “ფილოსოფიაც” ქალის უუფლებობაზე მეტყველებს, რომელიც ვალდებულია, შეეგუოს ამ ვითარებას ისევე, როგორც შეეგუა ლუთბიე, - უსუფ აღას პირველი ცოლი. ავტორი ასე გადმოგვცემს ამის ფიქრთა მდინარებას: “თვითმკვლელობასაც ნებისყოფა უნდა, ნებისყოფა კი იმას აქვს, ვისაც გული აქვს. ლუთბიეს არაფრის უნარი აღარ დარჩენია.

როგორ ურიგდებოდნენ ქალები ასეთ ამბავს. ლუთბიე პირადად იცნობს ასეთ ცოლებს, რომლებიც შეგუებიან ასეთ მდგომარეობას და ორივე ცოლი ტკბილად ცხოვრობს ერთ ოჯახში. ხან ერთი ხდება ქმრის ალერსის დირსი, ხან მეორე...

რატომდაც ერთხელაც არ უკითხავს ლუთბიეს ასეთი ცოლებისათვის, როგორ აიტანეს ასეთი ცხოვრება. არ ეგონა, თუ მასაც არგუნებდა ცხოვრება ამათ ბედს.

არა, ლუთბიეს არ შეუძლია შეურიგდეს იმ მდგომარეობას, რომ მისი ქმრის საწოლი საზიარო იყოს.

სისულელეა. რადა დროს შერიგებაზეა ლაპარაკი, როცა უკვე შეურიგდა. უკვე გახდა საზიარო, საზიარო კი არა, უკვე წაართვეს ქმარი” (ლორია 1939:129).

უნდა ითქვას, რომ მრავალცოლიანობა მაინც იშვიათი იყო აჭარაში, ამიტომაც შედარებით ნაკლები ასახვა პპოვა კაზმულსიტყვაობაში და პარმენ ლორიასთანაც იგი მოცემულია, როგორც გამონაკლისი. მაგალითად, სამი ცოლის პატრონი ზემოხსენებული იუსუფი, ჯერ ერთი აღაა, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი და ამ ფაქტს რომანში იდეოლოგიური დანიშნულებაც აქვს, გარდა ამისა, მისი მრავალცოლიანობის მიზეზი უშვილობაცაა...

სამაგიეროდ, ჩადრის პრობლემა უფრო პრინციპული და არსებითი იყო. ოციან წლებში მართლაც, დიდი ენერგია დაიხარჯა იმისათვის, რომ აჭარელი ქალი ამ ანაქრონიზმისაგან გათავისუფლებულიყო.

“12 წლიდან იწყებდნენ გოგონები ჩადრის ტარებას, - წერდა პ. ლორია, - თუმცა თავისუფლებით მანამდეც როდი იყვნენ განებივრებულნი. ბავშვობიდანვე შთააგონებდნენ მისი გამოყენების აუცილებლობასა და წესებს.

თავიდან აჩვევდნენ გოგონებს ჩადრის ჩაცმას, ჩაჩაბშიგან ცქერას. იაზმით სწრაფად პირსახის დაფარვას. ამიტომ შვიდი-რვა წლის გოგონებს

შემოახვევდნენ იაზმას და ისე უშვებდნენ სათამაშოდ ან თიკნებისა და ბოხრიკების (ხბოების) სამწყემსავად” (ლორია 1939:63).

ამავე თემას ეხება მამია ვარშანიძე:

”მოაპრძანებენ თეთრ ცხენით დედოფალს,  
თან ახლაგს ბიჭის და დედოფლის დადენი,  
ერთხელ რომ შეხედო, განა ეს გეყოფა,  
თუმც ჩადრის უკუნში არ უჩანს ბაგენი” (ვარშანიძე 1994:47).

ნანა გვარიშვილის “უჩადრონი” (ისევე როგორც მისი “ვაშლოვანი კვლავ ვაშლოვნია”, “ალმელო ვაჟო”, “ვაშლოვანელ ქალს”, “ბალადა შავშეთელი ქალის თავშალზე” და სხვ.) ფართოდ ეხება მოცემულ თემას. ავტორისთვის ჩადრი არ არის მხოლოდ პირსაბურავი, რომლითაც ქალმა სახე არ უნდა უჩვენოს უცხო მამაკაცს. იგი სიმბოლური სახეა ადამიანის პიროვნული თავისუფლების, პოლიტიკური უფლებების და იმ დირსებების აკრძალვის, რითაც თავის თავს გამოხატავს. ამ თვალსაზრისით ნანა გვარიშვილი და საზოგადოდ, იმუამინდელი მხატვრული ლიტერატურა უფრო მაღალ ღირებულებებზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას და განაწყობს ადამიანური დირსების დაცვისა და პატივისცემისათვის.

ბუნებრივია, მწერლობამ ასახა ერთი მხრივ, სევდა და ნადველი შექმნილი ვითარების გამო და მეორე მხრივ, მოწოდება ჩადრის გადაგდებისაკენ. მამია ვარშანიძე წერდა:

“შენი სახე დედილო,  
გულში შემინახია...  
შენ ყველაზე ნეტარი  
და ლამაზი მგონიხარ,  
რომ მომიხვალ, ნეტავი,  
ისევ ჩადრით მომიხვალ?!?” (ვარშანიძე 1994:50).

ან კიდევ:

“შესხი ვარ, ჩემი აკვანი  
ჩადრიან დედამ მირწია,  
ვინ შემომიხტა მზაკვრალი  
იმ ძველმა სევდამ მიწია” (ვარშანიძე 1994:22).

ან კიდევ:

“შე მაგონდება ჩემი ბაგშვობა

და ჩადრიანი მშობელი დინჯი” (ვარშანიძე 1960:20).

იგივე განტყობაა ფრიდონ ხალვაშის ლექსში “თქვენაც ლაზეთის ლამაზმანებო”:

“ხომ შეგრჩენიათ ქართული ეშხი,  
სიტურფის მადლი გამოულევი,  
ჩადრის ლამეულ საჩრდილობელში  
ჩონგურებივით გიცემთ გულები” (ხალვაში 1949:№6).

ბუნებრივია, რომ მწერლები მოუწოდებნენ ქალებს, უარი თქვან ჩადრზე. მაგალითად ნესტორ მალაზონია წერს:

“და ვით მოვარემ ფერმკრთალმა  
ქარიშხლიან ავდრიდან,  
სიხარულით ანთებულ  
შუბლზე ხელი გადისვი,  
გული გამოადარე  
და გამოდი ჩადრიდან” (მალაზონია 1953:125).

ნანა გვარიშვილი კიდევ უფრო განაზოგადებს მოწოდებას:

“დღეს ისევ ვაზმა ტანი იყარა,  
შენ ოროველას ჩასძახი ხევებს,  
ქალები სწვავენ მარტო ჩადრს არა,  
აღა-მახხმადის სისხლიან ხელებს” (გვარიშვილი 1953:120).

ჩვენ აღარ ჩავვებით ძირამდე ამ თემის იდეოლოგიურ ნაწილს. (მაგ. “დედამ ფერჩე დახია, ჩადრი მისცა ცეცხლის ალს, ისიც კოლექტივშია, ეძახიან მშრომელ ხალხს” და ა.შ. (“ლიტერატურული აჭარისტანი” 06.01. №2) ამ ნაწილის კონცეპტუალური აზრი ისაა, რომ ახალმა დროებამ გაუხსნა ასპარეზი აჭარელი ქალის განათლებას, კარჩაკეტილობისაგან თავის დაღწევას და საზოგადოებაში გამოჩენას, თავისუფალ შრომა-შემოქმედებას მამაკაცების მხარდამხარ და ა.შ.

ცხადია, განხილულ ლიტერატურულ პროდუქციაში აჭარელი ქალის მდგომარეობა მარტო ზემოხსენებული კუთხით არაა წარმოჩენილი. პირიქით, მთელ კაზმულ სიტყვაობაში გამოხატულია უდიდესი მოწიწება ქართველი ქალის მიმართ – ვინც უმძიმეს საუკუნეთა ქარ-ცეცხლში გამოატარა ღირსება, ვინც შეუნახა შვილებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, არ დაავიწყა ტკბილქართული, ვინც იბრძოლა თავისთავადობის, მამაკაპათა ტრადიციების

გადარჩენისათვის. მოგვიანებით ნანა გვარიშვილი მთელ ამ განწყობას შეეხმიანება და ლექსში “აჭარელო დიდო დედავ” ასე წარმოაჩენს ლვაწლს:

“აჭარელო დიდო დედავ,  
ნისლში მანდილს ვხედავ,  
შენ იხსენი ბულბულთ სტვენა –  
ტქბილი დედაენა.  
სანუკვარი მოიპარე  
და აკვანში მალე,  
მე შენს ქართულ კაბა-ქათიბს,  
დედავ ვეთაყვანე  
იავნანა ჩაგეფინა  
ჩვილთა არტახებში,  
დარდმა თეთრი შაგისირმა  
აბრეშუმის თმებში.  
შენს დარწეულ აკვნებიდან  
მოდის ჩემი ლექსი.  
მთების იქით, ნისლის იქით  
შენი ნანა მესმის” (გვარიშვილი 1955:69).

მამია ვარშანიძე ასე წარმოაჩენს აჭარელი ქალის მრავალმხრივ მეტამორფოზას:

“შენი ქალი წურავს ლვინოს,  
წინათ წვეთს არ იკარებდა,  
შენი ქალი ირქმევს ნინოს –  
ქართულ სახელს,  
წინათ ჩადრს რომ იფარებდა” (ვარშანიძე 1950:53).

ან კიდევ:

“ვერ დაგივიწყებ, შავთვალავ,  
შენი სახელი მახარებს.  
ჩადრი არ ჩრდილავს შენს სახეს,  
არ ემუხლები მინარეთს” (ვარშანიძე 1994:13).

მხატვრულმა ლიტერატურამ ასახა დრომოჭმულ ტრადიციათა დამძლევი არა მხოლოდ ქალის, არამედ მთელი საზოგადოების სახეც. რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ, რომლებიც, რასაცირველია, მყარად თავსდება

სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში, მაგრამ არა ყოველთვის ნებატიური კუთხით.

პარმენ ლორია რომანში “ჩაი” აღწერს მოედინ ბარაძის ოჯახის ისტორიას. მოედინი ლარიბი, უბირი გლეხი იყო. მან შეაჩვენა შვილი, რომელმაც “შეარცხვინა, პირი გაატეხინა, ოჯახი წაბილწა, საშვილიშვილო ცოდვა ჩაიდინა, ლმერთს და რჯულს უდალატა”.

მაინც რა მოიმოქმედა ქევსერმა? რით დაიმსახურა ესოდენ მკაცრი შეფასებები?

მხოლოდ იმით, რომ წერა-კითხვის შესწავლა სცადა და სოფლის მასწავლის გაკვეთილებს ესწრებოდა, ამასთან, ცდილობდა, თანატოლებთან ერთად სოფლის საქმეებშიც გარეულიყო.

ოჯახიც და სოფელიც აუმხედრდა ქევსერს. ისევ მეგობრებს რომ არ გამოერიდებინათ სოფლისგან, განრისხებული და გაბრაზებისგან დაბრმავებული მამა საკუთარი ხელით მოკლავდა.

“მთავრობა უწყობს ხელს ურჯულოებისა და კახების გამრავლებას, – მუდმივად გესლავდა სოფელი მოედინს, – ქალისა და კაცის ასე გათანაბრება როგორ შეიძლებაო. ესეც არ იყოს, რად უნდა ქალს სწავლა? რა უნდა დიაცს კრებაზე და მამაკაცებთან? თუ ასე გაგრძელდა, მოედინ ბარაძის ბედს ბევრი გაინაწილებს და ქვეყანა გარყვნილების ბუდედ გადაიქცევა” (ლორია 1948:279).

რომანში მოვლენები იდეოლოგიური სტანდარტის შესაბამისად ვითარდება: მოედინი სხვებთან ერთად ბარში ჩამოსახლდება, ახალგაშენებულ სოფელში დამკვიდრდება, სიღარიბეს თავს დააღწევს, პროგრესსაც აუწყობს თანდათან ფეხს, შვილებს განათლების მიღებას კი არ უშლის, არამედ ხელს უწყობს, მწარედ ნანობს წარსულს.

“თვალწინ წარმუდგა სოფლის მაშინდელი სახე.

შიმშილი, სიტიტვლე, უგზოობა, ბნელი სახლები, სიღატაკე.

როგორ ცხოვრობდა და იტანდა ასეთ ცხოვრებას? ახლა უკვირს მოედინს, რატომ დროზე არ ჩაიტანა მეწყერმა მისი სახლ-კარი? ქევსერის დაკარგვამდე მომხდარიყო ყოველივე ეს. იმის შემდეგ იწყება მოედინის ადამინური ცხოვრება, მაშინ გაიღვიძეს ადამიანურმა გრძნობებმაც” (ლორია 1948:309).

უნდა ვაღიაროთ, რომ ნებატიური სურათები ამ ტიპის ლიტერატურაში ხშირად გამუქებულია, გადაჭარბებულია. ცხადია უფრო იმისთვის, რომ

შავბნელ ფონზე უფრო მკვეთრად გამოჩნდეს ბოლშევკური რეორგანიზაციის შედეგები.

იგივე შეიძლება ითქვას განათლების საკითხებთან დაკავშირებით. ზემოთაც უკვე შევეხეთ საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულებებს სკოლების და სწავლა-განათლების მიმართ. მურად ოდილავაძეს (“დელი მურადი”) ანდრო ბერტაძე ასე უხასიათებს სოფლის ვითარებას ამ საკითხთან დაკავშირებით:

“მასწავლებლებმა ვერ მოიცადეს. ან როგორ მოიცდიდნენ, როცა არავინ ყურადღებას არ აქცევდა მათ. არც ბავშვებს აგზავნიდნენ. არ უნდა ხალხს სწავლა... თუმცა არა ხალხი აქ არაფერ შუაშია, ხოჯა და იუსუფ-ალა აკეთებენ. თუ შენც ისე დაიწყე, როგორც ზოგიერთმა მასწავლებელმა, ორ დღეს არ გაგაჩერებენ, ან თვითონ გაიპარები იმ კაცივით, შარშან რომ გაგვექცა” (ლორია 1939:12).

ანდრო ბერტაძე სკოლისა და სწავლის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას აწყდება მოზარდ თაობაშიც. ეს ნათლად ჩანს იმ დიალოგიდან, რომლის ფრაგმენტებსაც ქვევით მოვიყვანო:

— გამარჯობა ახალგაზრდებო, როგორ ცხოვრობთ? — მივიდა ანდრო და ერთ ბავშვს, რომელიც ყველაზე პატარა იყო, თავზე გადაუსვა ხელი.

— გონჯად რაიზა ვიქნებით, — უპასუხა უფრო მოზრდილთაგანმა, რომელიც ენვერის გვერდით გაჩერებულიყო.

— რა გვარი ხარ შენ? — შევეკითხა ანდრო.

— დევაძე, სწრაფად მიუგო ბავშვმა.

— სკოლაში დადიხარ?

— არა. რაი უნდა ვაკეთო სკოლაში, — ამხანაგებს გადახედა.

— მედრესეში ვისწავლეთ, — დაეხმარა ენვერი ამხანაგს.

— წერა-კითხვა იციო? — ახლა ამას მოუბრუნდა ანდრო.

— არა, ლოცვებს გვასწავლიდა ხოჯა.

— სკოლაში უნდა იაროთ, ხომ ხედავთ, როგორი სკოლა ავაგეთ. ესეც თქვენი მასწავლებელი იქნება, — მიუთითა მასწავლებელზე. — სწავლა ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენთვის.

— ხომ არ უნდა გავგიაურდეთ, რად მინდა სწავლა?! — სოქვა ერთმა ბავშვმა. შემდეგ ამხანაგებს გადახედა, თუ დამიდასტურებენო...” (ლორია 1939:68).

განხილულ პრობლემათა სიღრმისეულ ანალიზს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, უპირველესად პოლიტიკური კონიუნქტურა უშლიდა ხელს. აქვე შევნიშნავთ, რომ რეგიონის ცხოვრების სურათები მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში როდი იხატებოდა. მხატვრულ ლიტერატურაში აქაურობის და იქაურთა მრავალი სიკეთე და ლირსება აისახა. ბევრ მათგანს შევეხეთ და კიდევაც შევეხებით, მაგრამ დეტალიზაციას მაინც მოვერიდებით, უფრო იმიტომ, რომ პოზიტიური თითქმის ყოველთვის იდეოლოგიურთან არის გადაჯაჭვული და დეტალური ანალიზი ერთხელ ნათქვამის მრავალგზის გამეორება გამოვა.

ვფიქრობ, უპრიანი იქნება, თუ სწორედ ამ თავში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შევეხებით ტექსტოლოგიის ზოგიერთ საკითხს. ეს მასალაც კომენტარს ნაკლებად საჭიროებს: პარალელურად დალაგებული ინფორმაცია უკვე იქნება გარკვეული აზრის შემცველი.

პარმენ ლორიას “დელი მურადი” პირველად 1939 წელს გამოიცა. 1953 წელს მეორედ გამოქვეყნებულ რომანს ავტორმა სათაური შეუცვალა და დაარქვა “განთიადი ხევში”. ცვლილებები შეეხო ლექსიკასაც, უფრო – თურქიზმებს პერსონაჟთა მეტყველებაში.

**1939 წელი:** – “რას იზამ ასე გაუჩენია ალლახს ეს ქვეყანა...” (გვ.11)

**1953 წელი:** – “გვ, ალბათ ასე დაუწესებია დმერთს.” (გვ.11)

**1939 წელი:** – “იადი მოვიტანე.” (გვ. 43)

**1953 წელი:** – “კარაქი მოვიტანე, თუ ამართმევ, მადლობელი ვიქნები.” (გვ.

57)

**1939 წელი:** – “თავიდანვე აჩვევდნენ გოგონებს ჩადრის ჩაცმას, ჩარჩაბშიგნიდან ცქერას. იაზმით სწრაფად პირსახის დაფარვას.” (გვ. 63)

**1953 წელი:** – “ამიტომ შვიდი რვა წლიდან აჩვევდნენ დოლბანდის თავსაფრის ტარებას და მამაკაცის დანახვისას სახის დაფარვას.” (გვ. 93)

**1939 წელი:** – “თავზე იაზმა მოეფარებინა.” (გვ. 69)

**1953 წელი:** – “ყელზე დოლბანდის ნაჭერი მოეხვია და ოდნავ გასაგონი ხმით ნაღვლიანად ღიღინებდა.” (გვ. 99)

**1939 წელი:** – “ბურუჟმ აღა – უთხრა და მიიწვია.” (გვ. 134)

**1953 წელი:** – “მობრძანდით აღავ! – და ტახტე მიიწვია.” (გვ. 219)

**1939 წელი:** - “ალლახის წყალობით ბევრნი. სამასამდე ვართ ახალგაზრდა მოლები.” (გვ. 135)

**1953 წელი:** - “დვთის წყალობით, სამასზე მეტი, - მიუგო მოლამ.” (გვ. 220)

**1939 წელი:** - “დაეცა ჩახმახი, მოადინა ტკაცანი ეზალმა და ლანდმა უცნაურად გადაიხარხარა.” (გვ. 141)

**1953 წელი:** - “მხოლოდ ეზალის ხმა გაისმა ტაშივით და სხვა არაფერი.” (გვ. 226)

**1939 წელი:** - “ყველა ოზალი ჩაჭერებილი იყო, თუმცა ტყვიები თავის ადგილასაა.” (გვ. 142)

**1953 წელი:** - “გასინჯა, ვაზნები ამოყარა, ტყვიები მოაძრო და გაოცდა, როცა მასრები დენთგამოცლილი ნახა.” (გვ. 227)

**1939 წელი:** - “არა, იუსუფ-აღავ, – შეაჩერა მოლამ იუსუფი. – ჩვენი რჯულისა და ადათისათვის კიდევ თურქები სჯობია, მაშინ უფრო პატივში ვიქნებით.” (გვ. 138)

**1953 წლის** გამოცემაში ეს მონაკვეთი ამოღებულია.

**1939 წელი:** - “ერთ გიაურ ვაჭარს დასტყუა ერთხელი ასი თუმანი.” (გვ. 85)

**1953 წლის** გამოცემაში ეს მონაკვეთი ამოღებულია.

**1939 წელი:** – “რედს გაუკეთებენ, დასწყვევლიან და მოიშორებენ თავიდან.” (გვ. 99)

**1953 წლის** გამოცემაში ეს მონაკვეთი ამოღებულია.

იგივე შეიძლება ითქვას ნესტორ მალაზონიას შემოქმედების შესახებ. კერძოდ, 1937 წელს გამოიცა მისი პოემა “გულიზარი”. პოემა ეს ნაწარმოები შემდგომ გადაამუშავა და 1955 წელს გამოსცა ახალი სახელწოდებით ”შეევინარი”.

**1937 წელი:**

“ – გოგოვ, ზოვლი მინდიხარ,  
რეიზა დამწვი ასე,  
რომ მოდიხარ – მიდიხარ  
უჩუმარაი გზაზე.  
ქურთის ქალო გულიზარ,  
შენზე ვფიქრობ მუდამ,  
ვკვდები შენი გულიზა,  
მოგიტაცო უნდა.” (გვ. 52)

**1955 წელი:**

“და დამწვარი გულის სევდა  
გაისმოდა ხმაში:  
- მზევინარო, მზექალო,  
ჩემი გულის მზე ხარო.  
ნეტავ იმას, ბედნიერს,  
ვის სახლშიაც შეხვალო!  
სიყვარულმა რა იცის  
ადათი და წესი,  
შემიყვარდი, დავიწვი  
უბედური მწყემსი!...” (გვ. 240)

**1937 წელი:**

„ახირეთი დაგვიდგა,  
„ჯეპენები შავი!” (გვ. 66)

**1955 წელი:**

„ყადირ თავი რად გვინდა,  
წაწყმედილი თავი!  
განკითხვის დღე დაგვიდგა,  
„ჯოჯოხეთი შავი!” (გვ. 243)

**1937 წელი:**

„იმ შაითან ფუხარას

შერყვნა უნდა ჩვენი,  
მაგრამ ღმერთი გვიფარავს!  
ალაპ! დაგვიხსენი...“ (გვ. 67)

**1955 წელი:**

„იმ ეშმაკს და უქნარას  
შერყვნა უნდა ჩვენი,  
და თუ გიყვარს ოჯახი,  
შვილი დაიხსენი.“ (გვ. 76)

**1937 წელი:**

„პირობას რად მიტეხავთ,  
მილეთში რომ ითქვა!..“ (გვ. 68)

**1955 წელი:**

„პირობა ვინ გატეხა,  
საქვეყნოდ რომ ითქვა!..“ (გვ. 243)

**1937 წელი:**

„წაწყმედილი ოჯახი...  
შერცხვენილი გვარი...  
ეველა საქმე საჯაყი  
შაითანის არის...  
ქურთს, მოსისხლეს, ფუხარას-  
ვერ შევუშვებ სახლში!..“ (გვ. 31)

**1955 წელი:**

„-წაწყმედილო ოჯახო!  
შემირცხვეს გვარი...  
ვინაც ცდილობს მოჯაყოს  
ეს სახლი და კარი.  
არა მტერს არ ვახარებ  
და ფუძეს ვერ ავშლი!“ (გვ. 244)

### **1937 წელი:**

- „- რად არ გძინავს, გმყურბანე?
- ბაბა, ძველი მითხარი რამე,
- რომ დილამდე გაგაყვეს ბარემ!” (გვ. 49)

### **1955 წელი:**

- „ - რად არ გძინავს, გეთაყვანე?
- ბაბა, ძველი მითხარ ბარემ!
- შევიშლებით ფიქრი და მე...“ (გვ. 255)

### **1937 წელი:**

„ჯამეს იქით, ნაძვის ტყესთან,  
სადაც ჩრდილი იცის უფრო,  
ძელებია ჯუმა-დღისთვის  
საჯდომი და სასაუბრო“. (გვ. 55)

### **1955 წელი:**

სოფლის შუა, ნაძვის ტყესთან,  
სადაც ჩრდილი იცის უფრო.  
ძელსკამია, უქმე დღისთვის  
დასაჯდომი, სასაუბრო.“ (გვ.258)

### **1937 წელი:**

- „ ეს ასე ფეხამბერს სწადია:
  - იარეთ ლოცვით და ოხვრით!
  - ილოცეთ, ითმინეთ მადლია,
  - რომ შემდეგ ჯეხნეთში მოხვდეთ!” (63 გვ.)
- ეს მონაკვეთი ამოღებულია შემდეგ გამოცემაში.

### **1937 წელი:**

“ელლაპუ ექბერ, ელლაპუ ექბერ!  
ელლაპუ ექბერ, ელლაპუ ექბერ!  
ეშხედუენ ლაიელაპე ილლელლაპ!  
ეშხედუენ ლაიელაპე ილლელლაპ!  
ეშხედუენე მუხამედენ რესულლაპ!  
ეშხედუენე მუხამედენ რესულლაპ!  
ჰაეყელ ესსელათ!  
ჰაეყელ ესსელათ!  
ჰაეყალ ელ ფელაპ!  
ჰაეყალ ელ ფელაპ!  
ელლაპუ ექბერ, ელლაპუ ექბერ!  
ლაილაპე ილლ ფელლაპ!” (გვ. 66)

ეს მონაკვეთი ამოღებულია შემდეგ გამოცემაში.  
ბოლოს კი სწორედ, ამ პარაგრაფში თავმოყრილი მასალის კონტექსში  
გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ უპირატესად ლირიკაში ასახულ ისეთ  
თემებს, როგორიცაა: ბათუმი თუ შავი ზღვა, აჭარის სოფლები თუ ბუნების  
სილამაზე და ა.შ. ამ მოტივებსაც XX საუკუნის 20-იან წლებში დაედო  
საფუძველი და საპროპაგანდო ნაწარმოებების გვერდით ჭეშმარიტი  
ხელოვნების ნიმუშებიც შეიქმნა.

მოცემული თემის განსჯა მამია ვარშანიძის ერთი შესანიშნავი ლექსით  
უნდა დავიწყოთ. “მოდი ნახეს” ყოფით დეტალებზე აგებული კომპოზიცია  
იშვიათი სითბოთი და სინათლით ავსებს მხატვრულ ნაწარმოებს და  
შესაბამისად, მკითხველსაც ნათელი და ხალისიანი განწყობა ეუფლება:

“შშობლიური მოების ახლოს  
ძველისძველი ქვევრებია,  
მოდი, ნახე, მე იქ ვსახლობ,  
მზე იქ შემიჩერებია.

მესხი ვარ და ხელმადლიანს  
ეზო დამიმშვენებია,  
ნახე რა არ მაბადია,  
რა არ მომიშენებია.

ვაზი რთველის ემხში ცურავს,  
ლალისფერი მტევნებია.

ტქბილი დვინო დამიწურავს,  
ქვევრში ამიმღერებია.

ჩემს სახლს განა ჩრდილი ფარავს,  
ცისარტყელას ფერები აქვს,  
ვარსკვლავები მიკრეფია,  
ლამე გამითენებია.

ჩემი პერა დალოცვილი,  
მზესთან შემიჩერებია,  
ჩუქურთმებით დაკოცნილი  
ო, რამდენი ფერებია.

კვლავ მესხურად გავიძახი,  
გული ამიმღერებია,  
მოდი, ნახე ჩემი სახლი,  
რარიგ დამიმშვენებია” (ვარშანიძე 1950:24).

ანალოგიური განწყობაა იმავე ავტორის ლექსში “ლაზური”. პოეტი ცდილობს, შექმნას ხალისიანი, ოპტიმისტური განწყობა და ახერხებს კიდევ ამას:

“რა ლამაზი ბახჩებია,  
რა ბაღები მწვანე,  
გოგონები სიმღერებით  
აივანზე ავლენ.  
ვაჟნო, ვაჟნო, ციურ ემხით  
გატკბობენ და გწვავენ,  
ვინ გადაურჩეს იმათ შავ-შავ  
და ცქრიალა თვალებს” (ვარშანიძე 1960:265).

ნანა გვარიშვილის ლექსში (“ჩემო აჭარავ”) სინაზე სჭარბობს, თუმცა, მშობლიური სანახებით აღფრთოვანება და იმედიანი მუხტი აქავ თვალსაჩინოა:

“შენს სანაპიროს პალმების ძირას,

თეთრ ქოლგის ქვეშ გვირილა ბრწყინავს,  
ნიავთან დელავს.

ზღვა შენს უნაზეს დიმილს დაეძებს,  
მოვა ცქრიალით, კალთით ენძელებს  
მოგაფენს ნელა...

ჩემო აჭარავ, ოცნების მრჩენი  
და სიხარული შენა ხარ ჩემი,  
მზეთუნახავო,  
ძვირფასი ბეჭდის ზურმუხტის თვალო,  
შენს სიტურფეზე ხმატკბილად გალობ,  
გულგასახარო” (გვარიშვილი 1948:3).

არაერთმა პოეტმა უძღვნა შთამაგონებელი სიტყვები აჭარისწყალს, –  
აჭარის დედამდინარეს. ნიმუშად მამია ვარშანიძის “ხიხანის არწივების”  
შესავლის დასახელებაც კმარა, რომელშიც თითქოს სიტყვებსა და ფრაზებს  
შორის ისმის ლადი ხმაური მთის მდინარისა, ისმის მშობლიური ხმები და ამ  
ხმებთან ერთად, სუნთქვა და სევდა მამულიშვილობისა:

“აჭარისწყალი ზვიად მთებს  
ჩახვეულ-ჩაჩქერებული,  
მორბის, მოშხუის, კლდეებთან  
შებმას და შეხლას ჩვეული  
და მთის კრიალა სარკეში  
ცა არის ჩაჩქერებული

მამულიშვილო, უსმინე,  
იქნება ზარის ჟამის აქვს,  
იქნებ წყალსაც ჭირს ვარამი  
ხახულისა და შავშეთის  
და მოსტირიან წკვარამნი  
წყალს ნაპირ-ნაპირ შაშვები,  
ეგებ იმიტომ აცვიათ  
შაშვებს და ამ მთებს შავები” (გარშანიძე 1960:301).  
იგივე სულისკვეთება ჩანს ფრიდონ ხალვაშიც ლექსში “აჭარისყალი”:

“მოედინება, მოდის ვით მგზავრი,  
წინ ეგებება თამარის ხიდი, —  
კლდები, როგორც ქაჯეთის კარი,  
შიგ, — ავთანდილის მოხრილი მშვილდი,  
შეხვდება ხიდს და წამით ჩერდება,  
სურს ძველ მშვენებას მიაპყროს მზერა,  
ამოიკითხოს თამარის ქება  
და მოისმინოს შოთას სიმღერა” (ხალვაში 1947:65).

არანაკლები მრავალფეროვნებით აისახა ადგილობრივ მწერალთა შემოქმედებაში ზღვისა და ბათუმის თემა. მწერალთა იმ თაობამ, რომელმაც იტვირთა სიმძიმე ბათუმში ქართული სიტყვის აღორძინებისა, სისრულით შეიგრძნო და შეიმეცნა ამ ულამაზესი ზღვისპირა ქალაქის ხიბლი და ეს გრძნობები პოეტური სიტყვით გამოხატა ისე, როგორც მაგალითად, გიორგი სალუქვაძემ ლექსში “ჩემი ქალაქი”:

“რიურაჟის კარგადებულო, ფორთოხლის ბადო მზიანო,  
გაშლილო, გალადებულო, ლალ-ზურმუხტ-ფირუჟიანო,  
ცვრანამო ალმასისფერო, ყვავილად გადაქცეულო,  
ჩემო ზღვისპირო, მზისპირო, ჩაის ხავერდო ვრცეულო;  
შენ, ხეო ოქროდასხმულო, მიწამდე ტოტებდახრილო;  
ნიავო მტრედისფრთასხმულო, იით მოსულო აპრილო;  
ტალღებო გაუყუჩებო, ნაპირს შეხლილო მძივებო.  
ჩემო კრიალა ქუჩებო, პალმის და დაფნის მწკრივებო;  
ზღვაო, ლაჟვარდო, ხმალადო, უსაზღვრო ლურჯო ჯეჯილო,  
ქალაქო, ჩემო ქალაქო, ხომალდო ზღვაში შეჭრილო.  
ზღვა მე აქ ვნახე პირველად, ტალღის შევფები მესხურა,  
აქ დამებედა პირველად ლექსი მემღერა მესხურად.  
იქნებ აქ იდგა რუსთველი, ზღვას გაჟყურებდა აქიდან;  
რამდენი დარჩა უთქმელი ოქრომთოველი ბაგითა;  
იქნებ აქ იყო თამარიც მზეთუნახავი სახითა,  
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი, ზედ ალმასები დაჟკიდა.  
ხალხს აქ რაზმავდა ზვირთებად  
მზის და სიმართლის მძებნელი” (სალუქვაძე 1947:Nº27).

მშობლიური ქალაქის უდიდესი სიკვარულია გამოხატული მამია ვარშანიძის ლექსში “ბათუმი”. პოეტი გადმოგვცემს ბავშვობის სურათებს, იხსენებს პირველ შეხვედრას ქალაქთან. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მრავალი შთაბეჭდილება წაშალა დრომ, მაგრამ გრძნობა ბათუმის მიმართ გაუხენარი დარჩა:

“რამდენი რამე დავიწყებია,  
მაშინ რომ გული დაუფიფქია...  
ვნატრობ: ნეტავი ყველა მახსოვდეს,  
იმ დროს ბათუმში რაც მიფიქრია.

შემდეგ ცამ ბევრი დღეები დაცრა  
და გაიფურჩქნა ჩემი მიზნები.  
მე დავასრულე ზრდა ყმაწვილკაცმა  
და შენ, ბათუმო, ისევ იზრდები.

ჩემო ბათუმო, შენში ჰყვავიან  
ჩემი ტოლების დღე და მიზნები,  
მრავალ წლის შემდეგ გეტყვი სიმდერით:  
- მე მოვხუცდი და შენ კი – იზრდები” (ვარშანიძე 1960:20).  
როგორც ვხედავთ, ბათუმი და ზღვა იმ თემათაგანია, რომელიც ყველაზე ხშირად სცილდება ხოლმე იდეოლოგიური ლიტერატურის ჩარჩოებს და მეტიც, ზოგჯერ სოცრეალიზმისთვის მიუღებული მხატვრული სახეებითაც აისახება, როგორც, მაგალითად ლაშა ტბაურის ლექსში მტირალას მთის შედარება სიონთან:

“მაგნოლიები... შრიალი სიოს,  
ზღვაო, რად დუმხარ, ზღვაო აეშვი!  
შორს დათოვლილი კავკასიონი,  
ზვავების სხლტომა, ქროლვა, თარეში.  
წინ მთა მტირალა დგას ვით სიონი,  
ცა ღამეში და ღამე მთვარეში” (ტბაური 1970:83).

ცხადია, საანალიზოდ წარმოდგენილი მასალა ვერ ამოწურავს განსახილველი პრობლემების არსეს. ხოლო თუ უფრო ზოგად ასპექტში გადავიტანთ საუბარს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ,

გასათვალისწინებელია ეპოქის მეტად რთული ხასიათიც, რაც ხშირად განაპირობებდა წინააღმდეგობებს (ზოგჯერ რადიკალურ წინააღმდეგობებს) ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაშიც. ამ ფონზე იოლი არაა, ჰემმარიტი შემოქმედებითი ღირებულებებისა და იდეოლოგიური საბურვლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი თვალსაზრისით და მათ შორის, რეგიონის ცხოვრების სურათების ასახვის თვალსაზრისით, ბათუმში მოღვაწე მწერალთა შემოქმედების ისტორია ორგანულად უერთდება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიას და ყოველთვის როდი მისდევს თეორიებს მწერლობის კლასობრივი ბუნებისა და მწერლობის პარტიულობის შესახებ.

## § 6. რელიგია და ლიტერატურა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს „ხალხის ოპიუმად“ სახელდებულ რელიგიას. ძალაუფლების განმტკიცების და მასების დამორჩილების ეს გზა პრაგმატულად და თანაც მასშტაბურად იყო მონიშნული: ათეისტური მენტალიტების ჩამოყალიბება ეროვნული სიჭრელით გამორჩეული ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაში ათავისუფლებდა ადგილს ახალი იდეოლოგიისათვის - მარქსიზმი-ლენინიზმისათვის, რომელიც დვთის რწმენას უნდა ჩანაცვლებოდა და პრაქტიკულად, ახალ რელიგიად ქცეულიყო. შესაბამისად, საქართველოშიც ბოლშევიკთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ერთობ აგრესიული ანტირელიგიური პროპაგანდა.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსგან უკლესისა და უკლესისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. დეკრეტის საფუძველზე ქვეყანაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოების მთელი ქონება სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა, უკლესია - კანონგარეშედ. აიკრძალა ყოველგვარი რელიგიური სწავლება. მართალია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით მართლმადიდებლობას ებრძოდა, მაგრამ ანტირელიგიური სახელმწიფოებრივი აქტები სხვა აღმსარებლობებსაც ეხებოდა.

იხურებოდა ეკლესიები, მეჩეთები თუ სინაგოგები. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ძალადობა. ბუნებრივია, ამ ყველაფერს ეპოქისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიური სარჩული ჰქონდა. რელიგიის მსახურები, ისევე როგორც თავადაზნაურობა და ბურჟუაზია, შეურიგებელ კლასობრივ მოწინააღმდეგებელ გამოაცხადეს. ამ ბრძოლის ნაწილი იყო აჭარაში განვითარებული მოვლენებიც. როგორც აღნიშნულია საბჭოურ საისტორიო ლიტერატურაში: „საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში აჭარაში აღგილი ჰქონდა მძაფრ კლასობრივ ბრძოლას. ხალხის უბოროტესი მტრები – ხოჯა-მოლები, თურქოფილი და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები აშკარა თუ ფარულ კონტრევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ საბორგაჟისა და სხვა მავნე გამოხდომებისაკენ, რითაც ცდილობდნენ ახალი ცხოვრების შენებისათვის ყოველნაირად ხელის შეშლას” (ბაბილონ 1973:10).

ადამიანის რელიგიური რწმენის წინააღმდეგ ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლა რომ დანაშაულია, ეს საკამათო არ უნდა იყოს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ერთობ სპეციფიკური ვითარება სუვერენიტეტის მიზნით მოხდება.

როგორც ცნობილია, ეს ტერიტორიები იყო სამუსლიმანო საქართველოს ის ნაწილი, რომელიც სასწაულით გადაურჩა ლენინურ პოლიტიკას და აიცილა ბედი ისტორიული სამხრეთ საქართველოს თურქეთის შემადგენლობაში ხელახლა მოქცეული მიწებისა: ჯერ 1917 წელს ბრესტის ზავით და მერე, საბოლოოდ, 1921 წელს ყარსის ხელშეკრულებით ლენინმა დაუნახებლად გაასხვისა საქართველოს დიდი ნაწილი (ერთა ლიგის მიერ 1918 წელს ცნობილი საქართველო 91.1 ათასი კმ. კმ იყო, ყარსის ხელშეკრულების შემდეგ კი 69.7 კმ-დე შემცირდა).

აჭარას ბოლშევიკებმა რელიგიური ნიშნით მისცეს ავტონომია.

ყარსის ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ქართველ მუსლიმთა რელიგიურ ხელშეუხებლობას მოითხოვდა. ეს ფაქტი, რელიგიას პოლიტიკურ დატვირთვას სძენდა, რასაც ბოლშევიკებიც ხედავდნენ და დიდად არ დაგიდევდნენ ხელშეკრულების პუნქტებს, გულმოდგინედ ებრძოდნენ რელიგიურ ცნობიერებას და ადათ-წესებს.

სამოქალაქო სკოლების ქსელის გაფართოება, ძალაუნებურად, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას უწყობდა ხელს. შესაბამისად, პროცესის ამ

კუთხით ანალიზმა შეიძლება საინტერესო და მრავალგანზომილებიანი სურათი მოგვცეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბოლშევიკები არა ეროვნული შეგნების, არამედ, საბჭოთა იდეოლოგიის დანერგვას ისახავდნენ მიზნად. ამდენად, აჭარაში ბევრის ინტერესი გადაეხლართა ერთმანეთს და ზემოხსენებული პროცესების მარტივად და ერთმნიშვნელოვნად შეფასება მნელია. თუმცა, შევნიშნავთ, რომ ის მეთოდები და ხერხები, რომელსაც ხელისუფლება იყენებდა, უმეტესწილად აგრესიული იყო.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი: სამუსლიმანო საქართველო ამ პერიოდში ორ ნაწილად გაიყო. ერთნი – საქართველოს შემაღებელობაში აღმოჩნდნენ და ათეისტურ სახელმწიფოში უწევდათ ცხოვრება, მეორენი – ისლამურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ამდენად, ქართველ მუსლიმანთა რელიგიური ცნობიერება სხვადასხვა გზით ვითარდებოდა.

ჩვენი მიზანი არ არის ამ პროცესების ანალიზი და შეფასება. ამჯერად მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის როლზე შევჩერდებით და მისი საპროპაგანდო იარაღად გამოყენების ზოგიერთ ფაქტს შევეხებით.

ერთგვაროვანი იყო ანტირელიგიური პროპაგანდის პრინციპები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ბუნებრივია, ამ პრინციპებს ემორჩილებოდა აჭარის ათეისტური საზოგადოება. გაზეთ „პრავდის“ მოწინავე (რომელიც გაზეომა „საბჭოთა აჭარამაც“ გადმობეჭდა) ქადაგებდა: „პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ ფართოდ გაშალონ ანტირელიგიური მუშაობა, გამოაცოცხლონ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანოები, დაუპირისპირონ ცოცხალი კომუნისტური სიტყვა რელიგიური მათრობელას გავლენას. ეს სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა არ შეიძლება განისაზღვროს ვიწრო საგანმანათლებლო მიზნებით, იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლის ამოცანებთან დღევანდელ ეტაპზე. ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მოსისხლე კლასობრივი მტერები ცდილობენ თავისი მიზნებისათვის გამოიყენონ მორწმუნენი“ („საბჭოთა აჭარა“ 1937:N<sup>o</sup>110).

ანტირელიგიური პროპაგანდის სამსახურში იდგა, „ფუხარას სიტყვა“ (1928წ), რომელშიც ამ ტიპის არაერთი თხზულებაა შესული. „ახმედ ლარიბაძე“, „დამარხვა“, „ხათმი“, „როგორ გაჩენილა 30 დღე მარხულობა“ - ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც სავსებით შეესაბამება ანტირელიგიური პროპაგანდის სტანდარტებს. ამ სტანდარტების თანახმად, მძიმე უკონომიკური მდგომარეობის

თავი და თავი ცრუმორწმუნეობა. რელიგიის მსახურები, მარჩიელები და ხალხის მყვლეფელი ექიმბაშები არიან, რომლებიც ასე უდვოლდ ძარცვავენ ისედაც გადატაკებულ გლეხობას. ავტორი გამოსავალს მხოლოდ რელიგიის ტყვეობიდან დახსნასა და კომუნიზმში ხედავს.

ეს ლიტერატურული პროდუქცია მიზნად ისახავდა სასულიერო პირთა ავტორიტეტის შელახვას, რელიგიური რიტუალების დაცინვას და შესაბამისად, უბრალო ხალხში ათეისტური სულისკვეთების გაღვივებას. სტანდარტული შინაარსისაა მოთხოვობა „ახმედ დარიბაძე“. მარჩენალდაკარგულ დარიბაძეთა ოჯახის კიდევ უფრო გაუბედურებაში ლომის წვლილი მიუძღვის ხოჯას, რომელიც თითქოსდა მიცვალებულის სულის საიქოში დასავანებლად ყველაფერს აკეთებს.

ახმედის ჯოჯოხეთიდან დასახსნელად „ქეფარეთის“ ფულის გადახდა უწევს ოჯახს, რადგანაც თურმე განსვენებულს მარხვა – რამაზანი წლების განმავლობაში შენახული არ ჰქონია. ისინიც იძულებული გახდნენ ერთადერთი იმედი – უდელი ხარი გაეყიდათ. ამ გზით მიღებული ფულის სანაცვლოდ შუქრი ხოჯამ „ილოცა“ მიცვალებულის სულის გასაპატიოსნებლად, არ უნადვლია, რომ ქვრივი მერიემი ოთხ ობოლთან ერთად უიმედოდ დატოვა. თუმცა ოჯახის პრობლემები ამით არ დასრულებულა. საჭირო იყო მიცვალებულის დამარხვისა და შემდგომი პროცედურისათვის საჭირო ფულის ნახვა. გარდაცვლილის უდიდეს გულშემატკივარს ქაღალდზე უნდა დაეწერა იმ ხოჯებისა და „ფეხამბრების (წმინდანების)“ სახელები, რომლებიც დაეხმარებოდნენ სულს განკითხვისას შეკითხვებზე პასუხის გაცემაში.

„დაასაფლავეს თუ არა ახმედი, ხალხი დაიშალა. შუქრი ხოჯა გაჩერდა საფლავთან და დაიწყო „თელყიმის“ ძახილი. ხუსეინი შეეკითხა – ხოჯავ რას ყვირი, ან ვის ეძახიო? ხოჯამ უთხრა: „ახლა მიცვალებულთან მივა გამკითხავი და მისცემს შეკითხვებს. მეც იმას ვიძახი და ვყვირი, რომ ახმედმა გამოიღვიძოს და გამკითხავს გაბედული პასუხი გასცესო“. ხუსეინმა გაიფიქრა თავისთვის: „გადვიძება თუ შეეძლო, დამარხვამდის გაიღვიძებდაო“ (კომახიძე 1928:26).

ახმედის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ხოჯამ ისევ გამოიყენა ფულის შოვნის საშუალება. ამჯერად, სულის საცხონებლად „ნუსხაფის“ წაკითხვა შეახსენა ახმედის ქმას.

- „შუქრი ხოჯა მივიდა ხუსეინთან და უთხრა: „თუ გინდა შენი მმა ცხონდეს, წაგუკითხავ ნუსხაფს, რომლის ძალაც წავა მიცვალებულთან და

აცხონებს მასო. ნუსხაფის ბოლომდის წაკითხვას პქვია ხათმი და თითო ხათმი კი ორი მანეთი ეღირებაო”. ხუსეინმა დაიჯერა ხოჯის ნათქვამი და იყიდა ორი ხათმი. ღმერთის მსახურმა ფულები იჯიბა და გულში შეუკურთხა ხუსეინს: რა სულელი ხარო” (კომახიძე 1928:27).

ღვთის რწმენა, ღვთის იმედი ამგვარ თხზულებათა მიხედვით, ფუჭია, უმაქნისია. „ჩემი მოგონებანი” ცინიზმამდე მისული კ. წ. მხატვრული კონტრასტებით ცდილობს ამ შეგნების დანერგვას: „დილაადრიანად მამა დაიწყებდა ლოცვას და ღვთის გედრებას, შემდეგ რიხიანად, თამამად წამოდგებოდა. დარწმუნებული იყო: რაც ღმერთს სთხოვა, შველაფერი შეუსრულდებოდა.

ერთ ხუთშაბათ საღამოს მამაჩემი ჩვეულებრივად შეუდგა ლოცვას და დილამდის თითქმის განუწყვეტლივ ლოცულობდა... მამაჩემი რომ ლოცულობდა, მე მესმოდა, როგორ ევადრებოდა ღმერთს: - ღმერთო! მომე სიმდიდრე და ცხონებაო. ლოცვა რომ გაათავა, მომიბრუნდა და მითხრა: - ერთი ნახე ნიშა და ლომა ხომ არ დასცილებიან ერთმანეთსო. წავედი ხარების სანახავად და იმისთანა თქვენ მტერს, მე სანახავი ვნახე: ჩვენი ნიშა და ლომა, ორივე იმ ღამეს მოექლა მატარებელს” (კომახიძე 1928:21).

როგორც ადვნიშნეთ, პროპაგანდისტული მანქანა და შესაბამისად, მწერლობა არ განარჩევდა ადამიანის რელიგიურ რწმენას, თანაბარი აგრესიულობით ებრძოდა ყველა რელიგიას, ერთნაირად მიუთითებდა “შავბნელ წარსულსა” და “საბჭოეთში დამკვიდრებულ ამქვეყნიურ სამოთხეზე”. სწორედ, ეს განწყობაა გამოხატული მაგალითად, კ. დობორჯგინიძის ლექსში “წინეთ და ეხლა”:

„ეკლესიებზე რეკავდნენ  
ზარებს;  
რელიგიური  
იყო ზარები  
და მით უხვევდნენ  
გლეხობას თვალებს.

გვახსოვს სურათი  
კიდევ ასეთი:  
მამასახლისი

ხალხს რომ როზგავდა,  
 დამონებული ჰყავდა  
 ხალხი და...  
 ხმის ამოღებას  
 ვერვინ ბედავდა.  
 ეს იყო „უწინ...“ (დობორჯგინიძე 1930:Nº223).

სოცრეალიზმის სტანდარტებში ჯდება, მაგალითად, პარმენ ლორიას „დელი მურადის“ („განთიადი ხევში“) რელიგიური ფონიც. აქ სიახლის წინააღმდეგ მებრძოლი, კონტრრევოლუციის და მასთან ყველა ბოროტების სათავე სწორედ სასულიერო ფენაა – ხოჯა მამუდი და მოლა ნური. რომანის სიუჟეტიც ისე ვითარდება, რომ თვით ყველაზე ლრმად მორწმუნებსაც ეჭვი ეპარებათ უკვე თავიანთი არჩევანის სისწორესა თუ ამ ფენის კეთილსინდისიერებაში:

„ამ მთავრობას რომ ეს ხოჯები და აღები არ ეჯავრებოდეს, ნამდვილი მისაღები იქნებოდა, – ფიქრობენ გლეხები, – გზები გაყავს, სკოლებს აგებს, დახმარებებს იძლევა, ყველას პატივს სცემს, ეკითხება, ირჩევს, აგზავნის, ერთი სიტყვით, ყველაფერს კარგს სჩადის, მაგრამ...

ხოჯასაც რომ დაიქირავებდეს, – ჩაუკრავდნენ სიტყვას.

- უკაცრავად თქვენთან, – შეაწყვეტინებდნენ კომკავშირლები.
- ვერ დაინახე, რას აკეთებდა თქვენი ხოჯა?
- ქაჯების ტანსაცმელებით რომ დადიოდა!..
- ქალებს რყვნიდა...
- ყაჩაღებს ინახავდა...

უამრავი მასალა იყო ხოჯების წინააღმდეგ და კომკავშირლებიც უხვად იყენებდნენ მას!“ (ლორია 1939:246).

საინტერესოა, რომ რელიგიური რწმენისა და ტრადიციების აღმოფხვრას საბჭოთა პროპაგანდა და შესაბამისად, ლიტერატურა ერთი მხრივ, სოციალისტური ცხოვრების წესის ქადაგებით, კომკავშირული სულისკვეთების დანერგვით ცდილობდა, მეორე მხრივ, ქმნიდა მხატვრულ გარემოს, რომელიც ტრადიციულ რელიგიურ ღირებულებებს უპირისპირდებოდა. პირველად, სწორედ კაზმულსიტყვაობაში გაჩნდა ქართველი მუსლიმანის სუფრაზე დვინო და ლორის ხორცი. კლიმენტი გოგიავა, მაგალითად, „აჭარულ მოთხოვბაში“ ასეთ სურათს ხატავს:

„ხუსეინს ლვინის სუნი სახეში წვიმასავით სცემდა. სუნთქმა ეპვროდა და იბნიდებოდა. იქვე შებრაწულ გოჭს დრუნჩი ხუსეინისთვის მიეშვირა და იკრიჭებოდა. არ მოსწონდა ბერიკაცს, მოდუნდა, რა გახდა ეს ჯემალის სახლი, რანაირი აჭარლები იყრიან აქ თავს, ყანწებს ცლიან, გოჭის ხორცს ჭამენ!..“ (გოგიავა 1949:N<sup>o</sup>210).

ბოლოს კი ისე ხდება, რომ თვით ეს აღმფოთებული ხუსეინიც აუბამს ფეხს ცხოვრების ახალ წესს და ძველი, დარბაისელი ქართველივით მოილხენს: „ხუსეინმა აცახცახებულ ხელში ყანწი დაიკავა, იცოცხლეთო, დაიბუზუნა და თვალდახუჭულმა სულმოუთქმელად გამოცალა. მერე სკამზე დაეშვა და თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოს, მოზიმზიმე სტუმრებს სახე მოარიდა. იგი ამ წუთებში არაფერზე არ ფიქრობდა, დელავდა ჩუმად და უსიტყვოდ, ბოლოს გონება რომ მოიკრიფა, სიამაყე იგრძნო, გამარჯვებული ადამიანის სიამაყე და თავი მაღლა ასწია“ (გოგიავა 1949:N<sup>o</sup>210).

საბჭოთა კავშირის უკიდეგანო ტერიტორიაზე ანტირელიგიური პროპაგანდის ერთი სტანდარტი ბატონობდა და იგი თანაბრად ეხებოდა ყველა რელიგიას. ეს სტანდარტი კი ერთი მხრივ, დაუნდობლად ებრძოდა „ძველი დახავსებული წყობის ნაშთებს“, მეორე მხრივ, „მიზნად ისახავდა აჭარის მოსახლეობისა და, კერძოდ, ახალგაზრდობის ათეისტურ აღზრდას...“ (ბაბილოძე 1973:5).

იგივე სტანდარტი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მოზარდების, სკოლის მოსწავლების ცნობიერებაზე ზემოქმედებას, რაც ძირითადად, არა მოყვასისადმი სიყვარულს ქადაგებდა, არამედ ზნეობრივი ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას ნიშნავდა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ, ამისკენ მოუწოდებდა გაზეთი “ფუხარა”

- „მოსწავლეს უნდა შეეძლოს სიძულვილი, ის მაგარი და მოუხეშავი უნდა იყოს, როცა ეს საჭირო იქნება მტრის აღმოსაჩენად და მასთან საბრძოლველად. ოცნება, ფანტაზიორობა, სანტიმენტალობა, მერყეობა და შემთანხმებლობა გადამწყვეტ მომენტში დაუშვებელია მოსწავლისათვის. ზნეობა, სიყვარული, კაცომოყვარეობა, ძმობა-ერთობა და სხ. მაღალი ფრაზები, ბურჟუაზიული ლათაიებია აღზრდის სფეროში.

სკოლამ მოსწავლეში უნდა განავითაროს და აღზარდოს პატივისცემა არა რადაც განყენებულ ზნეობისა და სიკეთისადმი, არამედ სიძულვილი თავისი კლასიური მტრისადმი“ (დ. ო. – ძე 1926:N<sup>o</sup>215).

ანტირელიგიური პროპაგანდის სტანდარტისათვის არც ის იყო დაბრკოლება, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ფორმალურად აღიარებდა რელიგიურ თავისუფლებას. გაზეთი “პრავდა” კონსტიტუციის ამ მუხლს შემდეგნაირად განმარტავდა: „აბსურდულია იმის წარმოდგენა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში აღბეჭდილი სიტყვები რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლების შესახებ, წარმოადგენენ ანტირელიგიური პროპაგანდის შეწყვეტის სიგნალს. განა ეს კანონი რაიმეს ცვლის რელიგიისადმი კომუნისტთა დამოკიდებულებაში?..

სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუცია, სოციალისტური ცხოვრების ძირითადი კანონი, არ ნიშნავს კომუნიზმის პროპაგანდის ლიკვიდაციას ან შესუსტებას, არამედ, – პირიქით, გულისხმობს ამ პროპაგანდის გაძლიერებას, კერძოდ, ანტირელიგიურ ფრონტე” (კოსაროვი 1937: №92).

“პროპაგანდის გაძლიერების” ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ბასრი იარაღი მხატვრული ლიტერატურა აღმოჩნდა. ქართული სახელმწიფოს ბუნებრივი განვითარების პირობებში მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას სხვა მისია, სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ამ ლიტერატურამ, მოცემულ ისტორიულ ვითარებაში ვერ შეძლო ობიექტურად აესახა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური და, გნებავთ, რელიგიური პრობლემები და საკითხები, ხელოვნურად გაჩენილ საზღვრებს გაღმა-გამოღმა, სხვადასხვა სახელმწიფოში დარჩენილი ქართველების გულისტკივილი. იგი თავიდანვე იქცა საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის ნაწილად და რწმენასთან დამოკიდებულებაც თავისთავად მოექცა ქვეყანაში დამკვიდრებული სტანდარტების ჩარჩოებში.

## თავი V პატრიოტული მოტივი

### § 1. პატრიოტიზმი და ბოლშევკიზმი

პატრიოტიზმი ქართული მხატვრული ლიტერატურის უმთავრესი მაცოცხლებელი ძალა იყო ოდითგან. მწერლობა საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის წინამდღოდის უმძიმეს უდელს ერთგულად ეწეოდა, ქვეყნისა და ერის სადარაჯოზე იდგა მუდამ, იცოდა, როგორ მოსალბუნებოდა მის დარდსა და ვარამს. ძნელბედობისა და უკიდურესი გაჭირვების ქამსაც მის გვერდით იდგა, აღმერთებდა და თაყვანს სცემდა როგორც უპირველეს სალოცავს. პირველთაგან მწერლობა იყო ქვეყნის სიძლიერის ნიშა, რაც ყოველთვის კარგად იცოდა მომხდურმა. ამიტომ, ერის ცნობიერების რღვევასა და ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ ბრძოლას მისი დათრგუნვითა და დამორჩილებით იწყებდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და ქვეყნის სათავეში რუსული აგრესიის მოსვლამ უდიდესი დადი დაასვა ქართული ლიტერატურის განვითარებას. დიდი მსხვერპლის ფასად დაიწყო ეროვნული მწერლობის პროლეტარულ ლიტერატურად გადაქცევის სანგრძლივი პროცესი.

ტოტალური რეჟიმის ძალისხმევით უგულებელყოფილი ეროვნული ფასეულობების ადგილი საბჭოთა, სოციალისტურ ღირებულებებს უნდა დაეჭირა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა გადაწყვეტილებით, ქართველ ხალხს სამშობლოდ არა საქართველო, არამედ სსრკ-ი უნდა ელიარებინა. რაღა თქმა უნდა, გამონაკლისს არც მწერლები წარმოადგენდნენ. შემოქმედთ ლენინ-სტალინის პარტიის იდეოლოგიის შესაბამისად უნდა ემოქმედათ, დამორჩილებოდნენ უზენაესი ტრიბუნიდან წამოსულ ბრძანებებსა და მოწოდებებს.

არსებითი ნიშანი ამ ბრძანება-მოწოდებებისა კი ის იყო, რომ ეროვნული სულისკვეთება ”საბჭოთა პატრიოტიზმს” უნდა ჩაენაცვლებინა. ჩვენ ქვემოთ რამდენიმე ასპექტით შევეხებით ხსენებულ თემას, მანამდე კი გვსურს, ზოგადი სურათის დახატვა ვცადოთ და შევნიშნავთ, რომ სალიტერატურო კრიტიკა განუხრელად ცდილობდა, იდეოლოგიურად გამართულ არხში მოქცია მწერალთა ძალისხმევა, ვთქვათ, ასე: ”ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში გაჟაცურად გაისმის საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივები, მაგრამ ჩვენმა

მწერლებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ ამ მიმართულებით. სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი ხალხებისადმი, მისი უმდიდრესი მინდვრებისა და ტყეებისადმი, ზღვებისა, მთებისა და მდელოებისადმი...” (“საბჭოთა აჭარა” 1938:№6).

სამწუხაოთ, საბჭოთა პატრიოტიზმის გამოვლინებად მიიჩნეოდა, ვთქვათ, რეპრესიების მხარდაჭერა, ხალხის მტრებად წოდებული პირების დახვრეტა-გადასახლებისაკენ მოწოდება და ამ იდეოლოგიით გამსჭვალული ნაწარმოებების შექმნა. 1937 წლის 28 აგვისტოს, მაგალითად, აჭარის საბჭოთა მწერალთა კავშირის საერთო კრება გაიმართა, რომლის ოქმი გვამცნობს: ”გამოსული ამხანაგები ერთხმად მოითხოვდნენ გამცემლების, ხალხის მტრების, მავნებლების, საამური ცხოვრების ჯალათების, საზიზდარი გარეწრების სიკვდილით დასჯას”.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც მწერლებმა მიიღეს გადაწყვეტილება: ”ჩვენ – აჭარის მწერლები ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ მივცეთ ქვეყანას ძლიერი, მტკიცე და ლირსეული ნაწარმოებები: აღვზარდოთ სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე ადამიანები. ვიქნეთ შინსახომის უახლესი დამხმარენი ხალხის მტრების, ჯაშუშების, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიევ-ბუხარინელ ნაძირალათა წინააღდეგ ბრძოლაში.

ჩვენ კიდევ უფრო შევმტკიდროვდებით დიდი სტალინის ირგვლივ, რომლის მამობრივი მზრუნველობით გარემოსილნი არიან საბჭოთა მწერლები – ”სულის ინჟინრები” (ფონდის p – 928, ანაწერი 1, საქმე №2, ოქმი №11).

მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო იავარქმნა მეხსიერებაში კოდირებული მამულის სიყვარულისა, ეროვნული ფასეულობებისა, მენტალიტებსა და ცნობიერებისა. ე. წ. საბჭოთა სამშობლოსადმი მიძღვნილი მხატვრული პროდუქციის პარალელურად იქმნებოდა პატრიოტული სულისკვეთებით შთაგონებული ნაწარმოებები. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია მესხეთსა და ლაზეთზე შექმნილი პატრიოტული თემატიკის ლექსებისა თუ პოემების ციკლი, რომელთაც აჭარაში მოღვაწე ყველა მწერლის შემოქმედებაში ვხვდებით.

პარმენ რურუა, მუშა პოეტის სახელით იყო ცნობილი და ბუნებრივია, მისი კალამიც უპირველესად, სოციალიზმ-კომუნიზმის იდეას ემსახურებოდა, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ მის შემოქმედებაში ეროვნული მოტივი

თვალსაჩინოა და განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი სამხრეთ საქართველოს თემა. ეს თემა უპირველესად, ეროვნულ ტკიფილთანაა დაკავშირებული: ”ნაწილი ძველი მესხეთის ნეტარ ღიმილის მრჩენია, კვნესის მეორე ნაწილი, წყვდიადის კალთა ჰფენია”, - წერდა პოეტი და თაობების გულისტკიფილს გამოხატავდა. ამ სულისკვეთებით დაწერილ ლექსებში სწორედ, იმ გმირობაზეა გადატანილი აქცენტი, რომელმაც არ მისცა მტერს საშუალება, ჩაეცლა ქართული სული და წაეშალა ქართული სახე:

”მკერდზე მძიმე ჭრილობის მუდამ გაჩნდა იარა,

გარს გეხვია მუდამქამს მტერი დიდი, პატარა,

სულმა მტკიცემ, უდრეკმა ცეცხლში გამოგატარა.

რა ტანჯვა, რა წამება შენ არ გადაგხდომია,

მაგრამ მტერმა ნანგრევის ქვეშ ვერ მოგიყოლია” (რურუა 1954:185).

აჭარის თემას ეძღვნება ლექსები: ”გადღეგრძელებ, აჭარავ”, ”ლაზური ლექსები”, ”ხიხართის ყვავილი”, ”ვაზი ისევ ახელს თვალებს”, ”ნაქალაქევთან” და სხვ. ამ ლექსებში, ცხადია, სოციალიზმის მზეზეც არის საუბარი და ბედნიერ მშრომელებზეც, მაგრამ ეროვნული მოტივიც თვალსაჩინოა:

”მზეჩაუქრობ აჭარაში

ვაზი ისევ ახელს თვალებს

სიხარულის ცრემლი დასდის

ამდენი ხნის ნაფერკმთალებს.

ვამაყობ, რომ ტურფა მხარე

მტერმა ძალით ვერ მოხარა

ვერ გატეხა ქართველები

და ფუძიდან ვერ მოთხარა” (რურუა 1954:202).

ბუნებრივია, რომ ამ პოემის თანმდევი მხატვრული სახეა შოთა რუსთაველი. მისი სახე პარმენ რურუას ლექსებშიც ჩანს:

”ბრძენი შოთა რუსთაველი

მესხი იყო სასახელო

ვინც თავისი სიდიადით

ასახელა საქართველო” (რურუა 1954:190).

პატრიოტული მოტივი მკაფიოდ არის გამოკვეთილი ასევე ნესტორ მალაზონიას შემოქმედებაშიც. პროფ. იური ბიბილეიშვილი მისი ლექსის ”ფიქრების” შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ ”ამ ლექსიდან მკითხველს

ეუფლება დიდი და ღონიერი საქართველოს მამულიშვილობის განცდა. ამ თვალსაზრისით ეს ლექსი ჩვენს დღეებშიც ინარჩუნებს მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას და მას ხდის ქართული კაცის სასიამოვნო თანამგზავრად” (ბიბილიიშვილი 203:33).

”გამიტაცებს აწყვეტილი ფიქრის რაში,  
გამიტაცებს ჩემი ქვეყნის ეშხი,  
ქართლს დავივლი, შევალ მესხეთ-აჭარაში,  
კახეთს ვნახავ, შევქროლდები მთებში.  
სვანეთიდან ჩამოვყები ენგურს ხევ-ხევ,  
აფხაზეთს და სამაგრელოს ვნახავ,  
ჩემს იმერეთს ჩამოვივლი კიდევ ერთხელ  
და გურიას ვინახულებ ახლა”.

ამ ჩამოთვლით მკითხველის წარმოსახვაში კალეიდესკოპურად გაივლის საქართველოს ისტორია და სწორედ, ეს ისტორიაა ეროვნული მრწამსის შთაგონების წყარო.

ნებტორ მალაზონიასაც, სხვათა მსგავსად, არაერთი ლექსი დაუწერია სამშობლოს გაბრწყინებასა და სოციალიზმ-კომუნიზმის ვარსკვლავებზე. ილია ჭავჭავაძისადმი პროლეტარულ გადაძახებასაც წააწყდება კაცი იქ, მაგალითად ასეთს:

”აღმსდგარა საქართველო და  
არწივს დაუსხამს ფრთებიო,  
აყვავებულა მდელო და  
აყვავებულა მთებიო...” (მალაზონია 1953:99).

მაგრამ აქ ჭეშმარიტი პოეტური გრძნობით ნასაზრდოები სიტყვებიც ბევრია, ისეთებიც, იდეოლოგია თანამგზავრი რომაა ხოლმე, საოქმელის გამოხატვის გასაადვილებლად ადევნებული:

”მიყვარს ამ ქვეყნის კვამლიც, ნაცარიც,  
დაზამთრდება ოუ გაზაფხულდება –  
მოკვდეს იმ ლექსის ყველა მარცვალი  
სამშობლოს რომ არ ემსახურება!” (მალაზონია 1955:5).

ისტორიულ თემაზე შექმნილი პოემა “ქორწილი” ოსმალთა სამასწლოვანი თარეშის ამსახველი ნაწარმოებია. პოეტი აღწერს, როგორ არბევდნენ სამხრეთ-საქართველოს მკვიდრთ სამი საუკუნის განმავლობაში, როგორ უმოწყალოდ

აწიოკებდნენ ქვეყნისა და სარწმუნოების ერთგულთ, რომელთა სისხლითაც ვინ იცის რამდენჯერ ატირებულა ჭოროხი. პოეტი ცდილობს, კონტრასტების გამოყენებით ემოციურად და შთამბეჭდავად ასახოს მტრის შემოჭრა და თავისუფლების მოყვარული ქვეყნის შვილების გმირული ბრძოლები.

სრული სიმშვიდეა, ხალხი ლადად და ბედნიერად ცხოვრობს, უმცირესი მინიშნებაც კი არაა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ყველა ბიძინა მიქელაძისა და მზექალა აბულაძის ქორწილისათვის ემზადება. მოულოდნელად ჯვრისწერის ზარს რისხვისა და განგაშის ზარი ჩაანაცვლებს. მნათეს ნაცვლად ხევისთავი ჯარს უხმობდა შემოჭრილ მტერთან საბრძოლველად. უმაღლ შეიკრიბა ლაშქარი, ვაჟკაცს შინ რადა გააჩერებდა, ერთხმად დაირაზმენ სამშობლოს დასაცავად. სამწუხაროდ, მათმა თავდადებამ მომხდურთ განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა. იწვებოდა და ნადგურდებოდა ქალაქები სამი საუკუნის განმავლობაში. “დანიო დაჭრა ბადრი მთვარე, საფრთხობელად ჩამოკიდა”, “სამასჯერ გაჩნდა ფოთოლი, სამასჯერ კვირტი ატირდა”, “დაინგრა ციხე მრავალი, დაინგრა სხალთის ტაძარი”, “აოხრდა მესხთა ალაგი”, ბოლო არ უჩანდა დარდსა და ვაებას.

“შფოთავდნენ ოშკის ზარები,

ციხე-სიმაგრე ნაგები,

ტაძრები ნაჩუქურთმევი,

ხატები ფასის უთქმელი” (მალაზონია 1953:166).

პოემა სტალინური იდეალით მთავრდება, მაგრამ წარმოდგენილი თემა და მეტადრე, “ოშკის ზარების” თუ “ტაძრების” ხსენება, უკვე არის მნიშვნელოვანი ინტერესის შემცველი.

მამია ვარშანიძემ პირველი ლექსი 1933 წელს დაბეჭდა და მას შემდეგ წრფელი გულით ემსახურებოდა ქართულ სიტყვას. ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა მისი შემოქმედება, იპოლიტე ვართაგავა იყო. ნიშანდობლივია, რომ კრიტიკოსმა თავის ნაშრომს უწოდა “სული, გული, შეგნება და მხნეობა მამაპაპური”.

კრიტიკოსი იური ბიბილეიშვილი პოეტის შემოქმედებაზე საუბრისას სამართლიანად წერს: “მამია ვარშანიძის სახელი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში ბუნებრივად ასოცირდება დიდ ეროვნულ პრობლემებთან, რაც ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისკენ მოგვიხმობს. ხალასი ეროვნული გრძნობით არის დამუხტული მისი ყოველი სიტყვა და პოეტური ფრაზა. მის

პოეტურ სამყაროში არც მარტო წარსული ვნებიანობს მყოფადის გარეშე და არც მარტო მყოფადი – უწარსულოდ. მ. ვარშანიძის ლირიკული გმირი დედასამშობლოსთან დაბრუნებული შვილია, რომელიც გენეტიკურად, არასდროს არ მოსწყვეტია დედის სხეულს და გულს. ცნობილი სამასი წლის ტყვეობაშიც მხოლოდ ტყვეობა და ამ ტყვეობიდან თავდასხინის გმირული ბრძოლის სამასი წელიწადი იყო” (ბიბილეიშვილი 2003:55).

მამია ვარშანიძის ლირიკასაც, რასაკვირველია, გასდევს ეპოქის კვალი, მაგრამ მშობლიური კუთხის სატკივარი მაინც ძირითადია, “ვიცი, გტკივა წარსული, ჩემო ტკბილო აჭარავ”, – წერდა პოეტი და არაურთ გულწრფელ ლექსს უძღვნიდა ამ ტკივილს.

“გშობლიური მთების ახლოს

ძველისძველი ქვევრებია,

მოდი ნახე, მე იქ ვსახლობ,

მზე იქ შემიჩერებია.

მესხი ვარ და ხელმადლიანს

ეზო დამიმშვენებია,

ნახე რა არ მაბადია,

რა არ მომიშენებია.

ვაზი რთველის ეშხში ცურავს,

ლალისფერი მტევნებია,

ტკბილი დვინო დამიწურავს,

ქვევრში დამიმდერებია.

ჩემს სახლს განა ჩრდილი ფარავს!

ცისარტყელას ფერები აქვს,

ვარსკვლავები მიკრეფია,

დამე გამითენებია.

ჩემი კერა დალოცვილი

მზესთან შემიჩერებია,

ჩუქურომებით დაკოცნილი

ო, რამდენი ფერებია.

კვლავ მესხურად გავიძახი,

გული ამიმდერებია.

მოდი, ნახე ჩემი სახლი,

რარიგ დამიმშვენებია” (ვარშანიძე 1955:85).

ძველისძველი ქვევრები, გაზი, სწორედ ის დეტალებია, რომელთა საშუალებითაც შთამეჭდავად გამოხატებოდა ქვეუნის სევდა, ტკივილი და ოსმალოთა დამპურობლური პოლიტიკით გამოწვეული უმძიმესი შედეგები. დაუნდობლად ებრძოდნენ ერის სულიერების ბალაგარისა და ერთიანობის საფუძველთა საფუძველს. ნანგრევებად იქცა ხელიხელ საგოგმანებელი ეკლესია-მონასტრები, ძირისძირამდე ამოძირავეს ერის თვითმყოფადობის სიმბოლო - ვაზი, ოდესმე ღვინის შესანახად ჩამარხული ძველისძველი ქვევრები ხილის სათავსოებად აქციეს და ცდილობდნენ, აქაურთა მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოეკვეთათ სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარული. ამდენად, მამია ვარშანიძის ლექსები შთამბეჭდავად და ღრმა ემოციურობით გამოხატავს დანაწევრებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტკივილს. ესენია: “პატარა ქვევრი”, “მოდი ნახე”, “ღვინოს სწურავს შენი ქალი”, “ჩემი სახელი”, “ლაზური”, “ჭანეთი”. სწორედ, ამ კუთხის მოუშუშებელ იარას ედება სალბუნად სიტყვები:

“შენი ქალი სწურავს ღვინოს,

წინათ წვეთს არ იკარებდა,

შენი ქალი ირქმევს ნინოს –

ქართულ სახელს,

წინათ ჩადრს რომ იფარებდა” (ვარშანიძე 1955:84).

ეს ყველა პრობლემა კი პირდაპირ უკავშირდებოდა ნაპირს იქით დარჩენილ საქართველოს. დაკარგული ქართული მიწის კივილი ისმის ლექსებში: “მესხური”, “აყვავდა ჩემი პატარა ბაღი”, “ლაზის სიმდერა”, “ჰაუ მიფრინავ მერცხალო”, “სარფგალმელ ლამაზ გოგონას”, “აშუდი”. შეუძლებელია გულგრილად წაიკითხო ეს ლექსები და თვალწინ არ გაგიცოცხლდეს გარდასულ დღეთა სიმძაფრე და თავდადებულ მამულიშვილთა გმირობა:

“თუმც ბევრჯერ კერას გადაგვიბიჯეს,

ცეცხლით მოჰქონდათ რჯული ისლამის,

ენა ქართული ვერ დაგვიმახინჯეს

და ვერ ჩაგვიქრეს დილა სისხამი” (ვარშანიძე 1950:16).

ან კიდევ:

“გადაუქროლე ფეხმარდო,

თამარის კოშკებს – ნანგრევებს.

მაგაომა ჯავრმა დამადნო,

სალამურს ასე ვამდერებ:  
მზეო ლაზეთშიც ამოდი  
უსმინე ლამაზ ჩუქურთმებს,  
ჩუქურთმა სევდით ჩურჩულებს:  
— ოდა-სახლების საშვენად  
ქართველმა კაცმა მაშენა —  
და თურქმა გადამაშენოს?!” (ვარშანიძე 1960:194).

ან კიდევ:

“სამას წელიწადს ბნელში იარა,  
მაინც ქართული არ გაგითავდა.  
ქართული სიტყვა აბჯრად აისხა,  
და უშიშარი გეფხვს დაემგვანა;  
ომში მდეროდა “მუმლი მუხასო”,  
აკვანთან ისევ ტყბილ “იავნანას” (ვარშანიძე 1950:9).

პოემები “გელინ-ბოდან” და “შეხვედრა მთაში” ბოროტ ძალასთან — ოსმალო დამპყრობელთან რამდენიმესაუკუნოვანი ბრძოლის ამსახველი ისტორიის ფურცლებია. პოეტს თავის დროზე დაგეგმილი პქონდა მეორე თხზულება გრცელ პოემად გარდაექმნა, პერიოდულად კი მის ნაწყვეტებს ბეჭდავდა, ერთ-ერთი მათგანი იყო “მზემზეს ნაამბობი”. სხვათა შორის ამ ნაწარმოებების გამოქვეყნება სხვა ლექსებთან ერთად ფერხდებოდა, რადგან, როგორც თავად იხსენებდა, 1994 წელს, იდეოლოგიურად მიუღებელი და ეროვნულ-პატრიოტული ხასიათისა იყო. რედაქტორი პარმენ ლორია “დიდი დავიდარაბის შემდეგ მხოლოდ იმ ლექსების გამოქვეყნებაზე დამეთანხმა, — იგონებს მამია ვარშანიძე — რაც “მებრძოლის სიმღერებშია” დაბჭდილი. გული მტკიოდა, რომ ჩემი საყვარელი ლექსები განვარიდვთ პირველ წიგნს. ეს უმთავრესად ეროვნულ-პატრიოტული ლექსებია... და სხვაც. “ლექსები იდეოლოგიურად მიუღებელიაო”, მითხვეს მწერალთა კავშირში, რაც შემომრჩა, შევინახე, რაკი ერთხელს გული ამიცრუეს, მერე აღარ მიმიხედავს მათკენ, ისინი პირად არქივს მივანებე. მათგან ორი პოემაა - “გელინ-ბოდან” და “შეხვედრა მთაში” (ვარშანიძე 1994:4).

პოეტი პოემებზე მუშაობის ისტორიასაც გადმოსცემს რამდენიმე სიტყვით. “გელინ-ბოდან” პირველად, სახალხოდ 1940 წელს წაიკითხა, ხოლო “შეხვედრა მთაში” პირველი ვარიანტის სახით 1936 წელს იქმნება, რომელიც სამი წლის

განმავლობაში სამასიდან ათას სამას სტრიქონამდე იზრდება. პირველად ნაწყვეტი 1953 წელს მისივე ლექსების კრებულ “სიცოცხლის წყაროში” იბეჭდება ოდონდ არა შექმნის თავდაპირველი თარიღით, არამედ 1951 წლით. რა თქმა უნდა, პრობლემები შეექმნა მისი ნაწყვეტის “მზემზეს ნამპობის” გამოქვეყნებაზეც:

“მის დაბეჭდვაზე მთავლიტმა უარი თქვა. აქაოდა, თურქეთში მცხოვრებ თანამემამულებზე წერა არ შეიძლებაო... პოემა “შეხვედრა მთაში” ჩემს არქივში ინახება. კვლავ დაბეჭითებით ვმუშაობდი პოემის სრულყოფისათვის. 1951 წელს პოემა განიხილეს ჩვენს მწერალთა კავშირში” (ვარშანიძე 1994:4).

ასე, რომ თავის დროზე აკრძალული პოემები იყო “გელინ-ბოდან” და “შეხვედრა მთაში”. მათში ადწერილი მოვლენები ნათელყოფს, თუ როგორ იცავდნენ ქართველები სიცოცხლის ფასად ეროვნულ დირსებას, თავმოყვარეობასა და სხვა ფასეულობებს. ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა შეეწირა მოძალადეთა ავხორცულ, უზნეო ზრახვებს. ქართველნი ძალთა უთანასწორობისა, დროისა და გარემო პირობების შეუსაბამობის მიუხედავად, ყოველთვის იცავდნენ მშობლიურ სიწმინდეებს, თავისუფლებას, ქართულ ტრადიციებს, სიყვარულს და ოჯახურ სიმტკიცეს.

პოემა “გელინ-ბოდანის” სიყვარულის და თავისუფლების მოყვარული გმირები დროებით, მაგრამ მაინც ახერხებენ მიზნის მიღწევას: თავისუფლდებიან თავსმოხვეული ტრადიციებისგან და ქართული წესითა და რიგით ქმნიან ოჯახს. გმირობის ფასად, შეყვარებული წყვილი, ხმას იმაღლებს უსამართლობის წინააღმდეგ, აპროტესტებს მონურ მდგომარეობაში ცხოვრების გაგრძელებას და დიდი ზეწოლის მიუხედავად, მაინც შეუდლდებიან. როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა მათი ბედნიერება, იდილია ოსმალომ დაარღვია, რომელზეც ქალი აკვიდან იყო დანიშნული. მუხანათურად ჩასაფრებულმა მარტოდ მიმავალს სიცოცხლე მოუსწრაფა, რადგანაც ამ უკანსაკნელმა შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა. ტრაგედიას უკვალოდ არ ჩაუვლია. მისმა გმირობამ მთელი სოფელი გააერთიანა და საბრძოლველად განაწყო:

“შენი მკვლელი, ვინ ვთქვა, ვინ იყო?

ვინც ვაზები ამიჩება.

ჩემი მიწა ვინც გამიყო,

ჰაპა სადღაც ჩამიჩება.

იგი იყო შენი მკვლელიც, –  
წითელ ფესით, მოკლე ხმალით...,  
ზიზდი, ვინც ცა დაგვიბრელა,  
მთებში გაჟქუხს ჩემი ბოლმა.

ჭიბონს სევდით ჩავუბრავ” (ვარშანიძე 1994:82).

“გელინ-ბოლანის” პერსონაჟების მსგავსად, ამ პრობლემას ებრძვიან პოემის - “შეხვედრა მთაში” ნაწყვეტის “მზემზეს ნაამბობის” გმირები, მაგრამ მათი ცხოვრება ტრაგიკულად არ სრულდება. სოფელ ოლთისის მკვიდრნი – ტარიელი და მზემზე – მდიდარ ვაჭარს, ყარათურქს უპირისპირდებიან სიყვარულის დასაცავად. თანასოფლელების დახმარებით ახერხებენ მოძალადის დამარცხებასა და ქართული ოჯახის შენარჩუნებას, ოღონდ საცხოვრებელი ადგილის შეცვლით, უკეთ რომ ვთქვათ ძირძველ, მშობლიურ მიწაზე დაბრუნებით. მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:

“აჯობებს რომ დავუბრუნდეთ  
ჩვენი ბაბუის კერიას  
ამაზე ბევრჯერ ვდარდობდი  
და გული მწარედ მტკენია,  
აქ ჩვენ ვინა ვართ, რანი ვართ,  
აქა-იქ დაფანტულები,  
რისთვის ვართ, ვის სამსახურში  
და ვისთვის გვიძგერს გულებია” (ვარშანიძე 1994:74).

მათ სჯერათ, რომ ეს გადაწყვეტილება ყველას დადებითად წაადგება. ერთი მხრივ, დაიცავენ ოჯახის სიმშვიდეს და მეორე მხრივ, სამშობლოს სამსახურში ჩადგებიან. ერთიანობითა და ბრძოლოთ შეძლებენ დანაწევრებული მამულის გაერთიანებას. იმედოვნებენ, რუკაზე აღარ იქნება დაქუცმაცებული საქართველო.

“დრო მოვა და საქართველო  
აღსდგება კიდით-კიდემდე” (ვარშანიძე 1994:75).

არაერთი ლექსი მიუძღვნა სამშობლოს გიორგი სალუქვაძემ. მისი პირველი ლექსი 1938 წელს დაიბეჭდა. პატრიოტიზმი ერთი ბარაქიანი ნაკადია მისი შემოქმედებისა. ეპოქის პვალი, ცხადია, აქაც ჩანს, მაგრამ ტკიფილიც არანაკლებია. ტკიფილი თუნდაც იმის გამო, რომ როგორც მუხას მუმლი, ისე საქართველოს მტერი ეხვია მუდამ, ბრძოლის ხანძარი არ ქრებოდა:

“იცავდნენ ქართლის

სახელს დადაფნულს,  
ხუჭუჭა გაზებს,  
ოქროსფერ ნათესს,  
ქართულ სიმღერას,  
ქართულ გაზაფხულს,  
თამარის ვარსკვლავს,  
რუსთველის ნათელს,  
შენ არ დაინდე მტერი არც ერთი” (სალუქვაძე 1955:113).

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი წერს პატრიოტულ ლექსებს: “სიმღერით გადარჩენილი”, “სამარედ ექცათ მიწა ქართული”, “მზე შინა და მზე გარეთა”, ”ისევ ციკარის თვალი დარაჯობს”, ”ორი სარფი”, ”მოდის ვაჟაცი”, ”გზაში”, ”ვაზის ძირი დაილოცოს”, ”აჭარის მთებში”, ”სიტყვა ქართული”, ”სამი ლექსი ლაზეთზე”... შეხარის გიორგი სალუქვაძე საქართველოს მინდორ-ველებს, მთა-გორებს და უმდერის მშობლიურ საგანძურს. რაც კი საუკეთესოა, ქართულ ფეხვზე ამოზრდილი და ქართულივე გენითაა ნასაზრდოები. ”ფეხმაგარია, რაც ქართულია, მარად მესხური მადლით მეღერია, სამას წელიწადს ცეცხლში უვლია, გადაშენება არ უწერია!” – მიყვება შემოქმედი გულიდან წამოსულ სიტყვებს და ერის რწმენისა და სიძლიერის ერთერთ უმთავრეს ხატებას ლოცავს:

”რამდენი გმირის მკლავი დავხარჯეთ,  
რომ შეგვემუსრა ქვეყნის ამკლები...  
მე ვენახს ვლოცავ ნავენახარზე,  
ლხინს აჩადებენ ოდასახლები” (სალუქვაძე 1955:131).

სწორედ, ვენახი იყო მტრის უპირველესი სამიზნე, რომელსაც შემოსევისთანავე სასტიკად უსწორდებოდა. აჭარაში სამი საუკუნის განმავლობაში მობოგინე ოსმალო როგორ დატოვებდა ხელუხლებელს ქრისტიანი ერის სალოცავს. ქრისტიანობასთან ერთად ვაზიც ამოძირკვა აქაურთა ცხოვრებიდან. ბუნებრივია, აჭარაში მოღვაწე მწერლების შემოქმედებაში ვენახს განსაკუთრებული ადგილი რომ უჭირავს. ყველა შემოქმედი ცდილობს, განსაკუთრებული რუდუნებითა და სიფაქიზით ისე ასახოს მისადმი პატივისცემა და სიყვარული, რომ ისტორიული ბედუკულმართობით სარწმუნოებაშეცვლილი ხალხის თანაგრძნობა დაიმსახუროს. გიორგი სალუქვაძე ლექსში “ვაზის ძირი დაილოცოს” ვაზის

დალოცვას ამიტომაც იწყებს ისტორიული ასპექტის გათვალისწინებით. ”ვაზის ძირი დაილოცოს, მისი მადლი წინაპრული” – ამზადებს მკითხველს მისი მნიშვნელობის წარმოდგენით და შემდეგ ხაზს უსვამს მევენახეობის კულტურის აღდგენის შედეგებს.

“სამასი წლის შემდეგ მოსულს  
დაჲკარგვია განა კდემა?  
ქართულ სახლში ლხინად შედის,  
სახლი უფრო გალადდება.  
... ჭიგოები ჭრიალებენ,  
ვაზებს უჭირთ ფეხზე დგომა,  
სამასი წლის ქვევრს აღვიძებს  
მადლიანი შემოდგომა” (სალუქვაძე 1955:136).

და რაც მთავარია, ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული მოხუცი კაცი – თავმსმოხვეული სარწმუნოების დოგმებისგან განთავისუფლებული და მამაპაპური ვაზის მადლით გალადებული. იგი ვენახსაც უვლის და დვინოსაც მიირთმევს. “ტკბილ ქართულით ილოცება ვაზის ფეხვის გახარებას” – წერს პოეტი და იქვე მის ფიქრსა და ოცნებას სწვდება, რაც, რა თქმა უნდა, სარფის იქით დარჩენილი საქართველოს ტკივილს უკავშირდება.

ტკივილიანია “სამი ლექსი ლაზეთზე”. მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს საზღვრის სხვადასხვა მხარეს დარჩენილ ქართველთ, მაგრამ ეს უმცირესი მანძილი უდიდეს დარდსა და ვაჟებას იტევს. თურქთა სათარეშოდ ქცეული ქართული მიწა მოუთმენლად ელოდება მხსნელს, უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობს უდიდესი მსხვერპლის ფასად ქართველობაშენარჩუნებული ლაზი.

“ჩემი ფეხვია ამ დელეს გაღმაც,  
“მუმლი მუხასო”, ჩემი ძმა მღერის.  
სურნელი მაინც შერჩა ქართული  
მიწას თურქების ქუსლით გათქერილს,  
ქართულ მიწაზე თოფმომართული  
დგას გულბოროტი თურქი ასკერი” (რურუა 1949:№125).

გოდებს პოეტი და იმედს იტოვებს, რომ უძლეველი მუხა კვლავაც მოიგერიებს მუმლს, ქართველი სიძნელეების მიუხედავად, შეინარჩუნებს ქართველობას, წარსულის კუთვნილება გახდება გაღმა დარჩენილი ქართველი დედის გოდება და გაუქმდება ქვეყნის ავადმოსაგონარი გამყოფი საზღვარი.

40-იან წლებში სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ფრიდონ ხალვაში. მისი შემოქმედება თავიდანვე შეიყვარა მკითხველმა, უპირველესად მამულიშვილური სულისკვეთების გამო. პოეტმა გულთან ახლოს მიიტანა სამშობლოს ჭირიც და ლხინიც, წარსულიც და აწმყოც. ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის თემა მის შემოქმედებაშიც თვალსაჩინოა:

“სამასი წელი...

სისხლი და ცრემლი...

გრიგალში ვიდექ მკლავშემართული,  
ქარიშხალს ვძლიე, ცეცხლს გავუძლი,  
და შევირჩინე ეშხი ქართული.

მტარვალი ხმალით

მენატრებოდა ქართული ნანა,  
ნამგალის ნაცვლად ხანდართა ალი  
დასტრიალებდა ჩემს ბაღჩა-ყანას.

მინგრევდნენ ფუძეს,

მაგრამ გავუძელ,

ვერ მტებდა მეხი თავსდატეხილი, –

სამას წელიწადს ჩეხეს და მაინც

ვერ ამიჩეხეს ვაზის გრეხილი” (ხალვაში 1947:№11).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას პროზის შესახებაც. მართალია, ლირიკამ უფრო ფართოდ ასახა სამშობლოს სიყვარულის თემა, მაგრამ რიგი პრობლემებისა და საკითხებისა, არც პროზაიკოსთა ყურადღების მიღმა დარჩენილა. მაგალითად, კაპიტონ რუსიძის “მეთევზე ნაზიმის ქალიშვილი” იმით იპყრობს ყურადღებას, რომ “გაღმა სარფის” ბინადრებს ეხება. მოთხოვთა “მეთევზე ნაზიმის ქალიშვილიც” უსამართლობას შეწირული ადამიანების ისტორიაა. დასავლეთ სარფში მცხოვრები გიული მდიდარი ქვრივის ნაპიჯეს მსახურია. დარიბი მეთევზის, ნაზიმის ქალიშვილი თავისი სილამაზით ყველასგან გამოირჩეოდა და ეს სილამაზე გახდა მისი გაუბედურების მიზეზი. გუდუთ ქომუთანი ყველაფერს აკეთებდა მის ხელში ჩასაგდებად. რაღა თქმა უნდა, პატიოსანი ოჯახი ცდილობდა თავის დაცვას, მაგრამ უშედეგოდ. ძალამ თავისი გაიტანა. ნაბიჯ-ნაბიჯ გაუსწორდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ჯერ გიულიმ დაკარგდა სამსახური – ქალბატონმა დაითხოვა, შემდეგ მეთევზე ნაზიმი მოკლეს გაქცევის მცდელობის გამო. ბოლოს ქალიშვილიც გაიტაცეს.

გიულიმ მოახერხა მამის მკვლელისათვის სამაგიეროს გადახდა და სიკვდილით დასჯა, მაგრამ ვერ შეძლო საზღვრის გადმოლახვა და სარფში დასახლება... მაშინ უმტყუნა ბედმა, როდესაც სულ მცირე მანძილი იყო დარჩენილი მის ახდენამდე. თურქმა მესაზღვრეებმა შეიპყრეს და შემდგომ სიკვდილით დასაჯეს (რუსიძე 1951:75).

დასასრულს, ორიოდე სიტყვით შევჩერდებით პარმენ ლორიას შემოქმედებაზე. მისი ლიტერატურული საქმიანობაც ერთი საინტერესო მაგალითია ხელოვანის ბედისა სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში.

პარმენ ლორიას შემოქმედებას არასდროს აკლდა მკითხველი, პირიქით, შეიძლება ისიც ითქვას, რომ მოჭარბებულადაც ჰყავდა. იგი ბათუმში მოღვაწეობდა, თუმცა ამ პერიოდის ბათუმი დიდი ლიტერატურული ტრადიციებით მაინცადამაინც ვერ დაიკვენიდა. ეს მაშინ, როცა საქართველოში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ პროზის ჭეშმარიტი დიდოსტატები.

არც ერთ მწერალს პარმენ ლორიამდე არ დაუთმია აჭარისათვის, აქაური ქართველებისათვის ესოდენი ყურადღება. მართალია, პრობლემები აქ კლასობრიობის იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარეა განხილულ-გადაჭრილი, მაგრამ ეს მაინც უადერსი ტკივილით აღსავსე თემაა, რომელიც ნიჭიერმა მწერალმა სიყვარულით და სიფრთხილით მიიტანა მკითხველამდე და იქნებ სწორედ, ეს გახდა პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზი?

ან იქნებ ის, რომ იგი ძირითადად სოციალისტური კეთილდღეობის იდეალს ხატავდა და ამას საქმაოდ ნიჭიერად აკეთებდა? ფაქტია, რომ პარმენ ლორია თავისი ეპოქის შვილია, სოციალური თემა მისი ძირითადი თემაა და ისიც ერთგულად ეხმიანება საბჭოთა იდეოლოგიას. შესაბამისად, პროლეტარული კულტურის არაერთი შაბლონი თვალსაჩინოა მის შემოქმედებაში.

საბჭოთა ხელისუფლებამაც დაუფასა დამსახურება მწერალს. მიუხედავად ამისა რომ, მის შემოქმედებაშიც იჩენს თავს ე. წ. პროლეტარული ჩარჩოს დარღვევის მცდელობანი. იმ ფონზე, როცა საბჭოეთის უზარმაზარ ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგია ეწეოდა ერების შერწყმისა თუ ეროვნული ენების გაქრობის პროპაგანდას, რომანში “შვილები” იგი ასეთ საყვედურს ათქმევინებს რუსი ეროვნების პერსონაჟს ქართველების მიმართ: “რატომ არ გიყვართ ქართველს თქვენი მშობლიური ქართული ენა? ამ ჩვენს კულტურის სასახლეში ყოველნაირი წრე გვაქს შექმნილი და მეც დაუზარელად ვმონაწილეობ მათში. მაგრამ არ არის ქართული ენის შემსწავლელი წრე. ასეთი წრე რომ გვქონდეს,

მე და სხვები სიამოვნებით შევისწავლიდით ქართულ ენას და კიდევ უფრო უკეთესი ურთიერთობები გვექნებოდა ერთმანეთთან, უკეთ შევიცნობდით ერთმანეთის სულიერ კულტურას”.

კონცეპტუალური აზრი ამ ფრაგმენტისა, როგორც ჩანს, მაინც გამომხატველია მწერლის ფარული გადიზიანებისა იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა ქართული ენა არ იციან და არც აქვთ სურვილი მისი შესწავლისა. ესოდენი ფრთხილი მინიშნებაც კი ამაზე, შემოქმედის დირსებად უნდა ჩაითვალოს უთუოდ.

სწორედ, ზემოხსენებული კონტექსტიდან გამომდინარე გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ პარმენ ლორიას ცხოვრების ერთ ნაკლებად ცნობილ დეტალზე:

იგი რომ მოქმედ არმიაში იბრძოდა პირველი მსოფლიო ომის დროს, ეს არც ყოფილა დაფარული. მაგრამ პარმენ ლორია დამოუკიდებელი საქართველოს ჯარისკაცი იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში და მაშინ არც პატრიოტული სულისკვეთების გამოხატვას ერიდებოდა.

1919 წლის 26 მაისის გაზეთ “ერთობაში” (№115) დაბეჭდილია დეპეშა, რომლის შინაარსი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას პარმენ ლორიას, როგორც სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლის შემოქმედების ფონზე.

დეპეშა პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული და მისი შინაარსი შემდეგია:

“ახალციხე. ჩვენ, მეოთხე პოლკის მესამე ტყვიისმფრქვეველი გუნდის ჯარისკაცები ვულოცავთ ჩვენს მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავს. იარაღით ხელში მზად ვართ მის დასაცავად. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს.

ამხანაგების მინდობილობით: პარმენ ლორია”.

მრავლისმეტყველი დეპეშა და მისი კომენტირება შორს წაგვიყვანს. იმასდა ვიტყვი, რომ ამ სულისკვეთების კაცს, რომელიც დემოკრატიული საქართველოს ნაცვლად სოციალისტურ საქართველოს ემსახურა მთელი ცხოვრება, მაინც გამოჰყვებოდა ტკივილი. მისი ცხოვრების ეს ნაწილი ალბათ საბჭოთა ეპოქის ბევრი ხელოვანის ცხოვრებას ჰგავდა: შოთა ქურიძეს თავის წიგნში “მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში” შეუტანია პარმენ ლორიას გამოუქვეყნებელი ჩანაწერი: “ჩემი წიგნების ისტორია”, რომელშიც ნათქვამია: “ვწერ უფრო მშრალად, ნაკლებ გრძნობებია შიგ. არ მომწონს, მაგრამ მაინც ვწერ. იმიტომ, რომ ჩემს მსაჯულებს ასეთი ნაწარმოებები მიაჩნიათ პოლიტიკურ

ნაწარმოებებად. ვწერ დღე და ლამე. ვწერ სხვისი გემოვნების მიხედვით” (ქურიძე 1970:75).

“სხვისი გემოვნებით” წერისას გულწრფელი პატრიოტული გრძნობების ადგილი ნაკლებად რჩებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, სამშობლოს ავი და კარგი თვით სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაშიც პოულობდა თავის ადგილს.

## § 2. ომის თემა და იდეოლოგიური მწერლობის ზოგიერთი თავისებურება

ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1941-45 წლებში მოელი ქვეყანა, ასე ვთქვათ, საომარ რელსებზე გადააწყო. ომის კანონებს დაექვემდებარა მწერლობაც. მწერალიც მებრძოლად იქცა, ოდონდ, იდეოლოგიურ ფრონტზე მებრძოლად. ამ პროცესში, ბუნებრივია, ჩართული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია.

1941 წლის 9 ივლისს „აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის“ წევრთა საერთო კრება ჩატარდა. მწერლები საუბრობდნენ ე.წ. „თავდაცვითი ლიტერატურის“ შექმნისა და გამოცემის აუცილებლობაზე. ეს მისწოდება დადგენილებაშიც აისახა: ”მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი უახლოეს ხანში მხატვრული ლიტერატურული კრებულის გამოცემა. აღნიშნულ კრებულში მოთავსდეს მასალები და წერილი თავდაცვის თემაზე, იმ დიდ ბრძოლებზე, რომელსაც სახელოვანი პარტია აწარმოებს კერაგ ფაშისტების წინააღმდეგ. მასალების შეგროვება დამთავრდეს 20 ივლისამდე” (ფონდის P – 928, ანაწერი 1, საქმე 2, ოქმი №4).

ომის თემაზე შექმნილ თხზულებათა შორის იშვიათად თუ გამოერეოდა რაიმე მხატვრული დირსებით აღბეჭდილი ნაწარმოები. მდარე ლიტერატურული პროდუქცია, შესაძლოა, იდეოლოგიურ შეაგეთას რამდენადმე აკმაყოფილებდა, მაგრამ მეტისმეტი სიყალბის გამო თვით შემკვეთებისთვის იყო გამაღიზიანებული. ცნობილი საბჭოთა კრიტიკოსი ბესარიონ ქლენტი განიხილავდა რა ომის პერიოდის პროზას, წერდა:

“უპირველესი ნაკლი, რომელიც ახასიათებს სამამულო ომის თემაზე დაწერილ მოთხოვნებით უმრავლესობას, ის არის, რომ ხშირად ავტორები არ იცნობენ რა მასალას, რომელზეც წერენ, კმაყოფილდებიან თავიანთი გამომგონებლის უნარით, თავიანთი მხატვრული ფანტაზიით, რის მეოხებითაც ნაწარმოებში ადგილი აქვს “გამომგონებლის” ხელოვნურს და ნაძალადევ სიტუაციებს. ნაწარმოებთა სიუჟეტები უფრო ხშირად მოულოდნელ და დაუჯერებელ შემთხვევებს ემყარება. გამომუშავდა ერთგვარი სიუჟეტური სტანდარტები და სქემები, რომლებიც უძლური არიან მხატვრული სიმართლით და დამაჯერებლობის ძალით გადმოსცენ... ბრძოლის ცოცხალი სინამდვილე” (ედენტი 1949:138).

ბუნებრივია, რომ სიუჟეტურ სტანდარტებსა და სქემებს, ე. წ. გამომგონებლობას, ვერც აჭარაში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია ასცდებოდა.

„ბალადა მზარეულზე” წარმოაჩენს გმირობას პოლკის მზარეულისა. იგი წუხს, ბედმა ქვაბებთან ფუსფუსი რომ არგუნა წილად და არა ბრძოლის შუაგულში ტრიალი, განიცდის, რომ ომის შემდგომ საამაყო არაფერი ექნება. თუმცა მალე მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. მოულოდნელად მტრის ტანკი გამოჩნდება, მზარეული არ დაიბნევა:

„ნაჯახს ხელი წამოავლო  
და თვალწინ დგას დანარჩენი:  
თუ მტრის ტანკზე როგორ შეხტა,  
როგორ ჭექდა ლომკაციოთ,  
ან ტყვიამფრქვევს როგორ ჩეხდა  
ფხანაწრთობი რკინა ცივი” (მალაზონია 1953:92).

მოკლედ, ტანკის წინააღმდეგ ალესილი ნაჯახით მებრძოლმა მზარეულმა ცოდვის კალო დაატრიალა და მერე ისევ მშვიდად მიუბრუნდა თავის საქმეს – სადილის მომზადებას. რაც შეეხება ტანკს და გერმანელებს, „იქვე ტანკი, გროვა გვამთა და მტრის შავი იდგა სისხლი”. ამ ისტორიის შემდეგ აღარც ბალადის დასკვნაა მოულოდნელი „ვენაცვალე, ჩემს მამულში გზა ბევრია სახელისკენ”.

სტანდარტული სიუჟეტისაა კაპიტონ რუსიძის „თენზილე”: თენზილე ექთანი იყო. ფრონტზე წავიდა და თავს არ ზოგავდა, არაერთი დაჭრილი მეომარი გადაარჩინა. „მარტო პოსპიტალში კი არა, მთელს ბატალიონში

იცნობდნენ მას, ლომგულ ქალიშვილს ეძახდნენ, პატივს სცემდნენ, გულწრფელის და-ძმური სიყვარულით იყვარებდნენ, შესაფერის ჯილდოს მიუზღავდნენ თავდადებისათვის” – წერს ავტორი.

თენზილეს გულწრფელად უყვარდა თანასოფლელი რამიზი. ჰოსპიტალში თენზილე მაინცადამაინც რამიზს გადააწყდება შემთხვევით, მერე ისინი ერთ პარტიზანულ რაზმში მოხვდებიან და ერთად გააგრძელებენ საფრონტო ცხოვრებას. რამიზი იღუპება. თენზილე შინ ბრუნდება და თან შვილი მოჰყავს. რამიზის ოჯახი რძლად მიიღებს მას და ერთად ზრდიან პატარას” (რუსიდე 1946 №83-№86).

პარმენ ლორია მოთხრობაში „დაბრუნებული” მოგვითხრობს დეზერტირის შესახებ. ფრონტიდან გამოქცეულმა ჯარისკაცმა თავის სახლში შესვლამდე გარედან მიაყურადა და მოისმინა, როგორ ნატრობდა დედა, შვილი გმირად დაბრუნებოდა, უმცროსი მმა პატრიოტულ ლექსს წერდა მისთვის. ერთი სიტყვით, ჯარისკაცი რწმუნდება, რომ ოჯახი დეზერტირს არ მიიღებს, ამიტომ ვეღარ ბედავს სახლში შესვლას, ფრონტზე ბრუნდება, ვაჟაცურად იბრძვის და სახელგანთქმული გმირი ხდება.

საბჭოთა კრიტიკამ მოთხრობის მხატვრული დამაჯერებლობა საეჭვოდ მიიჩნია და სამართლიანადაც, მაგრამ საქმე ისაა, რომ თხზულების იდეური გამართულობაც დაიწუნება:

“ამგვარი ხატვა ჩვენი სამამულო ომის გმირებისა, ყოვლად შეუფერებელია, - წერდა ბესარიონ ქლენტი, - კაცი, რომელიც ფრონტიდან გამოიპარა, რომელმაც ამგვარი მოღალატური საქმე ჩაიდინა, გმირი ვერ გახდება, ვინაიდან გმირობა შემთხვევის საქმე კი არ არის, არამედ რწმენის საქმეა. გმირი ის არის, ვისაც სწამს ჩვენი საქმის სიმართლე და მისთვის თავს სდებს. ვისაც ასეთი რწმენა არ გააჩნია, ის გმირი ვერ გახდება. ამ მხრივ, პარმენ ლორიას მიერ დახატული სიტუაცია უსათუოდ არასწორ, მცდარ გაშუქებას აძლევს სამამულო ომის გმირის სახეს, მის ბუნებას. ნუთუ საჭირო იყო ფრონტიდან გამოპარვა და საკუთარი სახლის კარებზე მიყურადება იმის გასაგებად, თუ როგორ უყვარს ჩვენს ხალხს თავისი გმირი შვილები და რარიგად ეზიზდება მას ლაპრები, დეზერტირები, სამშობლოს მოღალატეები?” (ჟღენტი 1949:142).

გარდა ზემოხსენებული სიუჟეტური სტანდარტებისა და სქემებისა, საბჭოთა მწერლობაში და შესაბამისად, აჭარაში მოღვაწე მწერლების შემოქმედებაში აუცილებლად ფიგურირებდა რამდენიმე თემა, რომელთა აზრი, იდეოლოგიური

საფუძველი თუ საპროპაგანდო სტრუქტურა არსებითად ერთგვაროვანი იყო, ამ ნაწარმოებებს ჩვენი მწერლობის განვითარებაზე ღირებული პვალი არ დაუჩნევია, მაგრამ “მიმდინარე ისტორიულ მომენტში” პროპაგანდისტის როლს წარმატებით ითავსებდა და ასე თუ ისე ზემოქმედებდა მკითხველის ცნობიერებაზე. მხედველობაში მაქვს ერთი მხრივ, ბელადების სახოტბო პოეზია, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების და ხალხების ერთიან ძმურ ოჯახად წარმოჩენა.

იდეოლოგიური ლიტერატურა დაბეჯითებით გამოხატავდა აზრს, რომ სსრკ-ს გამარჯვება გარდაუვალია ამ ომში, რადგან ქვეყანას ხელმძღვანელობს ბრძენი სტალინი, ქვეყნის საქმიანობას კი წარმართავენ გონიერებით გამორჩეული წვრილი თუ მსხვილი ბელადები. ბელადომანია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთელი საბჭოთა ლიტერატურისთვის იყო დამახასიათებელი. ჩვენ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიძღვნითი ხასიათის სახოტბო პოეზიის რაოდენობა განუსაზღვრელია.

”და მტერს დავძლევთ უქმდელად,

რადგან კლიმი უძღვის ლაშქარს!

ვაშა სტალინს – ხალხთა ბელადს!

ვოროშოლოვს – ჩვენი ვაშა!” (მალაზიონია 1938:№44).

ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, იდეოლოგიური ლიტერატურა ხატავდა ერთი მიზნით გაერთიანებული და განმტკიცებული ერებისა და ხალხების (სსრკ-ში მცხოვრები ერებისა და ხალხების) სახეს. პროპაგანდის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მკითხველს უნდა ერწმუნა, მიუხედავად უდიდესი განსაკრძალებელისა, საბჭოთა კავშირი რჩებოდა მრავალი ერის ძმურ ოჯახად და ეს ერები, ზემოხსენებული განსაკრძალებელის გამო, კიდევ უფრო მტკიცედ შეკრულნი, ერთიანად ებრძოდნენ ფაშიზმს.

როცა ომის თემაზე შექმნილ იდეოლოგიურ ლიტერატურაზე, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილ სქემებსა და სტანდარტებზე ვსაუბრობთ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფსევდოლიტერატურა ერთადერთი ხაზი როდი იყო ჩვენი მწერლებისა. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ყველაფერი იდეოლოგიის ჩარჩოში იყო მოქცეული. ომს ბევრი ტკივილი ახლავს, რაც ქართველმა ერმა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ერების მსგავსად გადაიტანა. არაერთი მწერლის გულწრფელ სტრიქონებში აისახა ომის კოშმარი,

მსხვერპლი, რომელიც ჩვენმა ქვეყანაში გაიღო, გმირობა და მამაცობა, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა თუ შინ დარჩენილმა მოქალაქეებმა გადაიტანეს.

ქვემოთ ორიოდე სიტყვით შევეხებით აჭარაში მოღვაწე მწერლების საომარი თემატიკის ამ ნაწილს და ერთ დიახაც საინტერესო ტენდენციას მივაჰყობთ ყურადღებას.

ნიშანდობლივია, რომ ხშირად ქართველი მწერლები “სამშობლოს” ცნებაში გულისხმობდნენ არა მაინცადამაინც საბჭოთა კავშირს, არამედ უპირველესად საქართველოს და ამით იდეოლოგიურ სადარაჯოზე მდგარი კრიტიკის რისხვასაც იმსახურებდნენ. 1951 წელს გაზეთ “კომუნისტის” მოწინავე კიდევ ერთხელ მკაცრად შთაგონებდა მწერლებს:

“როცა ზოგიერთი ჩვენი მწერალი უმდერის სამშობლოს განყენებულად, გარკვეულად არ ამბობს – რომელ სამშობლოზე აქვს მას ლაპარაკი, არ აღნიშნავს, რომ სამშობლო ეს არის არა მარტო საქართველო, არამედ მთლიანად დიდი საბჭოთა კავშირი, არ აღნიშნავს, რომ სამშობლო – ეს არის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით და ბრძოლით აშენებული ახალი სოციალისტური ქვეყანა, – ეს არ არის ჯანსაღი განწყობილება, ასეთ გარკვეულ ნაწარმოებს შეიძლება ხელი მოაწეროს ჩვენმა მტრებმაც ნაციონალისტთა ბანაკიდან” („კომუნისტი“ 1951).

ის, რასაც გაზეთი “კომუნისტი” გმობდა, ანუ განწყობა “ჩემი სამშობლო საქართველოა”, მკაფიოდ ჩანს საომარ თემატიკაზე (და არა მხოლოდ საომარ თემატიკაზე) შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციაში. ზოგჯერ ისეთი შთბეჭდილება რჩება, თითქოს მწერლებმა დრო იხელთეს და “საბჭოთა პატრიოტიზმის” საფარქვეშ აღადგინეს ტაბუდადებული ცნება სამშობლოსი, გზა გაუხსნეს სწორედ ნაციონალურ განწყობას: ომის პერიოდის პროპაგანდისტული მანქანა გასაქანს აძლევდა პატრიოტულ გრძნობებს. ამის გარეშე ომის მოგება ძნელი იქნებოდა, თუ შეუძლებელი არა. შესაბამისად, “საბჭოთა პატრიოტიზმი” და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ისე გადაეხლართა ერთმანეთს, გამიჯნვა გაძნელდა და მწერლებმაც თითქოს ისარგებლეს შექმნილი ვითარებით.

შალვა იოსეელიანი, მაგალითად, უთუოდ ნიჭიერი პოეტი იყო, იგი ფრონტზე დაიღუპა 1943 წელს, 26 წლისა. საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული ტენდენცია (“ჩემი სამშობლო საქართველოა”) თვალსაჩინოა ომის თემაზე დაწერილ მის ლექსებში:

“ჩემს ვაჟპაცობას მოესწრო დედა,  
მამულისათვის მზრდიდა მშობელი.  
და მეც მოვდივარ მტერო ტიალო,  
მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშალი,  
რომ შენს გულდგიძლში დაგატრიალო  
სააკაძის და ერეკლეს ხმალი.”

განსაკუთრებით საგულისხმოა უკანასკნელი სტრიქონები. სააკაძის და ერეკლეს ხმლის ხსენება “დიადი საბჭოეთის” ადგილს ადარ ტოვებს და სამშობლოს სიყვარულის გრძნობაც აქ კონკრეტულ შინაარსს იძენს.

სააკაძე და ერეკლე, ასევე შოთა, თამარი ნახსენები არიან ნანა გვარიშვილის ლექსშიც:

“ქართლის გულიდან მოდის ფესვები,  
ჩვენი მოდგმის და ჩვენი ნაყოფის,  
ჯაბანს წყევლიან შოთას ლექსები,  
დიდი თამარის ეშნით ნატრფობი,  
შენ სააკაძის მიწა გავალებს,  
წმინდა ქართული გული მფეთქავი  
გმირ წინაპართა შთამომავალი, —  
აკაფო მტერი ერეკლეს ხმალი!” (გვარიშვილი, 1948:15).

სხვა შემთხვევაში შესაძლოა მინიშნება მშობლიურ გარემოზე ან უფრო ბუნდოვანი იყოს, ან საერთოდ არ არსებობდეს. მაგალითად მოვიხმოთ მამია გარშანიძის ერთი უპრეტენზიო ლექსი “ალალ იყოს”:

“ასი ტყვია მომხვდეს თუნდა  
ნიაღვარით გადამოელონ  
ეს სიცოცხლე ალალ იყოს  
ჩემი ქვეყნის სასახელოდ” (ვარშანიძე, 1960:208).

“ჩემს ქვეყანად” აქ სსრკ რომ მივიჩნიოთ, ლოგიკას მოკლებული არ იქნება. მაგრამ ლექსში მინიშნებაც არაა უკიდეგანო სივრცეებზე თუ ინტერნაციონალურ მმურ ოჯახზე. ამდენად, იმავე წარმატებით “ჩემი ქვეყანა” და “სამშობლო” აქ საქართველოს შეიძლება ნიშნავდეს, მითუმეტეს თუ მამია გარშანიძის მთელი შემოქმედების ბუნებას გავითვალისწინებთ.

ამდენად, როგორც ვთქვით, ომის თემაზე შექმნილი მთელი ლიტერატურული პროდუქციის იდეოლოგიური მწერლობის ფარგლებში მოქცევა

დაუშვებელია. აშკარაა, რომ ამ ნაწარმოებებში შიგადაშიგ მკაფიოდ ჩანს ეროვნული მოტივი და ნაციონალურ გრძნობებსაც გასაქანი ეძღვა.

### § 3. ბათუმში მოდგაწე პოეტები სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში და ტაო-კლარჯეთის სავანეთა ბედისწერა

1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ ახალი, ბოლშევიკური იმპერიის ხელისუფალთა ნებითა და ძალით სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების უმეტესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოქცა. ქართველმა საზოგადოებამ, უფრო ზუსტად, ეროვნული ინტელიგენციის და პოლიტიკური სპექტრის ბოლშევიკურ საქართველოში შემორჩენილმა ნაწილმა, გაბრძოლებადა შეძლო.

რაც შეეხება მწერლობას, აქაც მეტად სპეციფიკური ვითარება სუფევდა. ცნობილი ფაქტია, რომ ბოლშევიკები მიზანმიმართულად ცდილობდნენ მთელი მწერლობის მოქცევას უპირობო გავლენის ქვეშ. სამხრეთ საქართველოს შესახებ წერა არავის აუკრძალავს, მაგრამ ეროვნული ტკივილის გამოხატვა პრინციპულად მიუღებელი იყო. “ძმური კავშირის” კოსმოპოლიტური პროპაგანდით გამსჭვალული იდეოლოგია უგულებელყოფდა ეროვნულ ინტერესებს და მისწრაფებებს. ამიტომაც იყო, რომ პროლეტარული მწერლობა რადიკალურად გაემიჯნა პატრიოტულ თემატიკას.

მაგრამ სურვილი ერთია და შესაძლებლობა – მეორე. პროლეტარულ მწერლობას არც ნიჭი ეყო, არც ძალა, რომ წინ ადდგომოდა ქართული მხატვრული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. ეროვნული მოტივი, მართალია, შეავიწროვა, მოადუნა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა. შესაბამისად, ცოცხლობდა სამხრეთ საქართველოს თემაც და ბარემ იმასაც შევნიშნავ, რომ ხსენებულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები პირობითად შეიძლება ორ – იდეოლოგიურ და იდეოლოგიისგან თავისუფალ (ასეთიც არსებობდა) – ჯგუფად დავყოთ. ცხადია, პირველი სჭარბობს და არც ესაა გასაკვირი, მაგრამ მეორეც არსებობს. პირველის შემთხვევაშიც კი ზოგჯერ საცნაურია, რომ იდეოლოგია საშუალებაა, საფარია პატრიოტული გულისნადების გამოსავლენად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამადე კი უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს თემა ყველაზე დამახასიათებელი, მეტადრე, 30-იანი წლებიდან, აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებისათვის იყო. ეს ნიშანდობლივი ფაქტია. აჭარა, ხომ თავად იყო მონაწილე ცხოველი ისტორიული პროცესებისა; სწორედ, ამ რეგიონს შეეხო ყველაზე მწვავედ გაყოფა-განაწილების, გასხვისების ტრაგიკული მოვლენები. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, მოსკოვში, სტამბოლ-ანკარასა თუ ევროპაში მიღებული გადაწყვეტილებების გამო რომ გადადიოდა იგი ხელიდან ხელში. მრავალი მონაწილე ამ პროცესებისა ჯერაც ცოცხალი იყო და არც ეზოსა თუ ყანის ბოლოში გავლებული საზღვრების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი ნათესავების ტკივილს უჩანდა დაამების პირი. ამასთან ეს იყო რეგიონი, რომელმაც საუკუნეებს გამოატარა ქართული ენა, ცნობიერება, ზნეობა, ტრადიცია... მეორე მხრივ, კი გაცოცხლებული მხატვრული სიტყვა ახლადა იკრებდა ძალას, ახლადა ჩნდებოდა საუკუნეებით დაგუბებული სათქმელის გამოხატვის საშუალება და იმდენად დრმა იყო ჭრილობა, იმდენად მაღალი დირებულებისა იყო ეს თემა, რომ თვით სოციალისტური რეალიზმის პირობებში ფეხადგმულმა ადგილობრივმა მწერლობამაც კი არაერთხელ გადააბიჯა დამკვიდრებულ ზღვარს.

იდეოლოგიური მხარე ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს. ისედაც ცხადია, რომ მეთოლოგიური საყრდენი მოცემული თემისა, უმეტესად, თავსდება იმხნად დამკვიდრებულ შაბდონში, რომლის თანახმადაც, კაპიტალისტურ ქვეყანაში (ჩვენს შემთხვევაში თურქეთში) მცხოვრები მშრომელები იჩაგრებიან, საბჭოებში კი ბედნიერად ცხოვრობდენ:

“აქაური ქართველნი  
სულ ბნელში ვართ დახშულნი,  
გვენატრება შუქი მზის,  
შუქი დიდი სტალინის!”

- ასე ათქმევინებს ხოფელ აშუდს ერთი პოეტი. მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი იდეოლოგიური ნაწარმოებებისათვისაც კი ის არის, რომ სწორედ, “იქაურ ქართველებზეა” საუბარი მათში და არა “მთელი თურქეთის მშრომელ მოსახლეობაზე”. ამ უკანასკნელის ბადალი უკიდურესობანი ხომ ესოდენ

დამახასიათებელი იყო პროლეტარული კულტურისათვის, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპისათვის.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს არსებითი, ოფონდ მაინც სხვა მხარეა პრობლემისა და ამჯერად, მას არ ვეხებით. ჩვენ უფრო ის ტკივილი, დაუძლეველი სევდა გვადელვებს, ასე მკაფიოდ რომ გამოვლინდა მხატვრულ ლიტერატურაში და ამასთან ყურადღებას მივაპყრობთ ჯერაც შერჩენილ იმედსა და ბრძოლის ჟინზე:

“მთებო, ნისლებო, გასწიეთ,

მსურს კლარჯეთს, შავშეთს გავხედო,

ჩვენია, განა გავსწირეთ,

ვინ არის, მანდ რომ თავხედობს?!” (ვარშანიძე 1950:23).

- ჯერ კიდევ 1936 წელს წერდა ამას მამია ვარშანიძე.

უნდა ვადიაროთ, რომ ომამდელ მხატვრულ ლიტერატურაში (შევნიშნავთ იმასაც, რომ მოცემული თემა უფრო ლირიკამ ასახა) სჭარბობს გულისტკივილი, ცრემლი და ვაება არსებული ვითარების გამო. იმედი, ძმათა შეერთებისა, ბეჭტავს მხოლოდ. ამ ტკივილიან განწყობას გამოხატავს სწორედ ლექსი “ვიცი” (1937 წ):

“საიდან მესმის მე ძახილი გულის მომკვლელი,

რას მომძახიან ჩანჩქერები ასე იდუმალს?!

ვინ დაკლა ჩემი მეაკვანე დაუზოქველი

და მოგუგუნე ზარი ჩემი ვინ დამიდუმა?!” (ვარშანიძე 1950:29).

ვითარება რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დადგა. მართალია, ომის მიწურულს თურქეთი ანტიფაშისტურ კოალიციას შეურთდა, საბჭოთა კავშირი მას გერმანიის თანამზრახველად მიიჩნევდა. შესაბამისად, ომის შემდგომ მიზანშეწონილად ჩათვალა ანგარიშის გასწორება და საბაბს ეძებდა ამისათვის. ამიტომ, საქართველოში გაჩნდა იმედი სამშობლოსგან მოგლეჯილი მიწების დაბრუნებისა, ისტორიულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. მითუმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი პირდაპირ მოითხოვდა არტაანის, ართვინისა (საქართველოსთვის) და ყარსის (სომხეთისათვის) ოლქების დათმობას (სამუშა 2003:6).

1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ “კომუნისტი” გამოქვეყნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილი

“თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ”. წერილის ავტორები ასაბუთებდნენ საქართველოს უფლებას თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე და დაასკვნიდნენ, რომ ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალით.

გასაგებია, რომ წერილი ხელისუფლების ნებით და მითითებით მომზადდებოდა და გამოქვეყნდებოდა, მაგრამ არც ისაა საეჭვო, რომ ამ შემთხვევაში მიმთითებელთა ნება და ერის სულისკვეთება ერთმანეთს დაემთხვა. პარადოქსული ტრაგიზმი სიტუაციისა და ეპოქისა კი ის გახლდათ, რომ ეროვნული სატკივარისა და მისწრაფების გულწრფელი გამოხატვის მაინცადამაინც კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დირექტივა გახდა აუცილებელი.

სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილს იმავე ან მომდევნო წლებში მოჰყვა არაერთი ცნობილი მეცნიერის, სასულიერო თუ საზოგადო მოღვაწის წერილები იმავე თემაზე. აშკარა იყო, რომ მზადდებოდა საფუძველი უმნიშვნელოვანები პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. ამ საფუძველს ეყრდნობოდა სწორედ, 1947 წლის ოქტომბერში გაერთიანებული ერების დელეგაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ანდრეი მიშინსკი, რომელიც აცხადებდა: “ეს მკვიდრი ქართული მიწა-წყალი უნდა დაუბრუნდეს საქართველოს რესპუბლიკას, ქართველ ხალხს ისტორიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ყოველგვარ სხვა საფუძველზე. ეს მართებულია იმიტომ, რომ ეს მიწები ქართულია”.

ბუნებრივია, რომ ქვეყნისათვის საჭირობოროტო ამ პროცესში აქტიურად ჩაება ჩვენი მწერლობა. ომისშემდგომი ქართული ლიტერატურის ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ, ამ თემამ შექმნა. ძველი თუ ახალი თაობის, პროლეტარული თუ აკადემიური წარსულის, დედაქალაქელის თუ პროვინციელის, ლამის ყველა მწერლის შემოქმედებაში გაიჟდერა სამხრეთ საქართველოს მოტივმა. ზოგან უფრო მგზნებარედ, ომასიანად, ზოგანაც მოკრძალებით, ფრთხილად, ბოლშევიკური იდეოლოგიის მომეტებული დოზით, მაგრამ მთავარ საკითხში გულწრფელი ერთსულოვნება სუფევდა – ყველა უსამართლობად მიიჩნევდა, რომ ეს მიწები საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. მწერლები თითქოს გააერთიანა საერთო მისწრაფებამ. ამ ნაკადის ნაწილი იყო ბათუმში მოდვაწე მწერლების შემოქმედებაც. მართალია, აჭარის მწერალთა ორგანიზაცია ხანიერი ტრადიციით ვერ დაიკვეხიდა, მაგრამ წარმეული მიწა-მამულის სატკივარი, როგორც

აღვნიშნეთ, აქ უფრო მძაფრად აღიქმებოდა და ნაყოფიერად აისახა კიდეც ეს სატკივარი მამია ვარშანიძის, გიორგი სალუქვაძის, ნესტორ მალაზონიას, პარმენ რურუას, ნანა გვარიშვილის, ფრიდონ ხალვაშის, კაპიტონ რუსიძის და სხვათა შემოქმედებაში.

ყველაზე მეტი ემოცია ამჯერადაც პოეტების წილად მოდიოდა. თაობების ტკივილად იქცა გიორგი ლეონიძის 1946 წელს დაწერილი სტრიქონები:

“ისე დავბერდი,  
კედარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...  
კერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...  
როდის მოუვა მათ გაზაფხული?  
კედარ ვემთხვიე მესხეთის მიწას,  
სადაც გმინავენ ძველი ლოდები,  
სადაც აჩრდილი მამა-პაპათა  
შემოგვძახიან – შენ გელოდებით...”

მეტად შთამბეჭდავია საოცრად სადა, უმარტივესი უბრალოებით გამორჩეული სტრიქონები გრიგოლ აბაშიძისა:

“ტაოში იდგა ერთი ტამარი  
სვეტებმადალი, უზარმაზარი...”

და შემდეგ ისევ ემოცია, ჟამის ავბედობაზე მინიშნებით გამოწვეული:

“ზედ აღებეჭდა ჩუქურთმით ხუროს  
ვაზის მტევნები, გმირთა ზღაპარი,  
თაღებს ეხვია ხავსი და სურო  
ფანჯრებში იდგა შავად შაბნარი.”

მოცემულ ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ბათუმელ მწერალთა შემოქმედებას ვეხებით და ამიტომ ქვემოთ მხოლოდ მათი თხზულებებიდან მოვიყვან ფრაგმენტებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თუ შევეცდებით არსებული ლიტერატურული მასალის ერთგვარ სისტემატიზაციას და განზოგადებას, განსაზღვრას იმისას, თუ რა სულისკვეთებისა იყო ნებადართული პატრიოტიზმის ფარგლებში გამოქვეყნებული მხატვრული ქმნილებები, შესაძლებელია, ეს ნაწარმოებები თემის, ხედვის, კუთხის თუ მიზანდასახულობის შესაბამისად, რამდენიმე ჯგუფად დავყოთ.

უპირველეს და უმთავრეს მახასიათებლად ამ ლიტერატურული ნაკადისა უნდა ჩაითვალოს ქართველი ხალხის გულისტკივილის გამოხატვა – დაკარგულ-გაჩანაგებული ისტორიული ტერიტორიების გამო.

სწორედ, ამ ნიშნით იქცა განზოგადებულ მხატვრულ სახედ ქართულ პოეზიაში ჭოროხი – მდინარე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო უტყვი მოწმე მრავალი თაობის ქართველთა ტრაგედიისა:

“მოდის და ამბობს ჭოროხი

როგორ გაჩნდა და იწვალა,

მოაქვს შლამი და გოროხი

ესეც ხომ ჩვენი მიწაა”.

წერდა 1947 წელს ფრიდონ ხალვაში, იმხნად ჯერაც ახალგაზრდა პოეტი.

სსენებული მოტივის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს წარსულის გააზრება. ტრაგიკული ისტორიული რეალობის ობიექტურად წარმოჩენის მცდელობანი. მებრძოლი ათეიზმის ქვეყანაში დამთრგუნველი ათწლეულების შემდეგ, ქართველ მწერალს შესაძლებლობა მიეცა, ასე თუ ისე მიბრუნებოდა ისტორიის საჭირობო საკითხებს, ეწერა და ესაუბრა ქართული ქრისტიანული კულტურის და ცივილიზაციის აკვანზე, გაბედულად ეხსენებინა მეფეები და ათაბაგები, მტბევრები და ოპიზრები, “ოშკის ზარები” და “მესხეთის მთების დიდ ტაძრები”, “რუსთაველის და მერჩულებს მამული” და “ხატები ფასის უთქმელი”.

რეგიონის გაჩანაგება საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა. განა რომელი დამპყრობელი ყოფილა სიკეთის მომტანი, მაგრამ მწერლების აზრით, ის ცოდვის კალო, რომელიც ოსმალებმა სამხრეთ საქართველოში დაატრიალებ, ენით აუწერელია:

“ჟლეტდნენ ბარელს და მთიელსაც

მხეცთა ველური ურდონი,

ჭოროხს სხვა ფერი მიეცა –

შიგ სისხლი იყო იმდენი” (მალაზონია 1947:54).

გარდა იმისა, რომ მოსახლეობა გაიქლიტა, მტერმა დაანგრია სავანეები, მატერიალური კულტურის ძეგლები, საქართველოს წარსული სიდიადის და ერის ღირსების თვალსაჩინო მოწმეები და რა გასაკვირია, რომ ნანგრევები ტკივილს და ნაღველს აღძრავს პოეტის სულში:

“ნანგრევად გადაგვიქციეს

ყველა ციხე და ტაძარი,

მამებს თავს სჭრიდნენ, მით შვილებს  
რომ დასცემოდათ თავზარი...” (რურუა 1954:26).

ქართველი მწერლების მიერ დახატული სურათის მიხედვით, იქაურ ქართველთა თანადროული თაობაც დიდ გასაჭირშია. აქ, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სოციალიზმ-კაპიტალიზმის დაპირისპირება როდია არსებითი. ქართველი უბედურია უპირველესად იმიტომ, რომ მშობლის უბესაა მოწყვეტილი. შესაბამისად, გასაკვირი ადარაა, რომ პოეტების რწმენით, თურქეთელი ქართველიც მზადაა, დაუყოვნებლივ შეუერთდეს ბრძოლას ერთიანობისთვის:

“მმა ძმისთვინ, შავი დღისთვინა,  
აბა ეს ხმალი რისთვინა,  
ლაზური ხმალი კაშკაშა  
ხელში აიღო ვაჟკაცმა” (ვარშანიძე, 1950:27).

ცხადია, მთელი მასალის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სურვილი თურქეთის ქართველობის სამშობლოსაკენ მისწრაფების დახატვისა – აშკარაა. შესაძლოა, ამ მისწრაფების მხატვრული ასახვის ზოგიერთი დეტალი გადაჭარბებულად, კონკრეტული რეალობიდან ან ისტორიული განვითარების ლოგიკიდან დაშორებულად მოგვეჩენოს. მაგალითად, ის, რომ გურჯები, უმეტესწილად მზად არიან, სამშობლოს ერთიანობისთვის იბრძოლონ, ან ის, რომ ისინი იოლად კითხულობენ უძველეს წარწერებს ნანგრევების ქვებზე, ან ის, რომ გურჯმა გლეხმა შესაძლოა ოჯალეშის ღვინო დაახვედროს სტუმარს და ა. შ. მაგრამ ამგვარი “გადაცდომები”, როგორც ჩანს, საჭირო იყო პრობლემაზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობისათვის, კომუნისტური იდეოლოგიით დათრგუნული საზოგადოების პატრიოტული (ცხადია, აქ საბჭოთა პატრიოტიზმს არ ვგულისხმობო) და პერიოკული აღმაფრენისათვის. გარდა ამისა, ეს “გადაცდომები” არც მხატვრული ლიტერატურისათვის დასაშვებ შემოქმედებითი ფანტაზიის დიაპაზონს არღვევდა მაინცადამაინც.

ამდენად, რაც არანაკლებ არსებითია, ომისშემდგომი პერიოდის ლიტერატურულ პროდუქციაში თვალსაჩინოა ოცნება ისტორიულ საზღვრებში აღდგენილ-გაერთიანებულ საქართველოზე. ხალხის მისწრაფება, მწერალთა აზრით, შეუცვლელია: რუსთაველი და საქართველო, რუსთაველი და მესხეთი განუყოფელია და ამ მიწაზე “რუსთაველის სანთლის დანთების” სურვილიც ბუნებრივია:

“იქ მტერს ვებრძოდით, მახსოვს, ხმალდახმალ,

იქ დუშმანს ვჩეხდით გულდაგულ ერთ დროს,

ო, როგორ მინდა –

ამ მთის გადაღმაც

კვლავ რუსთაველის სახელი ენთოს!" (მალაზონია 1947:55).

განსახილველ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის ეროვნული საკითხი ძირითადია. ბუნებრივია ისიც, რომ ამ ნაწარმოებების ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა სისტემის აპოლოგია და სსრკ-თი სიამაყის გრძნობის გაღვივება იყო. ამიტომ გასაკვირი არაა, ერთი მხრივ, საბჭოთა სისტემის უპირატესობაზე ხაზგასმით მითითება და ბელადომანია. თანამედროვე მკითხველისათვის ზოგჯერ შესაძლოა, უწვეულო იყოს შიშველი კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური რეალიზმის ის თვალსაჩინო ძარღვები, რომელიც თანმდევია ამ თუ სხვა ანალოგიური სულისკვეთების ნაწარმოებებისა. მაგრამ ვინც, ასე თუ ისე იცნობს საბჭოთა ეპოქის ხასიათსა და მხატვრული ლიტერატურის იმუამინდელ თავისებურებებს, ადვილად შეამჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც და საზოგადოდაც, მწერლობამ მოხერხებულად ისარგებლა ნებადართული პატრიოტიზმით, სადინარი მისცა წლობით თუ საუკუნეობით სულში ნაგროვებ ტკივილს და ერთბაშად გაამჟღავნა გულისნადები. არაერთგზის მივუთითეთ, რომ უამთა ვითარების გამო მწერალთა შესაძლებლობები და თავისუფლების დიაპაზონი მეტად შეზღუდული იყო. ვერც იმას ვიტყვით, რომ თითქოს მხატვრულმა ლიტერატურამ რამდენადმე მაინც ამოწურა ეს თემა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოცემულ საკითხებს ამ მასშტაბით ქართული მწერლობა მანამდე არასდროს შეხებია.

გასაგებია, რომ საბჭოთა მთავრობა ამ უკიდეგანო ქვეყნის ინტერესებიდან ამოდიოდა მხოლოდ და სამხრეთ საქართველოს საკითხები იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც სასარგებლო იქნებოდა სსრკ-სთვის. შესაბამისად, საბჭოთა პოლიტიკა არ ყოფილა თანმიმდევრული სამხრეთ საქართველოს მიმართ. კომუნისტურ პარტიას ქართველი ხალხის პატრიოტული მგზებარება ჩირადაც არ უღირდა.

1953 წლის მაისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სომხეთის და საქართველოს მთავრობებმა უარი განაცხადეს თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ (საქართველოს ისტორია 2012:435).

## თავი VI სატრუქიალო ლირიკა

მიჯნურობა ადამიანის და მეტადრე შემოქმედის თანმდევი გრძნობაა ნებისმიერი ეპოქაში და, ბუნებრივია, ამ მოტივის გარეშე არც საბჭოთა მწერლობა დარჩენილა. იდეოლოგიამ ამ ერთი შეხედვით, ყველაზე არაპოლიტიკურ თემასაც დააჩნია კვალი. კლასობრივი ანტაგონიზმისა თუ სოლიდარობის პრინციპები აქაც შეიჭრა და შეიქმნა არაერთი თხზულება სიყვარულზე, რომელსაც კომუნიზმის მზე ათბობდა. ვფიქრობ, ნიმუშად იკმარებს ერთი მაგალითიც, რომელიც მეჩაიე გოგონას და მეთამბაქოე ვაჟის სიყვარულზე მოგვითხრობს:

“გმირ ქალ-ვაჟის ქორწილია,  
ისმის მაყრის გუგუნი,  
ნაზ პატარძალს შეეგებნენ  
ჩონგურების ღუდუნით.

მეჩაიე გმირი გოგო  
მოჰყავს მეთამბაქოეს.  
თითქოს ზეცა გაქურდეს და  
უვარსკვლავოდ დატოვეს.

მკერდზე ოქროს ვარსკვლავებმა  
ლამე ააბრიალა,  
სიყვარულის ზარები რეკს  
გულში წკრიალ-წკრიალა.  
მერცხალივით ასაფრენად  
უძგერთ ქალებს გულები,  
აბრეშუმში, კრეპდეშინში  
სხედან მოკაზმულები.

სუფრამ გმირი ბრიგადირი  
აირჩია თამადად,  
მერგოლური მერიქიფედ  
გახდა თავისთავადა”.

მიუხედავად ამგვარი “მარგალიტებისა”, უნდა ითქვას, რომ მიჯნურობის საბჭოურ-ბოლშევიკური ხაზი ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მკრთალად არის წარმოდგენილი. რაკიდა ამ საბჭოურ-ბოლშევიკურ ხაზს აღარ შევეხებით, შევეცდებით, მოკლედ წარმოვადგინოთ, თუ როგორ აისახა სიყვარულის თემა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში.

პარმენ რურუას სატრფიალო ლირიკა ძირითადად XX საუკუნის 10-იანი წლებით თარიღდება. ეს თემა რევოლუციის შემდგომ პერიოდში აქტუალობას კარგავს და პრაქტიკულად ქრება. თვით ეს ფაქტი უკვე საინტერესოა – რევოლუციის მომდერალი მუშა პოეტის შემოქმედებაში პირადი გრძნობების და ინტიმის ადგილი აღარ რჩება. არადა მანამდე სხვაგვარად იყო საქმე:

XX საუკუნის 10-იან წლებში იწერება: “სატრფოს”, “მომდერალ ქალს”, “ის”, “შედეა”, “გაგიპო ბაგე ლიმილმა და თეთრ კბილებიდან”, “შენი მშვენება და სილამაზე”, “მშვენიერის ტყვე ბულბული ვარ”, “მინდა ფიქრებით რომ შენთან ვიყო”, “სერენადა”, “მინიატურები”, “მე შენი ცქერა წარსულიდან მეალერსება”, “ორი ასული”, “ნუ დამივიწყებ”, “იას მაგონებს შენი თვალები”, “მეტისმეტად გულცივი ხარ”, “პაემანზე”, “სარკის წინ”.

ამ ლექსებში ნათლად იგრძნობა პოეტის ლირიკული სამყარო. სატრფოსთან განშორების ტკივილი არ ანებებს თავს, დღენიადაგ ოცნების სამყაროში იძირება და ამ გზით ცდილობს უპასუხოდ დარჩენილი გრძნობით გამოწვეული სევდის მოგერიებას. მისი რჩეული – “ის”, გაზაფხულივით ხაზი ფერიაა და სიტურფით ნიმფას ჰგავს, რომელსაც “მზის სიციით შემოსირმული” სილამაზე ამშვენებს. მისმა სილამაზემ პირველი ხილვისთანავე მოხიბლა და დატანჯული, მშვენიერების ტყვე საკუთარ თავს პეტრარკას ადარებს, მიჯნურს კი – ლაურას. უიმედო მდგომარეობაში მყოფს კოლხი მედეაც აგონდება და ასე უმდერის:

“შენი სიცილი ჩანჩქერისა გავს მთით ჩამორხეულს,

სიმდერა რაღაც შეუცნობელ დამესა გრძნეულს.

ბაგე – კოკობ ვარდს, ტანი – ნამდვილს ალვის ხეს-საროს,

მაგრამ არ ვიცი, სისასტიკით ეგ შენი სული

და თვის სიცივით გაყინული ეგ შენი გული,

ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, რას შეედაროს?!” (რურუა 1954:26).

პარმენ რურუას რევოლუციამდელ პოეზიაში სიყვარული სევდასთან და უიმედობასთან ასოცირდება. ეს გრძნობა ლაიტმოტივად გასდევს

მიჯნურობისადმი მიძღვნილ ლექსებს, პოეტი ეველი სატრფოს, უპასუხოდ არ დატოვოს გულწრფელი გრძნობა:

“შენა ხარ ჩემი სულის კერპი და გულის ვარდი  
და შენ შთამბერე ძლევის სული ცხოველმყოფელი.

ჰაეროვანო, კოლხიდისა ტურფა ასულო!

თვალს ნუ მარიდებ გევედრები და გამიგონე...” (რურუა 1954:27).

“მეტისმეტად გულცივი ხარ  
როგორც გატყობ, როგორც ხედავ” (რურუა 1954:62).

საინტერესო მხატვრული სახეებია წარმოდგენილი ვიქტორ გაბესკირიას ლექსში “მზითევი”. უსიყვარულოდ დარჩენილი ციალა “ბედის მოსვლას” მაშინდა გაიგებს, როცა დედა სამზითვო სკივრის მომზადებას იწყებს. ქალი შენატრის “ვეფხისტყაოსნის” გმირებს და მწარედ განიცდის, რომ ამ დიდი გრძნობის განცდის გარეშე რჩება:

”რად არ დასცალდა, რომ ეტრფოდეს ის მიჯნურს შორით,  
რომ მასთან ერთად ჩუმად ნახოს ვარსკვლავთ კრებული,  
ფიქრობს და ხედავს – დარჩენილან ოთახში ორნი,  
ის და ის ლანდი, ლანდიც მისებრ ჩაფიქრებული” (გაბესკირია 1955:143).

ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებაში სიყვარულის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პოეტს მუდამ ენატრება ”შხეფიდან მოსული ქალი”, ქალი - წყალთან და ზღვასთან გაიგივებული. მისთვის ხშირად მიუწვდომელია საოცნებო არსება და შესაბამისად, პოეტურ ემოციებსაც მონატრება და გარდასულ დღეთა მოგონება ასაზრდოებს. პოეტს სულს ულადებს ქარი და გრიგალი, რადგან ტალღა და ცივი სივრცე მიაჩნია მესაიდუმლედ. ასე ქმნიდა წლების განმავლობაში ლექსებს: ”იალქანს”, ”ჩონგური”, ”ამ დღეთაგან”, ”დია ბარათი”, ”მძინარე ქალიშვილი”, ”როცა აქეთ ვარ, მოვდივარ მუდამ”, ”მაგნოლიის ხე”, ”ზღვასთან”, ”ზღვასთან ვიჯექი”.

”ზღვის პირას იჯექ, როცა შეწყდა მზის სხივთ ლივლივი.

ზღვაზე მთლად შუქი და მძვინვარე ზვირთები რბოდნენ,

მაგრამ ნაპირზე იშლებოდნენ თეთრ ქსოვილებით, -

შენს ლამაზ ფეხთან ეტანებოდნენ” (გაბესკირია 1955:132).

იმედიანი განწყობით უმდერის სიყვარულს მამია ვარშანიძე. იგი ღრმადად დარწმუნებული ამ გრძნობის სიდიადეში. გულწრფელი და ახალგაზრდული შემართებით გაცისკროვნებული ქედს იხრის ხალასი, წმინდა, მარადიული

გრძნობის წინაშე. ეთაყვანება ქართველი ქალის სილამაზეს, სიმამაცეს, ვაჟკაცობას. პოეტი ლექსებად ქცეულ გულს უანგაროდ სთავაზობს მიჯნურს. ჩადრს მიღმა დამალულ სილამაზესაც ისე აღიქვამს, რომ ჩრდილს არ აყენებს ქალის უიმედო მდგომარეობას (“ჩადრი არ ჩრდილაგს შენს სახეს, არ ემუხლები მინარეთს” – (ვარშანიძე 1994:13). ვერ ივიწყებს პირველი კოცნით განცდილ ნეტარებას და გულზე ფიცად იწერს სატრფოს სახელს. არ უშინდება სიყვარულის თანმდევ ტანჯვას, სევდას და მზადაა, ვაჟკაცურად დაუხვდეს ყოველგვარ განსაცდელს.

“ნეტარების ცეცხლი გულში მიღვივის,  
მიჯნური ვარ დაფერფლილი მიჯნური,  
ათრთოლებით გული ასე მიყივის:  
არ ვიქნები, არა მე გამიჯნული.  
გული ნაზი სატრფომ უცებ წამართვა,  
წამართვა და დამიბრუნა ლექსებად,  
ბილიკები ისე გამიწარაფა,  
გული ნაზი მწარე სევდით მევსება...  
... მინდა ამ მთებს დავუტოვო გალობა,  
არა ჩუმი, არამედ სულ მქუხარე” (ვარშანიძე 1994:60).

მამია ვარშანიძის სატრფიალო ლირიკაში საინტერესო ხაზი იკვეთება სამამულო ომის თემაზე შექმნილ ლექსებშიც. ამჯერად, პოეტი მკითხველს თანამოზიარეს ხდის ტრაგიზმითა და უდიდესი ტკივილით აღსავს ესიყვარულისა. ღრმა ემოციით მოგვითხოვბს ჯარისკაცთა ერთგული მიჯნურებისა თუ მეუღლეების მდგომარეობის შესახებ. არანაკლებ ამაღლევებელია მეომართა სულისკვეთება, რომელთაც თავდადებულ ბრძოლაში წინ მიუძღვით სატრფოთა სახეები. ბრძოლის ველზე დაცემულთ ჭრილობაზე სალბუნად ედებათ მათი სიყვარული, ძვირფას ადამიანთან ერთად გატარებული თითოეული წამი. სწორედ, ამ გრძნობით იწერებოდა ლექსები: “შენ დამიკოცნე”, “ოქროს სათო”, “საწყალი გოგო”, “პატარძალი”...

“მე შენზე ვფიქრობ მძიმედ დაჭრილი,  
და კვლავ გიმდერი ტკბილი ლექსებით,  
თავს დამტრიალებს შენი აჩრდილი,  
თითქოს აქ ხარ და მეალერსები.

ნუთუ მაკლდება სიცოცხლის ძალა,  
განში სიცივე დამისადგურდა,  
ისევ ლიმილის ცეცხლი დამრკალავს,  
შენი ხელი რომ შემეხოს გულთან” (ვარშანიძე 1981:25).

სიყვარულის თემაზეა შექმნილი ლექსები: “გოდერძიდან ბეშუმამდე”, “ჩემო გულნარა”, “მთაში გაზრდილო ასულო”, “ეს ჩიტიც ვეღარ მოვკალი”, “განა, ოდეს დავივიწყებ წუთებს”, “სადღაც მღერიან ჭიბონზე”, “ჩემი თოფი, ჩემი ხმალი”, “პატარძალი”, “ბუხართან”. “პირველი თოვლი”. ნიშანდობლივია, რომ სატრუფიალო მოტივის გამო საბჭოთა კრიტიკა ზოგჯერ პოეტს ბრალს სდებდა სოციალისტური ლირებულებებისაგან დაცლილი ნაწარმოებების შექმნაში. საიდუსტრიაციოდ მოვიხმობთ ი. კოლხის სიტყვებს: “მამია ვარშანიძის ლექსთა კრებულში შეტანილია ზოგიერთი სრულიად უიდეო, ინტიმური ლექსი. მაგალითად, ლექსს “პირველი თოვლი” საზოგადოებრივად არავითარი ლირებულება არა აქვს” (ქურიძე 1970:157).

სინამდვილეში ხსენებული მოტივი მამია ვარშანიძის პოეზიის მნიშვნელოვან ლირებულებას წარმოადგენდა, ამიტომ სრულიად გულწრფელად ჰდერს შ. ქურიძის სიტყვები: “დასანანია, ოდონდ რომ პოეტის სატრუფიალო ლირიკა სულ რამდენიმე ლექსით ამოიწურება. შეიძლება აქ ერთგვარი უარყოფითი როლი შეასრულა ლიტერატურულმა კრიტიკამ, რომელიც ზოგჯერ უმართებულოდ უსაყვედურებდა მამია ვარშანიძეს სწორედ ინტიმური ლექსებისათვის” (ქურიძე 1970:156).

ლაშა ტბაური სრულიად ახალგაზრდა გამოეთხოვა სიცოცხლეს, მკითხველს ლირიკული პოემა „ცეზარი“ და არაერთი კარგი ლექსი დაუტოვა. ასე შექმნა „ლექსებით გალადებულმა“ საოცრად ნაზი და შთამბეჭდავი ლირიკული სამყარო შექმნა. ცდილობდა, სხვებს არ დამსგავსებოდა, უჩვეულო ფორმებში მოექცია გრძნობებს მოყოლილი სათქმელი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სიყვარულს.

ახალგაზრდა, მაგრამ საოცრად სევდიანი პოეტი ძალუმად გრძნობს ხანმოკლე სიცოცხლის ტკიფილს და ცდილობს, მესაიდუმლე მთვარეს გაანდოს განცდები. მისი სულის სიღრმიდან წამოსულ ფიქრებს ხან მთვარისეული სითეთრე გადაეფარება, ხან „დაზაფრული სევდა“, ხან კიდევ „ქალწულ ქალის კდემა სინაზე“. მთების ღმერთობა იმიტომ ეწადა, რომ იქ მხოლოდ მიჯნურთან ერთად უნდოდა ცხოვრება.

თუკი მთვარისათვის ცა არის შექმნილი, მისთვის ფერადი, მუსიკით სავსე სივრცა სიყვარულია. აქევე იმასაც დავძენო, რომ ხშირ შემთხვევაში მთვარეული სისპეტაპე, უმანქოება, მისტიკურობა და ხელთუქმნელობა ასაზრდოებს ლაშა ტბაურის ტრფობის განცდას. უპასუხოდ დარჩენილი საიდუმლოს ლექსებს ანდობს, ასევე უპასუხოდ დარჩენილ, დაწყვეტილ სიმებს ესაუბრება და სიკვდილისგან თავის დაღწევის შემთხვევაში ნამდვილი სიყვარულის ზეიმის მოლოდინშია:

„რა იქნებოდა გადაუწიმა  
შენს მივიწყებულ სულის სამრეკლოს...

რა იქნებოდა, ჩემს სიყვარულში  
რომ ყოფილიყავი მტკიცე და გამძლე...

და თუ დასცალდა ჩემს სიჭაბუკეს,

ნამდვილ სიყვარულს კვლავ ვიზეიმებ“ (ტბაური 1970:41).

ერთგულად დარაჯობს კოლხი გოგოს დაქალებას, რომელსაც ძღვნად ქვეყნიერებას კი არა, გულს ჰპირდება, მზადაა, მოზომილი ვეფხვის კამარით გაფრინდეს და ნატყვიარი ჯიხვივით კლდეებზე გადმოეკიდოს. გულწრფელად აღმერთებს აჭარელ გოგონას, მის დიდებულ მზეს უგალობს და შეუმჩნეველი არც ურალელი ქალიშვილის სილამაზე რჩება. ხანდახან წუთისოფლისგან დაურვებული იმედად სიკვდილს იტოვებს, ხან კიდევ სიყვარულის ტაძარში ერთგულების დასამტკიცებლად:

„ხელში გიყვან და გაგიტაცებ  
მეათე ცაზე.  
თვით ღმერთზე მაღლა.

მოვავდებით, მაგრამ სულ სხვანაირად,  
დაგვფარავს ნისლი ოქროსთვალება...

ჩვენსას ერქმევა გარდაცვალება

თოთო კვირტებად, ფოთლად, ფესვებად,

ტქბილ სიყვარულის უკვდავ ზმანებად,

ტქბილ სიყვარულის უკვდავ ლექსებად“ (ტბაური 1970:36).

„მე სიყვარულის ვდგავარ ტაძარში

შენი ხატების დასაფიცავად“ (ტბაური 1970:82).

მოჭარბებულად გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს, არ ძალუძდა „დარდით დაზაფრულს“ სევდაზე ზურგის შექცევა. გრძნობდა, რომ მისი სიკვდილად ქცეული ნორჩი ფესვებიდან სიცოცხლე იად აღსგებოდა და ბოროტებაზე გაიმარჯვებდა.

„ვარ დაფერფლილი, როგორც აბედი,

მიკანკალებენ ნორჩი ფესვები,

ლექსებს, რომლებიც შენთვის გავბედე,

ლექსებს, რომელთა გამო დავბერდი,

გულდაწყვეტილი ვეალერსები...

ვერა, ვერ დამძლევს სიმღერის მწყურვალს

სიკვდილის სუსხი... არ არის გვიან...

ვინ სთქვა სიცოცხლე ამოიწურა,

ვინ თქვა, მაღალი დღე მიიღია...

მე განა სიტყვა გამითავდება

და ჩამიქრება განა ლამპარი...

ჩემს ნორჩ ფესვებთან ია აღსდგება

და სიჭაბუკის ოქროს ზდაპარი“ (ტბაური 1970:23).

შეუძლებელია, უემოციოდ წაიკითხო ლექსი „სულში ჩავიდგი წმიდა ტაძარი“.

მნელია გრძნობის მიყვე სიყვარულს გამღმერთებელი ჭაბუკის განცდებს, თუ როგორ ცდილობს სიყვარულის ცეცხლით ანთებული მიჯნურის სადარი ლოცვის შექმნას, თუ როგორ იბრძვის იმისათვის, რომ დაამარცხოს სიკვდილი და კარი გაუდოს ოქროს გაზაფხულს:

„ავდიდებულვარ შენს სიყვარულში,

სევდაც, ტკივილის სულს ემატება.

წმიდა ტაძარი ჩავიდგი სულში,

რომ იქ ვადმერთო შენი ხატება“ (ტბაური 1970:42).

ლაშა ტბაურის შემოქმედებაში ძალუმად იგრძნობა ფოლკლორის ზეგავლენა. ხალხის წიაღიძან გამოსული თავს ლადად გრძნობს ხალხურ სიტყვიერებაში და შთამბეჭდავად ახერხებს ამ გზით სათქმელის გადმოცემას. თავის დროზე პოეტი მამია ვარშანიძე ლაშა ტბაურის, იგივე ლავრენტი ძიმისტარიშვილის ლექსების კრებულის „სიმები ქარში“ შესავალში წერდა: „ჭაბუკმა პოეტმა სიყვარულს არაერთი კარგი ლექსი უძლვნა, რომლებიც ძალიან ახლოსაა ხალხურ ფოკლორთან“ (ტბაური 1970:8).

ასე შექმნა ახალგაზრდა ლირიკოსმა ლექსები: „ქალაო!“, „გნახე, დავითვერ, დავითვერ, მსურხარ“, „თაფლისფერი ნაწიავები“, „ქალს“, „კოლხეთის ცის დიმილო“, „შენი როკვანი ბალს ახარებდა“...

„ქალაო მკერდი გადიხსენ,

თვალი მესროლე ლალისა,

გულისა გამხარებელო,

გამთენებელო დამისა“ (ტბაური 1970:48).

„შენი დიმილი, ქალაო,

ბარაქაა და მადლია.

ირემი მთასა მყვირალი

დაბურულ მთების დარდია...

ქალაო, ერთხელ გნახე და

მიყვარხარ, ასე მგონია“ (ტბაური 1970:56).

ჟურნალ „ისპირში“ დაბეჭდილ მდიდარ და მრავალფეროვან მხატვრულ ლიტერატურაში მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი სატრიალო თემაზე შექმნილი ლექსები. იმ დროისათვის არსებული მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუნებრივი და შესატყვისია ავტორთა პესიმისტური განწყობა. ძირითადად ამ ხასიათისაა სიყვარულის თემაზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებები. კერძოდ, მიშელ გალორეს „ლოცვა სონეტში“, იოსებ გრიშაშვილის „პაუზა“, კოტე მაყაშვილის „ახალგაზრდა ქალს!“

ამ გამოცემას ზემოთ შედარებით ფართოდ შევეხეთ, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ ნათქვამს.

მწუხარებასაა ნაზიარები ჟურნალ „პონტოსში“ დაბეჭდილი ვანიონ დარასელის „დამე“. ავტორი მძიმედ გვიყვება ქალაქში გაბატონებული ბოროტებისა და ამქვეყნიური ამაოების ამბავს. სიყვარულს სინაზე და სიცოცხლის დვრიტა ისე დაუკარგავს, რომ მის გვერდით შურისძიებასა და სიძულვილს გეღარავინ უწევს წინააღმდეგობას. ცოცხალი სიკვდილეთის დამისეულ მისტერიებს კიდევ უფრო ამძაფრებს აკივლებული მთვარის უვერტიურა და შიში, მექავი ქალების სიხარული და „დამურა ჭოტი“. სულისშემძვრელ სტრიქონებს ლაიტმოტივად გასდევს სიტყვები: „ყველგან გამეფებულა სიყვარული... სიძულვილი... შურისძიება. ლამეა...“ სიყვარული მარცხდება...

„შურის ძიება... სიყვარული, სიძულვილი, გაქვავდა ჟანგიან თვალებით...

...სიყვარული როგორც ღუზა იძირება დღის სიმაღლეში.

სასახლეებს გადაიარს პოეტის სული“ (დარასელი 1928:18).

და შედეგიც სახეზეა: დღემ ფარდა ახადა ყოველგვარ უბედურებას: მკვლელობას, თვითმკვლელობას, უბედურ შემთხვევებს, ხანძარს, ყაჩაღობას, მატარებლის გაძარცვას, ქალის გატაცებას, წყალდიდობას, ხოლერას, ჭირსა და კიდევ ვინ მოსთვლის რას...

შოთა დუდუჩავა ნაწარმოებში „როდის გიხილავ?!“ აღწერს, თუ როგორც ცხოვრობს მისი ლირიკული მე სატრფოსთან დამაკავშირებელი უეცარი და ხანმოკლე შეხვედრის მოგონებებით. ნეტარებით იხსენებს „სიყვარულის აუზიდან ამოწურულ შხეფებს“, რომლის სითბო მის სხეულსაც შეუგრძნია და ვეღარ ახერხებს დავიწყებას. ამიტომაც ეძებს და ეძებს, რაც დროთა განმავლობაში, მარტოობად იქცევა და სულის სიღრმეში ჯავრად იფერფლება.

„მეც მომხვდა შხეფები. შხეფები, რომელსაც ვეძებ მას შემდეგ. ვეძებ და ვერ მიპოვნია. ჩვენი შეხვედრა იყო უეცარი და ხანმოკლე, შენ დაქანდი, როგორც მეტეორი ჩემს წინ და მერე დაგფარა სივრცის დაუსრულებლობაში“ (პონტოსი 1928:19).

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მოდერნისტული ხაზი, ცნობილ გარემოებათა გამო, ვერ განვითარდა. ბუნებრივია, მოდერნიზმა ფეხი ვერ მოიკიდა სატრფიალო თემაშიც. ისიც უნდა ითქვას, რომ განსახილველი მოტივი რაიმე განსაკუთრებული სიახლით თუ მოულოდნელი მხატვრული სახეებით არ

გამოირჩევა. თუმცა, როგორც ვნახეთ, ამავე პერიოდში სიყვარულის თემაზე არაერთი საინტერესო და ლამაზი ნაწარმოები შეიქმნა.

## დასკვნები

აჭარაში ქართული მხატვრული ლიტერატურის აღორძინება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მიუხედავად პარტიულ-იდეოლოგიური დიქტატისა, რეგიონის მწერლობა თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც ჩვენი ლიტერატურის ისტორიის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეპოქის ძირითადი ნიშანი სოციალისტური რეალიზმის და პროლეტარული კულტურის ძალადობრივი დამკვიდრების პროცესი იყო, რომელიც წინააღმდეგობათა მძიმე, ხშირად მეტისმეტად ტრაგიკულ ჯაჭვს ქმნიდა და ძირითადად, სწორედ ეს პროცესი განსაზღვრავდა რეგიონის ლიტერატურის სახეს.

მოცემულ თემაზე შეხებისას უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულმა თაობამ, მიუხედავად კომპრომისებისა, იდეოლოგიური წნევისა და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრობლემისა, მნიშვნელოვანი ამაგი დასდო აჭარაში ქართული მხატვრული აზროვნების ჯერ აღორძინებას, შემდეგ განვითარებას. ბედის ირონიით, ჯერ ოსმალობაგამოვლილ და მერე რუსეთის იმპერიის კლანქებში მოქცეულ ამ უმველეს ქართულ მხარეში ქართული მწერლობისკენ მობრუნება სწორედ საბჭოთა ეპოქაში, კომუნისტური იდეოლოგიით, ყალბი დირებულებებით გაჯერებულ, თავისუფლებაშეზღუდულ ეპოქაში მოხდა. შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თავისუფალი შემოქმედებითი ატმოსფეროს პირობებში, მაგრამ ეს უნაყოფო მსჯელობა იქნება. XX საუკუნის I ნახევრის აჭარაში სალიტერატურო ცხოვრება წარსულის ფაქტია და იგი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც იყო – თავისი ნაკლითა თუ დირსებით.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, მე-19 საუკუნის მიწურულიდან ნელა, ძნელად, მაგრამ მაინც მომზადდა საფუძველი ლიტერატურული საქმიანობისათვის. რეგიონის მთავარი ქალაქი ბათუმი თანდათან ჩამოყალიბდა სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. ნიშანდობლივია, რომ აქ წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოდვაწეობდა არაერთი ქართველი მამულიშვილი – ქართული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი დავით კლდიაშვილი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი და სხვანი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მემედ აბაშიძე. იგი უფრო პოლიტიკური მოღვაწე იყო – აჭარაში ეროვნული მოძრაობის მოთავე. შესაბამისად, მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი და მრავალფეროვანია, თუმცა, მან კაზმულსიტყვაობაშიც დატოვა კვალი. ნიშანდობლივია, რომ 1917 წელს გამართულ ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე სამუსლიმანო საქართველოდან მიწვეული იყვნენ მემედ აბაშიძე და ჰაიდარ აბაშიძე. საინტერესოა აგრეთვე ხასან თხილაიშვილის, მემედ ალა ჭყონიას ლექსები, რომლებიც მართალია, მაღალი მხატვრული დირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ ლრმა პატრიოტიზმითა და გულწრფელობით ნამდვილად იქცევს ყურადღებას.

დღემდე მიღებული თვალსაზრისით მწერალთა პირველი გაერთიანება აჭარაში 1927 წლის 7 აგვისტოს შეიქმნა და ეს იყო აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც იმავე წლის 20 სექტემბრიდან სახელდებულ იქნა, როგორც საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება.

სინამდვილეში, მწერალთა პროფესიული გაერთიანების ისტორია აჭარაში უფრო ადრე დაიწყო. კერძოდ, 1921 წლის 29 აპრილში მემედ აბაშიძის თავკაცობით ჩამოყალიბდა მწერალთა გაერთიანება. იგი ჩაფიქრებული 1917 წელს შექმნილი „ქართველ მწერალთა კავშირის“ ბათუმის ორგანიზაციად. თუმცა ამ გაერთიანებამ ვერ შეძლო სრულფასოვანი მუშაობა.

1927 წლიდან აჭარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ისტორია იწყება. ასოციაციის ძირითადი მიზანი, ცხადია, იყო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური ხაზის გატარება მწერლობაში. შემოქმედის ფუნქცია პროპაგანდისტის ფარგლებში თავსდებოდა და ეს პროპაგანდაც ნიჭიერად როდი გამოსდიოდათ. მიუხედავად ამისა, ასოციაცია ცდილობდა, აქტიურად ეცხოვოს: მართავდა მეცადინეობებს – განათლების დონის ამაღლებისათვის, ლიტერატურულ სადამოებსა და გასამართლებებს – „პროლეტარული გემოვნების“ ჩამოყალიბებისათვის, აღმზრდელობით შეკრებებს და გამოსვლებს ფაბრიკა-ქარხნებში მწერლებისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ბოლშევიკური სულისკვეთების გაღვივებისათვის და ა. შ.

რეალურად პროლეტმწერლობის აჭარის ორგანიზაცია ცდილობდა, თბილისის „დედაორგანიზაციას“ მიჰყოლოდა კვალში და მისი მოქმედების კალკირებას ახდენდა საქმიანობაშიც და დასჯა-წმენდის ორგანიზებაშიც. მართალია, თბილისელ პროლეტმწერალთა არც გაქანება პქონდათ ბათუმში, არც ენერგია და არც თავხედობა, მაგრამ მასებთან მუშაობის აწ უკვე დახვეწილ-დამუშავებულ მეთოდებს და წმენდა-ფილტრაციის ხერხებს აქაც აქტიურად იყენებდნენ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების აჭარის განყოფილება, შეიქმნა 1932 წლის 23 აპრილის საკავშირო დადგენილების საფუძველზე, აჭარის მწერალთა საგანგებო ყრილობის (1932 წ. 6 ოქტომბერი) გადაწყვეტილებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა კვლავაც პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ყოფილი წევრებით იყო წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციულ ცვლილებას ლიტერატურის განვითარებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდებია. „არაპროლეტარი“ მწერალი მაშინდელ აჭარაში თითებზე ჩამოითვლებოდა. ამიტომ, ახალი ორგანიზაცია ძირითადად ისევ ძველი შემადგენლობით შეივსო. ძველებური იყო ესთეტიკური თუ იდეოლოგიური პრინციპებიც.

მწერლობა ერთიანად გადაერთო რა საპროპაგანდო საქმიანობაზე, თავისუფალი შემოქმედების ადგილი ნაკლებად დარჩა. სოციალისტური საზოგადოების ურთიერთობის წესი და რიგი, კომუნიზმის მშენებლობის გზები და მეთოდები, შესაბამის ტერმინოლოგიასთან ერთად, მწერლობაშიც დამკვიდრდა. ამიერიდან მწერლები იდებდნენ ვალდებულებებს, ასრულებდნენ გეგმებს, ან მისი შეუსრულებლობისათვის კრიტიკის ქარცეცხლში ეხვეოდნენ, იწვევდნენ ერთმანეთს სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოძღვრავდნენ ჩამორჩენილებს და ა. შ.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბათუმს განსაკუთრებით რთულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. გასაკვირი არაა, რომ არსებული რეჟიმის პირობებში მხატვრული ლიტერატურა ბუნებრივი გზით ვედარ ვითარდებოდა და საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავისუფალ ლიტერატურულ ურნალ-გაზეთებს არსებობა გაუჭირდებოდა.

20-იანი წლების ბათუმი სალიტერატურო გამოცემებით დარიბია. სახელისუფლო პრესაში უპირატესად იძებელი იდეოლოგიური, საპროპაგანდო ხასიათის მხატვრული პროდუქცია. სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რიცხვი კი მცირეა, ტირაჟი შეზღუდული, ზოგიერთი მათგანის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა და დროთა განმავლობაში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ბათუმში გამოიცემოდა: „პოეზიის დღე”, „კანდელი”, „ასპიროზი”, „ისპირი”, „პონტოსი”, „აჭარისტანი”, „სიტყვა ტრიბუნიდან”, „სტალინური თაობა”.

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, ადგილობრივი ძალები ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში, მაგრამ მიზანი ამისა იყო არა მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ზრუნვა, არამედ კომუნისტური იდეოლოგიის მსახურთა აღზრდა.

ბათუმში მოღვაწე ახალბედა თუ გამოცდილ მწერალზე ერთბაშად რამდენიმე ფაქტორი ზემოქმედებდა.

ყველაზე არსებითი ფაქტორი ქართული ლიტერატურული ტრადიცია იყო, რომელსაც პროლეტარული კულტურის უკიდურესი რადიკალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული აგრესიულობით ებრძოდა პროლეტმწერლობა. მიუხედავად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობებისა, ნებსით თუ უნებლიერ, სწორედ ეს ფაქტორი იყო ყველაზე არსებითი მწერლობის ახალი თაობის ფორმირების საქმეში.

ზემოხსენებულის საწინააღმდეგო, მაგრამ ძალით და გავლენით არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პროლეტარული ლიტერატურის ტენდენციები, რომლებიც იმხნად, ხელისუფლების ხელშეწყობით, საყოველთაოდ მკვიდრდებოდა. ახლადფეხადგმულ რეგიონულ მწერლობას ფორმირება უდიდესი იდეოლოგიური წნევის ქვეშ უხდებოდა. ახალბედა მწერლის ცნობიერება საბჭოური ე. წ. ლიტერატურული მანქანის ზეწოლით ყალიბდებოდა და მწერალიც თავიდანვე იზრდებოდა სისტემის მსახურად. ამდენად, ამ ეპოქის მწერალთა შემოქმედებაში იდეოლოგიის მოჭარბებული დოზა კი არ არის გასაკვირი, არამედ, უფრო ის, რომ მწერალი ახერხებდა ჩარჩოს გარღვევას და წრფელი გულისნადების გამოხატვას დიად, ფარულად თუ მინიშნებით.

ამ ყველაფერთან ერთად, უნდა აღინიშნოს რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობაც. ერთი მხრივ, მტკიცე რწმენა ისლამისა, რაც XX საუკუნის

ჭოროხის აუზის ქართველთა მსოფლმხედველობას სავსებით განსაზღვრავდა, მეორე მხრივ, ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია და კულტურა, რომელიც განათლების პროცესის გარდაუვალი ნაწილი იყო თვით ათეისტურ საქართველოშიც კი და ამასთან ერთად, მეტროლი ათეიზმი, რომელიც სოციალისტური ცხოვრების წესის და “ახალი ადამიანის” დამკვიდრების აუცილებელი პირობა იყო, – მეტად რთულ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებს ქმნიდა ქართველი მწერლების ცნობიერებაში. მართალია მათი შემოქმედებაში გამოვლენისათვის აუცილებელი თავისუფალი ლიტერატურული სივრცე არ არსებობდა – სოციალისტური რეალიზმი სტანდარტულ ჩარჩოში აქცევდა ხოლმე ყველაფერს – მაგრამ ამ წინააღმდეგობის კვალი მაინც იჩენდა ხოლმე აქა-იქ თავს ლიტერატურაში.

კომუნისტურმა პარტიამ ლიტერატურას ერთბაშად რამდენიმე ამოცანა დაუსახა. ამ ამოცანების ფარგლებში მოექცა საბჭოური ლიტერატურის თემატური რკალიც. ამათგან უმთავრესი იყო სოციალისტური ცხოვრების წესის იდეალიზაცია, ცხოვრების ძველ წესთან შედარებით მისი განსუზღვრელი უპირატესობის პროპაგანდა.

ხსენებული ამოცანების შესაბამისად, თემატური რკალის შემადგენელი ნაწილი იყო მწერლობის ბრძოლა “ახალი ადამიანის” აღზრდისათვის და სხვადასხვა დარგის მშრომლეთა სახეების ასახვა, ახალგაზრდობა და კომკავშირი, შრომა და აღმშენებლობა, კოლმეურნეობა და ქარხანა, რევოლუციამდელი ტრადიციები და საბჭოთა ხალხების ურთიერთობა.

ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრება, ახალი, ხშირად უჩვეულო იდეალების და მისწრაფებების მასობრივად ჩანერგვა ადამიანის სულსა და გონებაში იოლი არ იყო. ამ პროცესში ჩაერთო მძლავრი იდეოლოგიური მანქანის ყველა მექანიზმი. მათ შორის მწერლობა, რომელსაც განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა: კონკრეტული მხატვრული სახეების დახატვით უნდა წარმოექნია მისაბამი მაგალითები ახალი ადამიანისა, ანუ ის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ნამდვილი საბჭოთა ადამიანი ქარხანაში დაზგასთან თუ სოფლად – კელ-მინდვრებში მუშაობის დროს, რა უნდა მიაჩნდეს დირებულებად და რა უნდა უარყოს, ვინ უნდა უყვარდეს და ვინ – სტულდეს და ა.შ.

ტერმინი “სოციალისტური შრომაც” ეპოქის პირმშოა. პროპაგანდისტული სტანდარტის მიხედვით, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ

მშრომელთათვის ახალი, საამური ხანა დაიწყო. მონური შრომა გათავისუფლდა ბორკილებისგან. თუკი მანამდე შრომა წამება იყო, ახლა უკვე დაზღასთან თუ ჩარხთან მუშაობა ბედნიერების საფუძველია. “სოციალისტური სამშობლოსთვის შრომა სიხარულის უშრეტი წყაროა”, - აი ამ პროპაგანდის და შესაბამისი ლიტერატურული პროდუქციის კონცეპტუალური აზრი.

სოციალისტური სულისკვეთების მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვი განუზომელია. სწორედ, ასეთი ლიტერატურული მასკულატურა განსაზღვრავდა ეპოქის ლიტერატურულ სახეს და იწერებოდა უამრავი ლექსი, რომლებშიც ხოტბას ასხამდნენ პრიორიტეტად აღიარებულ დარგებს, ჩაის, სიმინდს, სილოსს, მეჩაიერებს, მეაბრეშუმეებს, მეციტრუსეებს, მენახშირეებს და ა.შ. შრომის და მშრომელის ქებაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ ამ ლექსებს თუ პოემებს, მოთხოვობებსა თუ რომანებს სული აკლდა, ჭეშმარიტი შემოქმედის პატიოსნება და გულწრფელობა...

ბელადების სახოტბო პოეზია აჭარაში მოდვაწე მწერლების შემოქმედების ერთი უხვი ნაკადიც რომაა, გასაკვირი არ უნდა იყოს. ამ ლიტერატურას მხატვრული დირებულება არ გააჩნია, მაგრამ იმდენად მრავალრიცხოვანი და დამახასიათებელია, იმდენად არსებითი ნაწილია იმჟამინდელი ლიტერატურისა, მათი თუნდაც სქემატური წარმოჩენის გარეშე ეპოქის სურათის წარმოდგენა ძნელია.

სახოტბო პოეზიის ცენტრალური ფიგურა სტალინია. სტალინიადა მაშინ ყოვლისწამლებავი იყო. სტალინთან ერთად, არა ასე მასშტაბურად, მაგრამ მაინც, განადიდებდნენ სხვა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო პოლიტიკურ ფიგურებს, საკავშირო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ბელადებს - ბერიას, ორჯონიკიძეს, ვოროშოლოვს და სხვებს.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში რეგიონულმა მწერლობამ ასახა არაერთი თემა, რომელთაგან ზოგი წმინდა იდეოლოგიური შინაარსისა იყო, ზოგი – დიახაც საჭირობოროტო, იმხანად ერთობ აქტუალური იყო და მიუხედავად პროპაგანდის გვარიანი დოზებისა – რეგიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე.

საინტერესოა ქალის მდგომარეობისა საზოგადოდ და ჩადრთან დამოკიდებულების საკითხი.

ჩადრის თემა დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში ჩანს ანაქრონიზმად, თორემ მაშინ ეს საკითხი მეტად პრინციპული იყო და მწერლებიც - ზოგი პარტიის მითოთების გამო, ზოგიც გულწრფელად - ჩაება ქალის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს თემა რამდენიმე ასპექტით წარმოჩნდა კაზმულსიტყვაობაში. ერთი მათგანია ქალის უუფლებობა, მისი დისკრიმინაცია. ერთი მხრივ, რელიგიური პრინციპებიდან, მეორე მხრივ, დრომოჭმული ტრადიციებიდან გამომდინარე.

ცხადია, განხილულ ლიტერატურულ პროდუქციაში ქალის მდგომარეობა მარტო ზემოხსენებული კუთხით არაა წარმოჩნილი. პირიქით, მთელ კაზმულსიტყვაობაში გამოხატულია უდიდესი მოწიწება ქართველი ქალის მიმართ - ვინც უმძიმეს საუკუნეთა ქარ-ცეცხლში გამოატარა დირსება, ვინც შეუნახა შვილებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, არ დაავიწყა ტკბილქართული, ვინც იბრძოლა თავისთავადობის, მამაპაპათა ტრადიციების გადარჩენისათვის.

უნდა ვალიაროთ რომ ნებატიური სურათები ამ ტიპის ლიტერატურაში ხშირად გამუქებულია, გადაჭარბებულია. ცხადია უფრო იმისთვის, რომ შავბნელ ფონზე უფრო მკვეთრად გამოჩნდეს ბოლშევკური რეორგანიზაციის შედეგები.

იგივე შეიძლება ითქვას განათლების საკითხებთან დაკავშირებით..

საინტერესოა უპირატესად ლირიკაში ასახული ისეთი თემები, როგორიცაა: ბათუმი თუ შავი ზღვა, აჭარის სოფლები თუ ბუნების სილამაზე და ა.შ. ამ მოტივებსაც XX საუკუნის 20-იან წლებში დაედო საფუძველი და საპროპაგანდო ნაწარმოებების გვერდით ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებიც შეიქმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამია ვარშანიძის, ნანა გვარიშვილის გიორგი სალუქვაძის, ლაშა ტბაურის და სხვათა თხზულებები.

ეპოქის მეტად როული ხასიათი ხშირად განაპირობებდა წინააღმდეგობებს (ზოგჯერ რადიკალურ წინააღმდეგობებს) ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაშიც. ამ ფონზე იოლი არაა, ჭეშმარიტი შემოქმედებითი ღირებულებებისა და იდეოლოგიური საბურვლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი თვალსაზრისით და მათ შორის, რეგიონის ცხოვრების სურათების ასახვის თვალსაზრისით, ბათუმში მოღვაწე მწერალთა შემოქმედების ისტორია ორგანულად უერთდება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის

ისტორიას და უოველთვის როდი მისდევს თეორიებს მწერლობის კლასობრივი ბუნებისა და ლიტერატურის პარტიულობის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს „ხალხის ოპიუმად” სახელდებულ რელიგიას.

ადამიანის რელიგიური რწმენის წინააღმდეგ ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლა რომ დანაშაულია, ეს საკამათო არ უნდა იყოს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ერთობ სპეციფიკური ვითარება სუვევდა.

სამოქალაქო სკოლების ქსელის გაფართოება, ძალაუნებურად, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას უწყობდა ხელს. შესაბამისად, პროცესის ამ კუთხით ანალიზმა შეიძლება საინტერესო და მრავალგანზომილებიანი სურათი მოგვცეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბოლშევიკები არა ეროვნული შეგნების, არამედ, საბჭოთა იდეოლოგიის დანერგვას ისახავდნენ მიზნად. ამდენად, აჭარაში ბევრის ინტერესი იყო გადახლართული ერთმანეთში და ზემოხსენებული პროცესების მარტივად და ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძნელია. თუმცა, შევნიშნავთ, რომ ის მეთოდები და ხერხები, რომელსაც ხელისუფლება იყენებდა, უმეტესწილად აგრესიული იყო.

ერთგვაროვანი იყო ანტირელიგიური პროპაგანდის პრინციპები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ბუნებრივია, ამ პრინციპებს ემორჩილებოდა აჭარის ათეიისტური საზოგადოება.

საინტერესოა, რომ რელიგიური რწმენისა და ტრადიციების აღმოფხვრას საბჭოთა პროპაგანდა და შესაბამისად, ლიტერატურა ერთი მხრივ, სოციალისტური ცხოვრების წესის ქადაგებით, კომკავშირული სულისკვეთების დანერგვით ცდილობდა, მეორე მხრივ, ქმნიდა მხატვრულ გარემოს, რომელიც ტრადიციულ რელიგიურ ლირებულებებს უპირისპირდებოდა. პირველად სწორედ კაზმულსიტყვაობაში გაჩნდა ქართველი მუსლიმანის სუფრაზე დვინო და ლორის ხორცი.

საბჭოთა კავშირის უკიდეგანო ტერიტორიაზე ანტირელიგიური პროპაგანდის ერთი სტანდარტი ბატონობდა და იგი თანაბრად ეხებოდა ყველა რელიგიას. ეს სტანდარტი კი ერთი მხრივ, დაუნდობლად ებრძოდა „ძველი წყობის ნაშთებს“, მეორე მხრივ „მიზნად ისახავდა აჭარის მოსახლეობისა და, კერძოდ, ახალგაზრდობის ათეიისტურ აღზრდას...“

“პროპაგანდის გაძლიერების” ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ბასრი იარაღი მხატვრული ლიტერატურა აღმოჩნდა. ქართული სახელმწიფოს ბუნებრივი განვითარების პირობებში მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას სხვა მისია, სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ამ ლიტერატურამ, მოცემულ ისტორიულ ვითარებაში ვერ შეძლო ობიექტურად აესახა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური და, გნებავთ, რელიგიური პრობლემები და საკითხები, ხელოვნურად გაჩენილ საზღვრებს გადმა-გამოღმა, სხვადასხვა სახელმწიფოში დარჩენილი ქართველების გულისტკივილი. იგი თავიდანვე იქცა საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის ნაწილად და რწმენასთან დამოკიდებულებაც თავისთავად მოექცა ქვეყანაში დამკვიდრებული სტანდარტების ჩარჩოებში.

პატრიოტიზმი ქართული მწერლობის უმთავრესი მაცოცხლებელი ძალა იყო ოდითგან. მწერლობა საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის წინამდლოლის უმძიმეს უდელს ერთგულად ეწეოდა, ქვეყნისა და ერის სადარაჯოზე იდგა მუდამ, იცოდა, როგორ მოსალბუნებოდა მის დარდსა და ვარამს. ძნელბედობისა და უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც მის გვერდით იდგა, აღმერთებდა და თაყვანს სცემდა როგორც უპირველეს სალოცავს. პირველთაგან მწერლობა იყო ქვეყნის სიძლიერის ნიშა, რაც ყოველთვის კარგად იცოდა მომხდურმა. ამიტომ ერის ცნობიერების რდვევასა და ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ ბრძოლას მისი დათრგუნვითა და დამორჩილებით იწყებდა.

ტოტალური რეჟიმის ძალისხმევით უგულებელყოფილი ეროვნული ფასეულობების ადგილი საბჭოთა, სოციალისტურ ღირებულებებს უნდა დაეჭირა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა გადაწყვეტილებით ქართველ ხალხს სამშობლოდ არა საქართველო, არამედ სსრკ-ი უნდა ეღიარებინა. რაღა თქმა უნდა, გამონაკლისს არც მწერლები წარმოადგენდნენ. შემოქმედთ ლენინ-სტალინის პარტიის იდეოლოგიის შესაბამისად უნდა ემოქმედათ, დამორჩილებოდნენ უზენაესი ტრიბუნიდან წამოსულ ბრძანებებსა და მოწოდებებს.

არსებითი ნიშანი ამ ბრძანება-მოწოდებებისა კი ის იყო, რომ ეროვნული სულისკვეთება ”საბჭოთა პატრიოტიზმს” უნდა ჩაენაცვლებინა. სალიტერატურო

კრიტიკა განუხრელად ცდილობდა, იდეოლოგიურად გამართულ არხში მოქმედია მწერალთა ძალისხმევა,

მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო იავარქმნა მეხსიერებაში კოდირებული მამულის სიყვარულისა, ეროვნული ფასეულობებისა, მენტალიტებსა და ცნობიერებისა. ე. წ. საბჭოთა სამშობლოსადმი მიძღვნილი მხატვრული პროდუქციის პარალელურად იქმნებოდა პატრიოტული სულისკვეთებით შთაგონებული ნაწარმოებები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია პარმენ რურუას, ნესტორ მალაზონიას, მამია ვარშანიძის, გიორგი სალუქვაძის, ფრიდონ ხალვაშის, კაპიტონ რუსიძის და სხვათა შემოქმედება.

ომის თემაზე შექმნილ თხზულებათა შორის იშვიათად თუ გამოერეოდა რაიმე მხატვრული დირსებით აღბეჭდილი ნაწარმოები. მდარე ლიტერატურული პროდუქცია, შესაძლოა, იდეოლოგიურ შეკვეთას რამდენადმე აქმაყოფილებდა, მაგრამ მეტისმეტი სიყალბის გამო თვით შემკვეთებისთვის იყო გამაღიზიანებელი.

ბუნებრივია, რომ სიუჟეტურ სტანდარტებსა და სქემებს, ე. წ. გამომგონებლობას, ვერც აჭარაში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია ასცდებოდა. ამ ნაწარმოებებს ჩვენი მწერლობის განვითარებაზე დირებული კვალი არ დაუჩნევია, მაგრამ “მიმდინარე ისტორიულ მომენტში” პროპაგანდისტის როლს წარმატებით ითავსებდა და ასე თუ ისე ზემოქმედებდა მკითხველის ცნობიერებაზე.

როცა ომის თემაზე შექმნილ იდეოლოგიურ ლიტერატურაზე, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილ სქემებსა და სტანდარტებზე ვსაუბრობთ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფსევდოლიტერატურა ერთადერთი ხაზი როდი იყო ჩვენი მწერლებისა. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ყველაფერი იდეოლოგიის ჩარჩოში იყო მოქცეული. ომს ბევრი ტკიფილი ახლავს და ეს ტკიფილი ქართველმა ერმა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ერების მსგავსად გადაიტანა. არაერთი მწერლის გულწრფელ სტრიქონებში აისახა ომის კოშმარი, მსხვერპლი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიღო, გმირობა და მამაცობა, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა თუ შინ დარჩენილმა მოქალაქეებმა გადაიტანეს.

გარდა ამისა ომის თემაზე შექმნილ თხზულებებში იმთავითვე გამოიკვეთა ერთი დიახაც საინტერესო ტენდენცია.

ნიშანდობლივია, რომ ხშირად ქართველი მწერლები “სამშობლოს” ცნებაში გულისხმობდნენ არა მაინცადამაინც საბჭოთა კავშირს, არამედ უპირველესად საქართველოს და ამით იდეოლოგიურ სადარაჯოზე მდგარი კრიტიკის რისხვასაც იმსახურებდნენ.

განწყობა “ჩემი სამშობლო საქართველოა”, მკაფიოდ ჩანს საომარ თემატიკაზე (და არა მხოლოდ საომარ თემატიკაზე) შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციაში. ზოგჯერ ისეთი შთბეჭდილება რჩება, თითქოს მწერლებმა დრო იხელთეს და “საბჭოთა პატრიოტიზმის” საფარქვეშ აღადგინეს ტაბუდადებული ცნება სამშობლოსი, გზა გაუხსნეს სწორედ ნაციონალურ განწყობას: ომის პერიოდის პროპაგანდისტული მანქანა გასაქანს აძლევდა პატრიოტულ გრძნობებს. ამის გარეშე ომის მოგება ძნელი იქნებოდა, თუ შეუძლებელი არა. შესაბამისად, “საბჭოთა პატრიოტიზმი” და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ისე გადაეხლართა ერთმანეთს, გამიჯნვა გაძნელდა და მწერლებმაც თითქოს ისარგებლეს შექმნილი ვითარებით.

ამდენად, ომის თემაზე შექმნილი მთელი ლიტერატურული პროდუქციის იდეოლოგიური მწერლობის ფარგლებში მოქცევა დაუშვებელია. აშკარაა, რომ ამ ნაწარმოებებში შიგადაშიგ მკაფიოდ ჩანს ეროვნული მოტივი და ნაციონალურ გრძნობებსაც გასაქანი ეძლევა.

1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ ახალი, ბოლშევიკური იმპერიის ხელისუფალთა ნებითა და ძალით სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების უმეტესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. ქართველმა საზოგადოებამ, უფრო ზუსტად, ეროვნული ინტელიგენციის და პოლიტიკური სპექტრის ბოლშევიკურ საქართველოში შემორჩენილმა ნაწილმა, გაბრძოლებადა შეძლო.

სამხრეთ საქართველოს თემა ყველაზე დამახასიათებელი, მეტადრე, 30-იანი წლებდან, აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებისათვის იყო. ეს ნიშანდობლივი ფაქტია. აჭარა, ხომ თავად იყო მონაწილე ცხოველი ისტორიული პროცესებისა; სწორედ ამ რეგიონს შეეხო ყველაზე მწვავედ გაყოფა-განაწილების, გასხვისების ტრაგიკული მოვლენები. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, მოსკოვში, სტამბოლ-ანკარასა თუ ევროპაში მიღებული გადაწყვეტილებების გამო რომ გადადიოდა იგი ხელიდან ხელში. მრავალი

მონაწილე ამ პროცესებისა ჯერაც ცოცხალი იყო და არც ეზოსა თუ ყანის ბოლოში გავლებული საზღვრების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი ნათესავების ტკივილს უჩანდა დამების პირი. ამასთან ეს იყო რეგიონი, რომელმაც საუკუნეებს გამოატარა ქართული ენა, ცნობიერება, ზნეობა, ტრადიცია... მეორე მხრივ, კი გაცოცხლებული მხატვრული სიტყვა ახლადა იქრებდა ძალას, ახლადა ჩნდებოდა საუკუნეებით დაგუბებული სათქმელის გამოხატვის საშუალება და იმდენად ღრმა იყო ჭრილობა, იმდენად მაღალი ღირებულებისა იყო ეს თემა, რომ თვით სოციალისტური რეალიზმის პირობებში ფეხადგმულმა ადგილობრივმა მწერლობამაც კი არაერთხელ გადააბიჯა დამკვიდრებულ ზღვარს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა. ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დადგა. საქართველოში გაჩნდა იმედი სამშობლოსგან მოგლეჯილი მიწების დაბრუნებისა, ისტორიულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. მითუმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი პირდაპირ მოითხოვდა არტაანის, ართვინისა (საქართველოსთვის) და ყარსის (სომხეთისათვის) ოლქების დათმობას.

ბუნებრივია, რომ ქვეყნისათვის საჭიროობო ამ პროცესში აქტიურად ჩაება ჩვენი მწერლობა. ომისშემდგომი ქართული ლიტერატურის ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ ამ თემამ შექმნა. ძველი თუ ახალი თაობის, პროლეტარული თუ აკადემიური წარსულის, დედაქალაქელის თუ პროვინციელის, ლამის ყველა მწერლის შემოქმედებაში გაიჟდერა სამხრეთ საქართველოს მოტივმა. ზოგან უფრო მგზნებარედ, ომახიანად, ზოგანაც მოკრაბალებით, ფრთხილად, ბოლშევიკური იდეოლოგიის მომეტებული დოზით, მაგრამ მთავარ საკითხში გულწრფელი ერთსულოვნება სუფევდა – ყველა უსამართლობად მიიჩნევდა, რომ ეს მიწები საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. მწერლები თითქოს გააერთიანა საერთო მისწრაფებამ. ამ ნაკადის ნაწილი იყო ბათუმში მოღვაწე მწერლების შემოქმედებაც. მართალია, აჭარის მწერალთა ორგანიზაცია ხანიერი ტრადიციით ვერ დაიკვეხიდა, მაგრამ წარმეტები მიწა-მამულის სატკივარი, როგორც აღვნიშნეთ, აქ უფრო მძაფრად აღიქმებოდა და ნაყოფიერად აისახა კიდეც ეს სატკივარი მამია ვარშანიძის, გიორგი სალუქვაძის, ნესტორ მალაზონიძის, პარმენ რურუას, ნანა გვარიშვილის, ფრიდონ ხალვაშის, კაპიტონ რუსიძის და სხვათა შემოქმედებაში.

თუ შევეცდებით არსებული ლიტერატურული მასალის ერთგვარ სისტემატიზაციას და განზოგადებას, განსაზღვრას იმისას, თუ რა სულისკვეთებისა იყო ნებადართული პატრიოტიზმის ფარგლებში გამოქვეყნებული მხატვრული ქმნილებები, შესაძლებელია, ეს ნაწარმოებები თემის, ხედვის, კუთხის თუ მიზანდასახულობის შესაბამისად, რამდენიმე ჯგუფად დაგეოთ.

უპირველეს და უმთავრეს მახასიათებლად ამ ლიტერატურული ნაკადისა უნდა ჩაითვალოს ქართველი ხალხის გულისტკივილის გამოხატვა – დაკარგულ-გაჩანაგებული ისტორიული ტერიტორიების გამო.

სსენებული მოტივის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს წარსულის გააზრება. ტრაგიკული ისტორიული რეალობის ობიექტურად წარმოჩენის მცდელობანი. მებრძოლი ათეიზმის ქვეანაში დამთრგუნველი ათწლეულების შემდეგ, ქართველ მწერალს შესაძლებლობა მიეცა, ასე თუ ისე მიბრუნებოდა ისტორიის საჭირბოროტო საკითხებს, ეწერა და ესაუბრა ქართული ქრისტიანული კულტურის და ცივილიზაციის აკვანზე, გაბედულად ეხსენებინა მეფეები და ათაბაგები, მტბევრები და ოპიზრები, “ოშკის ზარები” და “მესხეთის მთების დიდ ტაძრები”, “რუსთაველის და მერჩულეს მამული” და “ხატები ფასის უთქმელი”.

ქართველი მწერლების მიერ დახატული სურათის მიხედვით, იქაურ ქართველთა თანადროული თაობაც დიდ გასაჭირება. აქ, როგორც ადვინიშნეთ, მხოლოდ სოციალიზმ-კაპიტალიზმის დაპირისპირება როდია არსებითი. ქართველი უბედურია უპირველესად იმიტომ, რომ მშობლის უბესაა მოწყვეტილი. შესაბამისად, გასაკვირი აღარაა, რომ პოეტების რწმენით, თურქეთელი ქართველიც მზადაა, დაუყოვნებლივ შეუერთდეს ბრძოლას ერთიანობისთვის.

სურვილი თურქეთის ქართველობის სამშობლოსაკენ მისწრაფების დახატვისა – აშკარაა. შესაძლოა ამ მისწრაფების მხატვრული ასახვის ზოგიერთი დეტალი გადაჭარბებულად, კონკრეტული რეალობიდან ან ისტორიული განვითარების ლოგიკიდან დაშორებულად მოგვეჩენოს, მაგრამ ამგვარი “გადაცდომები”, როგორც ჩანს, საჭირო იყო პრობლემაზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობისათვის, კომუნისტური იდეოლოგიით დათრგუნული საზოგადოების პატრიოტული (ცხადია, აქ საბჭოთა პატრიოტიზმს არ ვგულისხმობთ) და ჰეროიკული აღმაფრენისათვის. გარდა ამისა, ეს “გადაცდომები” არც მხატვრული ლიტერატურისათვის დასაშვებ შემოქმედებითი ფანტაზიის დიაპაზონს არღვევდა მაინცადამაინც.

ამდენად, ომისშემდგომი პერიოდის ლიტერატურულ პროდუქციაში თვალსაჩინოა ოცნება ისტორიულ საზღვრებში აღდგენილ-გაერთიანებულ საქართველოზე. ხალხის მისწრაფება, მწერალთა აზრით, შეუცვლელია: რუსთაველი და საქართველო, რუსთაველი და მესხეთი განუყოფელია და ამ მიწაზე “რუსთაველის სანთლის დანთების” სურვილიც ბუნებრივია.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის ეროვნული საკითხი ძირითადია. ბუნებრივია ისიც, რომ ამ ნაწარმოებების ერთერთი მიზანი საბჭოთა სისტემის აპოლოგია და სსრკ-თი სიამაყის გრძნობის გადვივება იყო. ამიტომ გასაკვირი არაა, ერთი მხრივ, საბჭოთა სისტემის უპირატესობაზე ხაზგასმით მითითება და ბელადომანია. თანამედროვე მკითხველისათვის ზოგჯერ შესაძლოა, უჩვეულო იყოს შიშველი კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური რეალიზმის ის თვალსაჩინო ძარღვები, რომელიც თანმდევია ამ თუ სხვა ანალოგიური სულისკვეთების ნაწარმოებებისა. მაგრამ ვინც ასე თუ ისე იცნობს საბჭოთა ეპოქის ხასიათსა და მხატვრული ლიტერატურის იმუამინდებლ თავისებურებებს, ადვილად შეამჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც და საზოგადოდაც, მწერლობამ მოხერხებულად ისარგებლა ნებადართული პატრიოტიზმით, სადინარი მისცა წლობით თუ საუკუნეობით სულში ნაგროვებ ტკივილს და ერთბაშად გაამჟღავნა გულისნადები. ჟამთა ვითარების გამო მწერალთა შესაძლებლობები და თავისუფლების დიაპაზონი მეტად შეზღუდული იყო. ვერც იმას ვიტყვით, რომ თითქოს მხატვრულმა ლიტერატურამ რამდენადმე მაინც ამოწურა ეს თემა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოცემულ საკითხებს ამ მასშტაბით ქართული მწერლობა მანამდე არასდროს შეხებია.

მიჯნურობა ადამიანის და მეტადრე შემოქმედის თანმდევი გრძნობაა ნებისმიერი ეპოქაში და, ბუნებრივია, ამ მოტივის გარეშე არც საბჭოთა მწერლობა დარჩენილა. ცხადია, იდეოლოგიამ ამ ერთი შეხედვით, ყველაზე არაპოლიტიკურ თემასაც დააჩნია კვალი. კლასობრივი ანტაგონიზმისა თუ სოლიდარობის პრინციპები აქაც შეიქრა და შეიქმნა არაერთი თხზულება სიყვარულზე, რომელსაც „კომუნიზმის მზე“ ათბობდა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მიჯნურობის საბჭოურ-ბოლშევიკური ხაზი ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში მკრთალად არის წარმოდგენილი და ბათუმელმა მწერლებმა არაერთი გულწრფელი და შთამბეჭდავი სტრიქონი უძღვნეს სიყვარულის გრძნობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასს ცსა 928: აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონდი.
2. ბაბილოძე 1973: ბაბილოძე გ. „ხარისხონ (ხასან) კომახიძე”, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი.
3. ბარამიძე 2009: ბარამიძე რუსლან, „ისლამი და მუსლიმები აჭარაში”, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმი.
4. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე აკაკი, „მწერლობის მოთვინიერება”, რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი”, თბილისი.
5. ბაქრაძე 1946: ბაქრაძე დავით, „ქართული პერიოდიკა 1800-1945”, თბილისი.
6. ბიბილეიშვილი 2003: ბიბილეიშვილი იური, „სული უკვდავი”, წიგნი I, „გამომცემლობა აჭარა”, ბათუმი.
7. ბიბილეიშვილი 2005: ბიბილეიშვილი იური, „სული უკვდავი”, წიგნი II, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი.
8. გგარიშვილი 1953: გგარიშვილი ნანა, „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები”, გამომცემლობა „ბათუმი”, ბათუმი.
9. გგარიშვილი 1958: გგარიშვილი ნანა, გამომცემლობა „ნაკადულები”, ბათუმი.
10. გგარიშვილი 1948 გგარიშვილი ნანა, „ჩემო აჭარავ”, გამომცემლობა „აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
11. გგარიშვილი 1955: გგარიშვილი ნანა, „ზღვა და სიყვარული”, გამომცემლობა „ბათუმი”, ბათუმი.
12. გაბესკირია 1955: გაბესკირია გიქტორ, „ერთტომეული”, გამომცემლობა „სახელგამი”, თბილისი.
13. გოგოლიშვილი 2005: გოგოლიშვილი ოთარ, „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში”, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი”, ბათუმი.
14. ვარდოსანიძე 2000: ვარდოსანიძე სერგო, „საქართველოს პართლამადიდებლური ეპლესია 1917-1927 წლები”, გამომცემლობა „ქრონიკრაფი”, თბილისი.

15. ვარდოსანიძე 2011: ვარდოსანიძე სერგო, „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში”, გამომცემლობა “მეცნიერება” თბილისი.
16. ზოსიძე 1995: ზოსიძე ნუგზარ, „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში”, გამომცემლობა “აჭარა”, ბათუმი.
17. კეშელავა 1980: კეშელავა ბონდო, ”ალიონიდან შებინდებამდე”, გამომცემლობა ”მერანი”, თბილისი.
18. კეშელავა 1985 კეშელავა ბონდო, ”ორთავ თვალის სინათლევ”, გამომცემლობა ”საბჭოთა საქართველო”, თბილისი.
19. კვერენჩილაძე 2007: კვერენჩილაძე რევაზ, ”საბუთები ღალადებენ”, თბილისი.
20. კვერენჩილაძე 1983: კვერენჩილაძე რევაზ, „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1982”, გამომცემლობა ”მერანი”, თბილისი.
21. კვერენჩილაძე : 2008 კვერენჩილაძე რევაზ, ”XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება”, გამომცემლობა ”უნივერსალი”, თბილისი.
22. კომახიძე 1928: კომახიძე ხასან, „ფუხარას სიტყვა”, ბათომი.
23. ლორია 1940: ლორია პარმენ, ”ბახვაძის დედაბერი”, გამომცემლობა ”აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
24. ლორია 1943: ლორია პარმენ, ”შეხვედრა”, გამომცემლობა ”აჭარის სახელგამი”, ბათუმი.
25. ლორია 1946: ლორია პარმენ, ”საუკუნის დაბადება”, გამომცემლობა ”აჭარის სახელგამი”, ბათუმი.
26. ლორია 1948: ლორია პარმენ, ”ჩაი”, გამომცემლობა ”აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
27. ლორია 1939: ლორია პარმენ, ”დელი მურადი”, გამომცემლობა ”აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
28. ვარდოშვილი 1959: ვარდოშვილი ხარიტონ, ”რჩეული”, გამომცემლობა ”საბჭოთა საქართველო”, თბილისი.
29. ვარშანიძე 1950: ვარშანიძე მამია, ”ჩემო სამშობლოვ”, აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.
30. ვარშანიძე 1994: ვარშანიძე მამია, ”ასეთი იყო...”, გამომცემლობა ”აჭარა”, ბათუმი.

31. ვარშანიძე 1971: ვარშანიძე მამია, (მასალები გამოსაცემად მოამზადა მამია ვარშანიძემ) „მამულო საყვარელო”, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი.
32. ვარშანიძე 1981: ვარშანიშვი მამია, „მებრძოლის სიმღერები”, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი.
33. ვარშანიძე 1960: ვარშანიძე მამია, „ჩემი ტაძარი”, გამომცემლობა „სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
34. ვარშანიძე 1955: ვარშანიძე მამია, „მთის ყვავილები”, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.
35. მალაზონია 1940: ვარშანიზე მამია, „გულიზარ”, გამომცემლობა „აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
36. მალაზონია 1972: მალაზონია ნესტორ, „რჩეული”, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი.
37. მალაზონია 1937: მალაზონია ნესტორ, „პატაკი ოქტომბერს”, გამომცემლობა „აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
38. მალაზონია 1953: მალაზონია ნესტორ, „ლექსები და პოემები”, გამომცემლობა „სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
39. ჟურული 1975: ჟურული ვარლამ, „რჩეული“, თბილისი.
40. ჟურული 1935: ჟურული ვარლამ, „ვარდის ფურცლობა“, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი.
41. ჟღენტი 1949 „თანამედროვე ქართული მწერლობა“, თბილისი
42. როვა 1955: როვა შოთა, „სოფლის სიყვარული“. გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი.
43. რურუა 1954: რურუა პარმენ, „ერთტომეული”, გამომცემლობა „სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
44. რურუა 1940: რურუა პარმენ, „ნაცარქექია“, გამომცემლობა „აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
45. რურუა 1985: რურუა პარმენ, „ჩვენი ზღვისპირეთის მესიტყვენი“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი.
46. რუსიძე 1939: რუსიძე კაპიტონ, „მეოვრამეტე გაზაფხული“, გამომცემლობა „გამომცემლობა სახელგამი“, თბილისი.

47. რუსიძე 1944: რუსიძე კაპიტონ, ”იწერებოდა სისხლით”, გამომცემლობა სახელგამი”, თბილისი.
48. რუსიძე 1951: რუსიძე კაპიტონ, “სარფსგალმა”, გამომცემლობა “სახელგამი”, ბათუმი.
49. სალუქვაძე 1955: სალუქვაძე გიორგი, “ლირიკა”, გამომცემლობა “სახელგამი”, თბილისი
49. სამუშია 2003: სამუშია ჯაბა, “ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალ წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ. თბილისი.)”, თბილისი.
50. “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები” (აჭარა), 2012: “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები” ოთხ ტომად. ტომი IV, ავტორები: ო. თურმანიძე, მ. ჯიჯეიშვილი, მ. ჩავლეიშვილი, ს. ტაბაღუა, ა. სურგულაძე, ს. დუმბაძე, უ. თქროპირიძე, რ. სურმანიძე, ვ. წულუკიძე, გ. მახარაძე, რო. მალაქმაძე, სარედაქციო კოლეგია: დ. ხახუტაიშვილი, ვ. შამილაძე, ა. კახიძე, ნ. კახიძე, გ. მახარაძე, ო. თურმანიძე, ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, რ. მალაქმაძე. გამომცემლობა “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი.
51. “საქართველოს ისტორია” 2012: საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტომი IV, ავტორები: ალ. ბენდიანაშვილი, ალ. დაუშვილი, გ. ნათმელაძე, სარედაქციო კოლეგია: აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. მუსხელიშვილი, აკად. რ. მეტრეველი. თბილისი
52. სიგუა 2002: სიგუა სოსო, ”ქართული მოდერნიზმი”, გამომცემლობა ”დიდოსტატი”, თბილისი.
53. ტბაური 1970: ტბაური ლაშა, ”სიმები ქარში”, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი
54. ქურიძე 1973: ქურიძე შოთა, ”წერილები ქართულ ლიტერატურაზე”, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა” ბათუმი.
55. ქურიძე 1970: ქურიძე შოთა, ”მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში”, ბათუმი, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”
56. შარაძე 1995: შარაძე გურამ, ”მემედ აბაშიძე”, გამომცემლობა “სახალხო წიგნი”, თბილისი.
57. ჩოხარაძე 1997: ჩოხარაძე მალხაზ, ”ლიტერატურული წერილები”, გამომცემლობა ”გამომცემლობა აჭარა”, ბათუმი.

58. ჩხარტიშვილი 1991: ჩხარტიშვილი რევაზ, “ლიტერატურულ-კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან”, თბილისი.
59. ცეცხლაძე 1935: ცეცხლაძე გრიგოლ, ”საკუთარი ხმა”, ”აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”.
60. ჯიბლაძე 1994: ჯიბლაძე ალექსანდრე, ”მამია ვარშანიძის შემოქმედება”, ”გამომცემლობა აჭარა”, ბათუმი.
61. ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზაქარია, ”მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში”, თბილისი.
62. აფხაზავა 1941: აფხაზავა გრიგოლ ”აჭარელ ქალს”, ჟურნალი ”ლიტერატურული აჭარა”, №5, გამომცემლობა ”აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
63. „აჭარისტანი” 1926: ჟურნალი ”აჭარისტანი, 1926”, ბათუმი.
64. ”აჭარის ლიტერატურული ახალგაზრდობა” 1956: ჟურნალი ”აჭარის ლიტერატურული ახალგაზრდობა”, ბათუმი.
65. გაბესკირია 1924: გაბესკირია ვიქტორ, ”ხატიჯე”, ჟურნალი ”ისპირი”, №1, ბათომი.
66. გალორი 1924: გალორი მიშელ, ”ლოცვა სონეტში”, ჟურნალი ”ისპირი”, №1, ბათომი.
67. გეორგე 1924: გეორგე სტეფან, ”ლიტანია”, ჟურნალი ”ისპირი”, №1, ბათომი.
68. გომართელი 1924: გომართელი შალვა, ”ჩვენი თეატრი”, ჟურნალი ”ისპირი”, №1, ბათომი.
69. გრიგორიანცი 1924: გრიგორიანცი გრიგოლ, ”წარსულიდან”, ჟურნალი ”ისპირი”, №1, ბათომი.
70. გრიშაშვილი 1924: გრიშაშვილი იოსებ, ”პაუზა”, ჟურნალი ”ისპირი”, №1, ბათომი.
71. დარასელი 1928: დარასელი ვანიონ, ”დამე”, ჟურნალი ”პონტისი”, №1, ბათომი.
72. ”ისპირი” 1924: ჟურნალი ”ისპირი” ”ბიბლიოგრაფია”, №1, ბათომი.
73. პ. პ. 1 923: პ. პ. ”მეცნიერება და პოეზია”, ჟურნალი ”ასპიროზი”, №1, ბათუმი.
74. კომახიძე 1928: კომახიძე ხასან, ”მემედ გოგიბერიძეს”, ჟურნალი ”სიტყვა ტრიბუნიდან”, №1, ბათომი.
75. ”ლიტერატურული აჭარისტანი”, ბათუმი;

76. მალაზონია 1949: მალაზონია ნესტორ, „საბჭოთა ქალი”, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა” №12, გამომცემლობა „აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
77. მაყაშვილი 1924: მაყაშვილი კოტე, „ახალგაზრდა ქალს”, ჟურნალი „ისპირი”, №1, ბათომი.
78. „მეთაური” 1924: სარედაქციო წერილი, ჟურნალი „ისპირი”, №1, ბათომი.
79. ოდიშელი 1928: ოდიშელი პარმენ (პარმენ ლორია), „ზეიმი დროშებით”, ჟურნალი „სიტყვა ტრიბუნიდან”, №1, ბათომი.
80. „სიტყვა ტრიბუნიდან” 1928: „წინათქმა”, ჟურნალი „სიტყვა ტრიბუნიდან”, №1, ბათომი.
81. ფერაძე 1928: ფერაძე ირ. „პროლეტარული მწერლობა აჭარისტანში”, ჟურნალი „სიტყვა ტრიბუნიდან”, №1, ბათომი.
82. ქიაჩელი 1924: ქიაჩელი ლეო, „ლანდები”, ჟურნალი „ისპირი”, №1, ბათომი.
83. „ქურა”, თბილისი;
84. ღოღობერიძე 1924: ღოღობერიძე გუშა, „ულიანოვ”, ჟურნალი „ისპირი”, №1, ბათომი.
85. ცეცხლაძე 1938: ცეცხლაძე გრიგოლ, „წითელარმიელური”, ჟურნალი „სტალინური თაობა”, №1, ბათუმი.
86. ხალვაში 1947: ხალვაში ხემიდ (ფრიდონ) „აჭარა”, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა”, №11, აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.
87. ხალვაში 1947: ხალვაში ფრიდონ, „ჭოროხის ხვაშიადი”, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა”, №11, ბათუმი.
88. ხალვაში 1947: ხემიდ (ფრიდონ) ხალვაში, „აჭარისწყალი”, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა”, №11, გამომცემლობა „აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა”, ბათუმი.
89. ბათომელი 1921: ბათომელი „მწერალთა სადამო”, გაზეთი „უწყებანი”, №202, ბათუმი.
90. გაბესკირია 1949: გაბესკირია ვიქტორ, „ფერიდეს სიხარული“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №6, ბათუმი.
91. გაგელი 1922: გაგელი ვარამ (ტიციან ტაბიძე), „ხელოვნების მთავარი შტაბი”, გაზეთი „ბახტრიონი”, №19, თბილისი.

92. გოგიავა 1949: გოგიავა კლიმენტი, „აჭარულ მოთხოვბა“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №210, ბათუმი.
93. გორკი 1934: გორკი მაქსიმ „საბჭოთა ლიტერატურის შესახებ“, გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ №194, ბათუმი.
94. დ. ო. – ძე 1926: დ. ო. – ძე "კომუნისტური აღზრდის საკითხები", გაზეთი „ფუხარა“, №215, ბათუმი.
95. დობორჯგინიძე 1930: დობორჯგინიძე პ. "წინეთ და ეხლა": გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, №223, ბათუმი.
96. თხილაიშვილი 1920: თხილაიშვილი ხასან, "მესხეთს", გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, №375, ბათუმი.
97. „კომუნისტი“ 1951: გაზეთი „კომუნისტი“, „მოწინავე“, „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით“, თბილისი. 29 სექტემბერი
98. კოსაროვი 1937: კოსაროვი ა. "ანტირელიგიური პროპაგანდა და კომკავშირული ამოცანები", გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №92, ბათუმი
99. ლამპარი 1927: ლამპარი, "აჭარისტანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში", გაზეთი „ფუხარა“, №297, ბათუმი.
100. მალაზონია 1938: მალაზონია ნესტორ, "ლაშქრული, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №44, ბათუმი.
101. მალაზონია 1949: მალაზონია ნესტორ, "საბჭოთა ახალგაზრდებს", გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №6, ბათუმი.
102. მალაზონია 1947: მალაზონია ნესტორ, "ქორწილი" (ბალადა) გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 21 მარტი, ბათუმი.
103. ობოლი 1931: ობოლი პარმენ (ლორია პარმენ), „საქ. პროლეტწერალთა ასოციაციის 10 წ. თავი“ გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“, №136, ბათუმი.
104. "პროლეტარული ბრძოლა" 1922: გაზეთი „პროლეტარული ბრძოლა“ ბათუმი, №469
105. ჟურული 1946: ჟურული ვარლამ "გამარჯვების მთავარსარდალი" გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 1946. №250, ბათუმი.
106. ჟურული 1949: ჟურული ვარლამ, "ტურფა ქვეყანავ", გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №86, ბათუმი.
107. ჟურული 1946: ჟურული ვარლამ, "სტალინს დიდება!" გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ №86, ბათუმი.

108. რუსიძე 1938: რუსიძე კაპიტონ, „გმირული თაობა”, გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, №249, ბათუმი.
109. რუსიძე 1946: რუსიძე კაპიტონ, „თენზილქ”, გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, №83-86, ბათუმი.
110. რურუა 1949: რურუა პარმენ, „ლაზური სიმღერები”, გაზეთი „საბჭოთა აჭარა” №125, ბათუმი.
111. რურუა 1946: რურუა პარმენ, „ჩვენ იმას ვირჩევთ“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა” №28, ბათუმი.
112. სამხრეთელი 1921: ”ბათუმის მწერალთა კავშირი”, გაზეთი „უწყებანი”, №199, ბათუმი.
113. „საბჭოთა აჭარა” 1937: გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, „მოწინავე”, №110, ბათუმი.
114. „საბჭოთა აჭარა” 1938: გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე”, №6, ბათუმი.
115. „საბჭოთა აჭარა” 1938: გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე”, №7, ბათუმი.
116. სალუქვაძე 1947: სალუქვაძე გიორგი, „ჩემი ქალაქი”, გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, №27, ბათუმი
117. ტაბიძე 1922: ტაბიძე ტიციან (ვარამ გაგელი) „ხელოვნების მთავარი შტაბი”, გაზეთი „ბახტრიონი”, თბილისი.
118. „ფუხარა” 1927: „აჭარისტანის პროლეტარულ მწერალთა პირველი კრება” გაზეთი „ფუხარა”, №179, ბათუმი
119. ქიქავა 1920: ქიქავა ჯემალ, „მთის გულითადი მადლობა”, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო” №5, ბათუმი
120. შარაძე 2002: შარაძე გურამ, „მემედ აბაშიძის უცნობი ლეგენდა და ახალი ბიოგრაფიული დეტალები”, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო”, 10-16 მაისი, თბილისი.
121. შარაშიძე 1930: შარაშიძე ი. „გვეძახის დამკვრელი დაზგები”, გაზეთი საბჭოთა აჭარისტანი”, №223, ბათუმი.
122. ჩხიგვაძე 1920: ჩხიგვაძე ნოე, „გაზეთი სამუსლიმანო საქართველო”, №372, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო, ბათუმი.

123. ჭყონია 1920: ჭყონია მემედ აღა, „სალაში საქართველოს”, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო”, №293, ბათუმი.
124. ხალვაში 1950: ხემიდ (ფრიდონ) ხალვაში, „აგიტატორი“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, №53, ბათუმი.
125. ხალვაში 1949: ხალვაში ხემიდ (ფრიდონ), „თქვენაც ლაზეთის ლამაზმანებო”, გაზეთი „საბჭოთა აჭარა”, №6, ბათუმი.
126. ჯანაშია, ბერძენიშვილი 1945: ჯანაშია სიმონ, ბერძენიშვილი ნიკო, „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ”, გაზ. „კომუნისტი”, 14 დეკემბერი, ბათუმი.